ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

5

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა



26 მაისი—
საქართველოს
დამოუკიდებლობის
აღდგენის
დღე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკალი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

5

მაისი
1990
თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და სოციალურ-პოლიტიკური ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ფასი. გამოცემის ფფ-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

8. თავისუფლების გაკვეთილები

კოეზია და პროზა

10. ნაილი ნეკერიშვილი — ლექსები
12. ირაკლი ჯაფარიძე — მოთხრობები
20. ნანა დავითაშვილი — ლექსები
22. რაულ ჩილაჩავა — ლექსები
25. ლია ასათიანი — ლექსები
27. ნიკო სამადაშვილი — შეხვედრები და სინანული. გაგრძელება
43. გურამ ოდიშარია — ლექსები
46. ირინე უშვერიძე — ლექსები
47. ზურაბ ლობჟანიძე — ლექსები
49. ჯანგულ ჯიქიძე — შემეცნების პრაქტიკაში. რომანი. დასასრული

ახალი თარგმანები

70. ავგუსტ სტრინდბერგი — მოჩვენებათა სონატა. დრამა. თარგმნა აკაკი ბრეგაძემ

ლიტერატურული პორტრეტები

85. რევაზ ინანიშვილი — ბატონი, ბატონი კონსტანტინე
93. ნანა კოტეტიშვილი — სახელოვანი მამის ღირსეული მემკვიდრე

150 — აკაკი — 150

98. დავით ლაშვარავა — ეროვნული ლიტერატურა აკაკის წერილებში

ეროვნული თვალსაზრისი

104. 12 შეკითხვა საქართველოს საგანგებო კომისარს
109. ჯანუფა ღვინჯილია — ქართველი კაცის სინამდვილე. პირველი ნაწილის დასასრული

დაბრუნებული სახელები

128. ალექსანდრე სულხანიშვილი — მოგონებები შეფიცულთა რაზმზე. გაგრძელება

ფილოსოფიის საგანძურიდან

145. ნიკოლოზ ბერდიაევი — თანამედროვე მსოფლიოს სულიერი მდგომარეობა. თარგმნა თედო ბეკიშვილმა

ისტორიის თეთრი ფურცლები

153. აგდურაჰმად ავტორხანოვი — სტალინის სიკვდილის საიდუმლო. გაგრძელება. თარგმნა ზურაბ ნარმანიამ.

158. ჟურნალ „ულდუზის“ რედაქციას

მკითხველი. ქრონიკა. ფაქტი. კომენტარი

159. ფრთხილად: სოციალ-დემოკრატია!
160. „ო, ჩვენდამ ბედუბრალვილობავ!..“

მთავარი რედაქტორი
ილარიან ქევერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:
ბესიკ ალასანიშვილი
თედო ბეკიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ბესიკ გეგეჭკორი
დავით ჭალარაძე
რევაზ მიშველაძე
ბესიკ სულაკაური
ბორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შალაძე
ჭანანა ჩიტიშვილი
ეკატერინა ჩორდელი
ვახტანგ ხარჩილავა
ბერონ ხერხეულიძე
რევაზ ჭანტარია
ბაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ნანა ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისუფლების გაკვეთილები

დღეს ქართველი კაცის გული და გონება უახლოესი წარსულის იმ ნათელი ნიშანსვეტებისაკენ არის მიპყრობილი, რომელთაც განაპირობეს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევის იდეის გადარჩენა, იმ რწმენის გაღვივება და განმტკიცება, რომ ქართველ ხალხს შეუძლია წარმატებით აშენოს თავისი სახელმწიფოებრიობა, და თუ არა გარეშე ძალების უხეში ჩარევა, აგრესია და ოკუპაცია, უაღრესად არახელსაყრელი გეოპოლიტიკური გარემო, დღეს საქართველო მაღალგანვითარებული თავისუფალი ქვეყანა იქნებოდა.

XX საუკუნის საქართველოში ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა ამ სამოცდაათრომეტი წლის წინათ მოხდა: 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევს, 5 საათსა და 10 წუთზე დაიბადა ახალი სახელმწიფო, — საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, გაბმიანდა დიადი სიტყვები: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

117 წელიწადს ელოდა ამ დღეს ქართველთა მრავალი თაობა, ოცნებობდა, იღვწოდა, ქმნიდა, იბრძოდა, სიცოცხლეს სწირავდა; ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები თავის აზრსა და გონებას ეროვნული ცნობიერების გადარჩენისათვის ბრძოლას აბმარდნენ.

კოლონიური მონობის მძიმე ათწლეულები თავის აგებედით კვალს ტოვებდა ქართველთა ზნეობაში, ხასიათში, მისწრაფებებში, სულიერ წყობაში. გამოხდება ხანი და რღვევის ამ პროცესით შეშფოთებული ილია ჭავჭავაძე დაწერს „კაცია-ადამიანს“ და „ბედნიერ ერს“, თანამემამულეებს ეროვნული ყოფიერების ულმობელ სარკეში ჩაახედებს, ხოლო XX საუკუნის გარიჟრაჟზე, საახალწლო მილოცვაში სამძიმარივით ეტყვის — რა გითხრათ, რით გაგახაროთო?

1918 წლის 26 მაისს განხორციელებული აქტი იმდროინდელი თაობის უდიდესი მონაპოვარია, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ ეროვნული თავისუფლების დაკარგვა — უდიდესი ტრაგედია, რამაც კატასტროფამდე მიიყვანა ქართველთა რამდენიმე თაობა. ბოლშევიკური დიქტატურის წყვდიადმა დიდი ხნით შთანთქა უტკბილესი მოგონებებიც კი თავისუფლების სამ წელიწადზე, რომელსაც მძიმე 117 წელიწადი ელოდა ქართველი ხალხი.

საქართველო აღმოჩნდა უმკაცრესი რეჟიმის ბრჭყალებში, სადაც არათუ მოქმედება, ეროვნულ თავისუფლებაზე ფიქრიც კი საშიში იყო.

გაყალბდა ისტორია,

გაყალბდა ღირებულებები.

დამახინჯდა წარმოდგენები და შეხედულებები.

დაიწყო ერის სულიერი რღვევა.

თავისუფლების ის სამი წელიწადი ერის ისტორიიდან ამოგლეჯილი აღმოჩნდა, ახალი თაობების ცნობიერების გარეთ დარჩა მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა და ღირებულება. ცდილობდნენ, ეს პერიოდი წარმოესახათ, როგორც უსიამო მოსაგონარი, ისტორიის ანაქრონიზმი, „უდღეური მენშევიკური დიქტატურის“ წლები, ჩვენი „უმწიფარი პროლეტარული შეგნების“ ხარვეზი, რის გამო ქართველებს, ცო-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რეს. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა არ იყოს, უნდა დაგვერცხვინა კიდეც „ძლევამოსილი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის“ წინაშე.

დღეს ისტორია თავის შეცდომებს ასწორებს.

გარემებათა გამო, რკინის ფარდა გადაწეულია.

ერის ცნობიერება უბრუნდება თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენას, რომელიც დასაბამს იღებს 1918 წლის 26 მაისიდან.

ისტორიის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები კი, როგორც მოგეხსენებათ, ახალ თაობებს უტყუარ გაკვეთილებს უტოვებენ.

დღეს თავისუფლებაზე არა მხოლოდ მეოცნებე, არამედ მებრძოლი საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1918 წლის 26 მაისს დაბადებული თავისუფალი საქართველოს ისტორიულ გაკვეთილებს. გულდასმით შესწავლას მოითხოვს ამ ხანმოკლე ეპოქის პოზიტიური შედეგები და საბედისწერო შეცდომები, რათა მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

რა პირობებში განხორციელდა 1918 წლის 26 მაისის აქტი, როგორ წარმართა თავისუფალი საქართველოს მშენებლობა, რამ განაპირობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კატასტროფა?

ამ, ერთი შეხედვით, მარტივ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ არ არსებობს, მაგრამ არსებობს ცალკეული საყურადღებო მოსაზრებები, არსებობს ისტორიული მასალები, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს და ხელმისაწვდომი ხდება. ამ მასალებზე დაყრდნობით, გარკვეული დასკვნების გაკეთება სუბიექტურობის ფაქტორს არ გამორიცხავს, ობიექტური, ყოველმხრივ შეჯერებული დასკვნები, ალბათ, მომავალში გაკეთდება.

1918 წლის 26 მაისის აქტი საქართველოს პოლიტიკური ძალებისათვის უჩვეულო პირობებში განხორციელდა. ფაქტობრივად, ეს არ იყო ეროვნული ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება და იმ დროისათვის საქართველოში არც იყო სრული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლიტიკური ძალა, გარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ლოზუნგით გამოდიოდა. როგორც ჩანს, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა საერთოდ არ შეესაბამებოდა მარქსიზმის ეპიდემიითა და სოციალ-დემოკრატიის კოსმოპოლიტური იდეებით გაბრუებული ეპოქის სულისკვეთებას. სხვას რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტში სოციალ-დემოკრატებმა 109, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებმა სულ რაღაც 8 დეპუტატი გაიყვანეს, ამდენივე ადგილი მიიღეს სოციალ-ფედერალისტებმა, რომელნიც რუსეთის ფრაგლებში საქართველოს ავტონომიის იდეას აყენებდნენ, 4 ადგილი მიიღო სომხურმა დაშნაკების პარტიამ(?!). საბოლოოდ, 1918 წლის 26 მაისის აქტი არა რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ, არამედ უფრო შექმნილმა ვითარებამ განაპირობა. ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ, საქართველოსაც რაღაც ნაბიჯი უნდა გადაედგა თავისი პოლიტიკური სტატუსის განსაკვეთად. და მაშინ გადაიდგა ერთადერთი სწორი ნაბიჯი — საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ბედის ირონია იყო, რომ ამ აქტის შემომქმედი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტია აღმოჩნდა, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თავგამოდებით იბრძოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ურღვევი სოლიდარობისათვის და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის იდეებით იყო შეპყრობილი.

კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის ამ შეუთავსებლობით იყო აღბეჭდილი 26 მაისის შემდგომი თავისუფალი საქართველოს მშენებლობა. გაუბედაობა, ყოყმანი, კომპრომისი, ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მოსალოდნელი გართულებების წინაშე, სწრაფვა ევროპული დემოკრატიისაკენ, მაშინ, როცა საქართველოს, იმდროინდელ საშინაო და გეოპოლიტიკურ გარემოში მხოლოდ მტაცეა ხელი. შეუფარველი ძალაუფლება, მაორგანიზებელი რეჟიმი ესაჭიროებოდა. ეს შეხედულება ახალი არ არის. აი, რას წერდა სოციალ-დემოკრატთა მთავრობის შესახებ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწე რევაზ გაბაშვილი: „ჯარის შექმნა ვერ მოასწრეს, პრეტორიანელი* გვარდისა კი, მიწების ჩამორთმევა მოასწრეს, დარიგება ვერა, ქართული სათავადაზნაურო სკოლის მაშინვე დახურვა მოასწრეს, ერეკლე II სახელობის სკოლის გადაკეთება ჩეხოვის სახელობის სკოლად მოასწრეს, მიხაილოვის პროსპექტის პლეხანოვის პროსპექტად და სხვა ასეთები.... გაკეთება ვერაფრისა მოასწრეს, სამაგიეროდ, რამდენი მაშლისა, ქარხანა-სახელოსნისი, წისქვილისა და სხვა ჩამორთმევა და გაოხრება ბლომად მოასწრეს.“

ალბათ, მმართველობის შეცდომათა რიგს განეკუთვნება ისიც, რომ საქართველომ დროულად ვერ მიიღო კონსტიტუცია. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური პრინციპები 1918 წლის 26 მაისის აქტში იყო ჩამოყალიბებული, კონსტიტუცია, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დააკანონა, მხოლოდ კატასტროფამდე ოთხი დღით ადრე, 1921 წლის 21 თებერვალს იქნა მიღებული. სახელმწიფოს ძირითადი კანონის ამგვარმა დაგვიანებამ, უსათუოდ გაართულა საქართველოს საერთაშორისო აღიარება. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ძალისხმევას ახმარდა საერთაშორისო მოღვაწეობას. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, დიდ იმედებს ამყარებდა საერთაშორისო მოღვაწეობაზე დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში. ამ განწყობილებას გამოხატავს აკაკი პაპავის სიტყვები: „ევროპნა და ეფეკრობდეთ: თუ ევროპა და ამერიკა ჩვენზედ მომხდარი ძალადობის, მოტყუებულობისა და უსამართლობის ნამდვილ სურათს დაინახავდა... მყისვე დაიძგერებდა და სიხსნელად ლეგიონები წამოვიდოდნენ“. მაგრამ ევროპისა და ამერიკის მხარდაჭერა, როგორც ცნობილია, პასიურ თანაგრძნობასა და პარლამენტურ დეკლარაციებს არ გასცილებია.

დამოუკიდებელმა საქართველომ ვერ განახორციელა ეფექტური ეკონომიკური ღონისძიებები, რაც ისევ სოციალისტური ტიპის მთავრობის მერყეევი პოზიციიდან მომდინარეობდა. აგრარულ ქვეყანაში ეკონომიკური აღორძინების საფუძვლად მარქსისტული იდეების დამკვიდრებას ცდილობდნენ, რასაც არ შეეძლო ნაყოფის გამოღება. ამ ვითარების შესახებ 1921 წლის იანვარში გრ. რცხილაძე წერდა: „როგორც წინა წლებში, ასევე გასულ წელსაც მთავრობას არავითარი საეკონომო გეგმა არა ჰქონია, იყო მხოლოდ დეკლარაციები, რომლის ხორცის შესხმისთვის არავინ ზრუნავდა. და აი, აქ არის მთელი სისუსტე მმართველი პარტიისა, რამდენადაც ჩვენ პოლიტიკური სიფხიზლე გამოვიჩინეთ და ჩვენი ქვეყნის თავისუფლება დავიცავით, იმდენად სუსტნი აღმოვჩნდით საეკონომო დარგში“. უფრო ქვემოთ იგივე ავტორი წერს: „ცბიერება და სიყალბე აზროვნებისა — ეს ის თვისებაა, ძველი რუსობის რეჟიმიდან რომ შეიძინა ქართველი ხალხის სწორედ იმ ნაწილმა, რომელიც ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში დგას... რუსული ცარიზმის მონობა ასოც წლამდე გვაჩვევდა პასუხისმგებლობის გარეშე დგომას და გრძნობა პასუხისმგებლობისა ჯერ კიდევ მძინებულია ჩვენს ხასიათში... რუსობა გადავარდა, მაგრამ მის წიაღში აღმოცენე-

*ფეოდალისმება ძველი რომის იმპერატორთა პირადი გვარდია, რომელიც დიდ როლს თამაშობდა სასახლის გადატრიალებებში (რედ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული თვისებანი ქართული ტემპერამენტისა ისევ ცოცხალნი არიან და ჩვენი ქვეყანა იმ დრომდე ვერ დასძლევს თავისი დამოუკიდებელი არსებობის სინდეკეს. პირველ ყოვლისა, თავის ეკონომიკურ გასაჭირს, ვიდრე ნაციონალიზაცია არ იქნება გატარებული ჩვენი მოწინავე წრეების ახროგენების მეთოდებში, ვიდრე უპასუხისმგებლობის გრძნობა გულწრფელობას არ დაუთმობს ადგილს და საყოველთაო მშრალი ფორმულები არ შეიცვლებიან რეალობის შინაარსიანი დებულებებით." ეს ყველაფერი ძალზე გვაფრთხილებს საბჭოური მმართველობის სისტემისათვის დამახასიათებელ სენს.

რესპუბლიკაში არასტაბილურ ვითარებას ქმნიდა საქართველოში მოსახლე სხვა და სხვა ხალხთა აჯანყებები, რაც უმეტესად ბოლშევიკური რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული. განსაკუთრებით ხანგრძლივი იყო აჯანყებები ოსებით დასახლებულ სამაჩაბლოში, აფხაზეთში. აჯანყებული მოსახლეობა საქართველოდან გამოყოფას და საბჭოთა რუსეთან შეერთებას მოითხოვდა. ამ აჯანყებათა ორგანიზატორები კავკასიონს გადაღმა ე. წ. „თერგის რესპუბლიკაში" იყვნენ მოკალთებული და იქიდან გზავნიდნენ თავის აგენტურას სუვერენული საქართველოს ფარგლებში, რესპუბლიკის თავრობა კი ერიდებოდა გადამწყვეტი ზომების მიღებას ამ ავანტიურის აღსაკვეთად.

დამოუკიდებელმა საქართველომ ვერ უზრუნველყო სამხედრო ძალების მშენებლობა. რ. გაბაშვილის ზემოთ მოყვანილი სიტყვები მოწმობს, რომ სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს თავრობის დასაყრდენი მცირერიცხოვანი გვარდია, მაგრამ მძლავრი არმიის შექმნა ვერ მოახერხეს. როგორც გენერალ ი. ოდიშელიძის ერთი მოხსენებითი ბარათი გვაუწყებს, 1919 წლის დასაწყისისათვის საქართველოს ჰყოლია ორი ქვეითი დივიზია, ერთი საკავალერიო ბრიგადა, საინჟინრო ნაწილები და ერთიც სასაზღვრო დივიზია. გენერალი ხაზს უსვამს ამ ძალების სუსტ თანადო ტექნიკურ აღჭურვილობას, მაგრამ იმ მღელვარე დროს, მტრულ გარემოცვაში მოხვედრილი ქვეყნისთვის ეს ძალები მეტად მცირეა. თუ გვითვალისწინებთ, რომ პირველ მსოფლიო ომში 280 ათასი ქართველი ჯარისკაცი მონაწილეობდა, პოტენციურად, საქართველოს საკმარისი რესურსები ჰქონდა მძლავრი არმიის შესაქმნელად. მით უფრო, რომ მეფის რუსეთის არმიის დაშლის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდნენ პატრიოტიზმით გულანთებული ოფიცრები და გენერლები, რომელთაც უდიდესი საბრძოლო გამოცდილება მიიღეს პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე. მათი უმეტესობა პოლიტიკურ და პარტიულ ბრძოლებში არ ერეოდა, თავს მხოლოდ სამშობლოს ჯარისკაცებად თვლიდნენ და მზად იყვნენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლათ თავისუფლების შესანარჩუნებლად.. ქართველ სამხედროთა თავგანწირვა კიდევ ერთხელ დადასტურდა 1924 წლის აჯანყებისას, რასაც ემსხვეპლა კიდეც მათი უმეტესობა.

ოფიცერთა და გენერალთა ამ შემადგენლობით შეიძლებოდა ძლიერი არმიის შექმნა, მაგრამ სამხედრო უწყების ორგანიზაციისა და საყოველთაო მობილიზაციისათვის საჭირო იყო მტკიცე პოლიტიკური ძალაუფლება და ავტორიტეტი, რაც თავრობას არ აღმოჩნდა.

საქართველოს სამხედრო ძალების მოუმზადებლობა ხანგრძლივი თავდაცვითი ბრძოლების საწარმოებლად ცხადი გახდა 1921 წლის თებერვალში, წითელი არმიის შემოტევასთან დაკავშირებით. ამ ბრძოლების ამსახველ დოკუმენტებში, ზოგიერთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საქართველოს მხრიდან არა ჩანს მსხვილი სამხედრო ძალები, ლაპარაკია ცალკეულ ათასეულებზე, ასეულებზე, ბატალიონებზე, მაშინ როდესაც, ა. კვიტაიშვილის ცნობით, რომელიც, თავის მხრივ, მე-11 არმიის სარდლის. გენერალ ჰეკერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენებას ეყრდნობა, მტერმა 18 თებერვალს თბილისის ასალებად შეტევაზე გადმოიყვანა შვიდი ქვეითი და ხუთი ცხენოსანი დივიზია. სომეხთა ორი ქვეითი და ორი ცხენოსანი პოლკი, ხუთი ჯავშნოსანი მატარებელი, სატანკო რაზმი და მძიმე არტილერია. რამდენიმე დივიზია უტევდა გაგრის ფრონტზე და დარიალის მხრიდან, ორი ცხენოსანი დივიზია შემოიჭრა მამისონის უღელტეხილიდან.

მიუხედავად იმ დროისათვის უზარმაზარი სამხედრო ძალების შემოტევისა, ქართველთა მცირერიცხოვანმა ლაშქარმა ბრძოლის პირველ ეტაპზე მაინც შეძლო მათი მოგერიება, შეჩერებული იქნა მტრის წინსვლა გაგრიდან და დარიალის ხეობიდან, თბილისიან არა მარტო შეაჩერეს აგრესორი, არამედ ფრონტის ზოგ უბნებზე ქართული ნაწილები კონტრშეტევაზეც კი გადავიდნენ. ეს უთანასწორო ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ქართველი მეომრებისა და ოფიცრების უდიდესი მგმრობის დასტურია.

სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ლიდერის ნოე ჟორდანიას პოზიცია საერთოდ ლიბერალური იყო, როცა საქმე ეხებოდა საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობას. მისი დრინდელი კონცეფციით „უნდა დაეუფებინათ მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებიც მუშათა კლასსა და გბატონებულ კლასებს შორის გათიშვას გამოიწვევდა, ხოლო ეროვნული საკითხი მათ შორის ხიდს სდებდა და ამით მუშათა მოძრაობას ასუსტებდა“. (პროფ. ა. მუჯირი). ამავე პოზიციაზე იდგა ნ. ჟორდანია საუკუნის პირველ ათწლეულშიც. მისი პოზიცია ერთგვარად იცვლება რუსეთის რევოლუციის წინა პერიოდში, როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიული ორგანიზაციების 1917 წლის იანვარში გამართულ კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე, თუ რევოლუციური ვითარების გამო რუსეთის ჯარები დატოვებდნენ საქართველოს.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისის ოპერის თეატრში გაიხსნა „საქართველოს ეროვნული ყრილობა,“ ეს იყო საქართველოს პოლიტიკური ძალების, სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების პირველი საერთო ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მომავლის გარკვევას შექმნილ ვითარებაში. ამ ყრილობაზე ჟორდანია კვლავ იცავდა რუსეთის ფარგლებში საქართველოს ფართო ავტონომიის იდეას. ამავე ყრილობაზე შეიქმნა „ეროვნული საბჭო“ ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. სწორედ ეს საბჭო ჩაუდგა სათავეში საქართველოს ხელისუფლებას ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ და 26 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობის აქტი.

ნ. ჟორდანიას ეკუთვნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჟეშარტი მამულიშვილური პათოსით წარმოთქმული სიტყვები: „დაგვმარხეს მარა ავდექით და სიცოცხლის ბრძოლის ველზე დავდექით, რით? — მხოლოდ ერთი იარაღით: ამაყი სულით და ძლიერი ნებისყოფით, ჩვენ გვსურს თავისი თავი ჩვენ გვეკუთვნოდეს და გვეკუთნება“. მაგრამ ეს პათოსი მის პარტიაში ნაკლებად იგრძნობოდა. პარლამენტში სოციალ-დემოკრატთაგან უმეტესად მუშები და გლეხები იყვნენ წარმოდგენილი. მთავრობა საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობაში აშკარად ამყოლავნებდა კომპრომისულ განწყობილებას. ალბათ, ამგვარი განწყობილებით იყო ნაკარნახევი, ერთი შეხედვით უმნიშვნელოვანესი, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისადმი დამოკიდებულებაც. ეს დოკუმენტი, როგორც ჩანს, არც ერთ მხარეს არ მიაჩნდა რუსეთ-საქართველოს მომავალი მყარი ურთიერთობის საფუძვლად. ამით უნდა აიხსნას, რომ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა არა მთავრობის თავმჯდომარემ, არა საგარეო საქმეთა მინი-

სტრმა, არამედ, დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ურატაძემ.

ამასთან, ეს ხელშეკრულება უთანასწორო იყო და საქართველოს მოავრობას პირობად უყენებდა ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაციას. საერთოდ, ეს ხელშეკრულება კრემლში სერიოზულ დოკუმენტად არავის მიიჩნდა და ორკონიკიძემ სრულიად სამართლიანად უწოდა მას „ლენინური შესვენება... მენშევიკების პროვოკაციის ასალაგმავად“.

კომპრომისი იქამდე მივიდა, რომ რესპუბლიკის უკანასკნელ დღეებში, ჟორდანია თანახმა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე, თუ შენარჩუნებული იქნებოდა დამოუკიდებლობა.

1918 წლის 26 მაისი უდიდესი მოვლენა იყო, უბიერველს ყოვლისა, ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების გაღვიძების თვალსაზრისით. დამოუკიდებელი არსებობის იმ სამ წელიწადში, საქართველო, მიუხედავად მთელი მისი მატერიალური სიდუხჭირისა, ზნეობრივად და სულიერად ამაღლდა, დაიბრუნა ის ფუნქცია, რაც ყოველ დამოუკიდებელ ქვეყანას აკისრია ზოგადად კაცობრიობის წინაშე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამრობა იყო საერთო ეროვნული ტრაგედია, რამაც არა მარტო საქართველოს თავისუფლება შეიწირა, არამედ მისი შვილების საუკეთესო ნაწილი. ბრძოლებში დაიღუპა, საზღვარგარეთ გადაიხვეწა ან საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა ინტელიგენციისა და არისტოკრატიის უდიდესი ნაწილი. გამოჩენილი პოლიტიკოსები, სამხედრო მოღვაწეები... ეროვნული თავისუფლებისათვის ცალკეულ მებრძოლთა და ორგანიზაციათა დევნა პერმანენტულად გრძელდებოდა ჩვენს დღეებამდე, სიტყვა „ეროვნული“ კანონგარეშე იყო გამოცხადებული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და 26 მაისის აქტის ისტორიული მნიშვნელობის შეფასება მომავლის საქმეა; მოსაძებნი და მოსაპოვებელია ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ცალკეულ მოღვაწეთა მოგონებები... ერთი რამ ცხადია — საქართველოს დღევანდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გარკვეულად, 1918 წლის 26 მაისზეა ორიენტირებული. ეს თარიღი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს ეროვნული დღესასწაულია. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის სამი წელიწადი, მთელი თავისი მიღწევებითა და შეცდომებით, XX საუკუნის საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ჯერ-ჯერობით ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური მიღწევები ამაზე შორს არ წასულა. გარეშე ძალების მიერ 1921 წლის 25 თებერვალს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, დღეს უკვე ოფიციალურად არის შეფასებული როგორც აგრესია და ოკუპაცია, მის შემდგომ დამყარებული მმართველობის ფორმა კი განიხილება როგორც საოკუპაციო რეჟიმი. ეს არის ისტორიული სამართლიანობა, მისი მიჩქმალვის ცდა ისეთივე დანაშაული და დემაგოგიაა, როგორც ქადაგება მე-11 არმიის განმათავისუფლებელი მისიის, საქართველოს საბჭოთა კავშირში ნებაყოფლობითი შესვლისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების კანონიერების შესახებ.

ზემოთ, ძირითადად, ყურადღება გამამახვილეთ დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი ძალების მიერ დაშვებულ შეცდომებზე. ნათქვამიდან შეიძლება ზოგი რამ უსამართლო იყოს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტია — საქართველო მომზადებული ვერ შეხვდა თავისი ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენას, თავი ვერ გაართვა ახალი სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მშენებლობას.

ამ საკითხებზე ღრმად და საფუძვლიანად დაფიქრებას გვაიძულებს სა-

ქართველოს დღეგანდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი ლოგიკურად მოსალოდნელი შედეგი — ქვეყნის განთავისუფლება! თუ ამ პროცესის ხელშემწყობ გარეგან ფაქტორებსაც გავითვალისწინებთ, ე. წ. სოციალისტური ბანაკის დაშლისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეღვიძარების სახით, უნდა ვიფიქროთ, რომ თავისუფლების ახალი თარიღი სწრაფად გვიახლოვდება.

როგორ შევხვდებით მას და როგორ ვიცხოვრებთ მის შემდეგ — ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა გამოვიყენოთ 1918 წლის 26 მაისის მოპოვებული თავისუფლების გაკვეთილები.

რადიკალიზმი პოლიტიკაში, მტკიცე ხელი და შეუვალი ძალაუფლება, დაფუძნებული მმართველობის დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და სოციალურ სამართლიანობაზე, გარედან დახმარების ნაკლებმოიმედეობა. რადიკალური რეფორმები ეკონომიკაში, ერის დემოგრაფიული რესტავრაცია და ეთნიკური კონფლიქტების მიზეზთაგან განთავისუფლება, ისტორიულთან მიახლოებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურები. თავდაცვის ყველაზე უფრო თანამედროვე საშუალებანი, სტაბილური საგარეო პოლიტიკა ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით... კიდევ მრავალი და მრავალი ასპექტის გაანალიზება შეიძლება 72 წლის წინანდელი თავისუფლების გაკვეთილებიდან, რისი მიღწევაც მაშინ შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ მომავალ, თავისუფალ საქართველოში ძველი შეცდომების გამეორება ისევე ძვირად დაგვიჯდება, როგორც ჩვენს წინაპრებს დაუჯდათ.

...1919 წლის „თეატრი და ცხოვრების“ მე-6-ე ნომერში დაბეჭდილია ჯარისკაც სირაძის წერილი; დაბეჭდილია ინიციალის გარეშე, მხოლოდ გვარის მოწერით. ვიდრე ამ წერილს მისი სიტყვებით დავამთავრებდეთ, უნდა დავძენოთ, რომ ის, რაც ურაყვი ჭეშმარიტება იყო თავისუფალი საქართველოს რიგითი ჯარისკაცისათვის, სამწუხაროდ, დღეს ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილში საეჭვმანოდ გამხდარა, შიში და ეჭვი თავს ვერ მალავს, ბევრის გონებაში ჯერ კიდევ არ მომწყვეტელა წარმოდგენა თავისუფალ საქართველოზე და, მაშასადამე, რაც უნდა დამაღონებელი იყოს ამის შეგრძნება, თავისუფლება ჯერ არც ისე ახლოს არის, რადგან ერის თავისუფლებას ჩვენი შინაგანი თავისუფლება განაპირობებს. ახლა კი სიტყვა თავისუფალი საქართველოს ჯარისკაცს დავუთმოთ: „ქართველი ხალხი არავის არაფერს ეძავება, არც არავის „აპეკუნობას“ ეხვეწება: დაგვანებონ თავი და სულ მალე ვუჩვენებთ ქვეყანასა, თუ როგორ უნდა სახელმწიფოს შექმნა, ეროვნთან სოლიდარობის დამყარება. ის ერი, რომელმაც ოცი საუკუნე იცოცხლა და გადაიტანა მრავალგვარი უბედურება და ქარტეხილი, მტრებსაც იგერიებდა და სახელმწიფოებრივ ფორმებსაც ჰქმნიდა, დღეს შესძლებს სხვის დაუხმარებლად ცხოვრების მოწყობას ჩვენ გვწამს ჩვენი ძალა და ეჩიტომ გვინდა დამოუკიდებელი ცხოვრება. ერთი ქართველიც ნუ დარჩენილა ცოცხალი, თუ კვლავ შეურიგდეს მონობას!

და 26 მაისი არის ჩვენი თავისუფლების დღე. ამ დღეს უნდა ეგრძნოს ყოველმა ქართველმა ძალა ეროვნული სიმაღლისა და სიამოვნებისა“.

ნაილი ნეკერიშვილი

●

აპრილის შემდეგ, ჩვენი ამბები,
ალბათ, სულეთშიც აფორიაქებთ
და ბედისწერამ, იქნებ ჩვენი
მსაჯულობაც გარგუნა, მერაბ!
გულ-ღმობიერი და მართალი
ჩამოჯდები აღსავლის კართან
და პირველ ჩვენგანს, ვინც
შემოგძახებს:
— დაგვიბრუნდა თავისუფლება! —
მხარს შეაშველებ
და შეჰყვები ცისფერ შორეთში.

●

გადავაფაროთ დედამიწას მწვანე
დროშები
ჩვენი სინაზის, სიყვარულის და
ერთგულების,
დე, ეს იყოს ჰიმნი ჰაერზე,
ცოცხალ წყალზე — ოკეანეზე,
ცხოველებზე, მცენარეებზე,
მარად მშფოთვარე ადამიანზე,
გადავაფაროთ იგი ძვირფას,
მშვენიერ დედას.

●

მე რომ ალმასის თვალს
ჩავცქეროდი —
იქ იდგა სუფთა, მშვიდი ქალაქი
აუმღვრეველი წყლით და ჰაერით,
თლილი კერპებით, წმინდა
დაფებით,
ნათელის წყნარი ათინათებით,
სალბუნის ზეცით და სიყვარულით.

●

ჩემო ძვირფასო!
მინდა ყოველ დღე ვილაპარაკო
შენ სიცოცხლეზე,
შენ მთებსა და მდინარეებზე,
შენ სიმართლეზე, სისხლის
მორევზე,
წარსულსა და მომავალზე,
ფხიზლად ვიდგე შენს გულის
კართან,
ვიჭდევებდე სუნთქვას შენსას,
ოხვრას შენსას, სიხარულს შენსას.

●

ეს გაზაფხული ძალზე მძიმედ
გადავიტანეთ,
პეპლების კვდომა და მშვენიერ
ხეთა გახმობა
გადაგვალული მიწის პირი,
ცრემლების დენა,
ბავშვის დაცემა, განწირული
კვილი ქალის,
გულის შემძვრელი გადაფრენა
ვარსკვლავებისა.

●

ძვირფასო ბიჭო! შენ უნდა ზიდო
ღედის ხელით ნაშენი კოშკი,
კოშკი სინათლის, სილამაზის,
ღირსების, დარდის,
არ შეგეშლება სიკეთის და
სიმართლის საქმე,
მაგრამ ვაი თუ სიმამაცე
დაგაკლდეს მცირედ,
დაგაკლოს იგი მოშიშარმა გულმა
ქალისამ.

ლიტერატურული ინსტიტუტი

●

უმძიმეს დღეთა სალბუნებო!
თქვენ ნაქსოვი ხართ
თანაგრძნობის ჯადოსნურ ძაფით,
რომელიც ქსოვილს აძლევს
ცრემლთა მშვენიერებას.

●

ამ მშვენიერ ჭალებსა და ტყეებს
ვევედრები:
— პაწაწინა ეფვნად დამკიდონ,
რომელიმე ხის კენწეროზე
და ჩემი სუნთქვით შეიქციონ თავი
ისე,
როგორც ჩიტის ფრთების დაკეცით.

●

მამის მკერდიდან იცინის ვაჟი,
მამა ჩრდილივით მიჰყვება ქუჩას,
ვაჟის სიცილი თვალსა სჭრის
თბილისს,
მამა თვალიდან ვერავის ხედავს.
მიდის, არის და თითქმის არ არის,
გადაწურულა სიცოცხლე სრულად...
და მაინც, ხალხში რომ გამოვიდეს,
და მაინც, ხალხი რომ ნახოს
შვილმა,
თავდახრილი და გათეთრებული
მამა ნელი-ნელ მიჰყვება ქუჩას.

●

მე ვარ ნაწილი დიდი სიმშვიდის,
ქართლის მინდვრების, ქართლის
ქედების,
ზაფხულის სიცხის და გარინდების,
ხეთა სიკეთის, ხეთა სიმაღლის,
ზღაპრის და ბავშვის მართალი
ცრემლის,
გაუსაძლისი მშვენიერების.

●

ძვირფასო, შენთან მე ვარ მდუმარი,
ეს არის ჩემი მცირედი ნიჭი,
ვარ გასენილი დიდი ტკივილით,
სასთუმალთან ზის ასული შენი
და მცირე სალბუნს ქოვა
სიყვარულის,
რომ უფრო მეტად დახაროს თავი.

●

მშვიდობით, ჩემო თეთრო
მტრედებო
და მაისის იადონებო,
მშვენიერო ქალაქო, გტოვებ.
მე შემოვდივარ მწვანე ტყეე შენში,
შენს უბადლო სიმშვიდეში,
მფარველობაში,
შენს ღრმა დუმილში,
დამფარე ფოთლები თვალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ჯავახაძე

მოთხრობები

დუელი

სამსახურში დაგვიანება, იცოცხლე, ეხერხებოდა მათეს. მორიდებით შეაღებდა კარს და უხმოდ მიუჯდებოდა თავის მაგიდას. რომ შეატყობდა, აღარავის ახსოვს ჩემი დაგვიანების ამბავიო, მერე იტყოდა პირველ სიტყვას. სიტყვას და, მერე რა სიტყვას, სულ შაქარი ამოსდიოდა პირიდან. ხელებს მაგიდაზე დააწყობდა, თვალს მოავლებდა ოთახში მყოფთ და ცდილობდა ყოველი მათგანისათვის სასიამოვნო რამე ეთქვა. — „დღეს კიდევ უფრო ლამაზად გამოიყურებით, ქალბატონო, მარცხენა ყურზე გიხდებათ საყურე“, — ეტყოდა, მაგალითად, ელენეს. არ შაყირობდა. და როცა ქალბატონი ელენე შეიცხადებდა, — მარჯვენაზეც იგივე საყურე მიკიდიაო, უკვირდა, როგორ ვერა ხვდები, ყურზე ვუთხარი და არა საყურეზეო. „გუშინ, აი ის შემხვდა... ჰოო, ისა... და მოკითხვა შემოგითვალა. აკოცეო“. მიუბრუნდებოდა მერე გუჯას, ამ უკანასკნელს სიხარულით ევსებოდა თვალები და ორი წუთის წინ რომ ფიქრობდა, ნოემბრიდან მარტამდე სულ უნდა გეძინოს კაცს, იმისთანა ამინდებიაო, უკვე სხვა ჰქონდა თავში, — ზამთარიც მშვენიერია და ზამთარშიც შეიძლება ისეთი რამე გაიგო, ახალი პერანგისა და სუფთა ფეხსაცმლის ჩაცმა მოგანდომოსო.

კარგი იყო მათე. სახელიც როგორი ჰქონდა, არა, — მ ა თ ე.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო... თუმცა, ყველაფერი არა, ეს ამბავი კი იქიდან დაიწყო, მათე რომ მოევლინა ქვეყანას (ამა, ყველაფერი მათეთი ხომ არ დაიწყებოდა და მათეთივე ხომ არ დამთავრდებოდა?).

ასე იყო: ცხრამეტი წლის ჩოთიას მუცელი შეეტყო უკვე. თვის ნაცოდვილარს ვეღარც დამალავდა და ვეღარც მოიშორებდა. არც ის იცოდა, ვინ იყო მათეს მამა (თფუ, წინ გავუსწარი მოვლენებს. მაშინ აბა რა იცოდა, მათეს დაარქმევდნენ თუ გოსტაშაბს). „ბაღანას მამა უნდა, ისე ვერ იქნება. უნდა, უნდა!.. „წამდაუწუმ ამას იმეორებდა, მაგრამ სად იყო ეს მამა? იქ უნდა ყოფილიყო, იმ უბანში; ან ჩოთიას მეზობელი ბუდუ იქნებოდა, ან ლუდის გამყიდველი თეგდორე, ან ფეხბურთელი როინი, ანდაც რომელიმე იმ ბიჭთაგანი, ჩოთიას სახლთან „ბირეაზე“ რომ იყრიდნენ თავს. იქნებ ბებერი ექიმი იყო, ან ის უცხოელი, ჩოთიას ფერადი შუშების ყელსაბამი რომ აჩუქა ტკბილი ღამის მოსაგონრად. მოიცა, რა ერქვა იმას?.. კარგი ვინმე კი იყო, ფეხებს უკოცნიდა ჩოთიას. მერე მძივიც აჩუქა და საუკუნო სიყვარულსაც შეჰპირდა, მაგრამ გამოჩენით კი აღარ გამოჩენილა.

ასე იყო თუ ისე, პეტრე იქნებოდა მამა თუ პავლე, ჩოთიას ეს ტვირთს ვერ შეუმსუბუქებდა და მანაც გადაწყვიტა, ნაბიჯვარს ვინმეს მივუგდებო (თუმცა, ასაღლვებელი არაფერია, ჩოთია ასე არ მოქცეულა. ვერც მოიქცეოდა საწყალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო რომ მოატანა, ჩოთიას მშობიარობა დაეწყო. სულ თვითონ იმშობიარა. არავინ ჰყოლია გვერდით. რომც დაეძახა, არავინ მიეშველებოდა. „კახპაა, მაგის ასე და ისეო...“ ამბობდნენ მეზობლები, მაგრამ კაცები უფრო ცოლების გასაგონად.

ჩოთია არავის ეუბნებოდა უარს, ვინც მეტ ფულს გაიმეტებდა, იმას უფრო მხურვალედ ეფერებოდა. თუმცა, მაშინ მაინც შესაცოდი იყო. სულ თვითონ იმშობიარა და ნაბიჭვარი შობა.

ნაბიჭვარი კი იყო მათე, მაგრამ კარგი იყო, ბავშვობაშიც და მერეც.

რომ დაიბადა (მაშინვე თუ არა, მერე ხომ მაინც გაიფიქრებდა, იქნებ არც ღირდა ამ ქვეყანას მოსვლაო), სანელიც იმ დღესვე დაარქვეს. ჩოთიას უკანასკნელი სურვილი ყოფილა, რამე ბიბლიურიო, და...

კარგი კი იყო, მაგრამ დედამისი მშობიარობას გადაჰყვა (ძნელი მოსასმენია ხომ, თუმცა, უფრო დიდი უბედურებებიც ხდება ცხოვრებაში).

კარგი იყო-მეთქი, განა ლამაზი. არა, ლამაზი როგორ არ იყო, იყო, მაგრამ საქციელით უფრო კარგი გახლდათ. სულ პატარამ უკვე იცოდა, ზრდილობა რომ იყო საჭირო და ორი წლის მათე უფროსებს უთმობდა ადგილს, ხუთი წლისა, უბატონოდ არავის სცემდა პასუხს და ცუდი სიტყვა არ დასცდენია, ისე შესრულდა ოცისა (მერეც იშვიათად ხმარობდა, მაგრამ უფროსი შეხვდა სამსახურში ისეთი...).

ჰო, მართლა, სადა ვართ? ოცისა შესრულდა ხომ, უკვე?! ჰოდა, სამსახურიც დაიწყო. სამსახურში დაგვიანება, იცოცხლე, ეხერხებოდა მათეს. მორიდებით შეაღებდა კარს და.. თუმცა, ეს უკვე ვთქვით. ისა სჯობს, დღეს რომ სამსახურში წავა, უკან აეედევნოთ, ოღონდაც ძალზე ფრთხილად და შეუმჩნევლად, თორემ თუ თვალი წაგვატანა, იქნებ ისეთი მათე აღარ იყოს, მე რომ აგიწერეთ და წყალში ჩაგვეყრება ამდენი ფანტაზია უკაცრავად კი ვარ თქვენთან, მკითხველი ბრძანებით და, თანაც შეიძლება მანდილოსანი იყოთ, მაგრამ ფეზზე რომ გავიხადოთ და ისე ავედევნოთ, მე მგონი აჯობებს. ასე ხომ ნამდვილად შეუმჩნევლები დავრჩებით. თუმცა, შეგვამჩნიოს რა, კარგი მაინც კარგად რჩება, გინდაც ათასი თვალი უყურებდეს. მათე კი, გითხარით უკვე, კარგი იყო მეტად.

კარი შეაღო და თავის მაგიდას უხმოდ მიუჯდა (ოჰ, გაგიწყალეთ რა გული).

ის იყო, რაღაცის თქმას აპირებდა, ქალბატონი ელენე მიუბრუნდა და მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, ჯერ მე მათქმევინეო.

— უფროსი შემოვიდა და გიბარებს.

— მეე? — ცოტა არ იყოს, გაუკვირდა მათეს.

იმასთან კაბინეტში შესვლას, სიკვდილი ერჩივნა (სიკვდილი, ისე, სიტყვის მასალად ვიხმარე). უფროსის პრიალა სახეს და ჭონიან სქელ ლაბაბს რომ წარმოიდგენდა, ტანში ზარავდა. მაგრამ, რა უნდა ექნა?! რაკი იბარებდა, უნდა მისულიყო კიდეც.

— თქვენ ხშირად აგვიანებთ და განა გაქვთ რაიმე მიზეზი? — ჰკითხა უფროსმა კაბინეტში შესულ მათეს და ღაბაბზე მსუქანი თითები ჩამოისვა.

— თფუ, — გააფრქოლა მათეს.

— რა ბრძანეთ?

— არაფერი, — ზრდილობიანი გახლდათ მათე.

— გაქვთ რაიმე მიზეზი? — გაუმეორა უფროსმა.

— მაშინ ხომ არც დავაგვიანებდი.

— მერედა, რაშია საქმე? რა მიზეზი გაქვთ? — გაუმესამა უფროსმა.

— გვიანობამდე მიყვარს ძილი, — გულწრფელად უპასუხა მათემ.

— რაა? — გაოცებით წამოსცდა უფროსს.

მათემ ისევ ის უთხრა, თანაც უკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირდა, რა უნდა ამ ღაბაბიანს, ჩემს საქმეს ხომ პირნათლად ვასრულებო.

— დღეის იქით კიდევ თუ დაგაგვიანებთ, შეგიძლიათ, საერთოდ მიბრძანდეთ, — ბოროტი იყო უფროსი.

— სად?

— სადაც გაგიხარდებათ, — სიცილიც ბოროტი ჰქონდა.

— არ შეიძლება დაგვიანება? — გულუბრყვილო იყო მათეს კითხვა.

— რა თქმა უნდა, არა, — დაუყვავა უფროსმა.

— და, თქვენ რომ?..

ოო, ეს აღარ უნდა ეთქვა. უფროსი სულ წვიდა ხელიდან, დაიბნა და ძლივს ამოღერღა:

— თქვენ... თქვენ ეს არ გეხებათ. ისიც გეყოფათ, ხელი რომ არ მოაწერეთ საბუთს.

— აი იმას? — გაიხსენა მათემ.

— დიახ.

— სისულელე იყო, — საბუთი უფროსის დაწერილი გახლდათ. — და ხელი არ მოვაწერე, რადგან არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო.

— რა სარგებლობა უნდა მოეტანა, მაინც?

— ამას მე გეკითხებით, — აღელდა მათე. — ყველაფერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, სასარგებლოდ უნდა ვაკეთებდეთ. ეხლა გასაგებია, თუ რატომ დაიწყეთ ჩემი შემოწმება. ვერ მოინელეთ, ხელი რომ არ მოვაწერე იმას, ხომ?

— თქვენს ადგილას სხვა სამსახურს დავეწყებდი ძებნას, — ეს იყო საბოლოო პასუხი.

ასე გადაწყვიტა მათემაც. აქ აღარ შეიძლებოდა მუშაობა. უფროსი თუ გადადგეკიდა, წასულია შენი საქმე. კიდევ ერთხელ გამოგიჭერს დაგვიანებისას და მორჩა. არადა, ღილით კარგად თუ არ გამოიძინებდა, მერე კაცად არ ვარგოდა.

კარი ახლად მოყვანილმა ცოლმა გაუღო. მაღალ მკერდზე ვარდისფერი პირსახოცი შემოეხვია და ნახევრად სველი თმა გვერდზე ჩამოშლოდა. ლაჟვარდი ზანა ჰქონდა...

— სად ხარ, ღამდება უკვე.

— სამსახურიდან გამომაგდეს და იმის მერე ქუჩებში დავხეტიალობ, — ტყუილი არ უთქვამს მათეს (საერთოდ არ ტყუოდა ხოლმე. ასეთი სახელის პატრონი და, ტყუილი? მართლა ხომ კარგი სახელი ჰქონდა, — მ ა თ ე).

მათე ტახტზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ჭერს მიაშტერდა. ასე იყო დიდხანს. მერე წამოიწია, მძინარე ცოლს ხელი წაჰკრა და უთხრა:

— კარგი წესი ჰქონდათ ადრე.

— რა წესი? — ჰკითხა ახალგაღვიძებულმა მოქნარებით.

— დუელი.

სხვანაირ ხასიათზე რომ გაიღვიძა, მერე გაახსენდა სამსახურის ამბები. ჯერ გაიღვიძა, შემდეგ მიხვდა, სხვანაირ ხასიათზე ვარო და სულ ბოლოს დააზუსტა, გუშინდელის ბრალი იქნებაო.

მათემ პირველად გაიღვიძა ასე ადრე. იმ ღაბაბიანს ეძინება ჯერო, კი გაიფიქრა, მაგრამ წამოხტა და ჩაცმას შეუდგა. ისიც იცოდა, არავინ ელოდა სამსახურში და იქით რომ მიდიოდა, იმით იყო ნასიამოვნები, როგორ გაუკვირდებათ ჩემი დანახვაო.

უფროსის კაბინეტში მაინც მორიდებულად შერგო თავი და ასევე მორიდებულად იკითხა:

— შეიძლება?

უფროსის განცვიფრება უნდა გენახათ თქვენ (ბოლო სიტყვას კიდევ ერთხელ ვიხმარ მომდევნო სტრიქონის დასაწყისში და ჯერ მომიტევთო).

— თქვენ მე გამაგდეთ, — დაიწყო მათემ. — იმიტომ, რომ ხელი არ მოვაწერე სულელურ საბუთს. არც უნდა მომეწერა, რადგან მე პატიოსანი კაცი ვარ. მიზეზად კი, ჩემი დაგვიანება გამოიყენეთ. უკვე ვიშოვე სხვა სამსახური (პირველად იცრუა), მაგრამ ყოველ დილით ჯერ აქ შემოვიელი ხოლმე და მერე წავალ იქ. რათა დაგიმტ-

კიცოთ, სულაც არ მიჭირს ადრე გაღვიძება. აი ასე. ეხლა, რაც შეეხება თქვენს აღმატებულებას (ეს კარგად გამოუვიდა), მე დუელში გიწვევთ; არა იმიტომ, სამსახურიდან რომ გამათავისუფლეთ, არამედ იმის გამო, რომ თქვენ არაფერი გაინტერესებთ საკუთარი ღაბაბისა და ჯიბის მეტი. ჯიბეს ისქელებთ, რათა ამის საშუალებით არც ღაბაბს მოაკლოთ სისქე და თქვენმა წითელმა კანმა სარკესავით ილაპლაპოს მზეზე. თანაც ამაყობთ ამით. სალამსაც კი არ იძლევით ქუჩაში, აქაოდა, უფროსი ვარო. მოკლედ, დღესვე უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი, დამისახელეთ დრო და ადგილი და შეეხვდეთ...

— დუელი, არა? — არც განერვიულებულა უფროსი, რაღა დროს დუელიაო, ფიქრობდა.

მათე კი... ეჰ, მათე, მათე. განა არ იცოდი, რომ ეგეთებთან არაფერი გამოგვიდოდა?! მათე მართლა ანერვიულდა და იმდენადაც რომ, იქიდან გამოსულს, დერეფანში ქალბატონი ელენე შეეჩეხა და ერთი-ორი კარგი სიტყვის თქმაც კი დაავიწყდა.

თ ე ქ ო ბ რ ე

ტყეში, ბალახზე გაშლილი სუფრა. სამი ბოთლი ღვინო. შოთი პური. ჭყინტი ყველი და მწვანილი. ორი კაცი, ორი ძაღლი, ორი თოფი და ცარიელი ზურგჩანთები.

— არ გაგვიღიმა ბედმა, — თაზომ მწვანილი დაახვია და პირისაკენ გაიქანა. ერთი თვის უკან უნდა მოვსულიყავით. ეხლა კურდღელსაც ვერ წაიწყდები კაცი. ძაღლებიც ტყუილად დაქანცეთ. ისე, მე თუ მკითხავ, ნადირობის ეშხი იმაშია, ასე რომ დაჯდები, ორ ჭიქას დალევ და დროს მოკლავ.

თავი დავუქნიე და ღვინო ჩამოვასხი.

ძველების დღეგრძელობისა იყოს, — თაზომ ჭიქა ასწია. — ბაბუაჩემი კოტე ასი წლის იქნება, საცაა. შენ არ იცნობ, ხომ? შარშან ლერი და ვანო მყავდა ჩაყვანილი სოფელში. ბაბუაჩემმა ყანწები ისხა თავზე და არც შეტყობია სიმთვრალე. ამათ კი, ორ-ორი ბოთლის მერე ჩარგეს თავები თეფშებში და ხვრინვა ამოუშვეს. ისე, კოტემ ამბები იცის, მტრისას. რავა დავუჯერო ყველაფერი, მარა წმინდა გიორგის იფიცებს და რა გინდა ქნა.

— მაინც რას გიყვება, რაო? — ვეღარ მოვითმინე მე.

— უჰ, რაც მაგას ჩემთვის მონაყოლი აქვს, მწერალი რომ ვიყო, დავწერდი და ათი ტომი მაინც გამოვიდოდა. ჰონორარით ვიყიდდი „ნივას“ და ფეხით აღარ მოგვიწევდა ამ სიშორეზე ამოსვლა. ეგერ ე, ტყის ნაპირზე დავაყენებდით მანქანას და...

გაუმარჯოთ, — შევაწყვეტინე თაზოს. — ბაბუას და ბებიას დაგილოცავ. მე არ მყავს არც ერთი, ხსოვნა იყოს.

დავლიეთ.

თაზომ სიგარეტი ამოაძვრინა ჯიბიდან.

— დიდი ხანია აღარ ეწევი? — მოუკიდა და ღრმად ჩაისუნთქა.

— ორი თვეა. შიგადაშიგ ვეწევი, კი, როგორ არ ვეწევი, — თავის მართლებასავით გამომივიდა.

— ბაბუაჩეები ჩიბუხს ეწევა. მეც ვეწეოდი ცოტა ხანს. ჩიბუხის მუღამი ვერ გამიგია, მოვწევდი და სიგარეტი მინდოდა მაინც. მოკლედ, გადავაგდე ჩიბუხი...

— სიგარეტსაც თუ გადააგდებ, კარგს იზამ.

— აგერ ვნახავ, — გაეცინა თაზოს. — ერთი-ორ თვეში თუ არ გააბოლებ ისევ. შენ კი არა, ბაბუაჩემს ვერ დაუნებებია თავი თუთუნისთვის. რამდენჯერ უთქვამს, მე არ ვიყო კოტე რაზმაძე, თუ კიდევ გავეკარო ჩიბუხსო, მარა... რამეში ხომ უნდა ჩაანთხიო შენი ბოღმა და გულისნადები კაცმა. ჰოდა, თამბაქო მაგისთვისაა მოგონილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეცინა და რომ არ სწყენოდა ისე ვუთხარი:

— ამდენს რო მელაპარაკები ბებუაშენზე, ისა სჯობს. მომიყვე რას გიამბობს ეგ კაცი ამისთანას, რომ ვერ დაგივიწყებია?

თაზო ჩაფიქრდა. ბოლო ნაფაფაი დაარტყა, სიგარეტი ჩაქმინა ქუსლით გასრისა და შემომხედა. თვალი ავარიდე. ღვინო ჩამოასხა, ჭიქა მომაწოდა და წამოდგა:

— მოდი, თედორეს გაუმარჯოს!

ვერ მივუხედი.

— თედორე — გიჟი იყო ჩვენ სოფელში. მე არ მოვსწრებივარ. ბაბუა-ჩემის მონაყოლს გეტყვი. ოღონდ ჯერ დავლიოთ.

ესეც დავლიეთ.

თაზო დაჯდა. ცოტა ხანს ასე იყო, ხმა არ ამოუღია. სანტერესო ამბის მოსასმენად მოვემზადე და ხელი გავიშვირე მეგობრისკენ:

— მომაწევინე.

უხმოდ მომაწოდა სიგარეტი.

— ჩვენს სოფელში რომ მოვიდა, ცხრამეტი-ოცი წლისა იქნებოდა. ვერ ყოფილა მთლად დალაგებული საწყალი და სოფელმა შეიფარა თურმე. აპმევდნენ და ასმევდნენ. დაასაჭმევდნენ. კიდეც, რა თქმა უნდა. თუკი ვინმე სახლს აშენებდა და ტყიდან შეშას ეზიდებოდა, თედორე თან ახლდა უეჭველად. კეთილი გული ჰქონია. მაგრამ ცხოველებს თუ აწყალებდა ვინმე, მოსაკლავად გაიმეტებდა იმას.

ერთხელ, ბაბუაჩემის ხბოს შემოხტა თურმე მამაჩემი. ათი წლისა იქნებოდა მაშინ. თამაშობდა ბავშვი და ერთობოდა. ხბო კი წვალობდა ცოტას, მარა, რა მოხდა მერე, გაიკირვებდა მამაჩემი პატარას და ჩამოიდოდა... დაინახა თედორემ და წყალით აუჭრელა გვერდები.

— კოტეს ბიჭი ვარ მე, — წამოტრირია მამას. — რას მირტყამ ერთი ვიცოდე, ვეტყვი მამაჩემს და გიჩვენებს სეირს...

თედორე გაღრეჯილი და ეფიქრებოდ ხბოს რომ აწყალებდი, მამაშენმა არ გიიგოს, ეფარა, რაც მე დაგაკელი, ის დაგიმატებსო.

ერთელი სოფლიდან იყო ალარ მახსოვს. ფოტოგრაფობდა თურმე იქ. მაშინ დალაგებული ყოფილა და ჭკუაც უკრიდა. ომი რომ დაიწყო, თექვსმეტისაც არ იქნებოდა თედორე. ფრონტზე რომ მიჰყავდათ მისი თანასოფლელები, თედორეს მათთვის სურათები გადაუღია. სოფელში ქალები, მოხუცები და ბავშვები დარჩნენ. თავიდან არავის გახსენებია თედორეს სურათები. მერე, ერთის დაღუპვის ცნობა მოვიდა ფრონტიდან და იმის ოჯახმა მოიკითხა სურათი, მეორეს სიკვდილიც შეიტყვეს და იმისიანებმაც გაიხსენეს ფოტოგრაფი. მოკლედ, ცუდ დღეში ჩავარდნილა ჩვენი თედორე. რა უნდა ექნა, ვერ შიულობდა სურათების დასაბეჭდ ქაღალდს. ხალხიც არ ასვენებდა.

— დამიბრუნე ჩემი ქმარი, — ტირდა ერთი.

— ჩემი ბიჭის, ჩემი ლევანის სურათი როგორ გენანება ჩემთვის, — ეკითხებდა მეორე.

— იცოდე, ამ დღეებში თუ არ მოგიცია ჩვენების სურათები, დედაბუდიანად ამოგბუგავთ. — ემუქრებოდა მესამე.

როგორ არ უხსნიდა თედორე, ასე და ასეა საქმე, ვიშოვი ქაღალდს და მოგაცემთ სურათებსო, მაინც ვერ დაწყნარა ხალხი. ქალაქშიც იყო, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა: „ომია ბიძია, სურათების ქაღალდი კი არა, ბეური და მარილი გვიჭირსო“.

სოფელში ერთი ლოთი ბერიკაცი ცხოვრობდა თურმე. ორი ბიჭი დაეტყვია ფრონტზე და ამიტომ გალოეტებულა. ჰოდა, ერთ საღამოს დამთვრალა, მისდგომია თედორეს და დაუწყავად უბეგავია. მთელი ღამე ორღობეში ეგდო თურე საწყალი, დილით უკვეხია ვიღაცას, გონზე მოუყვანია და ფეხზეც დაუყენებია, მაგრამ ამ დღის მერე გადამდგარა ჭკუიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბა რა იქნებოდა. სულ ჩემის ჭუსლები ურტყია თავში იმ უბედურ დღეზე გაჩენილისათვის.

ასე იყო თედორეს ამბავი. გიჟი კი იყო, მარა, გითხარი მგონი, კეთილი გული ჰქონდა. ბუზს არ ააფრენდა უმიზეზოდ, ბუზს. ახლობლები თუ ჰყავდა, [illegible] [illegible] იცოდა. ბებიაჩემს [illegible] [illegible] ერთხელ:

— ბიჭო, დედ-მამა არ გყავს, ან და-ძმა?

— ყველას ჰყავს და მე რად არ მეყოლება, რა, მეც ხომ ადამიანის შვილი ვარ, — უპასუხნია თედორეს.

ცხოველები უყვარდა ნამეტანი-მეთქი გითხარი. ამ სიყვარულს შეეწირა ის უბედური. თუმცა მთლად ასეც არ ყოფილა საქმე... ომი ახალი დამთავრებული იყო. ძაან მოდიდებული იმ შემოდგომაზე ცხენისწყალი. ჰოდა, ერთ საღამოს ვიღაცის ძროხა იხრჩობოდა. ნატა ჭულუხაძე ყოფილა ქერი, ნამეტანი ლამაზი ქალი, იმისი იყო ძროხა თურმე. რა გინდა ქნა, წყალში ვერ შეხვალ. არადა, ნატა აქცევს ტირილით ყველფერს. ის ძროხა ინახავდა მას და მის ობლებს და იტირებდა აბა რას იზამდა. მთელი სოფელი მდინარეზე გამოსულა. ფრონტიდან ჩამოსული ვაჟკაცებიც ვერ ბედავდნენ წყალში შესვლას, არადა, ყოველ მეორეს ნატაზე ეჭირა თვალი. დგანან თურმე ეს ახმახები და ხელებს შლიან. აქცევს ყველაფერს მდინარე, ნატა განწირულივით მოთქვამს, ვეღარ გაუძლეს კაცებმა ამის ყურებას და წაძუნძულდნენ თურმე სახლებში. ამ დროს გამოჩენილა თედორეც. ერთი გაუზედავს ნატასკენ და გაუძვრია ტანზე,

— ე, ბიჭო, არ გაბედოო, — კი მიაძახა ვიღაცამ. მაგრამ თედორე წყალში იყო უკვე.

— გაიგე ეხლა შენ, ძროხა შეეცოდა. თუ ნატას ეშინით შევიდა მდინარეში ის ჭკუიდან გადამდგარი, ჰა?

თაზო თვალებში მიყურებდა.

— ძროხა შეეცოდა, ალბათ, — ვთქვი მე და შემრცხვა. რომ ვიცოდეთ.

— დაიხრჩო?

— ჰო. ძროხა გადაარჩინა და თვითონ ვეღარ გამოვიდა. ის ძროხა კიდევ ათი წელი ინახავდა ნატას და მის ობლებს. დაწყნარდა მეორე დღეს ცხენისწყალი და გამორიყა თედორე. წვიმა და უბედურება ყოფილა დასაფლავების დღეს. უტირია და უტირია ნატას. ისე მოთქვამდა თურმე, კაცები თედორეს ბედს ნატრობდნენ. იმ დღის მერე, კაცი ვერ ეკარებოდა სიახლოვეს ნატას. ქმრის საფლავზე არ დადიოდა ისე ზწირად, როგორც თედორეს საფლავზეო, — დაამთავრა თაზომ.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩამოვასხი და მესამე ბოთლიც გამოიცალა.

— სიყვარულს გაუმარჯოს, სიყვარულს და სიცოცხლეს, — ვთქვი მე.

— გაუმარჯოს!

და დავლიეთ.

წამოვდექით. ნარჩენები ზურგჩანთებში ჩავალაგეთ, თოფები მხრებზე გავიდეთ, ძაღლები წინ გავუშვით და ნელ-ნელა დავუყევით ბილიკს.

— აგერ ასე ჩავალთ, ა, — გზას მიჩვენებდა თაზო, — ნახეკარ საათში შარაზე ვიქნებით. გაისად თავის დროზე ამოგიყვან და მაშინ გაჩვენებ ნაღდ ნადირობას, ორივემ ეხლა ღვინისა და შენთან მასლაათის ხათრით უფრო წამოვედი...

აღარ ვუსმენდი, თავჩაქინდრული მივყვებოდი უკან.

შენ

შენ სულ ამას მთხოვ, თუ ასე გიყვარვარ, ჩემზეც დაწერე რამეო. რომელი მწერალი მე ვარ, მაგრამ ისიც ვიცი, ყველაზე უფრო შენ რომ გკერა ჩემი. ამიტომ ვასრულებ შენს თხოვნას, ვახსენებ ღმერთს და ვწერ.

ზაფხული იყო. ბორჯომის ხეობაში ვისვენებდით. გიომ თუ თემომ მოი-

ეროვ. ბიბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანა ამბავი. ძალიან ლამაზი გოგო ჩამოვიდაო. ჩვენც ავდექით და შენს სახახავად წამოვედით. ცაცხვებთან რომ სკამი იდგა, იქ დავსხდით და ჯორაპუსს თვალს არ ვაცილებდით, ან ეხლა გამოვა და ან ეხლაო. დიდხანს ვისხედით და იმედი რომ გადაგვეწურა, მაშინ გამოჩნდი. ჯორაპუსიდან არ გამოსულხარ, სასადილოს კიბეზე ჩამორბოდი.

— ესაა? ვიკითხე და პასუხისათვის ყურადღება არც მიმიქცევია. რა თქმა უნდა, შენ იყავი.

მერე სულ ერთად დავდიოდით. სხვებიც გვახლდნენ, მაგრამ ჩვენ ვერაფრის ვამჩნევდით. სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს და სულ უფრო და უფრო მეშინოდა შენი დაკარგვის.

გახსოვს, თბილისში რომ მომიწია წასვლამ სამი დღით?

სამი კი არა და, ერთი დღეც ძლივს გავატარე უშენოდ და მეორე დილითვე ჩამოვედი. ჩამოვედი და შენ რომ დაგინახე, მივხვდი, როგორ გაგაბარა ჩემმა დაბრუნებამ. მაინც არ გითხარი ის, რაც ყოველ ჩემს სიტყვას წინ უსწრებდა. მეშინოდა, დავკარგავ-მეთქი.

მიდიოდა დღეები და ჩემი შიში უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მალე ისევ თბილისში უნდა დაბრუნებულიყავი. მთელ დღეებს შენს გვერდით ვატარებდი, პატარ-პატარა საჩუქრებსაც გიმზადებდი, მაგრამ მთავარი მაინც უთქმელი მრჩებოდა.

ბოლოს თავისთავად გაირკვა ყველაფერი და იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ სულ მარტო მინდოდა ყოფნა. ალბათ, გაგიკვირდება, მაგრამ შენს სიახლოვესაც გავურბოდი იმ დღეს. მერჩივნა, შორს ყოფილიყავი ჩემგან და მე კი შენზე ოცნებაში მარტოდმარტო დავრჩენილიყავი. ამიტომაც დავიკარგე იმ საღამოს. მერე კი, ჩემს საძებნელად წამოსულს შეგხვდი გზაზე.

იმაზეც კი ვკამათობდით, არა, მე უფრო მიყვარხარ და არა მეო.

არადა, სულ შემოხვევით ვისტუმრე იმ ზაფხულს ბორჯომის ხეობას. არსებობს რაღაც ძალა ბუნებაში.

არ ვიცი, რაც მე ეხლა დავწერე, ამას მოთხრობა ჰქვია თუ სიყვარულის ხელმეორედ ახსნა, მაგრამ შენ რომ წაიკითხავ, ვიცი, გაგიხარდება. გაგიხარდება და მარტო ამიტომაც ღირდა გახსენება.

ჩემს მაღაზიაში

მაღაზიაში პურზე ჩასულს, კარში ახალი გამყიდველი გოგონა შემეფეთა. ლიმონათი მიეღოთ და იმის გადმოსატვირთვად მოიჩქაროდა. გამიკვირდა, ამან ბოთლებით სავსე ყუთი როგორ უნდა ასწიოს-მეთქი და თვალი გავაყოლე. მანქანიდან დიდი გაჭირვებით ჩამოიღო ერთი ყუთი და ძლივს შემოიტანა მაღაზიაში. წელში გაიმართა, თმა გაისწორა და მეორეს შემოსატანად გავიდა. ოცი-ოცდაერთი წლისა იქნებოდა.

— ერთი თეთრი და ერთიც შავი, — ფული მივაწოდე პურის გამყიდველს. — რა ჰქვია თქვენს ახალ თანამშრომელს?

— რა იყო, ხომ არ მოგეწონა? — გამიღიმა თამარა დეიდამ და პურები მომაწოდა, — ქეთინო ჰქვია.

გამოსვლისას ისევ კარში შეეხვდი ლამაზ გამყიდველს და მოურიდებლად ავათვალ-ჩავათვალიერე.

„გვესაჭიროება მუშა“, მაღაზიის კარზე პატარა განცხადება გაეკრათ.

ორი-სამი დღის შემდეგ ბორჯომი მიიღეს ჩვენს მაღაზიაში. სიგარეტის საყიდლად შევედი და დატვირთული მანქანაც მოადგა კარს.

—აბა, ქეთინო, — დაიძახა მოლარემ.

ქეთინო უსიტყვოდ შეუდგა საქმეს. სატვირთოს მძღოლი იქვე იდგა და სიგარეტს ეწეოდა.

— ვერ იშოვეთ მუშა? — ვკითხე მოლარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერა.

— მერე, ამას რას ამუშავებთ, — შეკვედავესავით.

— რა ვქნათ, შვილო, კაცი არა გვყავს მაღაზიაში „და ქალები ყველა მოხუცებულები ვართ, ხედავ შენც. მართალი იყო.

ქეთინო დიდი გაჭირვებით ეზიდებოდა ბორჯომით სავსე ყუთებს.

— დაუჭქარე, მეექვსეში ვარ მისასვლელი. — სიგარეტის ნამწვავი ფეხით გასრისა მძღოლმა, კაბინიდან საბუთები გადმოიღო და მაღაზიაში შემორტყა.

— ერთი, ამაზე მომიწერე ხელი, — „პასტა“ მიაწოდა მოლარეს.

შეიუახლოვდი და მხარზე ხელი დავადე:

— შენ არ შეგიძლია მიეხმარო?

— მე? — გაიკვირვა იმან. — ეგ არ შედის ჩემს მოვალეობაში.

— მაშინ, ნუ აჩქარებ მაინც, — გავცხარდი მე.

— ვა, შენ ვინმე რამეს გეკითხება? ორგანა ვარ კიდევ მისასვლელი. არ მოკვდება. ნუ გეშინია, — და თვალით ქეთინოზე მანიშნა.

— თფუ, შენი... ჩავილაპარაკე და მანქანასთან გავედი.

გადმოვიღე ორი ყუთი და მაღაზიაში შევიტანე. მერე — კიდევ ორი, კიდევ ორი და... ქეთინომ გამაჩერა, ხელი დამადო მკლავზე.

— მორჩა, დანარჩენი სხვა მაღაზიებისთვისაა. დიდი მადლობა.

— რისი მადლობა, გავუცინე მე. ერთი კვრის შემდეგ შაქარი მიიღეს მაღაზიაში. დიდი, ოცკილოიანი ყუთები ეწყო მანქანის საბარგულზე. ისევ სიგარეტის საყიდლად ვიყავი შესული.

— ქეთინო, ქეთინო, — თავის ოთახიდან გამოვიდა მაღაზიის გამგე. — შაქარი

— მოგეხმარები, — გვერდით ვუდექი ქეთინოს.

— არა, თქვენ ნუ შეწუხდებით.

მაინც გავაყევი. ყუთს ერთ ბოლოში მე ვკიდებდი ხელს, მეორეში — ის და ასე დავცალეთ მთელი საბარგული. „გვესაჭიროება მუშა“. — ისევ ის განცხადება იყო გამოკრული კარზე.

რამდენიმე დღის მერე ღვინო მიიღეს მაღაზიაში, მერე — ისევ შაქარი. მიდიოდა დღეები და მე და ქეთინო ერთად ვეზიდებოდით საქონელს საცვირთო მანქანებიდან.

— ჩათვლების და გამოცდების დროა ეხლა, სამეცადინო არ გაქვს? — იცინოდა ის.

— მოვასწრებ, — ვპასუხობდი მე.

ჩათვლებიც მოვითავე. გამოცდებიც და ივნისის ბოლოს ორი თვით დავეშვიდობე თბილისს.

სექტემბრის პირველი რიცხვები იყო, რომ დავბრუნდი. მაღაზიის წინ ვეებერთელა სატვირთო მანქანა იდგა.

თამარა დეიდა და მძღოლი ეზიდებოდნენ ფქვილით სავსე ტომრებს.

— —უჰ, გაგახარებს ღმერთი, რა კარგ დროს მოხვედი, — გამიღიმა მოლარემ. — ხომ მოგვეხმარები?

— ქეთინო სად არის?

— აღარ მუშაობს აქ. უნივერმაღში გადავიდა. ორი ტომარაღა დარჩა და შემოატანინე, რა.

ხმას არ ვცემდი.

— არ გესმის, ბიჭო?

— თქვენ მე ვინ გგონივართ, ჰა? — დავუღრიალე. — კეთილი ინებეთ და თვითონვე მოუარეთ თქვენს საქონელს. რაც ვთრევე, ისიც მეყოფა.

— გაგიჟდი? — გაკვირვებული თვალებით შემომხედა მოლარემ.

— უკაცრავად, ჩავიბურტყუნე უმისამართოდ.

გამოვედი მაღაზიიდან. ხის ჰატარა სკამზე ჩამოვკექი და ქუჩაში მიმავალ ხალხს გავხედე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა დავითაშვილი

●

ცოტა კიდევ და...
მოვალის ჟამი
შენი აღდგომის,
მამულო ჩემო!

ღამის ეტიუდი

ვილაც წვრილ კენჭებს ესროდა
სარკმელს,
უმალ წამოვდექ და ეზოში
გადავიხედე, —
სავსე მთვარე აკაციის ყვავილებში
გაბადრულიყო...
გამეხარდა მისი სტუმრობა, —
საკინძე შევისწორე და სახლში
მოვიპატიჟე...
ამას წინათ ისეთი გალეული იყო,
ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა,
ახლა კი ერთიანად ბრწყინავდა...
— რას იტყვი-მეთქი ახალს, —
ვკითხე და
ვიგრძენი, რომ მისი ნათელი
სულში ჩამეღვარა,
თვალებიდან მეც ბრწყინვალებას
ვაფრქვევდი...
— აკაციების სუნთქვას უსმენეო! —
იდუმალ მითხრა და
ჩამოშლილი თმები თავისი
სხივებით შემიკრა...
ფენჯრის მიღმა სურნელოვანი
ფიფქები მოცეკვავდნენ,
ჩემი ოთახი მთვარით იყო
განათებული,
თვითონ მთვარე კი ჩემი
სიყვარულით ბრწყინავდა!

წინანდალი

წინანდალი...
ნინანდალი...
პოეტების სულის ქნარი, —
ფერიების საუფლო და
ტრფიალების ნიავ-ქარი...
დაობლებულ ბარათაშვილს
ამ მიწაზე გული დარჩა, —
სიყვარულის ხეივანში
შრიალებდა თეთრი ფარჩა...
აქეთ კაქტუსების რიგი,
იქეთ ყვავის ია-ია,
ცამდე ატყორცნილი ფიჭვი
ეფერება მაგნოლიას...
თვალი რით არ გაოცდება,
სული რით არ დაგიტკბება, —
ამ მშვენიერ მიწა-წყალზე
ჩაიარეს ნარგისებმა...
ერთმანეთის საალერსოდ
სიდან საით წამოსულან
ჰიმალაის კედარი თუ,
კავკასიის თეთრი წნორი...
ჩვენც ამ ხეივნებში ვივლით,—
მე და ჩემი გულის სწორი!..

სადღეგრძელო

ზეცით მოფრინდა ლურჯი ამური,
საოცრად
მორცხვი
და
უკარება, —
სადღეგრძელოა ჩემი მამულის,
ვარდის
ფურცლიდან
ვსვამ
უკ[illegible]ას...

ლიტერატურული ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავას ხმა

თავისუფლება მიეცით ქართველს! —
ის მონობისთვის არ გაჩენილა...
თავისუფლება მიეცით ქართველს! —
ხელხვავიანს და სტუმართმოყვარეს...
თავისუფლება მიეცით ქართველს! —
(სტუმრებისაგან მრავალგზის
ნაცემს...)
თავისუფლება მიეცით ქართველს!
თავისუფლება მიეცით ქართველს!
თავისუფლება მიეცით ქართველს!
. . .
ო, ღმერთო ჩემო, ამ სამარეშიც
გული რამხელა ტკივილებს იტევს! —
პირს ნუ აუკრავთ წითელი ზონრით,
თავისუფლება მიეცით ტიტებს!!!

შუამთა

დღეს კიდევ ერთხელ ვინახულე
ძველი შუამთა
ბაში-აჩუკის ნაკვალევზე დავადგი
ფეხი,
კვლავ მოვიხილე მზის ამოსვლა
ალაზნის ველზე,
კვლავ დავუკოცნე
ბებერ მუხას
დაჭრილი ფესვი...
დღეს კიდევ ერთხელ ვინახულე
ძველი შუამთა,
დღესაც ავანთე კელაპტარი
მაცხოვრის ფერხთით!

მონატრება

როგორ მომენატრა შენი ხმა,
სულ შენ გელოდი მთელი ზამთარი...
ფიფქები წამწამებზე
მეთამაშებოდნენ, მაგრამ...
მე მაინც შენ მინდოდი!

...რა კარგია რომ მოშხაპუნობ,
საფირონების წვიმავ!..

გაზაფხული

ნინა ჯაფარიძეს

გაზაფხულია...
გაზაფხულია...
შემოიხედეს სულში ვარდებმა,
ო, რა სინაზით გამოიღვიძეს
მთაწმინდის მკერდზე
ყოჩივარდებმა...

გაზაფხულია...
გაზაფხულია...
შემოფრთხიალდნენ სულში
მერცხლები,
ისევ ვარდისფერ გზებს მივუყვები,
თუმცა ჩამეწნა თმაში ვერცხლები...

გაზაფხულია!
მე ჯიღას ვიდგამ, —
მზესთან რომ მღერის, ჩემი ერია!
გაზაფხულია...
ზეცა კამ-კამებს...
ჩემი მამულიც ოქროს ფერია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაულ ჩილაჩავა

ORMOCI WLISTAVZE SATQMELI ORMOCI STRIQONI

Когда мужчине сорок лет...
Э. ЭЗБУЗЕНКО

როცა ვაჟკაცი ორმოცის ხდები,
თითქოს შენიღბულ ორმოში ხტები
და თუ ჯაგარი არ მოგცა ღორმა,
არ გითანაგრძნო ტოლმა და
სწორმა,
იქნებ ორმოში ჩარჩე კიდევაც
შენი, სხვისი თუ... განგების ნებით.
იქ ერთი ღამეც არ გაითევა,
მაგრამ ცა ვისაც უყვარს ძალიან
და ვარსკვლავების ჭვრეტად
სცალია,
გზას გაუგნებენ კოსმოსში წლები.

როცა ვაჟკაცი ორმოცის ხდები,
თუ ნაღდად არა, გუმანით ხვდები,
რა დაგიკარგავს, რა გიპოვია,
სად, როდის, რატომ დაუთოვია,
რად დასტყობია მარჯვენას
ბრძვილი,
რად გაცრეცია წიგნაკებს ყდები
და თუ კაცს მართლაც ამშვიდებს
ძილი,
არ გიძინია შენ არასოდეს
და იმ ორმოშიც უნდა გახსოვდეს,
რომ შეუცნობელ სიღრმეებს
სწვდები.

როცა ვაჟკაცი ორმოცის ხდები,
კი არ სუქდები, თანდათან ხდები,
სამყაროს ზვერავ რენტგენის
თვალით
და უკეთ გესმის ცოდვა და ბრალი
შენი, სხვისი თუ... თავად განგების.
და უმოწყალოდ შიშვლდება ბლეფი
ეპატი, მიმიკა... ბლეფი ჰანგები.
სულში ოდესღაც რაც ჩაისახა,
ახდა, ასრულდა, უკვე ისა ხარ,
როგორც გენებოს, — აეშვი, ები!

როცა ვაჟკაცი ორმოცის ხდები,
სოფლის ცვალებას ღიმილით
ხვდები
და იცი ფასი ძმობის, ღალატის,
შენივე პირშოს მოწნულ კალათის,
გყოფნის დარდი და გყოფნის
ვალები,
ისწავლე ჭკუა და მაინც სცდები
და მაინც გიყვარს
გულმხურვალებით,
თანაც ეჭვების კვლავ სიბევრეა,
მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა,
ეცადე, სცადე, განაგრძე ცდები!

ВАРУНДЕБИ ТЕЛЕВИДИАН

ცირა აფციაურს

გომბორზე წითლად ღუის კუნელი,
ნელა მიჰყვება აღმართს „რაფიკი",
თითქოს წარასულში მოვხვდი
გრაფიკით
მე, მგზავრი სულ სხვა საუკუნელი.

ცა, როგორც ლეკი ნაბდის მთელავი,
თეთრ წყლებთან ღრუბლის
ნაფლეთებს თელავს...
გულდაწყვეტილი ვშორდები
თელავს,
თითქოს წაგვართვა ლეკმა თელავი.

ლექსები
ეროვნული ბიბლიოთეკა

„სადმე, თბილისის ახლოს...“

მატარებლიდან გავყურებ სახლებს,
მამაპაპურებს, უფრო კი ახლებს,
გააქვთ შუკაში ლავლავი ძაღლებს,
დღისით რომ ჩრდილში თვლემდნენ.
მოსდევს ლანდგაკ ტრიფოლიატი,
როგორც სტრიქონი იმ ფოლიანტის,
რომელსაც სწვავენ და ბოლი ასდის,
ჩვენ კი ვკითხულობთ დღემდე.

დრო იცვლება და ხალხი იცვლება
და ჰორიზონტი ნელა იცლება,
რომლის დაკარგვა არ შეიძლება,
გაღმა სხვა ტომი სახლობს.
მატარებელი მიჰქრის კივილით,
მე მიმძაფრდება გულისტკივილი,
კვლავ ისმის ძველი მოთქმა-ჩივილი;
„სადმე, თბილისის ახლოს!..“

●

მამალი ყივის, ღამე გაექცა...
გამჩენს დაექცა შუქი და ეგ ცა
ადრე ნათდება, მგონი...
ცარიელია უკვე ქანდარა,
რა უცაბედად ბინდი დამდნარა,
ვით თითბრის ჭრაქში ქონი.

მე მეზარება საბნის გადახდა,
ეფიქრობ, სიზმარში ვის რა
გადახდა,
ვის რას უქადის ცხადი.
გაღვიძებია ბოძზე რადიოს
და ჩემი მღვრიე ფიქრის რადიუსს
ავარდისფერებს მნათი.

არ ამჩნევია ცას ნატამალი
ღამის, რომელზეც წუხდა მამალი —
რაინდი მიამიტი.
ვაი, დედავ და, ვაი, ჯალაბო,
მიდის, მიჰყვება ჟამი კალაპოტს,
მიდის, ცხოვრება მიდის!

●

ეს მერამდენედ სისუსტეს ჩემაას
ვამტკიცებ თვითონ საკუთარ
ქცევით
და როცა ვფიქრობ, მივიწევ ზევით,
თურმე ნელ-ნელა ვეშვები ფსკერზე
და რასაც ყოველ ნაბიჯზე ვეძებ,
რასაც აქამდე ვედექი მწყემაად,
ამიერიდან ვერ ვპოვებ ვერსად.
გვექნება დავა ჩავლილ დროს და მე
და გაყინული თოვლის პოსტამენტს
ქარის დესანტი დამიმსხვრევს
ღამით
და თუ უეცრად შეგაკრთობს ჩქამი,
იცოდე, ყულფქვეშ ტორტმანება
სკამი,
ზედ კი ნაცნობი ლანდი ირწევა
და შენს სურვილზე ჰკიდია მხოლოდ
ამ წარმოდგენის თავი და ბოლო —
იდგება სკამი თუ წაიქცევა!

●

რევოლუციის არწივმა
რა მართვე გამოჩეკა,
რამდენი დედა ატირდა
ერთ დროს შენს გამო, ჩეკა!

ვინც უხმოდ გამოგყოლია,
უკვალოდ დაკარგულა,
ფერფლად შეყრია თვალებში
კარებდაგმანულ „გულაგს.“

რას შეელის ნაგვიანევი
კილვა და სითამამე,
დაღამდა, არ გათენდება
ის კოშმარული ღამე.

სოლოვეცკიდან, კომიდან,
მაგადანიდან რეკავს
ზარი მზეჩასვენებულთა:
„ჩვენ მაინც ვცოცხლობთ, ჩეკა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სამყაროს იხსნის მშვენიერება.

თ. დოსტოევსკი

როდესაც უყვართ, მაშინაა ლამაზი ქალი,
თვით სილამაზე სიყვარულის არის დასტური.
აღიკვეთება საწიერით ხილვა მაცდური
და მარტოოდენ სრულქმნილებას აღიქვამს თვალი.

ამქვეყნად ყველას საკუთარი აწუხებს ვალი,
წლებით მძიმდება ჩვენი ცოდვა ახალგაზრდული
და გვფიტავს, როგორც მთათა წიაღს წყალი კარსტული,
გვკურნავს კი ცრემლი დაქცეული — ნაკურთხი წყალი.

შენ როცა ტირი, სევდის ნაყოფს იცილებ ოდენ,
მიწა მფარველი ფრთებს გაფარებს, ცა გეფერება,
გიმზერ და თითქოს უხილავი მეხსნება სენელი.

ჰქენი რაც გინდა: იმარტვილე, ილხინე, სცოდე,
თუკი სამყაროს მართლა იხსნის მშვენიერება,
მაშინ შენა ხარ უსათუოდ ერთ-ერთი მხსნელი!

●

რაც ჟამი გადის, ეძალება სხეულს ცთუნება, —
პირველყოფილი გაიყოლოს სისხლი და ვნება,
მაგრამ თანდათან, სამწუხაროდ, სულ უფრო ხდება
შეუძლებელი სიჭაბუკის შენარჩუნება.

ჩემთან, ჩემსავით იერსახეს იცვლის ბუნება,
(ტანი მწვანეა, მაგრამ ფესვი ფარულად ხმება).
სადღაც ეთერში ეხეტება სანუკვარ ხმებად
ის, რაც დავკარგე, მაგრამ ხსოვნას ესალბუნება.

ზის და ინიშნავს ჩემს ნაბიჯებს წერამწერალი:
„შვიდას მეხუთე... ცხრაას მერვე... ათას მეორე...“
მე ჩემი ძველი წინაპარი გავიმეორე,
მისნური მზერით ანტიკური ცის მაცქერალი.

და სანამ ჩუმად დამიმეწყრავს გზას ბელზებელი,
მე შესაძლებლად მიმაჩნია შეუძლებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია ახათიანი

არმაზში სერაფიტას საფლავთან

სერაფიტა! შენს საფლავს
ნაშენებს ფიქალი ქვიაგან,
ახლა, კარი აქვს გაღებული,
რომ გაგვაოცოს
უსაასრულო იდუმალებით...
როგორც ოდესღაც,
ლურჯი იებით ავსებული
ყმაწვილური შენი ივალები,
ისევ ინთებიან
ყოველი გაზაფხულის მოსვლისას,
რათა შეეგებონ ცისკარს და ნიავს,
სიყმაწვილის და სილამაზის
მარადიულ სიმბოლოს.
უღრუბლო მზის ქვეშ,
შენი საფლავის ირგვლივ,
ისევ ბიბინებს
ფერად-ფერადი სურნელოვანი
ყვავილები.
იქნებ სულია შენი, სერაფიტა,
ანაღლებული და დედოფლური,
რომ დასტრიალებს
ჩვენს უძველესსა და
უწმინდეს მიწას
და თითქოს იცავს
იმ დროს არნახულს,
გაუგონარს და შეუცნობელს
დღევანდელ მიზანთ, —
ორიათასს რომ ვუახლოვდებით
ქრისტიანნი
მაძიებელნი მომავლისა,
წარსულისა და მრავლის თმენით.

სიმშვიდე სნობის

ყოფილა მუდამ
და იქნება ყოველთვის სნობი,
რომელიც დასდევს, ეტმასნება
თავისზე ცნობილს.
იცის და მაინც თვალებს ხუჭავს,
სანამ ცვალებად
დროებია ახალ ასპარეზზე
სხვა კაცი მოდის.
რომ მოვა,
მისთვის, დასაწყისში
დღე დგება შფოთვის,
ვიდრე მოიხვეჭს მყარ საფუძველს
მისდამი ნდობის.
რადგანაც, მხოლოდ
სიმაღლეზე მყოფს უმზერს
გრძნობით
და მერე ცხოვრობს ისევ ისე,
სიმშვიდით სნობი.

ოქროს თევზი — მთვარე

აგვისტოს ღამით,
ლურჯ ხავერდით გადაკრულ ცაზე
მძივი გაწყდა და
უთვალავი მარგალიტივით
ვარსკვლავები მიმოიფანტა.
ჭრელმა კენჭებმა
მოიშორეს დღის სიმხურვალე,
ღრმად ჩაისუნთქეს
გამოქროლილი ზღვიდან ნიავი
და საამური ნეტარების
ნესტით აივსნენ.
მიწაზე ბინდი გამუქდა და
მჭიდროდ შეიკრა.
მის კულისებში
თქვეს სიმღერა ჭრიჭინობლებმა,
ქოროს და ორკესტრს
ისევ ღამე დირიჟორობდა,
ზღვის ზედაპირზე
ოქროს თევზივით დაცურავდა
ახალი მთვარე
და მოუხმობდა

ვინმე მებადურს...
მებადურს ბადე აეკეცა,
იდგა ჩუმი, შეუმჩნეველი,
რადგან არ სურდა,
რომ ჰყოლოდა, ვითა მხევალი
ის ოქროს თევზი,
თვითვე — უფალი.

მსუბუქია ჩემთვის შენი მძიმე ულელი

მე მიყვარს შენი ქართული მიწა
და შენი მთები.
მდინარის ჭალა,
მუხის ტყე და
ზღვა ლურჯი ფერის.
მინდა იცოდე და გახსოვდეს
როცა მოვკვდები,
რომ მეც ვიყავი
ერთი ფოთოლი
შენს მაღალ ხეზე,
ღრმა ფესვებით რომ
წყალს მასმევდი,
მათბობდი მზეზე
და მეც ვერწყმოდი
სურნელოვან
ნაზ ჰაერს შენსას
და იმ პატარა ფოთლის ყუნწზე
მეკიდა ტვირთად
ჩემთვის ნანატრი, სატრებლად
უმძიმესი შენი უღელი.

სულის უკვდავება

როცა უკრავენ შოპენს,
ის სიმსუბუქით მოჰფენს
გარემოებას სევდის
მელანქოლიურ მოტივს.
როდესაც ისმენ მოცარტს,
ჰგავს იგი ქალწულთ მოსვლას,
ხატთან დაჩოქილთ ლოცვად
და მათ მხურვალე კოცნას.
ინვენციით და ფუგით
მესსით მესია დადის,
დიდება იმ დღეს, როცა
ხალხს მოევლინა ბახი.
მიწაზე მოარული
გამოგვიცხადა ზენამ —
ცხრა სიმფონიით ცხრაჯერ
ცა ზღვას რომ შეაჯერა.
განა რა შორი გზა აქვს,
სიცოცხლის დროს და მანძილს,
როდესაც ამგვარ კაცთა
სული, ზეცაში ადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო სამადაშვილი

შეხვედრები და სინანული

თხუნელას ქანდაკება

ზიხარ მარტოა უცქერ კედლებს,
გარეთ ცა ელავს, თან წვიმებია,
მაღლა ვეღარ აწევ ჩაქნეულ ხელებს,
ტირილივ ვეღარ გიწამებია.

ერთხელ გაზაფხულის მიწურულზე მე და ჩემი მეგობარი არქეოლოგიურ ექსპედიციას არამკითხე სტუმრებივით ავეკვიატეთ. ზოგიერთმა ცხვირი აგვიბზუა, მაგრამ ჩვენი კარგი ნაცნობის წყალობით ექსპედიციის მაჩანჩალებამ მაინც აღმოვჩნდით, როგორც იტყვიან: ჩვენც ნახირ-ნახირაო!

ექსპედიცია შორეულ ქალაქში მიემგზავრებოდა, რომ მახლობელი ადგილების გათხრები ეწარმოებინა.

ვიმგზავრეთ მატარებლით, კარგ მანძილზე მტვრიან და მინგრეულ გზებზე დილიჟანითაც ვიხრიგინეთ, რატრატით და ჯაყჯაყით გვერდები დაგვეძეძა, სხეული დაგვებეგგა. წვერმოშვებულ მედილიჟნეებს მზის გადაპარებებულ მცხუნვარებისაგან დანაოჭებული კისრის ქვეანი გარუჯოდათ, მიწავაშლისფერი ცხვირის თოქმა ნესტოები ლოთობისგან დაბეროდათ; დაბამბულ და ნაირ საკერებლებით ამოკვესილი ჩოხებით, აშმორებული ჩაკეცილი ქუდებით, ათასჯერ გატკეპნილი და გაზეპირებული მიმართულებით მიეტაკებოდნენ ჩაქჩაქა ცხენებს; წამდაუწუმ უტეედნენ, უწრეწუნებდნენ და ზოგჯერ უდიერადაც იკურთხებოდნენ.

როგორც იყო ქალაქს მივაღწიეთ. მზე აჭერდა. პაპანაქება სიცხე სუნთქვას ბუთავდა. კორტოხი და გვერდებჩამორეცხილი შრეებიან მთებით და ციცაბო გორაკებით მიყრილი ქალაქი აღმოსავლურ იერს ატარებდა.

რას არ წაადუდებოდა კაცი ამ ქალაქში. ძორწა ბალახმორეულ ბანიან სახლებს, ეზოებში დახროვილ წივას; ალიზის ჩილინგარა ქოხებს, ისლით გადახურულებს, წეკოს ბოლით გამოტენილებს და წინ წუნწუხებნარევ გუბურებს; ღრუბლებამდე აჩაჩხულ მინარეთებს, თაღიანი კრამიტით გადახურულ ეკლესიას, ირგვლივ ხავსი რომ შემოკვართოდა. უპატრონოთ მოხეტიალე ძუკნა ძაღლებს, ლაფში ამოთხვრილ ღორებს, ქალაქის ჭუჭყიანი მოედანი, ფხვიერი, ბინძური და ღიჭანარევი კუთხეები გრძელი დინგით რომ აეჩიჩქნათ და ღრუტუნით გადაეთხარათ. ხრიალით და თრიაქის სუნით დაოსებულ ბაზრებს. ათაშანგით გამოჩურჩუტებულ, ძუძუებმოფლეშილ, ფეხებაპლაკულ და ბარკლებგადმოყრილ ბოზებს, ჩადრმოხვეულ ქალებს. მოქარგულ ახალოზში და ყარაბანდულ შარვლებში ჩამჯდარ გაქნილ სალახანებს, პირმოქონილ და აფრაკ დალალებს, ხალხის ჩოჩქოლში შეხიზნულ პირწავარდნილ ქურდბაცაცებს, ახუხულ კურტნინ მუშებს; ქუჩის პირზე ზეზეურად აყუდებულ, თეოოსფერ ქურთის დედაკაცს, მარცხენა ხელზე ჩამოკონწიალებულ თითისტარზე მატყ-

---

გაგრძელება. დასწყისი იხ. „ცისკარი", № 3, 4.

ლის ფთილას რომ ართვდა, თან წითელი შეიდიშის ტოტები რომ უჩანდა. ჭანკრობის ქვემოთ, შლამიან ფშანთან მობანავე ტუჩებგაცრეცილ ტიტლიკანა ბავშვებს, შავი ბაკიებივით რომ დაცუნცრუკებდნენ.

აოჯანაბადით, ზეთის ხელით, ჩამიჩით, დახალული ნუშით, თაფლში აზელილი თხილის გულით, ლეღვის ასმუელებით ჩარიგებულ სავაჭრო ფარდულებს.

ცხვირგამურულ მჭედლებს, თავშალწაკრულ მეჭურჭლეებს, წარბებშეტრუსულ, ქილვაშებისგან ულვაშაწკეპილ ხაბაზებს და არყის სმით გამობრუჩულ ურცხვ იასაულებს.

ქალაქის შუაგულში გაკორტნილი ბაღი ბოგინობდა ფოთლებგაქუცული ბზის ბუჩქებით, გრძელწიწვება კუნდლის ცოცხათი, გადამხრჩვალი და ტლოკებგასვრილი არყის ხეებით, თიმქოს შლამიანი ჭაობი გამოეტოპათ. ხეების ჩრდილქვეშ პირქვე წყარილ ძილსაგდა ყომარბაზებს.

მგოსანი, ჩვენი ნაცნობი არქეოლოგი და თქვენი მოამბე ერთ მომცრო სასტუმროში დავბინავდით. ნესტიანი და ნახეკრად ბნელი ოთახი დაგვიომეს. ბაღლინჯოებით ნასრესი სარეცელი მოსვენებას როდი გვიქადდა. ადამსროინდელ პირსაბანს მივაგენით, დუბელა წყლით ხელპირი დავიბანეთ. სასტუმროს მცონარე მფლობელს გამოველაპარაკეთ, ჯამბაზის შექმნილს რომ ჰგავდა, და თუ ფრთხილად არ იყავი, ორ თვალშუა მოგატყუებდა.

ზაფხულის თაკარა სიცხემ თრიასავით გადაირბინა. რაკი აგრილდა სავახშოთ გავეშურეთ, გზაზე კოლოებმა დაგვაღელეს.

ჩვენი კეთილი ნაცნობი ზედმიწევნით გატაცებული იყო არქეოლოგიით.

— ნამდვილი ისტორია მიწაში ჩადის, საუკუნეებს დედამიწა ისრუტავს, ისტორია კი არა. ამიტომ მიწას რიდე უნდა ავბადოთ, წავართვათ ჩატანებული ნივთები, წიგნებზე მეტს რომ მეტყველებენ; უფრო ნათლად რომ მოგვითხრობენ ერის წარსულს, ადამიანზნეს, ჩვეულებას, სიდუხჭირეს, სიხარულს. — ასე ბგეესაუბრებოდა ჩვენი ახლობელი. მაგრამ ის კი აღარ ახსოვდა, რომ სწორედ ეს მიწა საცაა ჩვენც შეგვიტყაპუნებს. ჩვენში დარჩეს და ერთი ახირებული თვისებაც ჰქონდა თავდადებულ არქეოლოგს: სადღაც მიწის წიაღში ნაპოვნ უყურო ქოთანში, ან პირმოტეხილ კოჭობში ხედავდა რაღაც ასურეთულს და ბაბილონურს.

— ამას წინათ, საგანგებო გათხრების დროს — გვიყვებოდა ედამიწის დოსტაქარი — ძველ სამარეში ძეწკვი აღმოვაჩინე, ვფიქრობ, თუმცა ამას დიდი მეცნიერული დაკვირვება სჭირდება, მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, უფრო სამართლიანი იქნება თუ ხეთებს მივაკუთვნებთ ძეწკვების წარმოებას.

ჩვენც ასკილივით თავს ვუქნევდით. მართლაც ჭირსაც წაუღია ძეწკვების გარშემო ორმბტრიალი. განა სულ ერთი არ არის, თუ ის დასაქცევი ძეწკვი, ან მძივი მადაგასაკრეულ მკვიდრთა ქურუმს ეკეთა, თუ ჩაჩხანაანთ მატრონეს?

მეორე თუ მესამე დღეს ექსპედიციის წევრები ჯგუფ-ჯგუფად დაიყენენ და გზას გაუდგნენ გათხრების ჩასატარებლად.

მე და მგოსანი მთელი დღეები ქალაქში დავეხეტებოდით. ერთიც ვნახოთ და რაღაც სამხატვრო დარბაზის მაგვარ სახლს წავაწყდით, ეს შენობა ვიღაც ღვთისნიერ ქმკელმქმედს ქალაქის მართველობისათვის შეეწირა. შესვლის უმალვე თვალში გვეცა ნაზირვეზრების სპარსული მინიატურები, გრძელი ქუთუთოებით და ცივი სახეებით, ფეხმორთხმულ მეფეებს საფიროინთ და თვალმარგალიტით მოჭედილი ჩაფხუტა მუზარადები დაეხურათ, წელმოხრილი მსახურები და მხევალი ქალები გარშემო მოკრძალებით შემოხვეოდნენ. ინდოეთის გაშეშებული ღმერთები ნირვანის ბურუსით გამობრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტულნი. კუთხეში მონა ქალის სურათი ეკიდა: წყრთის სიგრძე წვერიან ვაჭარს, აღმოსავლური ტოგა რომ წამოესხა და ფიქისფერი სახე ამღვრეოდა, ულამაზესი მონა ქალი ხალიჩაზე გაშიშვლებული დაეყენებინა. მდიდარი და ბრგე არაბი თავისი ამალით, ნერწყვმორეული უცქეროდა თავის პირქუში სასახლის ხვალინდელ მსხვერპლს. განწირულ მონას მარცხენა მკლავი თვალებზე მიეფარებინა, ის თითქოს ძაგძაგებდა შიშით და სირცხვილით. ტლანქ ჩარჩს ხელში ფუღები ჩაებღაჯა, ნიშადურის დარი თვალები მოეპუტა და ოქროს კბილები გარეთ საძაგლად გადმოეპარჭყა.

ეჰ, რამდენი უბედურება მოუტანა ადამიანებს ამ ოხერმა ფუღმა, ფუღმა აფწეწა ადამიანს ცხოვრება, ფუღმა დაურღვია მყუდროება. ფუღმა ოკეანეებიც კი ამღვრია.

— ნეტავი რამდენი ხანი გაგრძელდება საფლავებიდან წამოყრილ, ჭაკუა დამთხვეულ მტარვალების მართლმსაჯულება? — შემეკითხა მგოსანი.

— საუკუნეები რას ეყოფა. — ვუპასუხე.

— ნახევარზე მეტი სასაფლაოები დაცარიელდნენ, თუ დაზარალებულნიც გამოიძახეს გლადიატორები, ტყვეები მოწმეები, და მაყურებლები... შენი მტერი!

— ზოგიერთი ისეა წამებული, რომ ვეღარც კი წამოდგება.

— იმათ საკაცეებით შემოიტანენ წვერმოპარსულო მოგვები და მახვილამართულ მიქელის გვერდით დასსვენებენ.

— წარმოგიდგენია? როცა ჯალათებს სისხლს გაუშრობენ, რა ყაყანის და აურზაურის თქვნი იდგება? თუმცა ღამე სად უნდა დაამწყვდიონ ეს უამრავი იმპერატორები, შაჰები, ნაიბები, რომის პაპები, ნოინები, ხალიფები, სენატორები?

— ჯოჯოხეთს თუ დაიქირავებენ. — ვუპასუხე ღიმილით.

ერთ საღამოს ჩვენმა არქეოლოგმა სასტუმროში მოიტანა სამარხიდან ამოღებული თხუნელას პატარა ქანდაკება შავი მარმარილოსგან გამოძერწილი.

— აი, საოცრება! — ეტყობა ვიღაც ნიჭიერმა მოქანდაკემ გამოჰკვეთა — გვიხსნიდა ჩვენი მოკეთე — ალბათ ისეთი ყაიდის მკვლევარს გულისხმობდა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს იმის ქექვაში ატარებდა, რომ დადგენია ვიღაც აშეული 989 წელს კი არა, არამედ 998 წელს დაიბადა.

— იქნებ თავის უმწეობის საღმოთოთ უნდოდა — ვუპასუხეთ.

— ეგ არაფერია! — განაგრძო არქეოლოგმა და ქანდაკება სათუთად მაგიდაზე დასდო. — იცით რას ვეძებ ახლა? შორეულ დროში აქ გადმოხვეწილ ჩინებულ ქართველის საფლავს.

— ნეტავი ვინ არის? — შეეკითხა განცვიფრებული მგოსანი.

— ჯერ არ გეტყვიი, ვაი თუ ავი სული გადაეფაროს და ვეღარ ვიპოვნო. მიუგო არქეოლოგმა.

— იქნებ ამ წარწერასაც მიაგნო სადმე:

> მზე გადიოდა ცას ბორანივით,
> ტყეში შიშველი ქარი ეიოდა,
> არაკს მოსთქვამდა ხიდან ყორანი
> ქრისტე ბღაოდა საიქიოდან.
>
> ძლივს ვამშვიდებდი მოქანცულ ჩიტებს,
> თვალს მიშტერებდა წარმართთის ლოცვა,
> ლოდებზე ოჯდა გიჟი პოეტი,
> კენესოდა მთების ყრუ გარემოცვა.
>
> ცრემლი სცვიოდათ ნაწვიმარ ფიქრებს,
> მიწის ქვეშ სანთელს ანთებდა მკვდარი,
> სადღაც ეშოვნათ კუბო ჯიბგირებს
> და მიეწერათ ზედ ჩემი გვარი.

— ნუთუ ჯიბგირი ვყოფილვარ! — უადგილოთ წამოისროლა არქეოლოგმა, ჩალმის ქუდი შუბლს ზევით აიწია და თან რაღაც უხერხულობაც იგრძნო.

— თავისებური ჯიბგირობაა. — კეხი შეიბრუნა მგოსანმაც — როცა დედამიწას უბიდან აცლით ადამიანებისაგან ნაჩუქარ სამკაულს.

— არქეოლოგები მიწას ძარცვავენ, ხომ ხედავთ?! მართლაც, საარაკო საქმეა. აქ არის მათი ძლიერება — წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძახა ჩვენმა თვალებანთებულმა მეგობარმა და ყველამ ერთხმად გადვიხარხარეთ.

ხარხარებდა მაქმანის ლოგინზე პირღია წაგდებული სპილენძივით არაბი. მკაბეთ ბითბითებდა მაღალ ხის კენწეროზე შეფრენილი ყორანი. ჯიჯვინებდა მოსართვავართული რაში.

რაღაც ავბედითი ხმაური ისმოდა, მგონი ცისერმოღრეკილი და სახეაჭრილი მტარვალები ირინებოდნენ გათხრილ სამარხებიდან.

არაბის სასახლე ოხრავდა. გაფოთლილ ფორთოხლის რტოებზე გულყვითელა ბეღურები ცრემლდანამულ ფრთებს იძიანგნიდნენ.

მონა ქალი დაკბენილ ძუძუებს და მკერდზე შემოხტრეწილ მოვის პერანგს გერმის ბალიშს აფარებდა. ტუჩები უთრთოდა. თახახიან ზეწარზე დაკბუჭნულიყო იმის უბიწო, უმანკო, ჯერ კიდევ კვირტებგაუშლელი სიცოცხლე.

გარეთ, მოზურულ კარებთან თავჩაქინდრული ღაწვებაქერცლილი საკურისები სთვლიდნენ, იშმუშნებოდნენ და უქნარობით გაბეზრებულნი პირუტყვებივით ამთქნარებდნენ, ლამის არის ხახა კი არა, სასაც გარეგ გადმოვარდნოდათ.

ცის თაღების ქვეშ, მიჯრილი ქედების ხრიოკ სანახიროზე, სარსარიკივით ღრუბლები წაყრილიყვნენ. რომელიღაც მახლობელ ნაქალაქევიდან ორიოდე წყალმანკიანი ეკალიპტები ტანმაღალი ქალებივით იცქირებოდნენ. და შორს, სადღაც ყვავების გამაყრუებელი ჩხავილი ისმოდა.

ფრთოსანი ხატი

ზეცის ქვეშ მძიმედ მიიწევდა მთების ყევარი

შემოდგომის პირი იდგა. ლომისის ხატის დღეობა ახლოვდებოდა. სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ხანგრძლივი მგზავრობისთვის ემზადებოდა. ხატი სამი-ოთხი დღის სავალზე იყო დაშორებული. ზოგს შეთქმული ჰქონდა და ორ კოკიანი ზედაშე, ზოგს ატლასის, ან მიტკლის ხალათით გამოცხადება, ზოგიერთს ჭედილა ან მზვარა გაესუქებინა. ზოგს კი შეეთქვა, რომ ფეხშიშველი მოილვედა დიდ გზას ხატის კარიბჭემდე.

გეგონებოდათ სოფელი იყრებოდა, ისე ეშურებოდნენ და ფუსფუსებდნენ. ქალები საკერავებს ჩაჯდომოდნენ, საქორწილო ბიჭები კისრებს ითითრებდნენ, დალაქ წრუტასთან თმას იკრეჭდნენ, კიკინებს ქართულ წესზე იყენებდნენ. გასათხოვარი გოგოები მზეს ემალებოდნენ. ხელებს არაკანით ირბილებდნენ, სისხამ დილით სამყურა ბალახში ჩათქმულ ბედის აღსრულებას ეძებდნენ. ხანშესული გლეხები უომშებს ახალ ჭალებს უკეთებდნენ, კვერნებს ამაგრებდნენ, თვლის ფესოებს, სოლებს და სალტეებს აწესრიგებდნენ, ყვითელი მანეულის ჩორჩოტინებს სწნავდნენ, გრიხავდნენ და ღერძის ბოლოებს რკინის ჭინჭალაკებს უკეთებდნენ. ხარ-კამეჩს ნალბანდ ტუგრიას აჭედინებდნენ.

ლომისის ხატის ხვადაგი ნიში კი მაღალი მთის ქიმზე კუდიანი ბებერივით შემართულიყო და სულის კაწკაწით მოელოდა შეთქმულთა აღლუმს.

სამშაბათი ღილა გათენდა. მთებზე ყომრალი ნისლები მდორივთ წამოიშალნენ.

დიდ შარაგზაზე გამოჩნდა ჭრელი ფარდაგებით მოჩარდახებულ ურმების ლარივით გაბმული ნაკადი. ზოგს ყევარი ხარ-კამეჩი შვება ურემში, ზოგს ჭოტა, ზოგს ნიშა ხარები, თუ წინიდან არ უყიელები მოფარდაგებულ ურემს, ვერც კი დაინახავდი კოფოზე დამჯდარ გლეხკაცს. ურემებში ჩაფენილ რბილ ქვეშაგებში თავდახურულ მანდილოსნებს მოეკეცათ ხელში ეჭირათ ჩვილი ძუძუმწოვარა ბავშვები. ხომ გინახავთ ცქვიტი და ანცი ბალღის პაწაწინა ცაცები, ორი ქვედა კიკით, ახლათ ფეხადგმული ღობუები ეზოში რომ წაკოტრიალებულან და კოპდასდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულები დედებს მყისვე ხელში აუტაცნიათ — გენაცვალოს დედილინი, შენი ფუფუა მე — დაუმშვიდებიათ თვალცრემლიანი პაწეები. ისიც ხომ გინახავთ ბაიას ციცქნა სიცოცხლე დედის მკერდს რომ ელიკლიკება, ეალერსება, ფაჩეს რომ ათამაშებს და ხან ზიზილა ტუჩებით ხოჭიჭიდან ამოყოფილ სალოკ თითს იწუწნის... რატომ არ გვახსომდება ეს ბედნიერება, რათ იღვრება ჩანასახში? ეჰ რამდენ ენაგაუკვეთელ მშვენიერებას უმალავს განგება ადამიანებს.

გზის მოსახვევთან, მკლავზე ცისფერ ატლას შემორტყმულმა ქორწილის მახარობელმა თეთრად დაფთლილი ულაყი შემოაჭენა და ელვასავით ჩაიქროლა. მოისმა ზურნის ხმა და მლოცველებს ქორწილის ხალხი შემოეგებათ. ხალიჩაგაფენილ ურემში ნეფედედოფალი ლურჯ მუთაქებზე ფეხმოკეცილები ისხდნენ, ორივენი ხვალინდელი დღის ნეტარებით დამტკბარნი და გაყუსულები. თავზე საყდრის ნაქირავები გვირგვინები დაედგათ, გვერდით მოსხდომოდნენ ნათლიები, მხრებზე ნაწნავებგადაყრილი ქალის მეჯვარე — დიდებაასთ გოგო მეტიჩრობდა: პატარძალს წამდაუწუმ ლეჩაქს, ხან კაბებს, ხან ბაღდადს უსწორებდა. შეუღლებულებს გვირგვინის წინა ტოტები ერხეოდათ, როცა ურემი ოდნავ შეინჯღრეოდა. მეორე ურემში ფეხზე ამდგარ მაყრებს სიმღერით მოუხარոდათ.

> გოგოვ, ნეტავი მე და შენ
> ერთძალნეთს დაგვატოლოო,
> პირი პირს დაგეკიდებინა
> ეუფლებს ჩაგვაკონოო,

მესამე ურემით პატარძლის მზითევი მოჰქონდათ: ჭრელი სკივრი, მიხაკისფერი განჯინა, კარგად შეკრული ბოხჩა და ერთი უბრალო აყირავებული მაგიდა. მექორწილენი ჟრიამულით შეხვდნენ მლოცველებს და ურმები გზის ასაკეცევთან გაჩერეს.

— გზა დაგვიოლეეთ! — გადმოსჭექა ეჯიბმა და რკოსფერი საღვინეებიანი მარჯვა.

— აი გაგიმარჯოთ! ტკბილად შეგაბეროთ ერთმანეთსა. — შეესიტყვნენ აქეთ-იქიდან.

> ქორმა წიწილა წაიღო,
> იმასდა წიავ-წიავსა,
> რო დაღამდება, ამალამ
> დათა ჩაჰკოცნის თინასა.

შემოსსძახეს მაყრებმა. ნეფეს გაეცინა და პატარძალსაც ღიმილი აუთამაშდა.

მზემ დაისამხრა, როცა ნატში მიმავალ ურმების ქარავანმა ორ ციცაბო კლდე აყრილ მთებში შესასვლელ ხეობას მიაღწია. გეგონებოდათ აქ ოდესღაც უზარმაზარი ალაყაფის კარები ბმია და მდევებს შეტაკების დროს ჩამოუგლეჯიათ. მართლაც შელეწილი გალავანის იერი დაჰკრავდა უსწორმასწოროთ აჩრილ ტინიან სვეტებს.

ცად ატყორცნილ, პიტალო კლდეების ძირში გაშმაგებული მდინარე საშინელი თქფაფა-თქუფით და შხეილით მოქუხდა, ხვადი ლომივით ღრიალებდა, წყალში გადმოვარდნილ ვეება შავ კაჭრებს ზედ ასკდებოდა.

ურმების წყება კისერდაჭიმული, ბედაური ხარ-კამეჩით მთების შეღმართზე მძიმედ მიიწევდა. ურმის ბოლო ჯალის ძირზე თოკგამობმული მოზვრები, კიკილებასსმული ჭედილები ლასლასითლა მისდევდნენ.

ოჯახის თავი ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით მიჰყვებოდა. ბუთხუზა მორბედების მეტი წილი ენდროსფერ ხალათ გადაცმულები მიცუნცულებდნენ, ზოგიერთი ცუგრუმელა სიარულით დაღლილიყო, ურემზე შესკუპულიყო. მოხუცი ქალები თეთრ ზედატან გახსნილები, წელმოღუნულნი, მეჩხერიან აღმართზე რის ვაი-ვაგლახით მიფოფხავდნენ. ლოგინათ ჩავარდნილ ავადმყოფებს მახლობლები ამხნევებდნენ: ხატია ჩვენი შემწეი, ხატი, ნუ გეშინიან, ნახე, როგორ მოჭაბინდე და გამოიხედო! იდგა შოლტების ტყლაშუნი, საქონლის ტევა; შეძახილები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლის მუხლი უნდა ებას კაცსა ამ მთებშია! და ყივანახველა შეყრილ ბალღების საცოდაობა.

ზეცამ მაღლა აიწია და ურმების ქარავანმაც დიიარა. სამლოცველოს ბინა მინდვრები მწვანე ჯეჯილივით გადაიშალნენ. გარშემო წიწვიანი და ფოთლოვანი დაბურული ტყე მესერივით რომ შემოვლებოდა.

გაგიკვირდება: ბარის წაღკოტებს ამ მიუვალ მთების წვერზე რა უნდათ? ნუთუ წინით მოებმაც იცოდნენ მინდვრების მოტაცება! ტყუილათ ხომ არა ჰქვიან მიმინოს ქედი მორეხჩეხე წყაროებით რომ არის გაამებული.

პარასკევ საღამოს სალოცავის მიდამოებს აუარებელი მლოცველი შეემატა, ხალხის ზრიალი აყრუებდა იქაურობას. სახელდახელოდ გახსნილი დუქნები მუხის და ნეკერჩხლის ფოთლოვანი რტოებით გადახურული, ღვინით სავსე რუმბები, გაჭონილ მაგიდებზე ჩარიგებული ხელადები, წელშეზნექილი ჭიქები.

დაწეულ ბინდის ქვეშ მლოცველები თავის ჯალაბებით ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულიყვნენ. მთის წვეროებთან მიხვეტილ ლაქვარდებს გრილი ნიავი ანიავებდა.

გუდაფშუტაანთ ბეკი ნასყიდა დოლუზაანთ ფეფოსთან კინკლობით თავს იქცევდა:

— ახლა, მითამ რა გინდა, ფეხები რომ დაგიკარწახებია და ლომისაში ამოხეტებულხარ, სულის ცხონებას ეძებ?.. შენა გგონია რაკი ხატს ემთხვევი, რაც ცოდო გაწევს სულ მონანიებით ჩამოიბერტყამ.?

— იშ, ქა, ი ხატის მადლი გაგიწყრეს შენა, რამდენჯერ უნდა გითხრა შეთქმული მაქვს-მეთქი, რას ამიტყდები ხოლმე, რომ არ ვიცი!..

— შეთქმული შენცა, ეჟვან შებმული ჭედილები დაგითრევია და ხუთი კვებულაი.

— აი, განგლა, განგლა!.. თორემა, შენმა თავის გახეთქამა, შენ ხომა ნარ-ნარი ხორაგით ურმები დაგიტვირთია. ქაა! ერთი ამას დამიხედეთ ... თას იბღინძება, თითქოსა მთელი ერკემალის ფარა და კურატების ნახირი წამოსხსნა. — არ ეპუება ფეფო.

— ე რაღაც ხელის გულივით ნაზუქები გამოგიცხვია და თავშალის ყურში ორიოდე უზალთუნი გამოგიკვლანჯია, ერთი გუდა ქუმელა მაინც წამოგეღო.

ნასყიდას სუნთქვა შეეკრა და ცხვირს ისეთას დააცემინა, რომ კინალამ მთებმა ბანი მისცეს.

— ღვთის ცეცხლი! — მკვახეთ მიაძახა ფეფომ, ნასყიდამ სული მოითქვა თუ არა, კიდევ მოიმართა:

— რა მჭავე გუნებაზე ბრძანდები, ფეფო? ეზიარე, ეზიარე იქნება სამოთხისკენ შეგარჩონ, ოღონდაც იცოდე, იქ ველარ გაიხსნილე, ეგ სავსე ჯვალოს ხურჯინი ოხრათ დაგრჩება, თუ სართი არ მიეცი, — ხითხითებდა ნასყიდა.

— ი, ზიარების მადლი გაგიწყრეს შენა, რატო არ მომწყდები, ქაა, რას შემომიჩნდები ხოლმე? ოხრათ შენ დაგირჩეს თავიცა და ჯანიცა, რა გინდა ჩემგანა? — ცხარობდა სიცოცხლე დასამხრებული ფეფო და თან ნესტოებს ბურნუთით იტენნდა.

— ქალს რა უნდა ხატშია? — აღიზიანებდა ნასყიდა.

— თვალი კი დაგიდგეს, აჰაანდე. ქარი გაგიდგეს ე მაგ გვერდებშია. წადი სარკეში მაინც ჩაიხედეი, ტყემლის წუას რო გიგავს ეგ თვალები — არ უთმობდა ფეფო.

კვირა დღემ როჭოს ფრად ინათლა და დაფიონის ციმციმზე ხალხიც აიშალა. ნიშის გამფრულ ქვებს რიგრიგობით კოცნიდნენ ღამენატები მლოცველები, თან ანთებული სანთლებით ხატს გარშემო უვლიდნენ... იქვე დახროვილი ეყარა თოვლისფერი და ატლასივით ხალათები. ჩიჩახვ გადმოყრილი და ბიბილო გაწითლებული ყვინჩილები რეტდასხმულებივით იცქირებოდნენ ქვევით სოფლებისაკენ, ხან ცალი თვალით ეცხო ადამიანებს აშტერდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲝᲠᲓᲜᲔᲑᲘ. ᲮᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲛᲝᲑᲐᲠᲣᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲡᲘᲜᲐᲜᲓᲕᲘᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲧᲔᲠᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ: ᲓᲐᲒᲚᲔᲪᲘᲡᲐᲪ ᲜᲐᲗᲚᲝᲚ!.. ᲨᲔᲒᲔᲣᲦᲝᲗ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ!..

ᲓᲐᲓᲝᲠᲔᲯᲘᲚᲘ ᲐᲛᲓᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝᲗᲐ ᲨᲔᲛᲔᲣᲜᲔᲚᲘᲡᲐᲜ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲓᲐ ᲒᲝᲑᲔᲑᲘᲗᲔᲜ ᲛᲘᲘᲠᲕᲔᲓᲐ. ᲚᲝᲛᲑᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲒᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲤᲘᲠᲐᲓᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲗᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲬᲘᲓᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ. ᲨᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲔᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲔᲜᲐ ᲩᲐᲒᲠᲬᲠᲘᲚᲘᲡᲐᲜ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲝᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐᲜ, ᲗᲘᲗᲥᲝᲛᲘᲡ ᲤᲘᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲐᲕᲐᲚᲘᲡᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲘᲗᲐᲜ. ᲐᲜᲐᲡ ᲘᲢᲧᲝᲛᲓᲐ: ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲧᲠᲘᲚᲘᲐ ᲯᲐᲠᲘ ᲔᲛᲮᲐᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲘᲤᲚᲘᲡᲖᲔ ᲒᲐᲡᲐᲚᲐᲨᲥᲠᲔᲚᲐᲗᲘ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲪᲔᲑᲘᲗ ᲣᲐᲙᲚᲝᲒᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲚᲮᲘᲜᲘᲡ ᲚᲮᲘᲜᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲠᲬᲧᲝᲗ. ᲓᲐᲒᲚᲣᲠᲗ ᲣᲠᲩᲔᲑᲘᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲠᲬᲘᲚᲘᲡᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲔᲪᲐᲕᲜᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜ.

ᲚᲮᲘᲜᲘᲡ ᲚᲮᲘᲜᲘᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲠᲬᲧᲝᲗ. ᲓᲐᲒᲚᲣᲠᲗ ᲣᲠᲩᲔᲑᲘᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲠᲬᲘᲚᲘᲡᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲔᲪᲐᲕᲜᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜ. ᲒᲕᲘᲠᲓᲘᲗ ᲗᲕᲐᲚᲛᲠᲘᲪᲮᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲨᲜᲘᲚᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ — ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ — ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲮᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲚᲘ — ᲡᲐᲚᲘᲐ ᲧᲝᲩᲘᲕᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲧᲐᲢᲔᲑᲓᲐ, ᲒᲐᲣᲮᲔᲓᲜᲐ ᲛᲝᲖᲕᲔᲠᲘᲕᲘᲗᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲠᲔᲚᲘ ᲗᲝᲙᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲙᲕᲔᲨᲘᲓᲐᲜ ᲣᲪᲥᲔᲠᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡ — ᲪᲮᲠᲐᲚᲐᲕᲐᲨᲐᲜᲗᲐᲜ ᲜᲘᲙᲐᲡ. ᲠᲝᲪᲐ ᲖᲣᲠᲜᲐᲚ ᲨᲔᲯᲔᲓᲐ ᲓᲐᲡᲯᲔᲓᲐ ᲓᲐᲡᲙᲝᲠ; ᲯᲐᲠ ᲮᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲰᲭᲘᲜᲔᲓᲐ ᲰᲐᲛᲝᲠᲩᲛᲘᲗᲘᲡᲐᲜ ᲜᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲣᲗᲞᲘᲗᲘᲡᲐᲜ ᲜᲘᲙᲐ ᲓᲐᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡᲐᲜ ᲔᲑᲓᲔᲓᲜᲐ. ᲡᲮᲚᲐᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲔᲢᲘᲪᲐᲕ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲔᲠᲮᲜᲐᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲐᲠᲗᲔᲚᲘ ᲜᲘᲙᲐᲛ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲛ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ, ᲗᲕᲐᲚᲡᲚᲘᲓᲐᲜᲐᲛᲔᲩᲐᲛᲔᲗᲐᲖᲔ ᲛᲝᲒᲖᲔᲠᲓᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲛᲘᲧᲝᲗ ᲛᲝᲡᲚᲮᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲚᲘᲡ ᲤᲚᲐᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲘᲜᲐᲕ ᲑᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲚᲐᲕᲐᲨᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲨᲛᲘᲗᲐ. ᲐᲗᲧᲔᲓᲐ ᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲛᲝᲚᲢᲘᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲘᲐᲜᲪᲔᲚᲘ: ᲐᲠᲝ!.. ᲐᲠ ᲐᲠᲝ! ᲐᲠ ᲐᲠᲝ!..

„ᲠᲐᲠᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲝᲗ, ᲙᲘᲜᲔᲚᲐᲛᲐ ᲬᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲢᲔᲑᲐ! ᲧᲐᲠᲝᲛᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔᲗᲘ ᲛᲐᲠᲘᲠᲘᲗ. ᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲠ ᲓᲐᲕᲘᲓᲐᲠᲐᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐ-ᲓᲐᲙᲐ.

„ᲐᲠᲐ ᲛᲫᲐᲛ, ᲪᲐᲚᲐ ᲑᲔᲯᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲠᲗᲣᲧᲝᲗ!.. — ᲘᲧᲚᲐᲧᲔᲑᲝᲓᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲘ.

„Ი ᲙᲝᲯᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲮᲘ, ᲠᲐ ᲨᲣᲦᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲐ. ᲓᲐᲡᲬᲧᲔᲕᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲒᲐᲛᲘᲠᲔᲜᲛᲐ, ᲡᲐᲛᲓᲒᲚᲘ ᲒᲝᲯᲘᲕᲘᲗ ᲐᲗᲐᲧᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲘ. ᲐᲑᲐ ᲠᲐᲡᲐ ᲮᲝᲠᲐᲝᲑᲡ, ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲤᲮᲘᲐᲜᲐᲗᲐ. ᲔᲠᲗᲘᲠᲗᲘᲡᲐᲜ ᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲯᲝᲚᲝᲙᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲧᲠᲘᲡᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲙᲘᲗ. ᲠᲐᲛ ᲐᲯᲔᲚᲛᲘ ᲗᲠᲘᲐᲚᲗᲐᲓ ᲛᲝᲔᲚᲐᲜᲔᲑᲝᲗ. — ᲓᲣᲓᲔᲚᲣᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲣᲡᲔᲚᲘ ᲣᲡᲘᲠᲣᲒᲣᲜᲐᲐᲜᲗᲐᲜ ᲑᲝᲜᲓᲝᲛ.

„ᲔᲒᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲩᲙᲣᲗᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲔᲠᲓᲔᲑᲨᲘ ᲣᲗᲣᲗᲣᲗᲘᲗ. — ᲔᲠᲗᲘ ᲚᲐᲮᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲪ ᲮᲔᲗᲘᲗ ᲘᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲗᲘᲗᲘᲜᲐ ᲯᲜᲔᲯᲚᲝᲑᲓᲘ. — ᲑᲣᲗᲚᲝᲜᲔᲑᲓᲐ ᲪᲐᲜᲨᲑᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲯᲜᲔᲯᲚᲝᲑᲓᲘ.

„ᲓᲐᲮᲐ, ᲓᲐᲮᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲓᲐᲛᲚᲐᲧᲘᲜᲗᲘᲡᲐᲜ ᲩᲣᲢᲙᲘᲠᲐᲜᲗ ᲚᲘᲠᲘᲒᲚᲔᲯᲘᲡᲐ, ᲜᲔᲢᲐ ᲔᲖ ᲕᲘᲪᲐᲚ ᲢᲘᲪᲘ-ᲢᲝᲛᲘᲐᲜᲐᲐ?! ᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲐᲤᲐᲠᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲐ ᲗᲐᲕᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛᲐ... — ᲪᲮᲐᲠᲝᲑᲓᲐ ᲜᲘᲭᲝᲗᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲐᲧᲘᲜᲗᲘᲡᲐᲜ ᲛᲐᲒᲠᲘᲠᲐᲚᲘ, ᲬᲘᲜᲬᲧᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲰᲔᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲜᲫᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲔᲑᲜᲐ; „ᲛᲐᲒᲐᲡᲐ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ ᲮᲝᲓᲔᲚᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲢᲘ ᲓᲐ ᲔᲒᲠᲔᲗ ᲘᲛᲘᲗᲘᲗᲘᲜᲐ ᲮᲢᲘᲡᲗᲝᲛᲘ. — ᲜᲘᲭᲝᲗᲔᲚᲘᲡ ᲪᲘᲪᲚᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲗᲐᲜ ᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲪᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲗ ᲠᲣᲗᲣᲚᲘᲡ ᲐᲮᲛᲐᲮᲘ ᲛᲘᲢᲠᲐ. ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲓᲐᲕᲔ ᲚᲘᲪᲘᲠᲣᲚᲘ ᲣᲕᲚᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲤᲘᲩᲘᲡ ᲒᲐᲡᲚᲐᲡ ᲛᲘᲡᲘᲪᲘᲝᲑᲓᲐ. ᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲣᲚᲘᲡᲐᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲝᲑᲓᲐ. ᲧᲠᲘᲜᲘᲡ ᲮᲛᲐᲖᲔ ᲮᲐᲜᲨᲘᲡᲣᲚᲘ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲘ ᲥᲠᲣᲐᲜᲢᲔᲚᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲕᲓᲒᲐᲛ, ᲨᲘᲓᲝᲛᲝᲜᲘ ᲔᲨᲘᲗᲘ ᲛᲝᲮᲓᲘᲓᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲐᲜᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲠᲘᲩᲝᲠᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲜᲒᲣᲒᲨᲘᲓᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲚᲘᲡᲛᲝᲤᲚᲔᲚᲘᲡ ᲢᲐᲚᲘᲙᲘ ᲑᲘᲫᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ.

ᲯᲛᲯᲘᲐ ᲒᲐᲬᲠᲣᲯᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲤᲠᲘᲩᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲛᲐᲮᲘᲚᲘ: ᲑᲣᲠᲐᲮᲘ, ᲤᲝᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲛᲤᲘᲢᲔᲑᲘ, ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲘ ᲨᲐᲭᲐᲠᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲡ ᲛᲫᲘᲒᲔᲑᲘ, ᲑᲔᲯᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ! ᲐᲧᲠᲣᲑᲔᲑᲝᲗ ᲓᲐ ᲘᲯᲐᲠᲗᲝᲗ!. ᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲐᲯᲘᲗ ᲐᲡᲮᲛᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲓᲘ

ბურთები ეკერა, ჰაერში რომ ირხეოდნენ და თვალსაჩინოთ ალამაზებდნენ ღღესასწაულს.

— ბულთები!.. შალიკები!.. იაფათ, ლოკუნის მადლმა!.. — გაჰყვიროდა ტანმორჩილი მორდეხა, თან მარცხენა მკლავი. თავისი ჯაგლაგი ცხენის სადავეში გამოედო.

ბოშის ქალები წენგოსფერ მკერდზე ბრეშვეიალა ღილები რო გადმოეპარჭაოთ, ფეხშიშველები დაძრწოდნენ და მიამიტ ქალებს სთავაზობდნენ თავის მარჩიელობას და თუ თვალი კარგად არ გეჭირა, უსათუოდ რაღაცას აგწაპნიდნენ. ვიღაც შორიდან გადმოთრეულს არდანზე თუთიაყუში დაესვა, ბრიყვი ნისკარტით პატარა კოლოფიდან რომ იღებდა ბედის გამომცნობ ფურცლებს. ერთი გადამთიელთაგანი ჩვენ-ბისაგან შეკერილ თოჯინებს ჰყიდდა. საიდანღაც ვიღაცის ბალღი ტირილით შუაზე იფხრიწებოდა: დედაა! ბიპინა მიყიდეი, ბიპინაი...

მუკნიანთ ულვაშებაკოკრებულ დათას, საკინძგახსნილი ხალათი და ტოტებმოწუთხული შარვალი რო ეცვა, თავის უბნის გოგოები დაეპატიჟნა. ნეტა გენახაო რა თავმომწონეთ აწვდიდა ლიმონათით სავსე ჭიქას კოკროჭინა პელას, ხან ხალებიან თებროს მარჯვენა ხელში სუფთა ცხვირსახოცი რო დაებღუჯა.

— ჩვენ მადლობთ, დათა, აბა რაზე სწუხდებით!? — მატაოცობდა ხაბარაანთ ფეფკა და წელში სატაცურივით იმტვრეოდა.

ქეჯქეთა და ჩოკჩოკა მაჯანკლები დიდ ფუსფუსში იყვნენ, ჩიკორივით ტრიალებდნენ, შეღერებულ ყმაწვილკაცობას შორიდან ასინჯებდნენ ზროშანა და კეკლუც გოგონებს ხელიხელ ჩაჭიდულები რომ დასეირნობდნენ. ვაჟის მშობლებს ყურში აწვეთებდნენ ქალის მზითვის ავლა-დიდებას.

— ქა, იცი რა მძახლები გეყოლება, სოფლის თავები! მე შენ გითხრა ასი თუმანი რო დაგჭირდეს ხელს არ გაგიმართავენ, ან სხვაგან მოგიხდება წასვლაი... უი, უი... ორივ თვალეი დამიდგეს ბეგს და დამიმიწდეს თუ გატ ყუებდე...

ახლა ქალის მამას გულმოდგინებით წამოუვლიდნენ დოგა-დოგაზე დაადგებოდნენ:

— რა ვქნა, ი, შენი გოგოი, არ უნდა გაათხოვო? შინ ხომ არ უნდა დაამეაგო. ბედი კარზე მოგდგომია და შენ კი ყოყმანობ, აქ დავაბეჭოთ და ნიშნობაი, თუ გინდა მერე იყვეს, იცი რა ბაკალაური ბიჭია... რო შეხედო იტყვი: ქაა, ეს რა ნატვრის თვალი ვიპოვნეიო.

ნიშთან ქადაგად გადაცემული მაკა, შუბლი თავშლით რომ შეებორბლა, რაღაცას წოიკობდა, ჭიწას ფხოჭნიდა, პირის კუთხეებთან დუკი მორეოდა, თვალები მოხარშული ჭანარივით გადმობარუნებოდა, დაკაწრულ სახეზე სისხლის ზოლები შეხლობოდა, ჭიდარა ნარევი თმები ნიავზე უშნოთ გასწეწოდა, „ხალხნო! წარღვნა იწყობა, წარღვნაი!“ — ყვიროდა ნახევრად შერყეული და ჩიყვგამობერილი მაკა.

მთვრალი გიგა ვიღაც წვნიკ-უჯიათს ყელზე გადახვეოდა და ალარ ეშვებოდა. არყით გამობენტერებული ფეთიანი ოსი ილასა, ჩოხის კალთები თანაბარად რომ აეკეცა თეძოებთან, თავის კოჭდაბალ ქვისლ გიგას ყანის წანახეიდზე წაჰკიდებოდა.

— შენ არ გეგონოს, რომა მე პანტის მეტი არაფერი მიჭამია, ან ოინჯათი ვარ გამაძღარი, ცოტა გონზე მოდი, თორემა ისე გამოგწელავ როგორც მეგრული ჭაათამსა, ერთი აქეთ მოიხედ! — თან ზარნიშიან ხანჯლის ტარზე ხელს იდებდა.

— მოკუმე ტუჩები, ენა მუცელში ჩაიგდე, თორემა ისეთის გლეწავ ე მაგ ყმაშია, რომ ღვარებში კი არა, წედისშიც ვეღარ გიცნონ, გამსკდარხარ და ალარ იცი რასა სჩადი. — უტმევდა ოდნავ ბლუკუნა ქვისლი, თავი რომ სულ მუდამ წინ სძლევდა.

— ვის უნდა ლეწო? მანამ გვერდები არ აგიდგეს შენა! ან არა და, რა შენი საქმეა ღვინით გავსკდი თუ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდა თუ ჩაცეცხლე, კიდევაც უნდა მოინელო.

— ცეცხლიცა ხარ და ერთიც მეტი! შე ჯაკო, შენა!

— ხმა ჩაიგდე-მეთქი! სანამ ე სახლს არ გადაგიშხეილებ! არ გადაშენდები, არა? — ამ მუქარაზე ფიცხი ილა წამოინთო, ალმური აუვიდა, სატევარს ხელი წამოესვა და დასჭექა:

— შენ თუ წელები არ გადმოგაყრეინო ამსაჯჩია, და სული არ გაგაცხებინო, მაშ ილასას ეს ულვაშები არა ბმია! — ოსმა ალმასივით იარაღი იშიშველა.

— ე, მანდ დაეგდე, თორემ, ეაბა მე შენა! გადაპარჭიკება ხო არ გინდა — გააფრთხილა ქვისლმა ანთებული ილასა, თითონაც ოდნავ შეფიქრიანდა და მოუსვლელი კიტრა ვაშლის ფერი დაედო.

ატყდა ალიაქოთი, ქვისლებმა ერთიმეორეზე გაიწიეს. ქალების ჩოჩქოლზე, წვიელ-კიეილზე: გვიშველეთ! არ შემოკრან, არ დაარტყან! არ დაუშინონ! შუაკაცებმა მოჩხუბრები დააშოშმინეს, თუმცა გიგამ და ილასამ ორიოდე ხელეური წათაქება მაინც მოასწრეს. მეორე დღეს ტრაბახი ილასა ბაქიბუქობდა:

— კაცო, კინალამ არ შემომაკვდა ი ჩემი ქვისლი, რაზე დავეკვრიდი სისხლსა. ეგა ჭკუაზე ხომ არ შეიფერთხა? ხო იცის ჩემი ხასიათი, „ნეუეელი“ არ უნდა მომერიდოს, რამდენჯერ უნდა დაუთოხმახო და დაუსისტრიკინო.

წიფლნარში დოლის და გარმონის ხმა გაისმოდა, სალამურის და დაირის ბანგები მუხნარში, არღნების ჭყვიტინი — დუქნებისაკენ.

ქუდმოღრეკილ ჯალიანაძთ მიტუშას საზიზღარი ჭყვილი: ტაში-ტუში... ტაში-ტუში!.. ჭიკი-ჭიკი, ვახე-ვახე!..

მაღლობენ ფრიალო კონცხზე მკვრივ ჩლიქებიანი ეაცი შემხდარიყო და მედიდურად გასცქეროდა მოსევადებულ ეროილა ცის კაბადონებს. ზევით დისკოებთან, ფრთამალი, შეეარდენი ნავარ ლობდა. იქით ყორდთან, დაძირულ თივების ახლოს ბიჭუნები შეგროვილიყვნენ.

— დამეჯიდე თუ ბიჭი ხარ, გამოდი, გამო! — ედიდგულებოდა მარდი სანდალა თმახუჭუჭა შაქარას.

— მი...დი, ბი...ჭკ...ო, ერარ...ის გე... შშ...ინიან — აგულიანებდა შაქარას ლოყიანი თედორე ენის ბორძიკით.

— ე, მაგ ლობიომ უნდა შეგაშინოს?! გადი და ერთი შენებურათ დააწყვიტეი! — უჩუჩხურებდა სანდალას კრაწაანთ მკვირცხლი შავტუხა.

—აბა, ეგ რა ჩემი ტოლია, ან არა და რას იჭიმება და იქადნება შვილოსანიასა — ჩაილაპარაკა შაქარამ.

— თუ გინდა გოგიას დაეჯიდე? — მიმართა შაქარას დუნე ნუკრიამ.

— გამოვიდეს, გამოვიდეს! — აიფხორა თავკომბალა გოგია, ნედლი კაკლის კუჭივით ხელის თითები რო ჩაშავებოდა.

— ვინც არა, ქინძარა. — მოსწყდა ადგილს შაქარა. — ბალღებმა წრე დაარტყეს.

— მხოლოთა, ფეხშია ხელის მოკიდებაი არ იყვეს! — ესლა მოასწრო წინ გაჭრილმა და სულმოკლე გოგიამ.

— შუა კაური გაუყარეი, შუა კაური, ნახე, თუ ბრაგვანი არ მოადინოს — აქეზებდა შაქარას ჭრელ თვალება ვანო, ქოჩორზე ერთი ციდა თმა რომ დაეტოვებინათ.

— ძიგი-ძიგი მამალო, შენ იცი და მაგანო! — გაჰყვიროდა მოუსვენარი სანდალა და თან გამოცდილ მსაჯივით იკუზებოდა, ფალავნებს ქვეშიდან უცქეროდა, რომ შეუფერებელი ფანდი არ გამოეპაროდა.

სად იყო და სად არა, ბავშვების ბღლაძუნს შაქარას დედა სოფიომ მოუსწრო, წელდახრილი დაფათურდა, წკეპლას ხელი წამოავლო და მთელი ძალით დაუთათხანა თავის შვილს.

— მიწამ კი გიყოს პირი! შენ მოუკვდი დედაშენს, შე დასამიწებელო, ორი დღეა ახალი ხალათი ჩაგაცვი, იმითვინა, რომ აქ შემოიფლითო? აგრემც გასწყალებიხარ დედაშენსა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქარამ გაკაპასებულ დედის ხმას ყური მოჰკრა თუ არა, მყისვე ბაყაყურა ფაცხაფუცხით მოუსვა.

განაჩჩლებული დედაკაცი ახლა გოგიას მივარდა:

— შე გასაცივებელო, შენა! მუხლის კვირისტავები რო გადგიყვლეფია და ფილთაქვას რო მიგიგავს ეგ ვირგლა თავი, რას ებუღრავები ჩემ ბიჭსა? შე ამოსაწყვეტო შენა, ჯერ დედამიწას არც კი ასცილებიხარ, რაც სიგრძე გაქვს, ის სიგანე უნდა მოგაცეს ადამიანმა, აი ის არის მადლი.

— რა ვქნა, მე რა, თვითონ შენი ბიჭი დამეკიდა. მოიბუზა განზე გამდგარი ყურებ აწითლებული გოგია და თან აპზზინდა ამოვარდნილი ქაძარი გაისწორა.

— მართალია ძალო, მართალი! — მიაძახეს აქეთ-იქიდან ბიჭებმა სოფიოს.

— იმდენი ძრძიდა თქვენა, რამდენ მართალსაც ამბობდეთ. — მერე ქაშანურას ბიჭს მიუბრუნდა — ეს სულ შენი ოინებია, შენი ქოქი კი მოისპოს, შენა! მოიცა თუ მამაშენს ეგ ყურები არ დავგაღეჯინო, ნახავ შენა.

— მე ჩემთვინა ვიდექი, მე რა! — ამოოუღლეუა უსამართლოთ მსჯავრდადებულმა ქაშანურაანთ კურკამა. სამწუხაროდ ეს სახინჯრი სახელი თავისმა პაპამ დაარქვა.

— თქვენი გამოწყვეტა მენახოს აჯანდე, თქვენი! — მიახალა ბავშვებს აშარმა სოფიომ. შებროწიალდა და შაქარას კვალს გაეკიდა. შაქარას პატარა, წრიპა დაც ცალ ხელში ფეხებმოწყვეტილი დედოფალა რო ეჭირა, კევის ღეჭვით დედას გაედევნა და სვინტრის ფერი კაბის ქვევიდან ნიფხვის თეთრი არშიები გამოუჩნდა. გოგიას დედილომ ენატანიანებისაგან შეიტყო თუ არა სოფიოს ალიაქოთი, ინდაურივით აკივკივდა. თავის მულის პირით შეუთვალა: „შე ხარაბუზა, შენა! პირი რო ძაღლის ქონით მოგიქონია, ღმერთსა ვთხოვ, შე ყრეველა, შენა! ამ ბავშვების ჭკუით დაბერებულიაგე! არა მინდა რა, ერთი შეგსწრებოდი და თუ თმებით არ დაგირევდი, გეფიცები, შე კრეხის პალო, შენა! ის გირჩევნიან, შე ჯილაგ ამოსავარდნო, კაკები გაისწორო ხოლმე, ჯორის კუდივით რო გადმოგიყრია“.

არც სოფიომ უხათრა, მისდგა, ერთი თუ ორი, ავი და კარგი გადმოუტრიალა: „ხელები ნუ გისწრებს, თორემ, იქნება ისე გაგიხადო საქმეი, რომა სულ ბეწუწები გაგლეჯინო. ჩემ კვებებს რას ერჩი? ლოქოს ლაყუჩებს რო გიგამს ეგ გადმობრუნებული ტუჩები. შენი სილამაზითა ხომა გვერდელაანთა თვალი გამოსთხარეი. ძაან კი მამალყინწოობ... და! ე მანდა, შენი შიშითა სადედულეთი არ ამომიწყვიტო და იალტაზზე არ გადამასახლო“...

ხარკამეჩი ტყის ნეკერს და სათიბებს შერეოდა. მახლობელ სოფლის მწყემსებს ცხენის ფარა სალოცავის დრემლმოფენილ სერზე აელალთა, ნაცვალგარდობით ხატობაში შერეულიყვნენ. მჭარზე გაწყობილი კაციანი კომბლეებით, ხანდახან უსაბამთი ილიმებოდნენ. გაქონილ ტყაპუჭებზე უბალთო წვრილათ შემოჭერილ ქამრებზე ქარქაშგადატყავებული ხანჯლები ჩამოეკიდათ.

შორს მივარდნილ ქედების იქით თეთრი ღრუბლების ჯოგი მოსჩანდა, თითქოს ლაჟვარდების რაყასა სძოვდა.

დღეობის გარშემო მოჩარდახებული ურმები ისე იყო წყარილი, გეგონებოდათ ფარდაგგადაფარებული სპილოების ნახირი ფეხებზე დაცემულაო.

ამ დღესასწაულზე იმყოფებოდა ჩემი მეგობარი პოეტიც, თავისი ბიძის ოჯახთან ერთად. არ იტყვით რაზე ასდევნებოდა მგოსანი თავის ბიძას? განა ღვთისმსახურების მიზეზით, არა! ბიძის სოფელში მოსწონებოდა ეშხიანი გოგონა ნანა. თვალტანადი, საროსავით წერწეტი, თეთრი მტევანივით ლამაზი და შეთვვირებული ნანა მამას ხატობაში წამოეყვანა. ნანას ჩითის კაბის, მაღალყელიანი წინდების და მამის მილერ ამოსხმული ბანდულების მეტი არაფერი ეცადა, დედა ადრე გარდაცვლილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თავის ხელმოკლე მამას მხარში ამოსდგომოდა და ოჯახის წარმართვაში ეხმარებოდა.

მგოსანს მოსწონდა სანაქებო ნანა, ეოკობივით ნანაზე თვალი ვის არ შეუგორდებოდა. იქნებ არც კი დაიჯეროთ, მაგრამ იცოდეს ღმერთმა, იმის ცოლად შერთვა, რომ გიორგის სიძეთ მოაკოდებოდა. მგოსანს არასოდეს არ ეფიქრია. პოეტს უნდოდა რომ ახლათ გადაფურჩქვნილი გოგონა მის მწველ ფიქრებს ყვარებოდა, როგორც მიუწვდომელი ბედნიერება. თორემ ბედნიერებას როცა ხელს შეახებ, ის ხომ ბედნიერება აღარ არის. რა ვიცი ეს ოხერი, ვიღან არ ჩამოაყრანტალა, რომ ლოგინი ბილწავს სიყვარულს...

ჩემ მეგობარს სულმა წასძლია და ნანას გაუნდო თავისი გულის ნადები, არა ისე კი არა, თქვენ რო გგონიათ...

ბიძის გამართულ ნადიმზე მგოსანმა ვეღარ მოისვენა, შაკიკ შეყრილივით აბორგდა და თავის ბიძას გადუჩურჩულა:

— ბიძა! რატომ არ ეპატიჟები გიორგის, ის ხომ შენი კარის კარგი მეზობელია. აგერ იქ არის მოკალთებული ნონიკაანთ ურმის გვერდზე.

— აი, შე სახე-მახე შენა! იმის გოგოს ხომ არ ეხოხმარიკები და ეპრუნწკები? ენამოჩლექით წაუტუტუნა ბიძამ მგოსანს და შორიახლო მდგომ გიორგიკვრელ ბესოს თამამ გოგონას გადასძახა:

— ნატა! ხომ იცნობ ჩვენებიანთ გიორგისა, თოქმაჯაანთ ლაჯუნას ბიჭს რო ეძახიან? უთხარი, დაგვეწვიეი შენი ნანათი-თქო.

— აბა, არ ვიცნობ, ეხლავე! — წამოფრინდა ხაჭოსფერ კაბიანი ნატა და მოჰკურცხლა.

ორიოდე სადღეგრძელო არ ჰქონდათ დალეული, რომ გიორგა და ნანა მობრძანდნენ.

— აქა მშვიდობა, ქეიფი გაამოთ, გეწყალობდეთ ლომისის ხატი! — მიესალმა გიორგა.

— აგრეთვე თქვენცა! — უპასუხა პოეტის ხელგაშლილმა ბიძამ და გიორგა გვერდით მოისვა, ნანამ ნატას მარჯვნივ მოიკეცა.

ბინდისფერა სოფელი,
ფფრო და ეფფლ ბინდდება,
ოა არი ჩემი სიყიტლე,
ჩემ-ოვთ ეოგეკეფრინდება.

წამოიწყო სიმღერით ეს ალალი ხალხური ლექსი მეჯვრისხეველმა ლევანმ. საამურად აყღერდნენ ქართული ხმები... გაყუჩდა სმენდადაგრული ხალხი. სადღაც, შორიახლო, ვიღაცამ „ზამთარი ვარდსა დაეზრობს“ ჩაეკაკანა. პოეტი ნანას უმზერდა. მაგრამ წამწამებდახრილ ნანას როგორ შეეძლო აზრად მოსვლოდა, რომ იმას ათაყვანებდა გზადაბნეული ყმაწვილი კაცი, როგორ დაესაზმრებოდა ნანას უმანკო სიმშვიდეს, ოდნავ სოსანის დარად გადაკრულ თვალებს, ყვავილების და ფრინველების შემყურს რომ გულში ჩავარდნოდა ვიღაც ბედკრულ მოლექსეს.

— ნეტავი, ჩემი ნანა მომირჩინოს ხატის მადლმა და მერე თუ გინდა წყალსაც წაუღია ჩემი თავი. ყველა სალოცავი უნაყოფოდ შევაჯერე, ესღა დამრჩა. — ნაღვლიანად წარმოთქვა გიორგიმ.

— ღმერთმა ინებოს, ღმერთი მოწყალეა! — ყველამ ანუგეშა გიორგი.

— რა დაეშართა, ძია გიორგი? — შეეკითხა განცვიფრებული პოეტი.

— ეჰ, რა ვიცი, შვილო, გულის ტკივილი დასჩემდა. — უპასუხა გიორგიმ. ნანას შერცხვა და მის სინარნარეს ბროწეულის მარცვლების ფერმა გადაჰკრა.

მგოსანი შეშფოთდა, თითქოს უნდოდა ნანას ავადმყოფობა მგოსანს გადასდებოდა, ოღონდ ნანას ეცოცხლა დიდხანს, სულ დიდხანს.

მოსაღამოვდა. მუხნარს ნიავზე ძილი ეტეოდა, ფოთლები ებლტებოდა.

ნატამ თავისი კეწკეწი ჩუსტები ნანას ათხოვა, თმები გადაივარცხნეს და ლენინს მიაშურეს. ჯანგირაანთ ჰოტროველა სისო ოფნის სარეს ლენინს მაყუ-

რებლებს ფეხის წვერების წინ უტყაპუნებდა და თან დასძახოდა: განი!.. განი!.. განი!..

— გაგიმმა ხელები! — კისკისებდნენ ასაკმოღერებული გოგონები და უკანუკან იწევდნენ.

— ეს სახრეი იქით მისწი მისამარასა, თორემა იქნება მე შენა! — ჩაჩხანებდნენ პირტიტელი ახალგაზრდები და ტაშის ცემას ერთიმეორეს აღარ აცლიდნენ.

პოტტმა მედოლეს ყურში რაღაც ჩაუფუჩუნა. მედოლემ ორივე ხელი ომახიანათ შემოჰკრა დოლს, ააყოლა სალამურის დამკვრელს და მგოსანმა ლეკური დაუარა.

— გოგო, ეს ხომ გაგაანთ ნასყიდას ძმისწულია.

— დახე ერთი, რა ქალაქურათ უქცევს, მითამ და რაა!..

— ქაა, ლამის არის მედოლეს ზედ გადაემტვრეს. ტუტუნებდნენ ქალები.

მგოსანმა თავი დაუკრა ნანას. კენარივით ნანას შერცხვა და ის იყო გოგების ხუთგის უკან აპირებდა მიმალვას, რომ ნატამ ხელის კვრით შემოაბრძანა წრეში.

— ნეტა არ იგრიხებოდე, აგრემც არა ხარ! — ალერსით დაუტია ნატამ, ცოტაოდენი ზურგზედაც უბრწკინა.

რაღას გაიწუობდა გოგმანა ნანა. დაბზრიალდა. ცეკვავდა ისე, როგორც შეშვენის ქართველ გოგონას. ისე კი არა ზოგიერთ ალაგას რო ცმუკავენ ბულის ამრეკ ნაღვავით გათხუპნელი ტუჩებით, რაღაც ჯამბაზური სამოსით, სძაგლათ რო იღმიჭებიან და ათასნაირად იმანჭებიან.

გახარებული მგოსანი ძალღონე მოკრეფილი ცდილობდა ცეკვის ხელოვნებას დაუფლებოდა, მაგრამ ამაოდ. ის უდიერად უსვამდა ფეხს, ხელებს ძერას ფრთებივით იქნევდა, რაღაც ულაზათოთ ტლინკავდა, თუმცა ხალხისა არ იყვეს: კარგი მოთამაშე რომ ყოფილიყო კამეჩის ,ცოხნას აჰყვებოდა. რას იზამ, ასე იცის ზოგჯერ ბედნიერებამ, ისე უგვანოთ .აგაცუნცრუკებს. ...

წლის მერე შენს ნამოკმედარს [illegible] ...ედო ჭირის ოფლი დაგასხამს. ასეა, ასე, როცა გონიერება სთვლემს და გაცდები ზვიადობენ.

სერობა დამთავრდა. ერისკაცებმა უკანასკნელად ასწიეს ყანწები. ხალხი ზვავივით მოშვავდა ბარში. მეურმეები ულელ ხარკამეჩს დაღმართზე წინ მიუძღოდნენ, თან მარცხენა მკლავით შუა ტაბიკს, კორას და ხელნის თათებს ეპდაუპეებოდნენ. მარჯვენა ხელით სახრეს საკრნესელ წინა ფეხებში უთათუნებდნენ, რომ თავქვეზე ურმები არ დაქანებულიყვნენ.

„ჰა, ფეხი გამოადგი, გამოეტიე. გეშველოს!..

„საქონელს ნუ უჯავრდები!.. სახრე არ გადაჰკრა, არ გადაუპირო!.. გვერდზე მიაყე, ბიჭო!.. ისმოდა დაქანებულ გზებზე.

დაღმართის ბილიგზე ნანა ასოების ჩათვლით უკითხავდა ნატას პოეტის ოხზულებას, ორივენი ხანგამოშვებით ერთიმეორეს მხრებით ეკაროდნენ და სიცილით იხოკებოდნენ. — გოგო, რა მოუზმახია?! აბა, ერთი ჩამიკენჭე, ნანა. — ონავრობდა არდასაცალებელი ნატა.

— ამ დილას მომაჩჩა — უყვებოდა ნანა — ჩემს სახსოვრათ გქონდესო. ღედის სული წამიწყდეს, თუ გატუუბდე, ჩემი დამემართა, სანამ არ წავიკითხე. რა ღობე-ყორეს აწყდება?.. მეხი კი დაეცეს, რაში მეკნაჭება მაგის არშიყობაი.

— წაიკითხე, გოგო, წაიკითხე! ცოტა გარკვევითა და მკაფიოთა, იქნება გავიგოთ, რა ჭირი და კვნესა უნდა შენგანა.

— ნატა, ყველას ფფიცებ, ე მანდა, სხვაგან არაფერი წამოგცდეს, თორემა მამაჩემმა რო გამიგოს სახრით გამაპრელებს.

— არა, ქა! დედ-მამა დამეხოცოს, თუ...

— კარგი დამიგდე ყური, თან უკან თვალი გეჭიროს ე. მანდ არავინ წამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაწყდეს. სათაური ხომ იცი „ბალადაო“.

— ალბათა, გოგო იმას გეუბნება, შენისთანა ბადალი არა მყავს ქვეყანაზეო. — გულთმისნობდა მატაოცი ნატა. მაყვლის და თრიმლის ბუჩქების ძირში გაჭრილ ბილიკზე ნანა ნელი ტაატით მარცვლავდა პოეტის ტოტებ-დალეწილ ნაწარმოებს.

— მე გამოვყვები შენს გვირგვინებს
ბინდების ფითრი,
გასწვრივ ზარები სივრცეებში
ჩაახველებენ,
ლოდების ბღავლს მთების ზათქი
ჩაფორნდება,
ჩემი ლექსები შენს უბეში იფართხალებენ.
ლექსებს ჩაგატან... ამა მეტი რა
მაქვს ეაკი,
ოხრად დაგრჩება ერთადერთი შენი
პოეტი.
ჩვენ რომ გვეხმლავდა ქარვისფერი
ლოცვების სვეა,
და ფანჯრებიდან შემოჭრილი სხეოს
რტოები.
გახსოვს ქარი რო ბურტყუნებდა დედის
ბალადას,
ხან კი მწირივით ყაყანებდა ხნიერ
ცაცხვებზე,
ხელში მთაწმინდას რო ეჭირა ტატო
ბალღივით,
და ღვთისმშობელი გაბუტული ჩვენს
სიცოცხლეზე?..
ოუმცა, რათ გვინდა, ყველაფერი რომ
გაეიხსენოთ,
ან ნუკრებივით ძეძე ეწოვოთ შუქნარა
ჩანჩქრებს,
ერთიღა დამრჩა.... შენს ცრემლების ქვეშ
დაეიფარეთ
დახვეულები სიყმაწვილე შამბებმა
შთანთქეს.
ბარბაცით მოვალ მეც ოდესმე შენს
სამარესთან,
ლოდები მიწას გადასწევენ რომ დაგინახო.
ფა იცი რასა მეშინიან? მეგვალავს
ღმერთმანი
ბალღანინებმა ხელმეორეთ არ
დაგიძახონ!
მე გაგაყვანენ ჩემი მჩრებით, რომ
დაებრუნენი,
ლენინის სარდაფთან დანდობილას
ჩაეძალნენენ,
შენს მკერდში ისევ გაეიკეთებ ფიქრის
სამბედარს,
ჩემი ლექსები შენს კუბოში
იფართხალებენ.

შენს შემკრთალ ძეგლთან მესაფლავე
აიტუზება,
ცარიელ გზებზე შეაჩერებს მორბენალ
თვალებს,
დაეშენს წვიმა, წოწვებამდე გაიწუწვება,
ის კი, გზებისკენ ცქერის მაინც არ
დაამთავრებს.

— გოგო! ყურს უგდებ, რასა ბურტყუნებს ი ვიღაცა ოხერია, როდის იყო მე, და იმას ლოცვები გვხიბლავდა? ან ჩვენს ფანჯარაში რა უნდა სუროსა? ღვთისმშობელი გაგვებუტაო, ისეც გამოსულიეტია ორივე თვალი მგოსანსა. — წიქვინებდა ფოფინა ნანა.

— უი, უი, ღვთისმშობლის მადლი გაუწყრეს, უფალსა ვთხოვ, ისე გადარიოს ზეციერმა ღმერთმა, რომა...

— შენს კუბოშიო — არ აცლიდა ნანა — ჩემი ლექსები იფართხალებენ, მე გაგასვენებო...

— მიწამ კი უყოს პირი, ხედავ, რა თავწასულია? ღმერთმა არ მომასწროს შენს სიკვდილსა, გამჩენსა ვთხოვ ადრე და მალე მოსწეოდეს პაპაჩემის კვალსა.

— ლოდები მიწას გადასწევენო. კისკისებდა ნანა.

— ქაა, ვინ არის ეგ ოჯახამოსაწყვეტი, თავისთავი ამოიპამოს აპანდე. აგრემც სასაფლაოს ლოდებსაც გადაჰყოლია, ტყუილად კი არ იტყოდა ხოლმე დიდედაჩემი, ბევრი სწავლა კაცს ჰპუაზე აცდენსო — მეტიჩრობდა ნატა.

— მესაფლავე აგეტუზებაო! — გაიგე ნატა რევის მეუბნება?!.

— მესაფლავეს ლუკმა გამხდარიყვეს. უი, ნეტაი შენ ალაგას ვიყვე, თუ საკადრისი პასუხი არ გავცე, თუ სახე არ ჩამოვაფხაკნო და ეგ წერილი შიგ თვალებში არა ვთხლიშო, ნახავ, — აგულისებდა ნატა.

— არა, გოგო ცოდოა, ხო თავლაფი დამესხა მეცა და იმასაცა.

— ა ჩემ ჭირასა, ეგ შენა და ეგ შენი ნაგიჟარი.

— ნუ იცი ხოლმე, გოგო ეგრე, რა არის ასლა! ქალბიჭა ხომ არა ხარ? უიმეე, რა ჯიბრიანი ხარ გოგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ერთი ჩემთვის გაებედა ეგეები! — ხელი გააქნია კაპარჩხანა ნატამ.

— თორემა, რას უზამდი? — ამრეზილი შეეკითხა ნანა.

— შენი საქმე არ არის!

— ყურებზე ხახვი არ დაგეჭრა. — ჩაუტაკაცუნა ნანამ.

— მომწყდი აქედანა, კისერიც გიტეხიათ, ორივესა, ჭირი მომჭამეთ, რაც გინდათ ისა ჭქენით! — გაიბუსხა ახტაჯინა ნატა.

ცოტას გასწყდა, გოგოები არ შელაპარაკდნენ.

მზიანი შემოდგომის დღე ბროლივით დაქაქანებდა ნოყიერ არემარეს.

ზევით სალოცავში ნაგვიანევი მლოცველები დარჩენილიყვნენ. გამჭვირვალე ჰაერში ცეცხლის კვამლი აქა-იქაღა იგრიხებოდა. მთის სერიდან ჩამორჩენილი ყმაწვილების ძახილი და სტვენა ისმოდა.

ჩემი მგოსანი ნიშის წინ მიწაში ნეკნებამდე ჩამჯდარ ქვაზე ისვენებდა. გულის ბალღამი თვალებში მორეოდა და ნამთვრალევ სახეზე ცრემლების რთვილი დასდებოდა.

ლომისის მინდვრებში მოჩიტული ნიავი ადამიანებისაგან დაყრილ ნაგავს: ჭუჭყიან ქაღალდის ნაგლეჯებს, ჩვრის ჭინკებს, ათას სიბინძურეს აწრიალებდა.

პაწაწკინტელა რვალის ზარები, ყუნწით ყაჟის ძაფზე ასმულები, სალოცავის ნანგრევებზე რომ დაეკიდათ, ზენა ქარის ოდნავ შემორხევაზე წკარუნობდნენ.

ტყე ტაძარივით ენთო და შიგ შეხროვილი ხეები წარმართებივით ყაყანებდნენ.

ყველაფერი ირწეოდა. თითქოს ლურჯი სივრცეების თვალუწვდენ ბაღეში, კლდეების გამოძახილზე, მაღალი, ეზოდარხეული მთებიც ფართხალებდნენ.

გაბუტულ ღვთისმშობელს ხელში ნამტირალევი ბალღი ეჭირა და მლოცველთა ნაკადს განაბული მოყვებოდა.

ერთადერთი ყბამოღრეჯილი დამიანი, მწუხრი რომ არასოდეს არ ეროდა და მუდამ მსუნაგივით გასცქეროდა ქვეყნიერების ცარიელ გზებზე ჩამორჩენილ მგზავრებს, ეს იყო პირდაუბანელი, სულ მყრალი მესაფლავე, რომლის ზურგს უკან ურმების რიგი იდგა და შიგ შებმული წმინდანები ბღაოდნენ.

ნენეს ზღაპრები

ღილით მიდგამოს რო გახედავდა
ჯანყვეთ იდგა უმეგობრობა.

მომცრო ქალაქის შუაგულში მჩქეფარე მდინარე ჩქაფა-ჩქუფით მოკუხდა, ამ მდინარის დაფუტუროვებულ ხიდის ყურზე ხშირად შეამჩნევდი მიწაზე ფეხმორთხმულ ღრმად მოხუცებულ, დარდებით გასავთებულ დედაკაცს, მუდამ თავჩაღუნულს და ჩაძმარებულს. შავი ხილაბანდის ქვეშ ჭანჭურის ჩრჩივით დამჭკნარი სახით და უკბილო ღრძილებზე შეკეცილი ტუჩებით. გახუნებული თალხები გამხდარ სხეულზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ტოტებგადაკაფულ ჩირგვზე შავი ძაძა გადაეფარებინათ. ის დახმარებას თხოულობდა, მარჯვენა ხელი ნახარში ხის კოჭზივით გამოეშვირა.

ვინ იცის რამდენმა გულქვა ადამიანმა ჩაუარა ხანშესულ მათხოვარს... ბევრმა სიბრალულით გაიკითხა, ზოგიერთი კი იმ დროს ასაჩუქრებდა დაგლახებულ წუთისოფლის სტუმარს, როცა გრძნობდა უკან ვიღაც მოსდევდა, ან თუ წინ ვინმე შეეჩეხებოდა, რომ ამით დაემტკიცებინა თავისი გულშემატკივრობა, თორემ ის წყალობის გამღები არ იყო, არა! სად არ მატაოცებენ ადამიანები, დასწყევლოს ღმერთმა.

როცა საღამოს ბინდი ქალაქის მისადგომებთან აიმღვრეოდა, მდუმარებით დაოსებულ დედაბერთან მოდიოდა ფერმკრთალი სახის გოგონა, ზედ რომ გაწყალებული კაბა ეცვა და შავნაწნავებზე თეთრი ჩვრის ნაჭრები ეკეთა. გაუყრიდა ხელს იღლიაში თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლებდახუთულ დიდედოს და ორიგენი მოკლე ნაბიჯით მიიწევდნენ შინისაკენ. გოგონა თავის მარჩენალს გზა და გზა ხშირად ასვენებდა. თავმოყვარე შვილიშვილს სირცხვილის მწარე ოფლი ასხამდა, რადგან ხომ ყველამ იცოდა, რომ იმის მზრუნველი და გამომკვებავი მთხოვარი ბებია იყო. რაღდენჯერ ატირებულა საწყალი გოგონა, როცა ხიდზე დიდედისთვის სამხარი ჩაუტანია და ქუჩის ბიჭებუკებს გაცლილნად დაუცინით.

ვახშმად ფაშარ პურის ნატეხებს, ხან ბოღლიწოს, ხან შინდის შეჯამანდს, ხან მახოს შეექცეოდნენ. ხშირად ღღეში ორ იჯრაზე გადადიოდნენ. მოხუცი საცოდავად შელოლნიდა კერაში ჩაწობილ ორიოდე ლუკმას და იქვე პირგადაუკრავ, ბუტუტალებგამოჩრილ მუთაქაზე თავს მიდებდა, რაღაცას ჩაილუღლუღებდა, ჩაიჩიფჩიფებდა და იძინებდა.

ობოლი გოგონა კი ლამფის ნაგვრალ პატრუქის შუქზე დაუვიწყარ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარს“ გადაშლიდა და გატაცებით ეწაფებოდა სანუკვარ მოთხრობებს, ის თითქოს სტრიქონების გაბმულ მავთულებზე მცრცხალივით ჭიკჭიკებდა, ხშირად თაჩჩიდან გამოკრეფილ „ნაკადულის“ ფურცლებს ჩაკკრიკტებდა და წაიწყდებოდა თუ არა შეუდარებელ შემომქმედის გაზაფხულივით ატენილ ფიქრებს ჩიორასავით უცემდა გული.

ვინ იცის, ცხოვრების სუსხიანმა ქარმა, რამდენ რჩეულ ადამიანს გააყრევინა კვირტები და რამდენ ჩანჩურას, ცეტს და დოყლაპიას ნიჭიერ კაცად ნათლავდა. ვინ იცის, რამდენმა ლაყე ტვინის პატრონმა და ორნახადმა რეგვენმა ფუფუნებაში ისე დალია სული, რომ ერთხელაც არ აუხედნია ზევით — ვარსკვლავებისკენ. რამდენმა კდემამოსილმა ადამიანმა კი ისე შეუმჩნეველად ჩაიარა ამ ქვეყნის სარბიელზე, რომ ხმის ამოღებაც ვერ შესძლო, რადგან უსარჩოობით ფერდები ეწოდა და ოჯახი თავზე ენგრეოდა.

დიდი მეკარვაა, თითქოს ვინმეს ტანჯვა ასპეტაკებდეს. პირიქით, დაუსრულებელი წამება და ურვა აკუზიანებს, ფიტავს, ასახიჩრებს ადამიანს. უფრო მეტიც, ამხეცებს, აბორტებს, აანჩხლებს და მთელი სიცოცხლე ყურებდაკბილი ძაღლივით ირრინება. ჩვენში იცოდნენ ხოლმე: ბევრი შიშით ხარი გაგიდადო.

რა თქმა უნდა, როდესაც შემოქმედების დროს იწვი, იფერფლები. ეს ხომ იმ წვალებას არ ჰგავს, როცა ხვედათი თავ-პირს გამტკრევენ, თითებს რკინის ანჯამაზე გიწერწყამენ, წიხლების ქვეშ წაგიდგმენენ, გეტეტყვენ, მკლავებს გიღრეცავენ, თვალებს სადგისით გიჩიჩქნიან, როცა დამარილებულ თევზის წათხს გასმევენ და ერთ ყლუპ წყალსაც არ გაწოდებენ, ერთი სიტყვით სულს გართმევენ, გახურებულ გრდემლზე უოთი გნაყამენ. თუ ზოგჯერ ასეთ საზარელ ხვედრს კარგა ხნის შემდეგ ხელიდან გაუსხლტები და შვების ნათელი აგიწიალებს, მაინც ვეღარ განიკურნები, წარსულის გაწამებული დღეები შენს სხეულში სრსველივით ირევიან, გკბენენ, გჯიჯგნიან, პირს უხსნიან შენს ძველ იარებს. აი ამ დროს გინდა ვიღაც ალალმართალ კაცზე იძოო შური. ქეჩოში ჩააფრინდე, რაღაც ხიფათი შეამთხვიო. გულს გეყრება, როცა მსხვერპლს ვეღარ პოულობ, რადგან შენი სიცოცხლის ნახევარზე მეტი ცეცხლის ალმურში გაატარე და ტვინის ნახევარი სფერო ერთიანად დაგიმახინჯდა, შენი სხეულის მაღაროდან ალქაჯების კივილი გესმის.

არც ისა მჯერა, თითქოს გენოისები უკვდავ ქმნილებებს იმ დროს ჰქმნიდნენ, როცა კუჭი შიმშილით უხმებოდათ და ზურგზე ცხრაპირ ტყავს აძრობდნენ.

მომიტევეთ, თქვენი ჭირიმეთ! იმას ბოგანსეენებდით, ჩემი მეგობარი მგოსანი ამ პატარა ქალაქში ჩამოსულიყო, იქ, სადაც რის ჭაპანწყვეტით დაამთავრებინეს უკანასკნელი კლასი, პოეტის უქნარობით გაბეზრებულმა მასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლემმა. მართლაც აქამდე არ გამიმხეილია, მგოსანმა უმაღლეს სასწავლებელსაც მიაშურა, მაგრამ თავისი სიზარმაცით ყველაფერი ისე ჩააფლავა, რომ მალე გამოაპანღურეს. განსაკუთრებით სძულდა გრამატიკა, ასეთ ცუღლუტ მოწაფეს და არაბეჯნიერ სტუდენტს, აბა რა კეთილი დაეყრებოდა? მზე რომ ამოდიოდა, ის თვალებს ხუჭავდა. უნივერსიტეტში სულელივით ამოიჩემა შუახნის ჭოსა პროფესორი, დასავლეთ ევროპის ლიტერატურას რომ კითხულობდა. რაღაც მწუთხე ნარკვევებიც ჰქონდა გამოცემული. თუმცა ის დალოცვილშვილი შექსპირის ტრაგედიებს, პეტრარკას პოეზიას ისე არჩევდა თითქოს პურის ცომს ზელავდა, ანდა კარტოფილს ფცქვნიდა. არასოდეს არცერთი სახის უჯრედი არ აუტოკვდებოდა, ლექციებს გადმოშლილდა უხალისოთ, უნდილათ. თუ გუნებაზე გახლდათ გაზუთხულ თემას ხელად ჩააბულბულებდა, თუ არა და ყველაფერს თავისებურად მიაფუჩეჩებდა. ენამჭევრობის რა მოგახსენოთ. თავიდან ჩანს არ იშორებდა, სულ მუდამ გაშეშებული იდგა, იტყოდი, ნაძვის სარი გადაუყლაპიაო. შესანიშნავად იცოდა ესა თუ ის მწერალი როდის დაიბადა, როდის ჩაიცვა გრძელი შარვალი, ვინ შეიყვარა, ფეხსად წაუცდა, ხელოვანის მშობლები მემამულეები იყვნენ, თუ მესტვირეები, როდის გარდაიცვალა, სად ასაფლავია, მაგრამ როცა შემოქმედებას ეხებოდა? ღმერთმა დაგიფაროს! მეფე ლირს დამთხვეულ კამეჩად გადაქცევდა, ჰამლეტს ფარშევანგის ბუმბულებს ტანსაცმოსზე დაუბნევდა, ოტელოს მაროკოელ მენახშირესაგან ვეღარ გაარჩევდი და ლაურს ფლორენციელ გობმბიოსაგან. ჩვენი პროფესორის ერთი ავი თვისება ისიც იყო, რომ დიდი ამყოლი გახლდათ ლიტერატურული ჭორების. აშკარად როდი ქირდავდა ზოგიერთ მხატვრული სიტყვის ოსტატებს, მაგრამ კერძო შეხვედრებში ენათ გაიკრიფებოდა: მოყვებოდა ბაირონზე გაგონილ ყოველგვარ სისაძაღლეს, გოეთეს ავხორცობას აბრალებდა, ვერლენს შემაძრწუნებელ საშინელებას უჩიოდა. ხან ჩვენ მწერლებსაც გადასწვდებოდა: სანდრო ყაზბეგს კბილს გაჰკრავდა. გესლიან და მძვირ ენას აკაკის, შხამიანი ბაასით სწამლავდა გულუბრყვილო მსმენელებს. ამ სწავლულ უბადრუკს თავგზა ერეოდა, მთავარს ვერ ხვდებოდა. გენიოსებს პირად ცხოვრებაში, ზოგჯერ პატარა ცოდოც მიუძღვით საზოგადოების მიმართ, დიახ, ამ შეცოდებას წლების განმავლობაში შემოქმედების მცხუნვარეგა აშრობს და ლეგენდების ნიაღვარი ფარავს.

კიდევ კარგი, რომ ადამიანებს ადვილათ ეხერხებათ გენიალურ მნათობების ღმერთებად გადაქცევა, თორემ ვინ იცის, რა უბედურება იქნებოდა, რომ მიქელანჯელოს უჭკნობი შთაგონების გვერდით, იმისი შიშველი ბიოგრაფია, თუ გნებავთ იმისი კერპი, უკმეხი და ჭრეველი ცხოვრება გამცემი ბერივით ახირულიყო.

დასწყევლოს ღმერთმა! სიტყვას გავეე და კიდევ სადღაც გადავიკარგე.

ჩემს მეგობარს თავის ბიძასთან დავდგარაბა ჰქონდა ატეხილი მამისეულ სახლის თაობაზე. ხომ მოგეხსენებათ ზოგიერთი ნათესავი მტერზე უარესია, ტყუილად როდი იტყვიან ხოლმე: ვინ დამწიხლა და საკუთარმა ფურმამ! როგორც გავიგე, არა მარტო მთელი კარმიდამო, პოეტის კუთვნილი ბინაც ბიძას ეპირა. ჩემი მეგობარი თავის წილს თხოულობდა, ბიძა კი უდიერათ ექცეოდა, უარს ეუბნებოდა. რამდენად სვინდისგარეცხილი უნდა იყვე, რომ საკუთარ ძმისწულს ერთადერთი თავშესაფარი მოუსპო. მამულის კერა წაართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ოდიშარია

ციკლიდან — „საგალობლები შენთვის“

მონატრების საგალობელი

ქალაქო, ჩემი მონატრება
შენს ზღვისპირა უბანში სახლობს,
მისი თვალების შუქმოლივლივე
მზერა ჭრილობად დამჭდობია
გულზე და... ის კი
ამ ჭრილობიდან გადმომჩქეფარე
უნაზეს სისხლში — ზღვისფერ
ჰაერში
დადის ამაყად და არც კი უწყის,
რომ ჩემი სათნო და იდუმალი,
ძველთუძველესი
მონატრება ჰქვია სახელად.

გეტყვი ახლავე, რომ არ დაიბნე —
ქალია იგი...
ქალია იგი და მის ბაგეებს,
მის მშობლიურ ბაგეებს ფრთხილად
მის ვარდიფერ ბაგეებს მშვიდად
ადნება ჩემი მიუსაფარი აისები და
დაიაები...
ის ჩემი ჩუმი მონატრებაა,
ის ჩემი წმინდა,
წვიმებუხვი გაზაფხულია...
მაგრამ ახლა როდი ვახსოვარ,
ველარ იგონებს, რომ რომელიღაც
ასწლეულში
კოლხეთის მორჩი და ნაღვლიანი
ცის ქვეშ ვაახლობდით,
ვთესავდით სიმინდს, ვწურავდით
ყურძენს
და ბალღებს ვზრდიდით,
სულ სხვა სახელი გვერქვა და,
ალბათ,
სულ სხვანაირი გვქონდა იერიც.
მაშინაც ასე —
ჩერდებოდა ზაფხულის ცა და
იმოაებოდა უცხოფერი ნათების
სუახით
მისი ხილვისას,
ხოლო ზამთარში —
ჭკნებოდა ყინვა ძალშემოსილი.

მას ყოველ დილით ადიდებული
სინათლით ვხატავ,
ვეჩურჩულები ჩემი ერთგული
მოლალატის —
ფორთოხლისფერად აპრიალებულ
ზღვის შემწეობით,
რომელიც ხშირად მას უმხელს
იმას,
რასაც საკუთარ თავს ვერ
ვუმჟღავნებ.

როცა ბალახი გულმოსულად
უკაკუნებს თებერვლის მიწას,
რათა დაჯაბნოს კარიბჭე მისი
და ძველებურად ამოსისხინდეს,
ეს ნიშნავს იმას, რომ მეც ვეძახი
მას,
მეც ვეძახი — მიწის გულიდან,
როცა გალურსულ ჰაერს ეპნევა
ხმები ფრთოსანთა,
ეს ნიშნავს იმას, რომ მეც ვუხმობ
მას,
მეც ვუხმობ მას — უჩინარქმნილ
მნათობებიდან.

ვერ ეტევა ის ვერც ამ სიტყვებში
და ვერც ქარებით აშრიალებულ
ზეცაში, ვითარც
შუადღის მზე ბავშვის ნახატში.

არეკლილი და მირიადგზის
გამრავლებული
მდინარეებით, ზღვებით,
ფოთლებით,
ზეციური ჩანჩქერებით თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკეანეთა ბჭეთამლეწველი
ზედაპირით
სამარადჟამოდ ამარცხებს ლაშქარს
ყველა ბრძანებლია —
ან ხმაჩაფერფლილ და ჯერაც კიდევ
მზერითუხილავ აახელმწიფოთა.
მოდის ის, მოდის დილათვალება,
მოინჩქლევა ქუჩებში წვიმად,
აღმოხდება მიმწუხრის ქარად
და ხეივნებში დახეტიალობს.
ეს მიაი წვიმია ხელისგულები
მეფერება მხრებზე და მისი
თმების რიალი დამყვება მარად
და აახეზე მელამუნება.

მისი ხილვისას იბადება
მერამდენეჯერ
გული ჩემი — ფრთებმონარნარე.

მე ვიწვდი მისკენ ხელს და ანაზდად
ვამჩნევ, რომ იგი ჩემი ხელი არ
არის სულაც,
ვეძახი, მაგრამ ვხვდები მაშინვე,
რომ გამქრალა სიტყვები ჩემი...
მილიარდობით გარდაცვლილები
ჩემი თვალებით ეფერებიან
მას და ასევე მილიარდობით
მამაკაცები,
რომლებიც ჯერ არ მოვლენიან
ტვირთმძიმე მიწას,
უხმობენ მას ჩემი ხელებით.

სივრცე — ცისფერი, უსამანო,
გუგუნებს ირგვლივ
ოცდამეათე საუკუნის
გონმიუწვდომი მექანიზმივით...
დიდებულია, დიდებული —
ეს მონატრება,
თვალწარმტაცი და გრანდიოზული,
ვითარც პარადი ზებგერითი
თვითმფრინავების,
ვითარც ბუბუნი უშორეული
ქარბორბალების,
ასი ათასი დროშის ერთად
აყრიალება
და ვითარც ჩუმად,
ძალიან ჩუმად წარმოთქმული
სიტყვა —
„ნიყვარხარ.“

მზერა

ყველაფერი მოულოდნელად
მოხდა —
მდინარე
გაექცა
მდინარეს,
ქუჩამ
შეიცვალა
ადგილი,
ზღვამ
დაატოვა
ზღვა.

ყველაფერი მოულოდნელად
მოხდა —
ხე
მონყდა
ხეს,
სახლი
დაშორდა სახლს,
ქალაქი გაეპარა
ქალაქს...

...და მერე ღრუბელთა ბაღებიდან
ჩამოქანქანდა წყალი —
თბილი და ნათელფრთიანი,
ისიც სულ სხვა —
ნაღალატევი...
იმძლავრა ქარმა იასამანთა,
დაივერცხლა ლურჯი ჰაერი
და ფორთოხლის ფოთლებში
ფრთხილად
აჩურჩულდნენ
მიცვალებულები.

თვალებამდე შეიკუმშა გარემო,
შენს მფრთხალსა და მშვიდად,
დილის ნისლივით მშვიდად
მოსეირნე თვალებამდე...
და ცასავით გაფართოვდა გული...
და დაანარცხა საათები
წუთისოფელმა
შენი ქუჩის
მტვრიან ქვაფენილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე უნდა გავმხდარიყავ
ვარსკვლავთმრიცხველი,
თითოეული ვარსკვლავიათვი
დამეკრა თავი,
მათ დედოფლურ სხივება
გავსაუბრებოდი,
მე უნდა გავმხდარიყავ
ვარსკვლავთმრიცხველი.

მე უნდა მემღერა საგალობლები,
ცათა და გრიგალთა სადიდებელი,
ნყალთა და ბალახთა მოსაგონარი,
მე უნდა მემღერა საგალობლები.

ჩემს სისხლში უნდა ეკივლა
გაზაფხულს,
ჩემი გულიდან უნდა
ამოფრთხიალებულიყო
ფრინველი,
თბილი ზღვებისა და ზმანებებია
ფრინველი,
ჩემა სისხლში უნდა ეკივლა
გაზაფხულს.

...მაგრამ აი, ხედავ —
რა დღეში ჩავვარდი —
ვეძებ და... ვერსად ვპოულობ
ვარსკვლავებს,
ვნღერი და... ბაგეზე მაკვდება
გალობა,
ნიყვარხარ და... შენ შენივთებიხარ
სხვა ქვეყანას და
სხვა საუკუნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე უშვერიძე

●

ნისლი ჩამოწვა
და გადაფარა
ყვავილიანი,
წარმტაცი ველი.
აღარც ქარია,
არც წვიმას იწყებს,
ნუთი მგონია
საოცრად გრძელი.

ნისლში ძლივს მოჩანს
წერტილი შავი.
— რა მოირხევა,
ნუთუ ჩინარი?
— ქვრივი დედაა,
სახლში ბრუნდება,
სათნო, ბედშავი
და უნყინარი.

კოკრები

მინდვრებს მიჰყვება რძისფერი
ზოლი,
მიწას სინედლის სურნელი ასდის,
ფეხაწყობილი მიდიან ორნი, —
რაა ამ წუთში ამაზე კარგი!
გამოკვირტული რტოების წყება
იშმუშნებიან ნაზამთრალ მზეში.
მალე დასკდება და გაიშლება,
ხეზე კოკრები, აპრილის თვეში.

მინდა პირველი ყვავილი იყვეს
დაუფუფქველი, ახივმიღვარული
და მერე მისებრ ამიყვავილდეს
ლექსი, ოცნება და სიყვარული.

●

გზას გავლევ მთვარის ეტლითა,
ვარსკვლავთ ტრფიალში ვნებული.
მიწას ვეკუთვნი,
როდი ვარ
ბზრა წილ სიცოცხლდებული.

მიწაო,
თმენით მელოდე,
არ შემხვდე შეცბუნებული, —
მტერმორეული მოგივალ,
მაგრამ არ დანებებული.

●

ქარო, დაუქროლე ღამის ლანდებს,
მინდორში მიაწვ-მოაწვინე.

ვინც მამულს დასაცავ ზღუდეს
ავლებს,

იმას ჩემი ხმაც მიაწვდინე.

მთაში ქაფქაფა ჩანჩქერი მოჰყეფს,
ებრძის დახავსებულ კლდეთა
ტინებს.

ქარო, დაუყვავე ამოყრილ
ყლორტებს,
თორემ ისე არ იბიბინებს.

ყლორტის სიცოცხლე — ხიდია
ბეწვის,

ნისი რბევა არ შეიძლება.

ფესვებებერ ხეებს გადაეცი,
რომ ძველი ახლით შეიცვლება.

●

უძველესი კოშკები,
წინაპართა სახლები.
ცადაწვდილი წაბლები,
მწვანე დირიჟაბლები.

ბავშვების ჟრიამული
მარად, მარად გაისმას,
იმატოს და იმრავლოს
ამ წელს, იმ წელს, გაისა...

ქართველობამ — უკვდავმა —
და ლამაზმა გვარისამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ლობჟანიძე

ნოემბერი

როცა ნოემბრის გაბაწრულ წვიმებს,
პირველი ჭყაპი მოჰყვება მთაში,
რაღაცა გულში ჩამწყდება მძიმედ
და გამერევა ნაღველი ხმაში.
ავანთებ ლუმელს და ნელი ფიქრით,
ჩამოშავებულ სივრცეს გავცქერი,
ოთხრად დათოვლილ კლდეების იქით,
მღვრიე ღრუბლების მოჩანს ნამქერი.
უფრო შორს თვალი ვეღარას ხედავს,
სმენას კი სწვდება ქარის სიანი....
ვაშლის შავ ტოტზე გალუმპული
ჩიტები სხედან,
აგვისტოს ნათელს მისტირიან ალბათ
ისინიც...

ინგრევა ციხე...

ინგრევა ციხე ქვიშაზე ნაგები, —
თავისქალებით და ძვლებით ნაშენი,
გადმოდის ჩვენზე ნათელი განგების,
შორით გამოჩნდა ნანატრი
საშველი —
ევროპა აღსდგა, მუქარის ხმა ისმის,
(ბაშაშით მთვრალი ჯერაც თვლემს
აზია)...
მტრედისფრად ჰღვივა ფერმკრთალი
აისი,
ინთება ზეცა, მნათობი გზაზეა...

●

ხეს ოქროსფერი ფოთლები სცვივა
და შავად ლპება მღვრიე გუბეში...
ნოემბრის ქარში უმიზნოდ მივალ,
არსად სითბო და არსად ნუგეში...
და ჩემს ოცნებებს ამ ფოთლებს
ვადრი,
(მათ შორის ვხედავ იდუმალ კავშირს)
ვწუხვარ გათელილთ მარადი
ზამთრით,
ამ წუთისოფლის ჭუჭყსა და ლაფში...

●

ჩვენ მართლა რომ არ ვიყოთ ღვთის
შვილები
და მართლა უფლის კალთა არ
გვეფარის,
აქამდე, ალბათ, შხამიან კბილებით
დაგვგლეჯდა ათასი ჯურის
მყეფარი...
მაგრამ დრო გადის, ცოცხლობს
ივერია,
მადლს სწირავს საყვარელ მაღალ
სამებას,
ვაზს რგავს და გასცქერის დიდ
იმპერიებს —
მიწისგან აღგვილს და
დასამარებულს...

●

ზამთარი მოდის და შენა
გდარდობ —
მივარდნილ მთებში მდგარო
სახლ-კარო,
შენც, თოვლის ველო გაშლილო
ფართოდ
და თოვლქვეშ თბილო — მამის
საფლავო...
სახლს ყოველღამე თვალს ავლებ
ალბათ,
დადიხარ წყნარად ოთახებს შორის,
თან მწუხარებით თავსა ხრი
დაბლა, —
გულს გიკლავს სუნი ობის და
შმორის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გვსაყვედურობ შვილებს
დაღლილი,
რომ მივანებეთ სახლი თოვლ-ქარებს,
თენდება... ვხედავ, შენი აჩრდილი
წყენით სცილდება შეჭირხლულ
კარებს...

ისევ აპრილი...

შხაპუნა წვიმა რეცხავს ქვაფენილს,
აპრილის დილით მუქად შეღებილს,
ჭადრებზე სისხლის წვეთებს
დარჩენილს,
მოლს გადათელილს მკვლელთა
ფეხებით...
იქნება მართლაც გაცოცხლდეს მოლი
და ახასხასდეს ხვალ და ზეგ
მწვანედ...
რა დამავიწყებს შიშით და ძრწოლით
ხელებაპყრობილ გოგონას თვალებს...

სოფელი

ეს მერამდენე სიგარეტს ვაქრობ
და ფანჯარასთან ჩრდილივით
ვდგები,
შენ იქნებ სახლში არა ხარ ამ დროს,
აქ კი წყვდიადში ჩაფლულან მთები.
აქ სიწყნარეა, დაღლილ ხალხს
ძინავს,
მანდ კი ქალაქის უაზრო შფოთი,
მთვარის მკრთალ შუქზე
მელნისფრად ბზინავს
ღვინის ნახევრად დაცლილი ბოთლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანგულ ჯიქია

შემეცნების პრაქტიკუმი

რომანი

54

ბაიბურის დროით 18-00-ზე მორჩილამ ვითომ სახლეშრომ სადარბაზო კარი შეაღო. ფოიე მოათვალიერა. ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა: მარჯვნივ — ადმინისტრატორის დახლი, მარცხნივ — დალაქის ოთახი, პირდაპირ — მეორე სართულზე ასასვლელი კიბე.

— გამარჯობათ! — დაუძახა ადმინისტრატორს. ტიტე სადღაც, დაბლს იქით ღრმად ჩაძვდარიყო თუ ჩაუუნცულიყო, მზოლად გამელოტებული კინაღრანი მოუჩანდა.

— გაგიმარჯოს! — ჯერ ტიტეს ხმა გაიცა, მერე თვითონაც წამოიმართა და გამორჩნდა; სათვალე შეიხწორა და მზერა მიაყოლა ფოიეში შემოსულ უზარმაზარ ზურგჩანთამოკიდებულ კაცს. რომელიც სპარიკმახერისთან მივიდა და კარი შეაღო...

მალაქია ხელებს იბანდა და მოხულისთვის არც შეუხედავს, ისე მიიპატიჟა. — მობრძანდით! — თქვა და მერეღა შეაკლო თვალი „კლიენტს".

მორჩილა არც ისე იყო პატარა ტანის, თან ზურგზე იმ სიგრძის და იმ სიგანის ტყვორი ეკიდა, რომ სპარიკმახეროსნი ვერ შეეტანა და ზღუბელს აკედან დაიძახა, — ვერ მიცანით, მალაქია?!

დალაქს ხმა არ ამოუღია, მიაშტერდა მოხულს. — აი, ეს მესმიოდის! — თქვა ხმადაბლა, როცა ნამდვილად შეიცნო მოგზაური და გაუღიმა: — მშვიდობა შენს მობრძანებას!

მორჩილამ ტყვრნი მოიხსნა, სადალაქოს კართან დატოვა, თვითონ შიგ შევიდა და მალაქიას მაგრად ჩამოართვა ხელი... რატომღაც ეგონა, რომ პარიკმახერი ცას ეწეოდა სიხარულით და გუშინ ჩამოხეტებდა. ასე არ მოხდა. მალაქიას სახეზე ის მოალმეტრეიანი ღიმილიც გაქრა. მოგზაურის დანახვისას რომ გამოუკრთა სახეზე...

— დაჯექი! — შესთავაზა დალაქმა სავარძელი მორჩილას.

— გაპარსვა არ მინდა! — იუარა „კლიენტმა".

— დაჯექი, ასეა საჭირო (ტიტე გვიყურებს)! — უთხრა ხმადაბლა დალაქმა ცეცხლფარეშს.

მორჩილა დაჯდა.

მალაქიამ საპონი აიღო და ლოყაზე წასცხო ფუნჯით „კლიენტს".

— რას შვრები? — ჩურჩულით ჰკითხა მორჩილამ.

— ვითომ გაპარსავ! — წასჩურჩულა მალაქიამ, — ხათქმელი მითხარი, როცა შინ მეტეუმრები. 19-00-ზე სახლში ვიქნები.

მორჩილა დამუნჯდა.

პარიკმახერმა ორჯერ „გაპარა" და „გაპარსა" „კლიენტი..." მორჩილამ ვითომ გაპარსვისაკენ მართლა გადაიხადა ფული, ვითომ დაეშვიდობა მალაქიას, აიღო თავისი ტვირთი და ზურგზე მოიკიდა.

სასტუმროდან გასვლის წინ ტიტემ შეაჩერა.

— ერთი წუთით, ახალგაზრდავ! — დაუძახა.

— რა ბრძანეთ?... — ისე იკითხა მორჩილამ, ვითომ ნათქვამი ვერ გაიგო.

— ახლა ვეფერკოდი, სად მინახავს ეს კაცი-მეთქი, — ზარ-ზეიმით გამოვიდა დახლიდან ტიტე და ზარ-ზეიმით ჩამოართვა ხელი მოგზაურს. — ჩვენთან ხომ არ დაბინავდებით? № 15 თავისუფალი გვაქვს! — ისევ ზარ-ზეიმით გააგრძელა საუბარი.

— არა, გმადლობთ! — იუარა მორჩილამ, — ბაიბურში ღამის გათევას არ ვაპირებ!

— იქნებ... — ალფალლოდა ტიტე, — იქნებ, ცოტა ხნით მაინც დარჩენილიყავით, ვთქვათ, ერთი დღით!

— კი მაგრამ, რატომ? — გაკვირვება ვერ დამალა მორჩილამ და ტიტე რაღაცით მეტა-მორფოზორიუმელ უახლიდან მიამსგავსა.

— რატომ და, ერთ კაცს უნდა თქვენი ნახვა... № 12-ში ცხოვრობს, მაგრამ ამ წუთში შინ არ არის!

დასასრული. დასაწყისი: იხ. „ცისკარი" № 12: 1, 2, 3, 4.

4. „ცისკარი", № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვწუხვარ, ბატონო ტიტე, მაგრამ ძალიან მეჩქარება, ვერაფერით ვერ მოვიცდი! ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეჩქარება...

— რა გიჭირთა! — მოიღუშა ადმინისტრატორი.

— მაშ, ნახვამდის! — გაუცინა მორჩილამ ტიტეს. — მე კიდევ შემოვივლი!

ᲐᲐ

მორჩილას ტვინთის ტარება არ უჭირდა, მაგრამ შემთხვევით თავისუფალ ტაქსს მოჰკრა თვალი და ზაზანი ალარ გაუშვა ხელიდან. ზაზანთან ფიზიოსის ქუჩამდე გაჰყვა; ვითომ კონსულიაციის მიზნით 220-ის მაგივრად ფიზიოსის 210-თან ჩამოვიდა, ტაქსი გაისტუმრა და მალაკიან სახლისაკენ გასწია.

მიუყვებოდა ცალტროტუარიან ქუჩას და არ უნდოდა უმეცრების კედლისთვის შეეხვევა, თუმცა მის სიაბლოვეს გრძნობდა, როგორც სუსხს... № 220-ის ჭიშკრამდე სანამ მივიდოდა, მაინც გაექცა თვალი და... გაკვირდა, მის არყოფნაში დიდი სამუშაო ჩატარებინათ ბაიბურელებს. ფირმა „ნარციხის“ დიზაინერის ესკიზებისთვის ხორცი შეეხსათ — კედლზე ნაირფერი მოზაიკით გამოეყვანათ „მზე“, „ცისარტყელა“, „ალრაძალულია...“

მორჩილას ბრაზი მოერია. უნდოდა მიეფურთხებინა კედლისთვის, მაგრამ ბაიბურელების ნაშრომს (მოზაიკას) პატივი სცა და გადაიფიქრა...

შეაღო მალაკიას ჭიშკარი და სახლისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. შენობამდე მივიდა, ნახა, რომ კარი ჩაკეტილი იყო, მობრუნდა, ვაშლის ხის ძირში გრძელი ხკამი დაინახა, ზურგჩანთა მოიხსნა, ზედ დადო და თვითონაც ჩამოჯდა.

საღამო იყო. მალაკიას ციცქნა ბაღს და სახლს, როგორც ყოველთვის, კედელი ჩრდილავდა და თითქმის ცივდა.

მორჩილამ სიგარეტი გააბოლა და ჩაფიქრდა.

გუნებაში ეცინებოდა პირველი ნახტომზე და შიშნაკვამობაზე. ახლა არაფრის ეშინოდა და დღისითაც კი ისაუბებდა, თუ მალაკანა ნებას მისცემდა...

მასპინძელი დანაშნულ დროს გამოჩნდა.

— რას დამდგარხარ ამ შუა ეზოში! — დაუღონა მორჩილას (თუმცა სტუმარი სულაც არ იყდა შუა ეზოში). — წამოათრიე რაც თან გაკვს და წამოდი! — თქვა მალაკიამ, აიარა სამსაფეხურიანი კიბე, კარი გააღო და შინ შევიდა.

მორჩილამ უკმაყოფილების ნიშნად, თავი გააქნია, მაგრამ უსოფანოდ შეასრულა მასპინძლის ნათქვამი: დაიკინო ხელი თავის ტვირთს, წაათრია და სახლში შევიდა.

მალაკიამ ფარდები ჩამოუშვა და სტუმარს უსიტყვოდ მიუთითა სკამზე.

მორჩილა დაჯდა.

— ახა! — ხელები მოიფშვნიტა მასპინძელმა: — რას იტყვი ახლს?

სტუმარმა ჯიბეზე გაიკრა ხელი (ხმის ამოუღებლად), მამა-მალაკიას წერილი ამოიღო და მიაწოდა დალაკს.

მალაკიამ კონვერტი გამოართვა, უმალვე გახსნა დაიწყო, ხელები აუკანკალდა, ტახტზე ჩამოჯდა და წერილის კითხვას შეუდგა.

მორჩილა ხმას არ იღებდა და გაფაციცებით აფეთებდა თვალს მასპინძლის მიხვრა-მოხვრას.

მალაკია ტუჩების ცმაცუნით კითხულობდა და თანდათან შუბლი ეკმუხნებოდა. მორჩილა ითვლიდა ნაოჭებს მასპინძლის შუბლზე და ფიქრობდა, — დაბეერებულა საწყალი, თუმცა ჩემი ტოლიაა..''

დალაკმა დაამთავრა წერილის კითხვა და ამოიოხვინა.

— რას წერს? — იკითხა მორჩილამ, თუმცა მიახლოებით წერილის შინაარსს ხვდებოდა.

— წაბედა საქმე! — თქვა მალაკიამ, წერილი კონვერტში ჩაიბრუნა, მზერა ერთ წერტილს გაუშტერა და გაირინდა.

— მალაკია! — დაუძახა მორჩილამ.

— ჰა? — გამოერკვა მასპინძელი.

— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩემი ნახვა გეწყინა; იქნებ ვცდები?

— არ ცდები!

— ესე იგი, გეწყინა!..

— ჰო, წინასწარ მივხედი, რომ ვერაფერით დაეხმარე მამაჩემს, თორემ მარტო არ დაბრუნდებოდი!

— შენ კი იცი, მალაკია, რა არ გადამხდა თავს, სანამ აქამდე მოვალწევდი... მამაშენი ამდენს ვერ გაუძლებდა. თვითონვე მითხრა უარი, თორემ მე დაყოლიებას ვცდილობდი. გეფიცები, მინდოდა თან წამეყვანა, ესე იგი, წამომეყვანა!..

— კარგი, დაგიჯერებ, თუმცა მამაჩემი ამაზე არაფერს იწერება.

— აბა, რას იწერება?

— სულ კედელზე წერს. გამოთვლილი მაქვსო, იწერება, ერთი და ორი კაცი ვერაფერს გახდებაო. ახმა კაცმა უნდა უყუროს და ორი ათასმა კაცმა უნდა ანგრიოსო — ფანტასტიკაა!

— ჯანმრთელობაზე არაფერს იწერება?

—არა, წიგნები და ხორბალი გადმომიგდეო, — მეტი არაფერი! დანარჩენი სულ კედელზე უწერია...

— ჩემზე?

— შენზე და ჩიაზე ერთი და იგივეს მწერს: — „მე მაგათ ვერაფერი შევასმენე. პარაშუტებს ტუოლიად ნუ ბარჩკავ.

მორჩილამ მალაკიას ნათქვამი იწყინა და ხმა აღარ გაუღია. აღარც მალაკიამ თქვა რაფე

შემეცნების კრატაცტერ
ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისმდნენ ახე მგლოვიარეებივით კარგა ხანს...

სიჩუმე ისევ მასპინძელმა დაარღვია.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა სტუმარს.

— ახლა? — თავი მოიკეკვა მორჩილამ. — დღესვე უნდა გადამბატონოს!.. კალი მიეკარა ერთი. უნდა მოვძებნო და პატიება ვთხოვო, რომ ვაწყენინე...

— თუ გიყვარდა, რატომ აწყენინე? — დაცინა დალაქმა ცეცხლო�rაგზს.

— რომ ვაწყენინე, მერე მივხვდი, მიყვარხარ! — თავი იმარცხა მორჩილამ და ხაკუთარ გონებას დაეკითხა, რაებს ებოდაკ?''

— კარგი ეროთ! — ხელი ჩაიქნია მალაკიამ. — ნაკრძალში კალებიკ არიან თუ?

— ეეეეჰ! — ამოოხრა მორჩილამ და ეპრს გაუშტერა მზერა. — ეგ გრძელი ამბავია; ოდესმე მოგიცლი და მოგიყვები.

— არ მომიყვები და არც გადაგაბატონებ! — წამოიძახა მალაკიამ და ზეზე წამოხტა. — ჯერ მომიყვები, თითი დაუქნია მორჩილას. — ჰო, ჯერ მომიყვები და მერე მე გადაგწყვეტ. ღირს თუ არა პარაშუტის დახარჯვა. მეტს კი არაფერს მხაუვდეურობს მამაჩემი!

— კარგი! — დათანხმდა მორჩილა, სკამზე შეხტორცა. ფეხი-ფეხზე გადაიდო და დაიწყო, მაშ, ახე...

ყვებოდა თავისი ხეტიალის, განცდილის და განსაცდელის ამბავს რამდენადაც შეეძლო დიწყად და ეუღლდეგმლად... უნდოდა მოგზაურობის რომელიმე ეპიზოდი შეეკვეცა და ამით თხრობა შეემოკლებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა (მახსოვრობა არ აძლევდა რაიმეს გამოტოვების საშუალებას და მოგზაურიც ყვებოდა წვრილად, დეტალურად, სიტყვახიტყვით და ნაბიჯ-ნაბიჯ).

ლურთების ამბავს რომ ყვებოდა, მალაკიას ცოლ-შვილი შემოესწრო. მორჩილას თხრობა არ შეუწყვეტია... მასპინძელმა ხელით ანიშნა ოჯახის წევრებს, ხმა არ ამოეღოთ, და თვითონაც გიჰაბა... დალაკის ცოლმა და ცოცხმა მალაკიამ ფეხაკრეფით მოტანეს სკამები, მოგზაურთან ახლოს დასხდნენ და მის თხრობას ყური მიუგდეს.

ვეროკიას ამბავზე მალაკიას ცოლს ცრემლები წასკდა და ხამზარეულოში გაიკრძალა გოდება...

მალაკია წარბშეკრული ისმენდა ნაამბობს და ერთხელაც არ ჯანძრეულა...

ციცქა-მალაკია ბევრს ეკრიაფერს მიხვდა, მაგრამ როცა გიგო, რომ „ძია'' ხაშუალებეს უნდა გაფრენილიყო, დაიბარა, — პატარა ჩუგლუგი მიშოვე და ჩამომტანეო.

ისეთი ღამე იყო, უკეთესს მამა-მალაკიაც კი ვერ ინატრებდა.

ნახტომის წინ მორჩილამ კიდევ ერთხელ სთხოვა მალაკიას, რომ კატაპულტი ისევ რაოდენთ მოემართა, ხაბოლოოდ დაშვებისას ისევ აკაციის ტოტებში არ გახლართულიყო...

მასპინძელმა მოგზაურის თხოვნა გაითვალისწინა.

. მორჩილა არხეინად წამოწვა კატაპულტის რკინის დაფაზე (პარაშუტი ზურგში კუნთივით ჰქონდა ამოჩრილი, მაგრამ ამ უხერხულობას არაფრად აგდებდა). დაწოლილმა ჩამოართვა ხელი მალაკიას დამშვიდობების ნიშნად.

იწვა კატაპულტზე და იღიმებოდა. ფიქრობდა, რომ მთავარი იყო, პირველი ბიჯისათვის გაეძლო. მერე კი ყველაფერი ორკერ-ორივით მარტივი იქნებოდა...

ბოლო წამს მორჩილას მაინც მოერია მღელვარება. მოიჩვენა, თითქოს დალაქი მეტისმეტად აცოდველებდა კატაპულტის ბერკეტებს და ზამბარებს...

— წერილი არ დაკარგო! მზად ხარ? — ჰკითხა მალაკიამ.

— ჰოო! — უპასუხა მორჩილამ. „ბო''-ზე ლურთები გაახსენდა და გადაიხარხარა. ამ დროს მალაკიამ ბერკეტი აუშვა და კატაპულტრეფული მოგზაური თვალის დახამხამებაში „გახარხარდა'' მახსარდიდან...

ბაერში ატეორენელს, ნაცნობი შეგრძნებები დაეპატრონა. ყირას-ყირაზე ეიმავდა და ბარხარებდა... ცოტა ხანში ტანის წონასწორობა აღიდგინა და ისარივით ავერინდა, ახლა უკვე შუბლით მიაპობდა ბაერს, თვალები დაეხუჭა და იცინოდა...

ნახტომის მწვერვალს რომ მიაღწია, მთელი ტანით შეიგრძნო, თითქოს ბაერში უძრავად დგეიდა და გუდ-ბუცელი ეკიდნა მიეკიანა — წამიერი უწონადობის განცდა, მერე დაეშვა...

შურდულივით ნახრჩო ქვასავით სწრაფად დაეშვა...

სიცილის დრო აღარ იყო — მორჩილამ პარაშუტი გაშალა. არხეინად გრძნობდა თავს. დაშვებამდე ცას შეხედა და ვარსკვლავებს თვალი ჩაუპაკუნა...

ნარნარად დაეშვა მდელოზე.

მორჩილა გამოუცდელი კაცი რომ ყოფილიყო, დაფეთხებდა და დაიწყებდა ჭეკ-ოქით ყურებას; ამასობაში მიიბერებოდა კატაპულტრეფული მისივე ზურგზანთა თავში მოხვდებოდა და სულს გაიფრთხობინებდა, მაგრამ მორჩილა არ იყო ახალბედა. დაშვებისთანავე პარაშუტის ღუდეში ჩოიხსნა, გაირბინა ოცამდე ნაბიჯი, აკაციის ძირას დადგა და დაელოდა თავის ჩასოას...

ტკივილს არ დაუგვიანია.

ბუუ! — ჩამოვარდა ციდან მორჩილას ზურგზანთა და პალტო.

„ეფიაკ, მალაკია!'' — შეაკო გუნებაში კატაპულტის პატრონი და ტკივილს მიაშორა. ზურგზანთაში ყველაფერი მთელი იყო. თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით შეკრული პალტოს, ცხაურა, არაფერი მოსვლოდა.

მორჩილა ისევ იმ აზრის ერთგული იყო, რომ „წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა...“ ამიტომაც ალარ დაუფიქრებია — მთვარის შუაზე დაკეცა პარაშუტი, ზურგჩანთას მიაბა; მერე იატაკი ყველაფერი ერთად და ზურგზე მოიკიდა.

თუმცა ბნელოდა, მაგრამ იცოდა, სადაც მიდიოდა ა, ვისთანაც მიდიოდა და სწორი გეზი აიღო (მთვარიანი ღამე რომ არ ყოფილიყო, მაინც არ ასცდებოდა გზას).

მორჩილამ კარგა ხანს იარა. ტყეთითა დალალა. ბაიბურის კედლამდე მიაღწია და მამა-მალაქიას გამოკვანძულთან შეისვენა. თავს არხეინად გრძნობდა. ადრეც ხვდებოდა, რას ნიშნავდა ცოფნა, მაგრამ ახლა მთელი არსებით გრძნობდა საკუთარი ცოფნის ძალას და დალილილობაც კი სასიამოვნოდ ეჩვენებოდა.

დიდხანს ალარ დაკოცნა გამოკვანძულთან, დაიტვინთა და გზა განაგრძო.

იარა.

ხეხილის ბაღს შემოუარა, ჭამდე მივიდა. შედგა და დაიძახა: „მამა-მალაქია!...“ კის წყალი დალია ისე, რომ ტკბილი არ მოუხსნია, მერე დაიძინა. ხსამდე ნახირი გაიარა, მიადგა მამაცი ბაიბურელის კოხს, დაკარა ტვირთი მიწაზე და ისევ დაიძახა: „მამა-მალაქია ხუთმარი მიიღეთ!.. მე-ჰეი, გარეთ გამოიხედეთ-მეთქი!...“

კოხიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მორჩილამ ფიქრა, — მოხუცს ღრმად ჩასძინებია, დრო კი არ ითმენთ.

მივიდა კართან და დაეკაკუნა — კარი არ დაემორჩილა... კიდევ ერთხელ მოსინჯა და დარწმუნდა, რომ კარი ჩაკეტილი იყო...

ჰეი, ჰეი, მასპინძელო! — ბრაბაბრუნი აუუვნა კარს მორჩილამ. — რა დროს ძილია, გაიღვიძეთ! მე აქ ღამის გასათევად კი არ მოვსულვარ! წერილია ბაიბურიდან, ჩაიბარეთ! გზა უნდა განვაგრძო. შეჭარება ძალიან!

მერე იფიქრა, — რა დროს ეხეიბინა, გაეკეკეტებ კარის ღრიჩოში და წავალო!

ამოიღო ჯიბიდან მალაქიას წერილი და მთვარის შუაზე კონვერტის გასაკეკეტებლად მოხერხებული ადგილს დაუწყო ძებნა. ცალ ხელში კონვერტი ეჭირა, მეორეს კი კარის ჩარჩოს უსწორმასწორო ზედაპირს უფათურებდა.

კარგა ხანს აფათურა ხელი.

მერე თავი ანება ფათურს და გაიჩიჩინდა. გაოცდა. ხელს ეცემინო რაზა მოსინჯა და აღმოაჩინა, რომ კარი გარეთაა ყოფილა...

გაბნინა რაზა, შეავდა კოხში, დადგა ოთახის შუაგულში და ეასიდან მოუბმო მასპინძელს, — მამა-მალაქია, ხტუმარს არ მიიღებთ?

მერე ხელი ჩაიქნია, რა დროს მასპინძელობა! გაიფიქრა და კოხიდან გავიდა.

დღესასვინ ნათელი იყო: მოხუცი წასულიყო და კარიც გარეთან გადაეკრა.

„იქნებ...“ — დაიწყო ტვინის ჭყლეტა მორჩილამ. მაგრამ ვერ ბიბეცა, სად უნდა წასულიყო სახლის პატრონი ნაშუალამევს. სიგა-რეტს მოუკიდა და კარის დირეზე ჩამოჯდა. უსიამო ფიქრები შემოეკარა, და დასკვნაც შესახამინი გამოიტანა... იმ წუთში რომ გეკითხათ, რატომ არ ტოვებ წერილს და არ მიდიხარ, თუ ეკერიკალთან მიგეჩქარებათ, გიპასუხებდათ, — რა ბრძანეთ, რა დროს ეკერიკალი, მამა-მალაქია მომეკედლა მარტოობაშია...

მორჩილამ იფიქრა, რომ დილამდე მოუცადა და დღისით მოეძებნა მამაცი ბაიბურელის საფლავი. შეიარა ტვირთი კოხში. ხელის ცეცებით მოსინჯა ტატები და ჩამოჯდა. გარეთ მთვარე მაინც ანათებდა, კოხში კი სრული ხიბნელე გაბატონებულიყო...

ტატზე გადაწვა. ზურგით კედელს მიეყრდნო და გულზელი დაიკრიფა.

ფიქრობდა.

უზომოდ ეცოდებოდა მამა-მალაქია... მოაგონდა მამაცი ბაიბურელის ნაშრომი — უმეცრების კედელში გამოთხრილი გამოკვანძული და უთვალთვალ გვრანაი. გაახსენდა, როგორ მოკრა ფი დაბერმა მამა-მალაქიისაგან საყოფილ ანჩიელი ფიქვები. ისიც მოაგონდა, როგორ უხსნიდა მოხუცი სტუმარს მეკანიკური კუბოს მოკეთედების პრინციპს ნახაზის მიხედვით... მორჩილა დარწმუნებული იყო, რომ მამა-მალაქია ჩიას პროკეკტის მიხედვით დასაფლავებდა თავს...

ოო! — წამოიძახა მორჩილამ და ტახტიდან წამოდგა. მისი ქცევა იმას ნიშნავდა, რომ გაახსენა მამა-მალაქიას ხუთანელი და აზრი („ქოხთან უნდა გავმართო მეკანიკური კუბო. სიკვდილამდე ორი-სამი დღით ადრე ჩავწვები შიგ, ასე არ სჯობია?!“ კედელთანაც ახლოს ეიქნები — ეხე იგი, ბაიბურთან... გაგიკვირდება, მაგრამ მაინც მიეკარის ბაიბური; დამუაეებულია, მაგრამ მაინც მომეხატება ფა, ვინ იცის, რაამდენჯერ!“

მორჩილა ეოიდან გავიდა. ისევი მტკაცე ნაბიჯით გაეშართა ბაიბურის უმეცრების კედლის მიმართულებით, „ჩუკა“ იყო, მამა-მალაქიას ხაფდოვაზე ხაძებნად მიეშურებოდა.

ბაიბურის დროით 4-00 იყო.

მორჩილა მივიდა და ხელით შეეხო კედელს, რომელიც ლოკოკინას ტანივით ხველი იყო, ოლონდ ნაკუნა და ნესტის სუნად ჰყარდა... შეადარა ბაიბურში კედლის ნიახლოვის შეგროძნება (ხუსხს და ჩრდილს) და უნებურად გაეღიმა...

ბაუკეკ კედელს ალმოსავლეთისაკენ.

ხაბან ნაბიჯამდე გაიარა და შედგა. იფიქრა, რომ ახე შორს მოხუცი არ დაისაფლავებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს და უკან გამობრუნდა... „ათვლის წერტილთან“ მივიდა. ერთი კი ამოიხვნეშა, მიაფურთხა კედელს და ახლა დასავლეთისკენ გაუყვა. „ათვლის წერტილიდან“ ისი ნახიჯიც არ ეკუნებოდა გაფლილი. როცა წინ, სიბნელეში მოციმციმე მანათობელი წერტილის მოკრა თვალი. შედგა და დააკვირდა — თვალი არ ატყუებდა... მორჩილა არ გახლდათ მშიშარა, მაგრამ შიშის გრძნობა მისთვის უცხო არ იყო. ფრთხილად წადგა რამდენიმე ნაბიჯი ფეხაკრეფით და მიაუარადა... მოესმა შიშინი, როგორც ხან მაფლობდა, ხან — კლებულობდა. ათოოდე ნაბიჯიც გაიარა და დაკვირდა — შიშინი უფრო გარკვეული ისმოდა, მანათობელი წერტილი უკეთ ჩანდა; მერე დამწვრის სუნი იგრძნო და თქვა, — „ააააა“ ეს იმას ნიშნავდა, რომ მორჩილა მიხვდა — მოციმციმე სინათლეს, სუნი და შიშინი პატრუქის წვის შედეგია... ჯერჯერ გამომდინარე. მორჩილამ დაამატა, რომ მეკანიკური კუბო მომამთელი იყო, მობუტი კი ჯერ არ უნდა ყოფილიყო დასაფლავებული... ამიტომ ნაბიჯი აიჩქარა და წინ გასწია.

57

მორჩილასთვის რომ გეკითხათ, ვინ არის შენთვის მამა-მალაკია, ასე მწარედ რომ გლოვობო, გიპასუხებდათ: „რა ბრძანეთ! ამა, მაგას რა კითხვა უნდა — შემეცოდა მოხუცი!“

ირიფრანგი.

მორჩილა გაშტერებული იდგა და დაჰყურებდა მიცვალებულს.

ირგვლივ სიჩუმე იდგა. მხოლოდ პატრუქის შიშინი არღვევდა განთიადის სიმუყრუეს.

მამა-მალაკია თავისი ხელით გარანდულ ფიჭვის კუბოში იწვა. ულელფრის გამართვა მოესწორო მობუტს: საფლავი გათხრილი იყო, ხეზე დაკიდებული ხის ციცხვი მიწით იყო სავსე, კუბოს ხახუნავი ცერად იდგა საფლავში და ეზად იყო მოეხუფა. მიცვალებული... ორივე პატრუქი ხმაგაწყობილად იწვოდა. მისი სუნი სულ არ ჰგავდა საკმეველის სუნს, მაგრამ ეს მიცვალებულს არ ადარდებდა — მამა-მალაკიას ხახეზე მშვიდი ირი ეფინა, პირი და თვალის ჭრილი ოდნავ ღია დარჩენოდა. ცალი ხელი მკერდზე ედო. მეორე ხელი ამოეყო და თითები კუბოს ფიცრისთვის მოეკიდებინა.

მორჩილას შეეძლო წასულიყო. მეკანიკური კუბო საათივით იყო აწყობილი და იმის საბაბს არ იძლეოდა, რომ ბნეველს ეჭვი შეეტანა მის ქმედითუნარიანობაში.

მოგზაური მაინც ეკვობდა გაუცნობიერებლად. „ოჯნდ!...“ — იწვიდა ფიცრს, მაგრამ ვერ ამოაკრავდა.

გავიდა დრო. ღილა მოაბლოდა. მზრუბში მოხრილი მორჩილა გაუნძრევლად იდგა, გაღლიფლ მგავდა. თვალის უსეები ჩაჩაკეულნოდა და ახალი ეტუობოდა.

ორივე პატრუქი იწვოდა შიშინით და ფრთხილის ხუნს აფრქვევდა.

ნუთები რჩებოდა დასაფლავებამდე.

მორჩილა მივიდა მიცვალებულთან. კუბოს ფიცარზე გააშვებინა თითები და ხელები გულზე დაუკრიფა. მალაკიას წერილი ამოიღო გულის ჯიბიდან (კონვერტი თბილი იყო) და კუბოში ჩაუცურა მიცვალებულს... მერე განზე გადგა და საშინელების მოლოდინში გაირინდა.

კუბოს პატრუქი დიწვა: თოკი გაწყდა: კუბო დაბრალ სიბრტყეზე დაუშვა, ჩასრიალდა საფლავში და ხახუნავი დაეხურა.

მორჩილამ თვალები დახუჭა და გაიფიქრა: „ადრე უნდა დამეხუჭა თვალები!“

გონებაში ციცქნა-მალაკიასგან გაგონილი „სიბრძნე“ გაახსენდა („ადამიანისთვის ყველაზე ადვილია თვალების დახუჭვა...“) მერე გონებაშივე დაჰხუტა, რომ ეს სიტყვები გაცილებით ადრე იყო ნათქვამი პირველად და იმას ეკუთვნოდა, ვისაც ახლახან დაეხურა კუბოს ხახუნავი...

ეეეეჰ! — ამოიხვნეშა მორჩილამ და ცრემლი შეიმშრალა. შეხედა სამარის ზემოთ ხის ტოტებზე გამართულ მიწით სავსე ციცხვს. ციცხვის პატრუქი იწვოდა, მაგრამ ეს ერთი და ორი წუთის საქმე არ იყო — ბოლომდე დაწვა და ციცხვის გახსნა მეტ დროს მოითხოვდა...

მორჩილას ცდა მობეზრება თუ უბრალოდ ვეღარ გაძლო ღია სამარესთან, ნელი ნაბიჯით წავიდა... დადგა, სიგარეტი გააბოლა და ალმოსავლეთს გაზედა. ზეე ამოსულიყო და დედამიწას სითბოს ჰპირდებოდა...

მოგზაურია ცოტა ხანში უკანვე მიბრუნდა, შეხედა ხეზე დაკიდებულ ციცხვს და პატრუქს დააკვირდა. მოეჩვენა, რომ ნელი იწვოდა და უკმაუოფილების ნიშნად ზეზეი შეიტეხა... მერე თოკითვე გამოგბეკუვლების შერტყვა და კუბოსკენ გააკარა ზზრა... ყველაფერი ისე იყო, როგორც მამა-მალაკიამ სიკვდილამდე დაგვგმა (მხოლოდ მიწა ჯელდა პირელი სამარეს, მიწა კი ოგვიანებდა, რადგან ციცხვი იყო დამწყვდეული და პატრუქი ბოლომდე არ დამწვარიყო ჯერ).

მორჩილა დგომით დაიღალა, ციცხვიანი ხის ძირში დაჯდა და ზზრის ზურგით მიეყრდნო. ახლა მგლოვიარეს ადარ ჰგავდა. ის იყო ჩვეულებრივი დაღლილი კაცი, რომელიც სამარის პირას იჯდა და მესაფლავეს უფრო მოგაგონებდათ...

მორჩილამ ციცხვს ახედა და საშინელების მოახლოება იგრძნო. თვალები დახუჭა და მიხვდა, რომ ციცქნა-მალაკია მართალი იყო. გაელიმა უნებურად... მერე ღიმილი პირზე შეაცივდა, გეგონებოდათ, მიიცვალოო...

თვალებდახუჭული დაელოდა ციცხვის დაცლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა elibrary.ge

დრაგმამ! — მიწის ჩამოყრის ხმა გაიგონა და ზურგით შეიგრძნო, როგორ გაიძრა განტვირთვისან ხის ტანი...

ზანტად გაიბიკა თვალები — ეძინელა. უძილობა და დაღლილობა მორეოდა ხის ძირში ჯდომისას.

ციცხვი მთლიანად დაცალილიყო. სამარე მიწით გავსებულიყო და გადავსებულიყო.

მორჩილასთვის რომ გეკითხთა, რას აკეთებო, დაიძაბენენდა და თავს დაანებებდა საკმეს... თუმცა მშვიდად ირჯებოდა. მამა-მალაკიას დახვალვების შემდეგ, ხის კოხში წვიდა, ზურგჩანთიდან ცარიელი თუნუქის მთარა ამოიღო და მაგიდაზე დადო... აშიშვლა ავტოკალაში და ფუტცელზე მხბვილი ზრიფტით დაწერა: „აკ განისვენებს მამა-მალაკია — უმეცრების კედლის პირველი დამპყარობა ბაიბურიდან!"

ფუტცელი უსტარივით დაიბეგა, მთარაში ჩაუძახა და სახურავი მიაბრახნა. საკალაბოსახელოსნაში გავიდა და იმ კუთხეს მიაკითხა, სადაც სახლის პატრონი შრომის იარაღებს ინახავდა. მოგებნა რკინის კეტი. რომელიც მოხუცს ძალაუნით გადაეკეთებინა...

მერე ძალაუნიან-მთარანიან დაბრუნდა მამა-მალაკიას სოფლავთან, ძალაუნით ქრილი გაკეთო ციცხოდან ჩამოყრილ მიწაში, ჩაიცურა მთარა და დამარხა.

38

მორჩილამ დასწავლილი გეზით იარა კედლის გასწვრივ, ჯაობამდე, მერე თანდათან გან-გან წავიდა და დაშორდა უმეცრების კედელს და ჯაობს...

გზაში გაუვლდება, მაგრამ თავშესაფარზე არ უფიქრია — მიდიოდა შეუჩერებლივ... ცოცას წაიხეშსებედა და განაგრძობდა გზას... ნისლში გამოძინნა (როგორც ყოველთვის, ზურგჩანთა ედო ხახთაშლად და ღია ცის ქვეშ ხველ ბალახზე წოლას არ უფრთხოდა).

გამოძინების შემდეგ, ყოველ შემთხვევისათვის, დანისლულ გარემოში გზა რომ არ აბნეოდა, კომპასით დაუსუტა გეზი და სვლა განაგრძო...

რაღომღაც ეგონა, რომ ზანზალაკის ხმას გაიგონებდა და რძისფერ ნისლში ნაბირს შეეფეთებოდა...

ასე არ მოხდა.

ბაიბურის ნისლეულიდან რომ გამოვიდა, უსაზღვროდ დასცემა. ტკივრი მოიხსნა, თვალები ხელით მოირრდილა და ღურთების ვაკეს გაეგო.

დაბლობში სულიერი არ ჭაჭანებდა. მდორე მდინარის იქით, შორს, სადაც მოგზაურის ბზრიალ, ღურთების დაბა უნდა ყოფილიყო, ვერაფერი დაინახა — არარაობედ თვალი ვერ მიაწყდინა.

მორჩილამ ტვირთი მოიკიდა, გიიარა, ბალიშები, მდინარის ნაპირზე ჩავიდა და დაღმა დაუყვა. კარგა ხანს იარა, დაღლას ხმლია და ბორნამდე მიაღწია.

ღურთი მწყემსების საერთო საცხოვრებელი, თავლა და თიკის რამდენიმე ზვინი ისევ ისე იდგა, როგორც ოდესღაც, როცა მორჩილამ ნახა. კაცისშვილი არ ჭაჭანებდა. ბორანი უძარავად მიმეუდებოდა ნაპირს და ადამიანის გარეშე ფუჭად და ყალბად გამოიყურებოდა.

მორჩილა მწყემსებთან სტუმრობას არ აპირებდა, მაგრამ უნდოდა რომელიმე მთაგანი ენახა და ბორნით გაღმა გასვლის უფლება ეთხოვა (რაღაცეღაც წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ გამრკვე ღურთები უარს არ ეტყოდნენ).

ზურგჩანთა და პალტო ბორანზე შეაგდო და მწყემსების საერთო საცხოვრებლისკენ აუყვა ადმართს.

შორიდან ჩანდა, რომ მორჩილა, ჯერ თავლასთან მივიდა და შეიხედა, მაშინვე გამობრუნდა და სახლის კარზე დაკაკუნა... ცოტა ხანს იუცადა, მერე გაიარა და საერთო საცხოვრებელში შეავლო...

სულ რამდენიმე წამის შემდეგ მწყემსების სახლის კარი გაიღო და მორჩილა შეურდულივით გამოვარდა გარეთ და თავქირიბმაგრეკილი დაეშვა ბილიკზე ბორნისაკენ... მდინარის ნაპირს რომ მიუახლოვდა, ძუნძულზე გადავიდა. ბორანთან მიმეული, შედგა.

დამფრთხალი და გაოგნებული სახე ჰქონდა მორჩილას. კაცი არ იყო ვინმე, რომ მისთვის გაეზიარებინა სათქმელი. უნდოდა კი. რომ დაძაბულობისა და გაკვირვებისაგან განმუზტულიყო და ეთქვა: ეს რა მოხდენილი მწყემსებს, საკუთარ სახლში ჩონჩხად ქცეულანო.

მორჩილაზე იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩონჩხად ქცეული გვამების ნახვამ, რომ ხელები აუკანკალდა და რის ვაი-ვაგლახით ახსნა დაბეული ბორანი. ძლივს ამბიდდა ზედ, მოაჯირის დაეურდნო და თავი ჩაღუნა...

ბორანი ზოზინით მიიწევდა გაღმა ნაპირისაკენ. გარინდებული მოგზაური ზურგჩანთაზე იჯდა და ხმას არ იღებდა. ვერაფერით მიმხვდარიყო, რა დაემართათ მწყემსებს...

როგორც იქნა, გავიდა გაღმა.

ზურგჩანთიდან ფეხსაცმლის სათადარიგო ზონრები ამოიღო, მერე ტკივრი ზურგზე მოიკიდა, სიმბოლურად დაიბორკა ხელები ზონრით და დაადგა არარაობისკენ მიმავალ გზას.

არარა შორს არ იყო, მაგრამ ის რამდენიმე კილომეტრი, მდინარიდან ღურთების დაბამდე, უსაზღვროდ გრძელად მოეჩვენა.

შორიდანვე შენიშნა ნიმიღოდრომი, ცისკენ აღმართული კვარცხლბეკეთ,

გზაში არავინ შეხვედრია.

ხელებდაბორკილმა მორჩილემ შეაბიჯა არარაში. აქეთ-იქით იხედებოდა, უნდოდა ვინმესთვის მოეკრა თვალი და ეთქვა: „გმრჯობთ!...“ ამაოდ არარას ირღვიებენში სულიერის ჭაჭანება არ იყო...,

მოგზაური არარას ცენტრალური მოედანზე გავიდა, დადგა და ახლად ნიმილოდრომის სვეტიერით ალმართულ კვარცხლბეკს, სადაც, ღურთების აზრით, წინასწარმეტყველი უნდა დაშვებულიყო ციდან. წითელი ჯვრით ნაშენი მოეცალინ და კვარცხლბეკი ზზად იყო მიხაგებებლად, მაგრამ ირგვლივ უკაცრიელი მდგმარება გამეფებულიყო...

მორჩილამ გაიფიქრა, მგონი გაწყდნენ საწყლებიო და თუმცა ღურთების მსოფლმხედველობას არ თანაუგრძნობდა, მაინც წინასწარ შეეცოდა...

დაბორკილი ხელები არ გაიხსნა, გაიშვირა წინ და გაბაგრძო სვლა. ჩაფარა არარას ციხეს, უკან მოიტოვა ირღვიე, მიადგა ნიმილას საცხოვრებელს, ფეხის კკრით შეაღო ჭიშკარი, გაიარა მარადმწვანე ხეებიანი ეზო, აირბინა კიბე და ფეხსაცმლის ჭვინტით დაადარბაზა კარზე.

ჩაუკეტავმა კარმა გაიჯარიალა და გაიღო.

მორჩილა უკვე შეგეზუებოდა ირგვლივ დატრიალებულ უბედურებას, ის უფრო გაუკვირდებოდა, ღურთების წინამძღოლი ცოცხალი რომ დახვედროდა. მისთვის მოულოდნელი არაფერი მომხდარა.

ნიმილას ოთახში შესულმა, უდრტვინველად დახედა ჩრნრს, რომელიც ტახტზე გაწოლილიყო (ცალი კიდურის ძვლები იატაკზე ეყარა). დაბორკილი ხელები გაითავისუფლა, ადგილზე შეტა და ტკირით შეიხრჩა. ყველაფერი ნათელი იყო — ღურთები გაშწყდარიყვნენ...

გაბრუნდა უკან, გავიდა ნიმილოდრომის მოედანს გასაპირპირ და ფეხი მოირთხა იქ, სადაც ოდესღაც ღურთი შუშებისათვის ბაგიდი იდგა სასადილოდ...

სადილობდა და ჭამნდებოდა ყველაფერი ისე, შარავანდში ნანახ ნიშნარში კინოფილმი რომ იხილა. სტატიკური სცენები-ფოტოები: „მორჩილი და ნიმილა“, „მორჩილა, მრისხანე და ჩუგლუგი“ „მორჩილა წითელი ჯვრებით“ და ახე შემდეგ...

ჭამა რამდენიმე წუთში მოათავა, ადგა, აიკიდა ტკირთი და ჭმა გაგაგმრო...

მორჩილა წინ მიიწევდა.

ᲐᲗ

ულელტეხილზე გაეთოდა. მაგრამ ამან ვერ დააბრკოლა. ოოვლსაც გაუძლო და ყინვასაც. საკუთარი პალტო და ჩექმები ისე ვერ ეობობდა, როგორც ღურთული ქურქი და ფეხსაცმელი, მაგრამ ეს მორჩილასათვის ბეგრს არაფრის ნიშნავდა. მისთვის მთავარი იყო შარავანდა — ბიზანი.

თავქვე დაშვება გაუოოლდა და ფეხსაცმელ იგრძნო, როგორ გაგიდა ზამთრიდან და როგორ შეეფდა გაზაფხულში, მერე კი — მეტამორფოზორიუმში...

ადრე მორჩილამ თოვლით გადაპენტილი ნაბა აკვარუმის და მეტამორფოზორიუმი ახსოვდა. როგორც შავ-თეთრი კადრი (სიზმრისეულ კინოფილმის ეურნალშიც იგივეენაირი ფოტოები ნაბა).

ახლა?

ახლა მეტამორფოზორიუმში გაზაფხული იდგა და სულაც ადარ იყო თვალშისაცემი შავი ასოალტი. გაზონები მწვანედ ამბინებულიყო, თეთრ შენობებს ცისფერი სახურავები ერქვათ თავზე...

ი! — ალმოხდა გაკვირვებულ მორჩილას და სვლა განაგძონ. ოდნავადაც არ აინტერესებდა, უთვალთვალებდა თუ არა ვინმე. თოფიანი დარაჯის სწავლებაც არაფერში სპირდებოდა — პირდაპირ ფუნიკულიორის სადგურისაკენ წავიდა.

რეტტორანს რომ გაუსწორდა, თვალი მაინც გაეკეცა ვიტრინისკენ, თუმცა არც ყასიდას ნახვა უნდოდა და არც დალეკვა.

ბატონო მორჩილა! — მოესმა ხმა და ეცნო.

შედგა, მიბრუნდა.

ტრტორანის ღია კარში ოფიციანტე-მზარეულ-შეეიცარ-ინსტრუქტორ-დისკეოკეი იდგა და ულიმოდა. მობრძანდით! — მიიპატიჟა მოგზაური.

მორჩილა შეეოოყმანდა, მაგრამ მიპატიჟება მაინც მიიღო.

— მობრძანდიიით! — ხელი ჩამოართვა ყასიდან და შეიპატიჟა.

—არა, არა, მიპატიეთ, მაგრამ დრო არა მაქვს! — იუარა მორჩილამ.

— როგორ არის საქმე, ბატონო მორჩილა, ჯანმრთელობაზე გეკითხებით; რა თქმა უნდა, კარგად!

— კი!

— შარავანდაში მობრძანდებით, რასაკვირველია!

— კი, ბატონო!

— საიდან მობრძანდებით, ბატონო მორჩილა?! მაშინაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა რაღაც ვერ აეწყო (ვერ დავაწლოვდეთ!). შინიდან მობრძანდებით, რა თქმა უნდა!

ყასიდას შეკითხვა-პასუხებმა დაღლილი მორჩილა უარეს მოქანცა. იფიქრა, ავდგები და უფასაოაოოდ მივადგებეს, მაგრამ პირიქით კი გადაკეთა — შეჩერა რესტორანში თანამოსაუბრეს და შეთავაზებული ადგილი დაიკავა ვიტრინასთან მდგომ მაგიდასთან.

— გაიხადეთ პალტო, არ გცხელათ? გცხელათ, რა თქმა უნდა! — უთხრა ყასიდამ.

— არა, არა! — იუარა მორჩილამ, — თუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
SAKANDI

ცა, ბო! — გადაიფიქრა უცებ, პალტო გაიხადა და იატაკზე დადებულ ზურგჩანთაზე დააფინა.

— ნება მომეცით, თქვენი ტვირთი უკეთეს ადგილზე მოვთავსოთ! — ხელი წაავლო მოგზაურის ზურგჩანთას და პალტოს ყანაზედ.

— არა, არა! — ეცა ხელებში მორჩილა. „ქონება“ არ დაანება და გუნებაში დასაკვნა, რომ ყანიდან არ ენფიზმიდა.

— დალევთ? — დაიშაკრა ყანიდა. — დალევთ, რა თქმა უნდა!

— არა! — მტკიცე უარი უთხრა მორჩილამ.

— რა გიყოფთა! — ხელები გაშალა ყანიდამ; მერე მკვირცხლად მიიჩოჩა სკამი, მკვირცხლადვე დაჯდა, მკვირცხლად გადაიდო ფეხიფეზზე და მოგზაურს მკითხა: მაშ, შინიდან მობრძანდებით, რასაკვირველია!

მორჩილა დაიბნა (უკვე აღარ იცოდა, რა ეთქვა: ტყუილი თუ მართალი). ტყუილი არ იკადრა, ხელი გაიქნია იქით, სათაკა, მისი აზრით, უღირებული ფანდი ეფიფიოდა და ამიოლულლეა, — იქიდან!..

— ოოო! — წამოიძახა ყანიდამ. — ისევ ღერთებთან ბრძანდებოდით, რასაკვირველია!

მორჩილამ თავი დაუქნია.

— რას შვრებიან ღერთები? ჭამენ, ხვამენ, შრომობენ და მრავლდებიან, რა თქმა უნდა!

— ღერთები?

— ბო, ბო! ძალიან კარგი ხალხია, თუ ცუდი?

— ღერთები განუდგნენ!

— ეს რა მოიბარიან! მართალს ამბობთ? მართალს ამბობთ, რა თქმა უნდა!.. კი მაგრამ, — რით?

— ბერით ალბათ!

— ბოოო! — დაფიქრდა ყანიდა; მერე ადგა, დახლთან მივიდა, ტელეფონის აპარატს მისწვდა, თავისკენ გადმოდგა და ნომერი აკრიფა...

მორჩილას გუშანაც ჩაღაც ავი უგრძნო. იფიქრა, — „ღერთების ამბავი ყანიდამ სიგიჟეში ჩამოართვა; რეკავს, რომ მეტამორფოზორიუმში გამომამწყვდიოსო“.

აფორიაქდა. გახედა ყანიდას, რომელმაც ტელეფონით ხაუბარი დიწეო და დაამთავრა ხაში სიტყვით: „ეროოიდე-ფიქმი!“

ყანიდამ უფრმილი დაკიდა და ღიმილით მიაშურა მორჩილას.

— მირჩოვით რამე! — შეეთავაზა „ალეტნტს“. — შემიძლია შემოგთავაზოთ ძრიხის ჩაზღვრდლუელი...

— რა ბრძანეთ? — მოიღეშა მორჩილა, — არაფერი არ მინდა, ბე ნაყალ, მეჩქარება!

— არ წახვიდეთ, — ყანიდამ შეეხვეწა ყანიდა. — ძალიან მეწყინება, რომ წახვიდეთ. ახლავე მოლენ და წაგიყვანენ!

— რაო! — იყვირა მორჩილამ და ენა ეფეთქა. მოხტა.

— ნუ ღელავთ! — გაიკრიბა ყანიდა. — დამიჯერეთ, თქვენთვის სიკეთე მინდა! მირთვეთ ძრიხის ჩაზღვრდლუელი და თან მანქანას დაელოდეთ!..

— წადი შენი!.. — შეაგინა მორჩილამ. დაიხარა და ზურგჩანთის მისწვდა (წასვლა დაპირა), მაგრამ იმავე წამს, როცა ჩანთის ახალებად დაიხარა, ყანიდამ ნიშელი ხდრუზა უკანალში და მაგიდის კუნძ გაკკვება თავით...

მორჩილა რის ვაი-ვაგლახით წამოდგა. ყანიდა მზად იყო ნიხლის მოხაკნეივად, მაგრამ აღარ მოიკნია. — რატომ შემაგინეთ? უზრდელი ხართ და ამიტომ! — უთხრა მორჩილას, რომელსაც მაგიდასთან შეკახებისას ნატკენ შუბლზე თვალნათლივ წამოეფარცა კოპი.

— ახა, ძრიხის ჩაზღვრდლუელი რაღა იყო? — მორჩილამ შუბლზე მიიკრა ხელისგული და კოპის გამოშურცვას წინააღმდეგობა გაუწია.

— თქვენთან ხუმრობა არ შეიძლება? არ შეიძლება, რა თქმა უნდა! — ამბრიზა ყანიდა.

— მაგისთანა ხუმრობის!.. — აღარ დაამთავრა ხათქმელი მორჩილამ და ყანიდას გამოეთხო. ოფიციანტი წინდით აღარ დახვედრია, გაიქცა და მაგიდას შემოუტრიალა, მორჩილა არ მოეშვა...

ყანიდა ახალგაზრდა იყო და ფეხის წვერებზე ცუნცულელი ურბენდა ხან ერთ მაგიდას, ხან მეორეს და „რეკინგზეს“ ბაზადა მსუბუქად. ჩექმებში გამოწყობილი მორჩილა კი ძმაძილ დაამატებდა და სკამებს აყირავებდა დეენისას...

აქეთ-იქით ხირბილში მორჩილა დაიღალა, ყანიდა — არა.

მოგზაური შეჩერდა, მაგიდას დაეყრდნო ხელისგულებით, ამოიქშინა და დაჯარა ერთი „ძარღვიანად“ მაინც შეეგინებინა მოუხელთებელი მოწინააღმდეგე. მაგრამ ყანიდამ ისეთი რაღე უთხრა, გაოცებისაგან პირი დაადებინა.

— მეგონა, ევროკიას მოსაკითხად მოხვედითო, თქვენ კი ღერთზე უარესი ყოფილხართ!

— მეეე? — გაიკვირვა მორჩილამ და ჩამოკიდა ინავე მაგიდასთან, რომელზეც აქამდე ხელები იყო დაყრდნობილი.

— „მე“ არ უნდა მაგასს! — დატუქსა ყანიდამ მორჩილა, მიადგა და დიიწეო გადაყიარავებული სკამების წამოყენება.

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ? — ისე თქვა მორჩილამ, რომ ეპასუხა არ მოითხოვდა არავისგან.

არც ყანიდა გამოპასუხებია, რესტორანის დარბაზის მოწესრიგება განაგრძო.

მორჩილა იჯდა, მაგიდაზე პირქვე დამხობილიყო და კეფაზე შემოეწყო ხელები.

რესტორანის შეხახვლელ კართან ჩამოდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტამორფოზორიუმის თეთრი მანქანა. დარბაზში თეთრხალათიანი სანიტარი და შოფერსანიტარი შემოვიდნენ, უსიტყვოდ მიადგნენ „იდე-ფიქსიანს", ამოსდეს ხელკაფები და წამოაყენეს.

მორჩილას არც ხმა ამოუღია და არც ხელი გამოუღია...

60

— მე კანმრთელი ვარ! — ამბაედ განუცხადა სანიტრებით გარშემორტყმულმა მორჩილამ მორიგე ექიმს.

— მოითმინეთ, მორჩილა, აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი! — დაუუკავა ექიმმა.

— რაღაც კი არა, დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი. კიდევე ერთხელ გიცხადებთ პროტესტს! მე კანმრთელი ვარ! — ხმა აუკანკალდა მორჩილას (იმ წუთში მართლა ავადმყოფს ჰგავდა).

საუბარში ჩაერია მთავარი ექიმი (დარბაისელი გარეგნობის კაცი, რომელიც მთლად გაპალარავებულიყო). დარბაისელის შემრიგებლურმა კილომ მორჩილას ცოტა შედავათი მისცა და სული მოათქმევინა.

— სამედიცინო გამოკვლევაა საჭირო, მორჩილა! თქვენ ზომ ღერძებთან ბრძანდებოდით?! ისინი გაწყდნენ. შეიძლება ამის მიზეზი ესიდენია იყოს. იქნებ თქვენც ავად ხართ გადადები სენით და ჯერ არ გამოგვიდგენია? მაპატიეთ, მორჩილა, მაგრამ მეტი შეგნებულობა გმართებთ... თქვენ თუ სენი უკვე გადაგეფოთ, შარავანდში ვერ გაგიშვებთ, სანამ ან განიკურნებით!

— მე არაფერი შუაში ვარ, — ალუღლუღდა მოგზაური.

— არა ხართ მართალი! — უთხრა დარბაისელმა, — გამოგიკვლევთ და თუ მართლა კანმრთელი ხართ, ალარ დაგაკავებენ!

— კარგი, დავუშვაო, თანაბმა ვარ! — თქვა მორჩილამ. — რამდენ ხანში გამიშვებთ?

— ხან თვეში! — უთხრა მორიგე ექიმმა.

— რაო? — იყვირა მორჩილამ და ზეზე წამოვარდა. სანიტრები მისკენაგდნენ და ძალად დასვეს სკამზე.

— გაგვიფდები! — ამოიგმინა მორჩილამ. — მე შეებუღლება მითავდება. დროზე უნდა ჩავასწრო თბილისში, რა ოიცხვია დღეს?

უთხრეს.

— გაგვიფდები, გაგვიფდები! — აჩურჩულდა სახოწარკვეთილი მორჩილა; სახეზე აიფარა ხელები. მოიკუნტა და თავი მუხლებს შორის მოიკცია.

შემოეკალნენ და მარტო დატოვეს პალატაში...

სალამოს მთავარმა ექიმმა მოინახულა და დაარწმუნა, რომ პროტესტზე ხელი აეღო.

მორჩილა ნებას დაჰყვა.

დარბაისელმა წასვლა დააპირა, მაგრამ ერთ-რჩილამ შეაჩერა; — ბატონო ექიმო, როგორმე დავაჩქაროთ ეს ამბავი, ზომ შეიძლება?

— შეიძლება, თუ სენი არ შეგაერიათ, — უპასუხა მთავარმა ექიმმა. — შარავანდაში ზომები მიიღეს. ხვალ დილით ექსპედიცია წავა ღერძიანის ხეტყის სანახავად. ყველაფერი დადგინდება; მიზეზიც და შედეგიც. თქვენ კი მოიმარხეთ გმართებთ, მორჩილა! უნდა მოიცადოთ! თუ ღერძიანის დასახლებაში ეპიდემიის გამომწვევი არ აღმოჩნდა, მაშინ გზა შეგიდობისა!

—ექსპედიციის წასვლა-მოსვლას ერთი კვირა მაინც უნდა, — თქვა მორჩილამ და ერთ წერტილს გაუჯერა ზეერა.

დარბაისელმა პასუხად მხარზე მოუთათუნა ხელი, თქმით კი არაფერი უთხრა.

61

მორჩილას „ანალიზები" ჩაებარებინეს და „ბაზილატორში" გამოკეტეს.

სარკმელში აწვდიდნენ საჭმელ-სასმელს და ახლოს არ ეკარებოდნენ... ნებისთვი თუ უნებლიედ მოგზაურმა დაიწყო ფიქრი იმ დაავადებაზე, რომელმაც, მისი აზრით, ღერძები გაწყვიტა.

ალორიკეტნული იყო — ვერც დღე ისვენებდა და ვერც ღამე.

გაუთავებელმა ეჭვმა და ფიქრმა გამოფიტა და ლაბის დაავადებოფა. მისი ერთადერთი იმედი — დარბაისელის გამამხნევებელი სიტყვა, იყვიანებდა. რამდენიმე დღე ისე გავიდა, მთავარ ექიმს პაციენტი არ მოუნახულებია.

მორჩილა საგონებელში ჩავარდა. ერთხელ, (სხვას სასაკლაოდაც არ ეყოფა) თავქვეშ ხელამოდებული ჩაეძინა. გაღვიძების შემდეგ ხელი ვეღარ გაანძარა (გაბეზეებოდა და დაბუეებოდა) ეს ამბავი მისთვის სრულიად უცნობი დაავადების (ღერძიანის ჭირის) პირველ გამოვლინებად ჩათვალა; დაფრთხა, ალრიალდა და ჭკეფანა შეეარა...

იმ დილას მორჩილას კრიზისი და ზეება ერთმანეთს დაემთხვა. ალრიალებული პაციენტი საწოლზე წაჯაკეიე, ზარვალი ჩაბადეს და ნემსი გაუკეთეს... მერე დაუცადეს... როცა მორჩილამ კრესანი და ვიშვიში შეწყვიტა და ხვრინვა ამოუშვა, ისეე მარტო დატოვეს.

62

გავიდა დრო.

დადგა ნანატრი დღე, რომელიც მორჩილამ ერთბაშად ვერ აღიქვა.

სანიტარი შეეფიდა № 15 პალატაში და მიახარა, — მომზადოლაკვს, მთავარი ექიმი გიბარებთ!

პაციენტმა თითქოს ეუერდან ეურმი გაუშვა სასიხარულო ცნობა; საწოლზე იჯდა, იდაყეეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლს დაყრდნობოდა, ნიკაპი მომუშტულ ხელზე ჩამოედო, წარბები აეწიდა, თვალები ამოწყლიანებოდა და ჯერ-იქით ირხეოდა ნელ-ნელა, თითქოს გულის ამაჩუყებელ მელოდიას უსმენსო...

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. მაგრამ მისი ხაქმე და მისი შუქპათელი პიროვნება დღესაც ნათელი ხვეტივით ადგას ქართველ ერს. მან მოელი თავისი ხიცოცხლე თავისი ერის, თავისი ქვეყნის ხიყვარულს შეალია. ალექსანდრე ბახანაშვილს შვილი არ დარჩენია. მისი პატრონია მთელი ქართველი ერი, რომელსაც დაუტოვა მთელი თავისი ქონება: წიგნხაცავი და ხელნაწერები — ლაზარეკის ინსტიტუტს, მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი — „წერა-კითხვის გამავრცელებელ ხაზოგადოებას“, გარკვეული თანხა — „ქართული მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის შემსწავლელ ხაზოგადოებას“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი თვითონ იყო, ხახლი გორში — გორელი ახალგაზრდობის უფასო ხწავლა-აღზრდის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ლაშქარაძე

ეროვნული ლიტერატურა აკაკის წერილებში

ქართულ ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების განმტკიცებისათვის ბრძოლას, სათავეში დგომ ილიას თანამებრძოლთა შორის, საგანგებო ადგილი უჭირავს აკაკი წერეთელს. რომელიც თითქის ხანიცი წლის განმავლობაში თავისი მხატვრული პალიტრით თუ კრიტიკულ-პუბლიცისტიკური წერილებით ერთგულად ემსახურებოდა მშობლიურ მწერლობის განვითარებას.

აკაკის რწმენით — „ლიტერატურა ხალხისათვის სიკეთეში გადამეკვანი ხიდია და ფონი. მწერლობა არის უფლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილუსტრიდეს და უსუსტრად იმბარებოდეს საპრობლის საკეთილდღეოდ". (VI. 82). „მწერლობა — განაგრძობს იქვე აკაკი — ზნეობითი და ბენებითი მეხარკეობაა. ნაწერში, როგორც ხარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადგომა მისის სიხერ-სიმრდეთი, რომ ხალხტარო ხურათებად გადაეცეს მომავალ დროებას. და როგორც ხარკეში ის იხატება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მის გულში ჩაპყურებს, ისე პოეტის ნაწერშიაც ისას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია" (VI. 82-83).

მაგრამ, აკაკის შეხედულებით, ზნეობითი დგონებითი მეხარკეობა მწერლობისა სულაც არ ნიშნავს, მეტიც, გამორიცხავს კიდეც. სინამდვილის „პროტოკოლურ ანერილობას". „ზოგიერთი — წერდა იგი 1898 წ. „აკაკის ალბუმში" (№11) გამოქვეყნებულ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში" — საზოგადოთ იმ აზრისა არიან, როგორც სხვანაკ, ისე ჩვენშიც... „რომ რეალიზმი მოითხოვს მწერლობაში მხოლოდ პროტოკოლურ ანერილობას უმეტ-ნაკლებით, ისე, როგორც ხედავს და ეხმის მწერალს ისე, რომ იქ თავისი არ უნდა გაუჩიოს-რა... ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდა ხელოვნებით მხატვრობაზე და უბრალო ფოტოგრაფი ემკობინებოდა გამოჩენილ მხატვარ რაფაელს. მაგრამ ეს ასე არ არის, მართალია ფოტოგრაფია სწორად აღწერს, ერთ ფიირსაც არ დაკლებს, მაგრამ მაგიერთან განმაცხოველებელ სულს ვერ ჩაუდგამს იმას, რასაც მიბაძვით უახლოვდება და ხელოვანი მხატვარი კი ინსპირაცია რომ დამახასიათებელ ნიშნის აიღებს, შეუჩჩენს მისთანა ნაკმს გრძნობა-ბენების გამომეტყველებისას, რომ სულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს... ასევე უნდა ეოქვათ მწერლობაზედაც. ნიკიერმა მწერალმა სტენოგრაფიულთან კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი რაც გაიგონა, ნახა, არამედ ჩაინერა. არა, ახისა, ათასი ხიუეკა-ფრაზისაგან უნდა აირჩინოს მასალები, რომელნიც უკეი დაიახასიათებენ მისგან აღებულ ნაგანს, რასაკვირველია შემოქმედებითი ძალით" (VI.129-124).

ამ სწორ, ეკეშმარიტად რეალისტურ პოზიციაზე მდგომი აკაკი, მწერლობის უპირველეს მოვალეობად ხაზოგადოებრივი ცხოვრების კორეგირების სიმართლით ახახვის რომ მოითხოვდა, მკაცრად ბგრძნდა. როგორც ხელოვნებისადმი უტილიტარულ-ნიმილისტურ დამოკიდებულებას, ისე იმ მიმართულებას, რომლის დევიზი იყო: „ხელოვნება ხელოვნებისთვის".

თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ორივე ამ მიმდინარეობის მიმართ, აკაკის ზოგადად გადმოცემული აქვს ავტობიოგრაფიულ თხზულებაში („ჩემი თავგადასავალი"). სადაც უკვე ბანდაზეული პოეტი მოკლედ აღნიშნავს, იმ პერიოდის რუსეთის ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, როგორ იგი სამოლვაწეო ასპარეზზე გამოდის, ახასიათებს აზროვნებისა და ლიტერატურის სფეროში მომხდარ ძვრებს, საგანგებოდ ჩერდება ჩერნიშევსკის შრომაზე „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისთან" და გვაცნობს ამ ნაშრომის გავლენით წარმოშობილი ლიტერატურული მიმდინარეობებისადმი თავის პოზიციას.

აკაკის აღნიშნისამებრ ჩერნიშევსკის მრწამსმა „დიდი გავლენა იქონია მკითხველზე. ბევრს ალბენინა მუსიკაზე ხელი და მხატვრობა-ქანდაკებაც უარაყოფინა. მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარმყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე, ბევრად ნაკლები, ისე ბედაპყვნა ხელოვნებას, რომ გარდა ესთეტიკმოვალეობისა და მუსიკისა ალარა ხწამდა-რა მწერლობაში". „ჩემ ბანგრძნეგა ცხოვრებაში, — განაგრძობს აკაკი — საპირადო ეკრძოსა და ნვრილმანებში უსასიათობა გამოვრჩენე, მაგრამ დდღისა და ხაზოგადოსთვის კი ჩემს დღეში არ მიღალტებია. მწერლობაშიაც შემეძლო, რომ სხვების აყოლით, დიდ სახელი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეპოვნია, მაგრამ ჩემს რწმენებს ვერ ვუღალატე და... შუა ადგილი მეკერა... სხვებსავით ზამბედერობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიეცს არად ვაგდებდი. ნიკიერ პისარევს თუმცა ვიფასებდი. მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მეკერა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ შესაცა და ეთიოლშმოვაკენა ენდა იყოს და ეკრანო, ორთა შუა მაოდს მე ჩემი გზა ჭვონდა არჩეული და მიდგიოდი წუნარად." (IV.63-64).

„ორთა შუა მაოდი" აკაკის მიერ არჩეული საკუთარი გზა, ე. ი. ეუმეზრიძის აღნიშვნისამებრ, „ეკეშმარიტი რეალიზმის გზა იყო", რომელსაც ეროგულად მიმეყვებოდა პოეტი. მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე. რეალიზმის დამკვიდრებას ეშსახურებოდა მისი მრავალფეროვანი მხატვრული პრაქტიკა; რეალიზმს იცავდა იგი კრიტიკულ-პოლემიკურ, თუ პუბლიცისტიკურ წერილებში, სადაც თავის შეხედულებათა დასაბასტაკენად ხშირად მიმართავდა მსოფლიო ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

უკეე თავის ერთ-ერთ პირველ კრიტიკულ წერილში „რამდენიმე სიტყვა" ჩაჩვეულის" შესახებ" (ეუონ. „ცისკარი", 1865 წ. № 8. 9), სადაც პოეტი კ. ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემული ანთოლოგიის უმთავრეს ღირსებად ითვლიდა, რომ იგი არის პირველი წიგნი, „რომელსაც ახია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და ეკვნის ქართველების ეკვნით" (VI. II). მკაცრად აკრიტიკებს შინაარსისაკენ დაცდილ, ეიდეო პოეზიას, რომელსაც „ბუბულის ეეფას, შაშვის სტვენას და მერცხლის ეიკეკეს" (VI.12) ადარებს, „ადამიანისა ეუოთა სმენას რომ ატკობს, მაგრამ ცხოვრების ჭირვარამისაგან გამდგარს, არაფერი აქვს საერთო ლიტერატურასთან".

„წმიდა ხელოვნების" უამრავოფელი აკაკი, მართალია, საგანგები მნიშვნელობას მხატვრული ნაწარმოების იდეურ მხრივ, მის შინაარსს ანიჭებდა, მაგრამ არანაკლებ ეურადღებას აქცევდა ფორმას. მხატვრულ ღირსებას, როგორც ჭეოთხეეფის ემოციებზე ზემოქმედების საშუალებას.

ამას ადასტურებს აკაკის შეხედულება გამოთქმული წერილებში „ჩვენს მწერლობაზე" („თეატრი", 1890, № 8, და № 10). აქ აკაკი ეხება ნ. ნიკოლაძის რეცენზიასაც „ახალი მიმმხილვა", რომელშიც გაკრიტიკებულია ეეფონალ „ეკეიდლს" პირველი ნომერი იმის გამო, რომ ტენდენციოზობისა ავსებოდ". „საინტერესოა, — წერს აკაკი, — ერთ დრო ნ. ნიკოლაძე იმ გუნდს ეკუთვნოდა, რომელიც ბაიძამოდა „ხელოვნება ცხოვრებისათვის და არა ხელოვნება ხელოვნებისთვისაო".

აკაკის აზრით, ტენდენციურობა ხელაც არაა მხატვრული ნაწარმოების ნაკლი თუ იგი „ხელოვნებურად" არის დაწერილი და თავის შეხედულების დასადასტურებლად ასახელებს გოეთეს „ფაინეეკ მეფეს". „მაგალითად. — წერს აკაკი — ავიღოთ გოეტეს ზღაპრული პიესა „რეინეეკ მელა — ერთი უკეოესი თხზულებათაგანი ემაწვილეებისათვის. ისინი ალტაცებით კითხულობენ ამ თხზულებას, მოსწონთ ფაბული მისი და სხვადასხვა პირუტყვების სასაცილოდ და უტეუერად გამოხატული ხასიათ-მოკმედება. მაგრამ ვინ არ იცის, რომ დედა აზრი ამ თხზულებისა სულ სხვა არის და იმ პირუტყვებით ავტორსა გამოპხატა მისი თანამედროვე ეეიმერელები".

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, რომელის აზრი აკაკის მრავალჯერ გამოუოქვამს სხვადასხვა ფორმით თავის კრიტიკულ-პუბლიცისტიკურ წერილებში, თუმცა პოეტი კი წერდა, რომ „ხაზოგადად მე ხელოვნებას ფიდ ეურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთანაა ფიდიო ავკარგიანობის ხაბრძოლეეულ-ხასამსახუროთ. თუ რამე ხელოვნური გამოგვსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად და შემთხვეეით მომხდარა, თვარა ისე ჩემ ფიდში არა მქონია ფიქრათ, რომ მომავლისთვის ეწერო მეთქი" — მაგრამ მას ღრმად სწვამდა, რომ „ხალხისათვის სიკეთეში გადამეყვანი ხიდი და ფონი" მარტოოდენ ისეთი ლიტერატურა შეიძლება იყოს, რომელშიც ღრმა იდეური შინაარსი მაღალმხატვრული ძალით არის გამოხატული. ამიტომაც აკაკი „შესანიშნავ ხიხულიდან" მიიჩნევდა „ნიკიერი პისარევის და ბუკაროვი ზაიცევის" მიმდეკარეთა მიერ დეკიზად ქცეული გამონათქვამს: „შეესაირის ანტონოვიჩის ჩეეჭეში სჯობიაო", რომელიც ომავ დროსეკი, რახაკეიროველია, სცდილობენენ პუშკინის დედამიწასთან გასწორებასა" (IV.68) და „წმიდაა ხელოვნებასთან" ერთად გადაჭრით უარყოფდა მეორე უკიდურესობასაც — ლიტერატურისადმი ნიმალისაკენ დამოკიდებულებას.

ამ მეორე უკიდურესობასთან დაკავშირებით აკაკის კრიტიკულ წერილთა შორის ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „მცირე შენიშვნა" („ივერია", 1901 წ. № 168), რამდენადაც აქ აკაკი თავისი შეხედულების დასასაბუთებლად იმოწმებს მსოფლიო ლიტერატურის აღიარებულ ნარმომადგენელებს.

„მცირე შენიშვნაში" აკაკი არ იზიარებს რაფიელ ერისთავის შემოქმედების ივანე გომარიელისეულ შეფასებას, რომლის მიხედვით „ხამოცდაათიან წლამდე რაფიელ ერისთავის ერთადერთი მოტივი ქალები ფა ნერსულ გზრთა დიდება იყო. ამ დროის განმავლობაში მან ფრიადდე სუსტი და ნარმავალი ნიკი გამოიჩინა, რადგანაც ცარიელი რითმა და ქება ნერსა და ნაჭეშმეთა არც ნიკსა და არც პოეზიას არ შეადგენენო" (ციტატი ამონერილია აკაკის წერილიდან VI.150. დ. ლ.).

ARCHIVE
http://Archivebeta.Sakdrive.com

აკაკი გომართელის დებულებას: „მეტად მოჰკვეთილ ჯ"რად" მიიჩნევდ, რომელიც სამოცანი წლების რუსეთში წარმოიშვა. იმ პერიოდში, როცა ჩერნიშევსკის მიერ „წმინდა ხელოვნების" წინააღმდეგ მიმართული „სიფუძვლიანი აზრით გატაცებულმა ესპარეტმა, ზაიცევმა და სხვათა, თავი ვეღარ შეიმაღრა, ზომა დაკარგეს და თითქმის სასაცილო უკიდურესობამდი ჰავალნენ! უარყეს ხაზოვადოდ ხელოვნება და დაჰმეს პოეზია უნიკო „სამამდარრაციონზეიანი" აუზეინზე მაღლა დააყენეს, რაფაელის მადონას ტაკაპუპა-აკულინენი ამჯობინეს და მიქელ-ანჯელოს მეკანდაკეობაზე მეუბრეზლობა უფრო სასურველად ალიარეს". „მაგრამ — გინაგრამაზ აკაკი — რუსეთმა დიდი ხანია მოიბადა ის ხატეკარი და დღეს იქ ამისთანას ვეღარავის იპოვიო". ჩვენზი კი ჩვენდა საჭეზაროდ კიდევ ეოფილან... ეოფნიაც და ხელოვნების უაბმეოფელნი „მამ რიცხვში თვლის აკაკი ივ. გომართელს," თორემ არ იტყოდა. რომ სატრფიალელ და საგმირო ლექსების წერას არც ნიკი უნდა და არც ეოფნიამ" (VI. 150). და მაგალითისათვის ასანელებს მსოფლიო ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებს, რომლებმაც სწორედ სატრფიალელ და საგმირო ნაწარმოებებით გაითქვეს სახელი. „პეტრარკას ლაურასადმი სატრფიალელ სონეტები, რომელთაც ხალხს გრძნობა-ეონენაში ფეხვი გაიდგეს და დაუვიწყარი გახდენენ არ ვარ ვაბუალან გომართელის აზრით, როგორც უმნიშვნელო რამ! ძველს ბერძნა მოხსენებაც თურმე უგულვრეზა ეოფილამ" — აღნიშნავს პოეტი და მიმართავს მეთხეველს: — „მაშ მსოფლიო ლიტერატურაში ჰომეროსმა, ვირგილიოსმა, მილტონმა, დანტემ, ტორკეატო ტასომ, არიოსტომ, ჰაფეზმა, ფირდოუსმა და სხვათა როგორაა მოიპოვეს ხაზვილიზეელად დაუვიწყარი სახელი, თვით ჩვენი რუსთველის „ვეფხისტყაოსანი", რომელშიაც ენა და ეროვნება შეგვეწანა, რა არის თუ არა საგმირო ეპოპეა?" (VI.150-151).

აკაკის კრიტიკულ-პოლემიკურ თუ პუბლიცისტურ წერილებში ვერაოელ მწერალთაგან ყველაზე ხშირად გვხვდება „უკვდავი შეკსპიროს" (VI. 52) სახელი". საოცრად გულთა-ბრალვ" პოეტად ჰყავს წარმოდგენილი აკაკის შეკსპირი ცნობილი ბსახიობის ერნსტო როსსის პატივისცემად გამართულ ვახშამზე წარმოთქმულ სიტყვაში.

შეკსპირს იმოწმებს აკაკი წერილში „რამდენიმე ხიტყვა ბატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ" „ვეფხისტყაოსნის გამო" („აკაკის კრებული", 1898 წ. №5).

როგორც ცნობილია, „ხამ ლეკ(ეიში" „ვეფხისტყაოსანზე" აკაკი გადმოგვცემს საჰართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა დამახასიათებელ ოვისებებს და ამ საფუძველზე ასაბუთებს: ტარიელი ქართველია, ავთანდილი — იმერელი და ა. შ. ილიამ არ გაიზიარა ეს შეხედულება.

ილია წერს: „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები ისეთივე ტიპები ჰოგად-კაცობისა, როგორც ფალსტაფი, ოტელო და ჰამლეტი.

საასფხონ წერილიდან აკაკიად ჩანს, რომ აკაკიც სწორედ ასეთივე შეხედულებისაა „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებზე და თუ მათზე, როგორც ზოგად-საკაცობრიო ტიპებზე არაფრის ამბობს, ეს გამოწვეულია იმით, რომ „ლექციებში" პოეზის მრავალფეროვან პრობლემატიკიდან ოგი ეხება მხოლოდ ერთ ნაწილს, მაგ. შორის, უნუნარეს ყოველისა, ნაწარმოების ორიგინალობის საკითხს. „მე — წერს აკაკი — ჩემი საუბარი „ვეფხისტყაოსნის გამო" ასე დავამკვიცებ: „თუმცა თვით ავტორი კი გვარწმუნებს, მაგრამ ეს ამბავი საკრსულით არ არის გადმოღებული. აქ უცხო არა არის რა და მოთხრობაში დასაზღვეული ქვეყნები მხოლოდ გადაჰარ-ბული საჰართველოს სხვადასხვა კუთხეებია; ხალხიც ქართველთა ტომია და პოეზის ბმრეგნიბე მათი წარმომადგენელნაა... ამას გარდა, ეს თხზულება არც ზნეობითი ალეგორიაა, როგორც ავთმტკიცებს ვახტანგ მეფე, არც ამაო რამ საავზნეო ზღაპარი, როგორც ამბობს ანტონ კათალიკოსი და არც საკუთრად თამარის ქება და რუსთველის პირადი გრძნობები, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ... დედაჯარი სულ სხვა: ეს გენიოსის წინასწარმეტყველებაა მარად სახელმძღვანელთო რუკად გადმოცემული! უკვდავმა მგოსანმა თვალდათვალ დაგვანახვა, რომ ვერც ტარიელი მისი გმირული პირდაპირობით, ვერც ავთანდილი — ხოკარი გამჭრიახობით და ვერც ფრიდონი მისი საკუთრული ცალ-ცალეკ ვერ გამოხსნიდნენ დაკარგულ ნეტარან-დარკაზს, თუ ერთმანეთისთვის ძმურით მხარი არ მეოიცათ და ერთი მეორის შეთანხმებით არ ემოქმედნთ".

აკაკის შეხედულებით შოთა რუსთველი ერთი იმ ეროვნულად მსოფლიო გენიოსი მწერალთაგანია, რომელნიც, ილიას აღნიშვნისამებრ, „ადამიანის ხაზოვადო ტიპსა ჰკმნიან" და რომლის პერსონაჟები, ისეთივე ზოგად ზვალენია „ზოელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო... სხვანი ამისთანანი" პოეტის ოზეანით ოის ჩვენებით, რომ ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი საკართველოს სხვადასხვა კუთხეების ზერომიდგენლენი არიან, მან ის დაასაბუთა, რასაც „ილია ამბობს მსოფლიო გენიოს მწერლებზე: „თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეეოფენის ამისთანა მწერალი, თავი-სინ ხამეკოფლიიი აკაკზინებს, თავ-ინ ხაფერავეი აფერეინებს პოეტს ეოფილ ხატნო" (დაეუფა ჩემია. ფ. ლ.). სწორედ ითქმის, რომ პოეზის პერსონაჟები „ზეცადან ჩამოვარდნილნი", „ავტორის" „ნაოცნებარნი", „ჰაერიანნი" არსებანი კი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან, არაფერ საკართველოს ნინამდეგილიდან ილებული კონკრეტულ-ეროვნულ გარემოში მოქმედი „მიწის შვილების“ განზოგადებულ ხატებს წარმოადგენენ. ისინი გვევლინებიან ზოგად-კაცობრიელ ტიპებად. „ყოველგვარ მოვლინებას თავისი წინასწარი და შემდეგი მიზეზები აქვს: ფაბმობის არ შეიძლება და, მაშასადამე, ამ საზოგადო კანონს ვერც „ეფეზხტაკაოსანი“ გადაურნმდება. რუსთველი და მისი თხზულება ვანი შეიცდან ჩამოგვეკარდა და ჯეკვნად ნიადაგი არ ჰქონია?“ „ეფეზხტაკაოსანში“ გამოხატული გმირები ნუთუ ნაოცნებარი და ბეერთვანი არიან და არა ცხოველი. ნამდვილი არსებანი? თუ ავდორს მხედველობაში მიწის შვილები არა ჰყოლოდა, მაშინ მისი „ეფეზხტაკაოსანი“ ზღაპარი იქნებოდა, მისი გმირები ბაკბაკ-დევის მსგავსი რაგ ნაოცნებანი და არა გულში ჩახარჩენი და შესაწყნარებელი პირები“. (VI. 92-94). „მე რომ ის ვიფიქრო, — განაგრძობს აკაკი, — რომ რადგანაც რუსთველს თავის გმირებში მსოფლიო, ზოგადი ტიპები გამოუსახავს და ამიტომაც ის გმირები ქართველები ვეღარ იქნებიან-მეთქი, მაშინ რა აზრის ვიქნებოდი ქართველებზე?“ და იმის დასახაბუთებლად, რომ „ეფეზხტაკაოსნის“ გმირები „ერთსა და-იმავე დროს ქართველნიც“ იყვნენ და „ხაზოგადო საკოველთაო ტიპებიც“ კვლავ შეკსარის მაგალითს პოუხმობს: „ილიოს ქეიხარი, ანუ ეორიკოლანუნი, მართალია, მსოფლიო ტიპები არიან, მაგრამ იმავ დროს ყველანუ უმალ რომელები არიან და მათ ზოგადობას ეს არა თუ უშლის რანმე. კიდეკ ეწეკვა.. ტიმონ ათინელი ბერძენია, ჰენრიკი ინგლისელი და სხვა და სხვანი“ (VI.94).

შეკსპირს და შეკსპირის ნაწარმოებთა პერსონაჟებს ახასიათებს აკაკი მრავალ წერილში, სადაც ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი დრამატურგიის მდგომარეობაა გაშუქებული. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა, ალანშვილი „ხათიჯარო შენიშვნები“ („ივერია“, 1903, №№ 214, 216, 220, 225 და 229). წერილში აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თეატრს, რომელიც „ხარკეს ჩვენი ცხოვრებისა“, რომელშაც „უნდა გატეხილი ბული გაგვიმრთელოს, გაგვიმხნოს, ჩვენი ცხოვრების აკაკრი გაგვაცოს, ბორიტი შეგვაძულოს და კეთილი შეგვაყვაროს“. მაგრამ „ეს შუხადებელიაო, — ალანშვილ აკაკი — თუ (თეატრს —დ. ლ.) ჩვენს გრძნობა-გონებასთან ენნება საქმე და მშობლიურ ნიადაგს უეტკვენ“ კა გამოიცლის“. (VI. 276). ამიტომაც აკაკი აუცილებლად მიიჩნევს ეროვნული რეპერტუარის შექმნას. „ჩვენი პიესები — წერს აკაკი — შეიძლება ბუალ-ნუალეკ გამოდგეს და ვერ უტოლდებოდეს უცხოეთის, მაგრამ რა ვუყოთ მერე? ვინ არ იცის, რომ შამპანიური ღვინო ჯობია ბუალს? მაგრამ თუ არრეკანზე შეფასდება საქმე... და ერთსა და ერთ მათგანზე საბარალისო ხელოვნებაა საქმარო იქნება. ნუალს მიეცემა უპირატესობა, როგორც აუცილებელ საჭიროებას.“ „ჩვენი... პიესებიც, — დაასკვნის პოეტი — შეიძლებით „ეროვნულ ალოსტანი“ და „ბაძლეთნი.“ ნუალია... მაგრამ რა ვქნათ, უნდოლნა არ შეიძლებაო“. (VI. 276). ამის მერე აკაკი სინანულს გამოთქვამს, რომ ბელოვნებაზე (მუსიკა, მხატვრობა) ზმრაფდ ისეთები მსჯელობენ, რომლებსაც „მისი არა გეგეგბარა“. მაგრამ განსაკუთრებით უნდა თქვას ეს ლიტერატურაზე, რომელიც „ყველაზე რთული და მრავალეკეკი. ყველაზე საბრალოა ჭვეშნი ჩავარდნილი.“ რადგან „ალალი სიტყვები გვესმინოს, ყველა მსჯელობასა ჭკისრულობს თავიანებურ მსჯავრსაც სდებს... სამუთი? კანონი? ხაკუთარი ჯირვეულობა, თავგასული ახირებულობა და მეტი არაფერი?“ (VI.276). ხეწრიდ ამით ხსნის აკაკი იმას, რომ „ზოგჯერ და უფრო ზმრაფდაც ნიჭიერებს ვვერდს აუვლიან ხოლმე მისი თანამედროვენი და უნიკოიმს კი ტაშს ეკრავენ“ (VI. 277). რაც შეეხება ვენოის შემოქმედ, „მართალია გაგვმთ მაინეკ და მაინც ბევრი არცა-რა მისი ეს-მთ-რა მის თანამედროვეებს, მაგრამ... ბენიოსობის ნაკერწკალი ისე როგორც ბაკიებულ ცრაზედ ცივ ნაკარმი ეჩიჩარდ გაბეეული ობოლი ნაკვერცხალი... ერთხელკა ანა თავს ჩიკენს და ნათელს მიმოპფენენ ბარშემო“ (იქვე).

ზემოთქმულის დასახაბუთებლად აკაკი პომერიოსთან ერთად შეკსპირს ახასიელებს — „ბეერადლა უფალს და პოეზიის ამოლონს“; რომელსაც, აკაკის მიხედვით, თანამედროვენი „როგორც დრამატურგს, ნიჭიერ მარლზე ეკი ა არა კიგინდარა ბჭკაბნელებზედაც დაბლა“ ყეენდენენ და „ორი საუკუნის განმავლობაში არავის გახსენებია.“ მეტიც „არა თუ საუკეულუოროდ ნახნავდ-ნანთოლებეფნენ, — განაგრძობს აკაკი, — თვით მეთვრამეტე საუკუნის ბრძენთა ბრძენ ვოლტერს არა გიეგეგბოდა-რა შეკსპირის პოეზიისა და ხელოვნების: მაღალ ნიჭიერ, მაგრამ უმეცარ ველორად უწოდებდა ამ მსოფლიო გენიოს, რა არის, — რატომ კლასიკურ კალაპოტში არ ჩაიყვნა მისი დრამები და რატომ გადაუხვიაო“ (VI. 277).

ერის მომავალზე დაფიქრებული პოეტი (ხელოვნებას და ლიტერატურას იმ ძალად რომ მიიჩნევდა, რომელიც ჩვენების ჭირვარამის ახსნაზეთ — ხინამდეგის მაჯიერ მხრივთა მხილებით და ერის ეთილდღეეობისათვის თავდადებულ გმირთა ღვაწლის სამაგალითოდ ჩვენებით — ხაზოგადოების ზნეობრივად გარდაქმნა შეეძლო ხალხის „ხიკეთეში გადამყვანი ხიდი და ფონი“ ეოფილიეო) თეატრს საკანგები მნიშვნელობას ანიჭებდა, „ხელოვნების ტაძრად ხამოდგრო ამბორნად და არა უბრალო გასართობად“ (VI. 278) რაცდდა და სცენას „ეროვნულ ხარკად“ თვლიდა. „რომელიც უშნშად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უტაუტრად უნდა გვიხახადეს ჩვენი ცხოვრების აკკარეს, რომ სახალხობით მოხიბლული მწვანეირეხბიანეს ხიუპარულით მივიხწრაფოდეთ და უშვერობას ზიზღით გავფრხობდეთ“ (იქვე).

თეკარის მიერ ამ როლის წარმატებით შესრულების აუცილებელ პირობად, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, აკაკის ერთგული რეპერტუარის შექმნა მიაჩნდა, მაგრამ იგი სულაც არ უარყოფდა უცხოური დრამატურგიიდან გადმოკეთებული და თარგმნილი ნაწარმოებების მნიშვნელობას და სინანულს გამოთქვამდა ქართულ ენაზე ასეთი ნაწარმოებების გადმოღების დაბალი დონის გამო. ამასთანავე აკაკი იმითაც უკმაყოფილი იყო, რომ მსახიობები და რეჟისორები თვითნებურად ეკიდებოდნენ პიესების ტექსტს.

თარგმნილ-გადმოკეთებული თუ ორიგინალური პიესებიანობაში თვითნებური დამოკიდებულების მოწინააღმდეგე აკაკი მაგალითისთვის ევრიპიელი ლიტერატურის პერსონაჟების ქართულ სცენაზე განსახიერებას იმოწმებდა. წერილში „გაიძერობის (ინტრიგების) სეზონი“ („ივერია“ 1904, №42) აკაკი წერდა: — „რატომ ახე არ ადგენენ პიესებს, როგორც ავტორებს უწერიათ? რა ნება აქვთ მოთამაშეებს, რომ ზოგს ჩკეკავენ, ზოგს თავისას უმატებენ, ამახინჯებენ პიესებს და თავის საკუთარ გემოზე ადგენენ? და არა თუ სხვების შეკსახილ პიესებიკე ვეღარ გვიცია: პეტრეზიოს მაგვიარად ეოლა კუდაბზიკა იმერელს გვიბაკავენ და ზტოკმანის ნაცვლად ჩვენებურ ბანკობიან მოთამაშეს, ენატარტალა ზუთხს მაძიებელ მოკეკვეს“. (VI. 288). ამ წერილიდან რამდენიმე ხნის შემდეგ გამოკეკუნებული „ქართეულ თეატრში“ („ივერია“, 1904 წ. №№111 და 117) იმით უკმაყოფილო პოეტი, რომ „ორიგინალიკური პიესები ჩიქოთოეული ენით არიან დაწერილი და ნათარგმნები და გადმოკეთებულები კი ბაობაროხულად გამოტყავებული“, განსაკუთრებით აღშფოთებულია რეჟისორ-მსახიობთა მიერ პიესების შეხწორება გადაკეთებით. აკაკის ცნობით, სათეატრო ბიბლიოთეკაში ორასზე მეტ პიესა ყოფილა წარმოსადგენად ნებადართული. მაგრამ „ერთ ნათამაშეკ პიესას ვერ ნახავთ ბიბლიოთეკაში, — წერს იგი. — რომ ნაწარმები არ იყოს, როგორც რეჟისორის, ეს ავტორებმა წუწალობთაც. რაც არ მოხწერნებიათ, გამოუკლიათ, გამოურიცხავთ და სამაგიეროდ, თავისი რაღაცეები ჩაუკეცრებიათო“ (VI. 298-299) და მაგალითად აკაკა შეესარის კომედიას „ეერიველის მორჩუოსაზე“ (აკაკის წერილის მიხედვით „ეაპახის მოთვინიერებაზე“) ახასელებს.

ევრიპელი ლიტერატურის პერსონაჟები, სახელდობრ ხერვანტების დონკიხოტი და შეკსპირის ფალსტაფი, გამოუეენებული აქვს აკაკის თავისდროინდელი ქართული მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის დახახასიათებლად. წერილში „ზავი ფიქრებით“ („ეკალი“, 1896, № 28) აკაკი ერთმანეთის ადარებს დონ კიხოტს („ფერმიხდილი რაინდობის ხახეს“) „ცრუ, ბაკია, მატეუარა... და იმავე დროს თავის კუკის მონა“ ფალტაფეს და „ჩვენ ნაკარეკეკიან“, რომელიც ორივესავან განსხვავდება: თუმცა ფიზიკურად ხეკასი და თავად „არავის ეტანება“, მაგრამ გონიერია, კეკეგაინებს, როგორც ფარა „დროზე ხმარობს და მოსწრებული ხერხებით არა თუ იგერიებს დევეებს. ამ ხაოცარი ფიზიკური ძალის წარმომადგენელებს, არამედ კიდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურის განვითარების შემაფერხებელ ძალად არის აღიარებული. მაგრამ აკაკი იმედიანად შესცქერის ამ „სეფით ხათალთვალო გაუკეცლართველთა და დამბინძნებულთ“ ქართული ლიტერატურის არენაზე გამოსული ახალგაზრდა მწერლებს. რომელთა „პატარ-პატარა ფსიქოლოგიური ეტიუდებით“ დიდად ქმაყოფილი პოეტი ამბობს: „ეტყვენ გულწრფელად. ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავიანი პატარ-პატარა ფსიქოლოგიური ეტიუდებით“ და, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, დაბეჯითებით აცხადებს: „ეს დღევანდელი პატარ-პატარა ფსიქოლოგიური ნაწყვეტები მამლის ყიყინოვანი განთიადის წინამორბედები არიან ჩვენ — ცხოვრების — ლიტერატურაში“ (VI. 114).

„განთიადიდან“ 17 წლის შემდეგ გამოქვეყნებული „ნაკადულში“ („თემი“, 1913 №138) აკაკი აკრიტიკებს სნეულებათ — „სახადათ... გადაქცეულ მელეკმობათ“ (VI. 205), რასაც, პოეტის აზრით, „ამბიციოზასთან“ ერთად, ზელს უწყობს „დღევანდელი პუბლიცისტები და კრიტიკოსები“, რომელთაგან „ზოგი გაუგებრობით და ზოგიც განზრახ, ბეჭიერად ხოლმე პატარ-პატარა ტიკოორებს“ (იქვე). „ეს მოლეკმობითის სენი, — განაგრძობს აკაკი, — შესაფარი და მოხახდილი, არა თუ მარტო ახალგაზრდებს და ნუსტებს შეეერებათ ხოლმე, დიდებსა და ჭკეანებსაც კი ეგრეთვეთ.“

ევროპულ ლიტერატურას იმოწმებს აკაკი „ხათხუნჯო“ პოეზიაზე თავიანი პოზიციის დასაცავად. „წერილში რედაქტორისადმი“ („ნიშადერი,“ 1908 წ. №41) აკაკი იგონებს ოცდაათი წლის წინანდელი ხალბის მამია გურიელთან, რომელსაც პოეტისთვის უჩვენებია პუშკინის „ეგვიპტური ხალამუნის“ თავისებური თარგმანი. ნთარგმანი მშვენერი იყოო, გადმოგვცემს აკაკი, მაგრამ ხაგანი არ მოუწონეო. მამიას შეკითხვაზე: მაშ არ მოგწონს ეს პოეზიიან ხაგნე თხზულება ბენეოხისათ? — აკაკის მიუგია: — „ის ოხერჩობა, ხადაც უწმინდერესი სიტყვებია ნამარი და ხაგანე სიტყვების შესაფერია ხერიგი კი მომწონს, გინდა ბენეოხის ნაწერიც იყოსო“ (VI.181) და ნიმუშად „უწმინდერი სიტყვებისაგან“ თავისუფალი და აზრიანი ოხერჩობის მეორე დღესაე მიუთანია აკაკის მამიასთან თავიანი მერანგეტრე...“ „ძველ ქალალდებში ნაპოვნი ეს ლექსი აკაკის „ნიშადურში“ გამოუქვეყნებია.

ბაინგსა და. ბარანეკოორებთან, ბერანეკეს პოეზიაზე აკაკი შედარებით ვრცელად მსჯელობს „ბიბლიოგრაფიულ „შენიშვნებში“ („ბერანეკეს ლექსები ქართულად“, „აკაკის კრებული“, 1906 წ., №2). წერილის დასაწყისში ავტორი გამოთქვამს თარგმანზე თავის მოსაზრებას, რომლის თანახმად თარგმანელმა გარდა ამისა, რომ „ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, ხალხისა, თარგმნის, ასე რომ წვრილშინაც არ უნდა გამოეპაროს“ და იგი „ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 შეკითხვა საქართველოს სამხედრო კომისარს

> როგორც მკითხველმა იცის, ახლახან საქართველოს სამხედრო კომისრად დაინიშნა გენერალი **ჯონი ფირცხალაიშვილი.**
>
> მისი დანიშვნა საბჭოთა არმიაში საგაზაფხულო გაწვევას დაემთხვა, რაც სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს რესპუბლიკის ახალ სამხედრო კომისარს.
>
> ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა მას.

კორესპონდენტი: ბატონო ჯონ! ბოლო დროს საბჭოთა კავშირის მმართველ წრეებში, კერძოდ, პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის გამოსვლებში არაერთგზის აღინიშნა, რომ საბჭოთა არმია საჭიროებს სფუძვლიან სამხედრო რეფორმას. მაინც რა ხასიათის რეფორმებია მოსალოდნელი, რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ რესპუბლიკებსა და სამხედრო უწყებას შორის დამოკიდებულებაში?

ჯ. ფირცხალაიშვილი: რეფორმის გასატარებლად, ვფიქრობ, საჭიროა, თვით რეფორმატორთა მომზადება.

სამხედრო რეფორმისათვის აუცილებელია შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ერთგვარად დანაწილება პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და საბრძოლო მმართველობათა გათვალისწინებით და პასუხისმგებლობის სფეროს განსაზღვრით, სამოქალაქო კონტროლის დაწესებით.

რეფორმის განხორციელებაში, ალბათ, დიდ როლს შეასრულებს პროფესიული არმიის შექმნა, ვინაიდან თანამედროვე სამხედრო ტექნიკა მოითხოვს მის მფლობელთა მაღალ პროფესიულ ჩვევებს და ცოდნის დონეს. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო მოსამსახურეთა წახალისებას და პიროვნების, ამ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის, დაცვის მექანიზმის სრულყოფას. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სადღეისოდ სამხედრო მოსამსახურე პრაქტიკულად მოკლებულია ბევრი კონსტიტუციური უფლების განხორციელების საშუალებას. რაც შეეხება ცვლილებებს რესპუბლიკებსა და სამხედრო უწყებას შორის, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, ყოველ შემთხვევაში, რეფორმის დაწყებამდე მოცდა მოგვიწევს.

კორესპონდენტი: რა ვითარებაა დღეს საქართველოში, საბჭოთა არმიაში საგაზაფხულო გაწვევასთან დაკავშირებით?

ჯ. ფირცხალაიშვილი: არც თუ სახარბიელო. ბევრ ქალაქსა და რაიონში ექიმები უარს ამბობენ სამხედრო სამედიცინო კომისიების მუშაობაში მონაწილეობაზე, სიმართლე გითხრათ, მე ეს არასწორად მიმაჩნია.

ბევრგან გამოიკვეთა წვევამდელთა პოზიცია: ისინი საბჭოთა არმიაში სამსახურის კატეგორიული წინააღმდეგი არიან, ახალგაზრდებს მხარს უჭერენ მშობლები. ერთი სიტყვით, ძალზე დაძაბული სიტუაციაა, ერთ მხარეს არის მოქმედი კანონი, მეორე მხარეს საზოგადოებრივი აზრი...

კორესპონდენტი: მიგაჩნიათ თუ არა, რომ რესპუბლიკებს, რომელნიც კონსტიტუციით სუვერენულ სახელმწიფოებად იწოდებიან, უნდა ჰყავდეთ თავიანთი საჯარისო ფორმირებები?

ჯ. ფირცხალაიშვილი: მიმაჩნია, რომ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს უნდა ჰყავდეთ საჯარისო ფორმირებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენტი: საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ ოფიციალურად აღიარა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1921 წლის თებერვალში ანექსირებული იქნა საბჭოთა რუსეთისაგან და დღემდე ოკუპირებული ქვეყნის მდგომარეობაში იმყოფება. ოკუპირებული ქვეყნის მოქალაქეებს კი, საეთაშორისო ნორმებით, არ ეკუთვნით სამხედრო სამსახური საოკუპაციო არმიაში. აქედან გამომდინარე, რამდენად სამართლიანია ქართველ ახალგაზრდებზე საბჭოთა კანონის გავრცელება „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“?

ჯ. ფირცხალაიშვილი: ეს საკითხი, ჩემი აზრით, მეტ სიზუსტეს მოითხოვს. თუ „საერთაშორისო ნორმებში“ თქვენ 1949 წელს ჟენევაში მიღებულ კონვენციას გულისხმობთ, გეტყვით: იქ არის ერთ-ერთი ქვეთავი „მოქალაქეთა დაცვა ომის დროს“, უფრადღება მიაქციეთ „ომის დროს“. ამ ქვეთავის 51-ე მუხლი გვაუწყებს, რომ დამპყრობელ სახელმწიფოს ეკრძალება აიძულოს დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობა იმსახურონ დამპყრობლის არმიაში!

კორესპონდენტი. ალბათ, ერთ-ერთ ჭართულ გაზეთში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის დიმიტრი იაზოვის წერილი საქართველოს ხელმძღვანელობისადმი, რომელშიც იგი მოითხოვს სამხედრო მოსამსახურეთათვის ბინების მშენებლობის დაჩქარებას საქართველოში. აქ, ალბათ, იგულისხმებიან ჯარების შემცირებასთან დაკავშირებით თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენიც. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება ეს მოთხოვნა საქართველოს დღეანდელ დემოგრაფიულ ვითარებას და პოლიტიკურ სიტუაციას?

ჯ. ფირცხალაიშვილი: რამდენადაც ვიცი, საქართველოში მეტად მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა, და თუ ბინების მშენებლობის დაჩქარებაზეა ლაპარაკი, ფფიქრობ, პირველ რიგში უნდა დაჩქარდეს სტიქიური უბედურების გამო უსახლკაროდ დარჩენილთათვის სახლების მშენებლობა.

კორესპონდენტი: წვევამდელთა, მათი მშობლებისა და საერთოდ, ქართველი ხალხის აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ, საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, საბჭოთა არმიაში გაბატონებულია შოვინიზმი. ყოველნაირად ჩაგრავენ და ავიწროვებენ არარუსი ეროვნების ჯარისკაცებს. ამ ნიადაგზე მრავალი ახალგაზრდა დაიღუპა. შეინიშნება არმიის დემორალიზაციის სხვა ნიშნებიც. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

ჯ. ფირცხალაიშვილი: მართალია, საბჭოთა არმიაში არის ჯარისკაცთა შევიწროვების ფაქტები, ამის უარყოფა არ შეიძლება. სამწუხაროდ, არის ჯარისკაცთა დაღუპვის შემთხვევებიც. შარშან, მაგალითად, საქართველოდან გაწვეული 88 ახალგაზრდა დაიღუპა. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ამ რიცხვმა უკვე 24-ს მიაღწია. ეს უდიდესი ეროვნული ტრაგედიაა, მაგრამ ვიყოთ ობიექტურნი და ყველაფერს ეროვნებათა შორის შეღლისა და უთანხმოებას ნუ დავბრალებთ. ჯარისკაცთა დაღუპვის მიზეზი სხვადასხვაა: თვითმკვლელობა, უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა, შეიძლება ითქვას „უაზარმული ხელიგნობაც“ კი.

ამას წინათ, ერთ საუბარში ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: სამხედრო საქმის პრესტიჟის დაქვეითებაში ზოგიერთ მეთაურსაც მიუძღვის „წვლილი“, ოფიცერმა ახალგაზრდა შვილივით უნდა მიიღოს, სიმკაცრე და ლმობიერება ისე უნდა შეახამოს, რომ არ დაამციროს, არ შეურაცხყოს იგი. ჯარისკაცმა უნდა იგრძნოს, რომ შენ მარტო მისი უფროსი, მეთაური კი არა ხარ, არამედ მისი პატრონიც. გრძნობ პასუხისმგებლობას მის სიცოცხლეზე, ეროვ-ქცევაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდაზე, ახალ გარემოსთან შეჩვევაზე... სამწუხაროდ, ეს თვისებები ყველა მეთაურს არ გააჩნია.

კორესპონდენტი: თქვენ, როგორც პროფესიონალი სამხედრო, ბუნებრივია, საფუძვლიანად იცნობთ საბჭოთა არმიის ცხოვრებას. ჯარისკაცებისა და ოფიცრების განწყობილებას, მათ დამოკიდებულებას ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან. მე ვგულისხმობ ეკონომიკურ კრიზისს, ე. წ. „გარდაქმნის" მიმდინარეობას, იმასაც ამბობენ, გამორიცხული აო არის სამხედრო გადატრიალებაო....

ჯ. ფირცხალაიშვილი: ჩემი ღრმა რწმენით, სამხედრო გადატრიალებაზე ფიქრი ზედმეტია, ეს არ მოხდება.

ჯარისკაცთა და ოფიცერთა განწყობილებისა რა მოგახსენოთ, როგორც ცალკეულ ინდივიდებს, განწყობილებაც ინდივიდუალური აქვთ, ზოგს ოპტიმისტური, ზოგსაც პესიმისტური, გარდაქმნას კი, როგორც სამოქალაქო ცხოვრებაში, ისე არმიაშიც ჰაკვს მომხრეები და მოწინააღმდეგეები.

კორესპონდენტი: დღეს საბჭოთა არმიაში თითქმის ალარ არიან ქართველი ოფიცრები და გენერლები. თქვენ რით ხსნით ამ ვითარებას?

ჯ. ფირცხალაიშვილი: ამ საკითხმა ნამდვილად უნდა შეგვაწუხოს და ჩაგვაფიქროს, განსაკუთრებით დღეს, როცა რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის მიმდინარეობს ბრძოლა, გვინდა შეეკმნათ საკუთარი ეროვნული საჯარისო ფორმირებები და ამ დროს გვკავს მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი ქართველი გენერალი. პოლკოვნიკები, პოდპოლკოვნიკები... ამ პროცესს თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ ამაზე მსჯელობა ახალს ვერაფერს შეგვძენს, მომავალზე უნდა ვიფიქროთ...

კორესპონდენტი: დღეს თქვენ საბჭოთა არმიის გენერალი ხართ. რესპუბლიკის კომისარიატს ხელმძღვანელობთ და, ბუნებრივია, ეს გარკვეულ მოვალეობასაც გაკისრებთ საკუთარი შეხედულებებისა და პოზიციების განსაზღვრის თვალსაზრისით. მაგრამ, როგორც ვხედავ, და აქამდეც ვიცოდი, გულგრილი არა ხართ თქვენი სამშობლოს ბედისადმი. როგორ უყურებთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და რა პერსპექტივებს ხედავთ ახლო მომავალში?

ჯ. ფირცხალაიშვილი: საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დიდი ეურადღებით ვადევნებ თვალს და დადებით მოვლენად მიმაჩნია, ამაში არაბუნებრივი, მოულოდნელი და გასაკვირი არაფერია, ყველა ჩვენთაგანი ვალდებულია თავისი ხალხის. თავისი სამშობლოს ინტერესებით იცხოვროს. მაგრამ მე სხვა რამ მაწუხებს — თუ მივაღწევთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, როგორი იქნება ჩვენი თავდაცვა, სახელმწიფოებრივი სიძლიერე, მხედრული წრთობა, სამხედრო ტექნიკა... მე მგონი, ამაზე ღირს სერიოზული დფიქრება.

კორესპონდენტი: მაინც როგორ წარმოგიდგენიათ თავისუფალი საქართველოს თავდაცვის სისტემა. ისურვებდით თუ არა ქართული არმიის გენერლობას?

ჯ. ფირცხალაიშვილი: როგორ წარმომიდგენია და როგორც უნდა იყოს — თავისუფალ, დამოუკიდებელ ქვეყანას უნდა ჰაკვდეს ძლიერი შეიარაღებული ძალები, ყველა გვარეობის კადრები, ფლოტს, სარაკეტო, საჰაერო თავდაცვის, და ა. შ. რაც მთავარია უნდა ჰაკვდეს პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეები.

რაც შეეხება საკითხს — ვისურვებდი თუ არა ქართული არმიის გენერლობას — აბა, ამას რა კითხვა უნდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენტი: როგორც ამბობენ, თქვენ სამჯოთა არმიის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა გენერალი ხართ და ყველა მორიგი წოდება ვადამდე მიგიღიათ. როგორ აღწევდით ამას?

ჯ. ფირცხალაიშვილი: მართალი ბრძანდებით. არმიაში ოცი წლის სამსახურის მანძილზე ყოველთვის მოქმედ ჯარში ვიყავი და გავიარე სამხედრო სამსახურის ყველა საფეხური, დაწყებული ოცმეთაურიდან — დივიზიის მეთაურამდე, ყველა მორიგ წოდებას მართლაც ვადამდე ვღებულობდი, ეს ალბათ იმიტომ ხდებოდა, რომ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას მუდამ მონდომებითა და პასუხისმგებლობით ვასრულებდი. ეს ის თვისებებია, რომელიც აუცილებლად საჭიროა, სადაც უნდა ვიყოთ და რასაც უნდა ვაკეთებდეთ, თუ წარმატების მიღწევა გვინდა ჩვენს მიერ არჩეულ საქმეში, ამ თვისებების გარეშე წინსვლა და წარმატება შეუძლებელია. განსაკუთრებით მინდა ეს იცოდეს და დამახსოვრის დღევანდელმა ახალგაზრდობამ.

კორესპონდენტი: ფიქრობთ თუ არა საქართველოში საბოლოოდ დარჩენას?

ჯ. ფირცხალაიშვილი: მაპატიეთ, მაგრამ ეს არცთუ აუცილებელი შეკითხვაა, რახან დავბრუნდი, მაშასადამე, დავრჩები კიდეც!

რედაქციისაგან:

როგორც მკითხველი შენიშნავდა, საქართველოს სამხედრო კომისრის საუბარში გასაგები მიზეზებით, გარკვეული თავშეკავება და ლაკონიურობა იგრძნობა. ამავე დროს, მისი, როგორც ადამიანისა და ქართველი კაცის პოზიცია ბევრ რამეში ემთხვევა ჩვენი საზოგადოების აზრსა და მისწრაფებას. ისევ დაგვრჩენია, საუბრისათვის მადლობა მოვახსენოთ გენერალ ჯონი ფირცხალაიშვილს და ვუსურვოთ ახალ პოსტზე თავისი მოღვაწეობა ქართველი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ წარემართოს.

ჭვეშოთ კი გვინდა მკითხველის ყურადღება კიდევ ერთხელ გავამახვილოთ იმ მძიმე და დაძაბულ ვითარებაზე, რაც ბოლო დროს იქმნება საბჭოთა არმიაში ქართველი ახალგაზრდობის გაწვევასთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნული მოძრაობა სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ არ უნდა იმსახუროს საბჭოთა არმიაში, რომ დადგა დრო საქართველოში დაიწყოს ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბება და თუ ეს კანონიერ საფუძველზე მოხდება, რასაკვირველია, ორივე მხარისთვის უმჯობესია. ასევე, უნდა გაიხსნას სამხედრო სასწავლებლები და მომზადდეს ქართველ ოფიცერთა კადრები. ერთი სიტყვით, უნდა დაიწყოს მომავალი თავისუფალი საქართველოს დამცველი სამხედრო ძალების ჩამოყალიბება.

საზოგადოებამ ისიც იცის, რომ ეროვნულ მოძრაობაში მონაწილე ცალკეულ მამულიშვილთა ინიციატივით, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ეროვნული საჯარისო ფორმირებათა ჩამოყალიბებისათვის და არ შეიძლება ამის შეგრძნება გულს სიამაყით არ უვსებდეს ყოველ ქართველს. საბჭოთა სამხედრო გაზეთების კორესპონდენტები კი ათასგვარ სისულელეს ჩმახავენ მათს შესახებ, ლამის ფაშისტურ „მოიერიშეებად“ აცხადებენ და დღენიადაგ უდიერად შეურაცხყოფენ ქართველთა ეროვნულ გრძნობებს.

როგორც გენერალი ჯონი ფირცხალაიშვილი ბრძანებს, მდგომარეობა მართლაც ძალზე დაძაბულია: ერთ მხარეს არის საბჭოთა კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ, რომელიც ძალითაც ყველა სრულასაკოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ვალდებულია მოიხადოს სამხედრო ბეგარა, მეორე მხარეს არის ეროვნული ინტერესები და საზოგადოებრივი აზრი, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება საბჭოთა არმიაში ქართველი ახალგაზრდობის გაწვევას. ასევე, ორგვარი სიფრთხე ემუქრება ახალგაზრდობასაც: ერთი მხრივ — დაუმორჩილებლობისათვის, საბჭოთა კანონის წინაშე პასუხისმგებლობა. მეორე მხრივ — საბჭოთა არმიაში გამეფებული ბოროტმოქმედებანი, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენი შვილების სიცოცხლეს.

გასულ წელს დაიღუპა 88 ქართველი ჯარისკაცი, 24 — მიმდინარე წელს... სულ რაღაც თხუთმეტ თვეში 112 ქართველი ჭაბუკის სიცოცხლე შეუწირავს საბჭოთა სამხედრო ბეგარას, ხოლო სანამ ეს წერილი დაიბეჭდება, ვინ იცის კიდევ რამდენით გაიზრდება დაღუპულთა რიცხვი. როდემდე უნდა ითმენდეს ქართველი ხალხი თავისი შვილების განუკითხავ ყლეტას?!. ამ ტრაგიკული მოვლენის წინაშე მთელმა საზოგადოებამ ერთხმად უნდა აიმაღლოს ხმა, უნდა მოვითხოვოთ ჩვენი კანონიერი უფლებების განხორციელება. რომ ქართველმა ახალგაზრდობამ სამხედრო სამსახური საქართველოს ტერიტორიაზე მოიხადოს. მაგრამ ისეთი ფაქტებიც არის ცნობილი, როცა საქართველოში სამხედრო სამსახურის მოსახდელად დატოვებულ ჯარისკაცებზე არაქართველი ოფიცრები შურს იძიებენ, ყოველნაირად ავიწროებენ და შეურაცხყოფენ მათ. საჭიროა გაიხსნას ქართული სოფიცრო სასწავლებლები, მომზადდეს ქართველ მეთაურთა კადრები, შეიქმნას ეროვნული ნაწილები, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი არმია ხომ აუცილებელი ატრიბუტია რესპუბლიკის სუვერენიულობისა. რაზედაც დეკლარაციულად გაჰყვირიან ცენტრის იდეოლოგები.

ადამიანთა ეროვნული გრძნობების დათრგუნვის ტენდენცია, რაც დღემდე ბატონობს საბჭოთა არმიაში, თავის დროზე ეროვნული დივიზიების დაშლა-გაუქმებაშიც გამოიხატა. რასაც მოჰყვა არმიიდან ქართველ გენერალთა და ოფიცერთა მასობრივი დათხოვნა. ცენტრის ამ შორსგამიზნულმა მოქმედებამ მინიმუმამდე დაიყვანა ქართველი სამხედრო კადრებისა და სამხედრო სპეციალისტების რიცხვი. ლამის დავიწყებას მიეცეს მდიდარი სამხედრო ტრადიციები, ახალგაზრდობაში ჩაკვდა სამხედრო სამსახურისა და სამხედრო სპეციალობებისადმი სწრაფვა, რადგან მათ საშუალება არ ეძლევათ სამხედრო მოსამსახურის მძიმე ცხოვრებით: თავის ნამდვილ სამშობლოს ემსახურონ.

დღეს აქტიურად გაისმის მსჯელობა სამხედრო რეფორმის აუცილებლობაზე. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ამ რეფორმის ხასიათი, იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილებით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ოდნავადაც არ განხორციელდება რესპუბლიკების ინტერესების შესაბამისად. პირიქით კი შეიძლება მოხდეს.

ამიტომ ქართველ ხალხს დღეს ერთადერთი მისწრაფება გააჩნია: რაც შეიძლება მალე დააღწიოს თავი იმპერიის ბრჭყალებს და დაადგეს საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

ქართველი კაცის სინამდვილე

ჩვენი თავმოყვარეობა და ჩვენი პატივმოყვარეობა

ჩვენს თვალწინ თავმოყვარეობის პატივმოყვარეობად ტრანსფორმირების საშინელი პროცესი მიმდინარეობს.

თავმოყვარე კაცი მშვენიერებაა. პატივმოყვარე — სიმახინჯე.

თუ ადამიანურ ბუნებას პატიოსნება გამოეცალა, ეფეკტიანა იკარგება. პატიოსნება მთავარი პირობაა იმისათვის, კაცი იყოს რაინდული, ეფეკტიანი. ქართველი კაცის რაინდული ბუნებას სულ პატიოსნება კვებავდა. პატიოსან კაცს რაც დაემართა მეოცე საუკუნეში, ამაზე უკვე ვთქვი. შესაძლოა, თქმული გაადრმავო, გაამდიდრო, გამოელებით კი ვერაფერს გამოაკლებ. მოსალოდნელი იყო და მოხდა კიდეც ქართველის ეფეკტიანი ბუნების დეფორმირება. ის დარჩა გაბედულ, რისკიან კაცად. მაგრამ ეს ის გაბედულება და რისკია, ოვალეფ ადამიანაც რომ „ამბობს" მთელი სიცოცხლის მანძილზე. მოგეჩვენებათ კიდეც, რომ ეფეკტიანია, არ მოტეუეფდეთ. — „შეა უზის დიდი მზღვარი". როდესაც პატიოსნებას გამოვეთხოვეთ, ჩვენ ეფეკტიანობასაც გამოვეთხოვეთ. ამიტომ:

თავმოყვარეობა ჰარდილიანად დალასლასებს ქართველი კაცის სულში. უძველესი ტაძრის კედლებზე ფრაგმენტებად, ნაფლეთებად. დეკალებად შერჩენილი ფრესკების მკრთალ კონტურებს ვკვანძავს იგი. სახვალიოდ სრული გაქრობა უწერიაო. შეიძლება თუ არა მისი უწინდებური სახით აღდგენა, ამაზე საუბარი მომავლისათვის გადავდოთ. დღეკანდელი სურათია საინტერესო.

ქართველი კაცი იმდენად ამაკია, არავინ არ მიიღებს თავის თავზე, თუ ვიტყვი ქართველი უკვე აღარ არის თავმოყვარე-მეთქი. ყველა გამოხატულებაში იგულისხმების თავს და აღმორნდეს, რომ ოთხმილიონნახევარი დედიან-მამიანი თავმოყვარეა. მაშ როგორ, მე ქართველი კაცი ვარ, მე თავმოყვარე ვარ, ვიღაცას როგორ არ აქვს ამის თქმის უფლება, გამონაკლისები როგორ არ არიან. მაგრამ ვინ ქმნის დღეს ამინდს მამულში, გამონაკლისები თუ უმრავლესობა? რა თქმა უნდა. უმრავლესობა და თქვენ წარმოიდგინეთ, გამონაკლისებმა უკან უნდა წაიღონ თავიანთი სიტყვა. ცოტა მოკრძალებულად, შიშით, სიფრთხილით გაიკლონ გუფში ეზრი თავიანთ თავმოყვარეობაზე. როცა თანამემამულეთა უმეტესობას თავმოყვარეობა დაუკარგავს, გამონაკლისებს თავმოყვარეობამ ღირსებით თავის მოწონების უფლება არ უნდა მისცეს.

რამ დაგვკარგვინა თავმოყვარეობა თითოეულს ცალ-ცალე?

ცხოვრების ნირმა მოიმოქმედა ეს. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ეალბი ცხოვრებით ვიცხოვრეთ. თაღლითობის და ყალთაბანდიობის გზებით და ფოორმებით გავლილი საუკუნე და ამგვარ ხელას უკვალოდ არ ჩაუვლია. პირველი საკვლევი ტუელი რომ ვთქვით, პირველი სისხლის წვეთი მაშინ გამოვაცალეთ თავმოყვარეობას. ჩვენ კი იმდენი ტუელის თქმა დაგვკარგია! ჩვენი ერთიერთობა ტუელის შინაარსზე გავაწყვეთ და თავმოყვარეობა რა ტინის კედელი უნდა ეფოფლიეო, რეკვეეა არ დაეწყო. მართალია, გვიაძულეს, მართალია, ჩვენგან არ მომდინარეობდა, მაგრამ რა ნუგეშია შედეგისათვის მიზეზებზე ეურადღების გადატანა. კაცი მაშინ არის თავმოყვარე, როდესაც ამას მოითხოვს მისგან ცხოვრება, კვეეანა. როდესაც იგი გარეთ გადის ეოველდღე ამ ცხოვრებისა და კვეეანის რიდით, მას უნდა ჩაბედოს თვალებში, მას უნდა მოაწონოს თავი. აკ რგებს სიამაეე — შინაგანი თვისება, აკ შლის ფრთას თავმოყვარეობაც, უკვე შინაგანი, ოდინდელი ქართველი თვისება. ცხოვრებამ კი მეტეუეილად ა

-ცია, თაღლითობისა და თვალთმაქცობისაკენ უბიძგა, სხვაგვარად არ ეცხოვრებოდა, სხვანირად ელაბაკად იქცეოდა. შემოაპარა წვეთ-წვეთობით არაკაცური ცხოვრების ნირი და საათიც კი გაიწია, ყველგან ზედმეეი ბარგი აღმოჩნდა თავმოყვარეობა. თავმოყვარე ადამიანი ტუელის როგორ იეადრეს. მას კი სუ-

ფასალი, დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნთქვა უპირს ტუუელის გარშემო. ვერცერთი საქმეს ვერ მოიკვანს ბოლომდე, თუ ტუუელი არ თქვა. თუ არ მოიპარა, თუ არ ითაღლითა, თუ არ გამოსძალა... ე. ი. ურთიერთობის ქსელში არც თავმოყვარეობისათვის არ დარჩა ადგილი. ამ დროს რა ჰქნას ადამიანის ხასიათმა, მისმა ფსიქიკამ. იგი ელასტიურია, როცა დრისეულ ყოფნას არ ანებებენ, ულირსად იქცევა.

ქართველი კაცი არასდროს არ ვაკრობდა, არც ეიწეოდა, არც ყვავოდენთ. არც ციტრუსით. მეცხრამეტე საუკუნის დიდი ქართველთა წუხდა კიდეც იმის გამო, რომ ვაკარი არ გვაყვდა, სხვა მდიდრდებოდა, სხვა ითვიბდა ჩვენსავე ქვეყანაში ვაკრობით დაგროვილი ფულით ქართველ მიწებს. მეოცე საუუუნეში კი არათუ ვაკრობდა. საეკულიანტებად ვიქეცით, თითით საჩვენებელი გავდით. „საბჭოეთის დედაქალაქს" ეკრებში, მოსახვევებში, ბაზრებში დგანან ქართველი „ვაუკაცები" და ულარცხვილოდ ვაკრობენ, იმსახურებენ ზიზღსა და თავთვლუნებას. სხვებიც ვაკრობენ, სხვებიც საეკულიანტობენ, მაგრამ სხვებისგან მოჩვენებია იეენენ უმსგავსობას. ქართველისაგან კი ეს არ გაეგონათ: შენიშნავდნენ ჩვენს ბედოვლათობას, თორემ ვაკრეუანობას ვინ ჭამოგაკაბებდა. რა მოხდა, სად დაკარგა ალეხის და ალეხის შეილთა ტრადიციული თავმოყვარეობა. საერთოდ რომ არ გადიოდა ბაზარში. ახლა მთლიანად ვაკრეუანად რამ აქცია. ერთი უკიდურესობიდან მეორეში ასე უცებ როგორ გადავარდა.

ეს მოხდა დიდი ძალდატანების ფასად. მოძალადე გახდდათ „ჩვენი ქვეყნის" ტოტალური ცხოვრება. ეს იყო დიდი ძალდატანების ხანგრძლივი პროცესი. დიდხანს ეურჩებოდა ქართველი კაცი მისთვის უჩვეულო, მისთვის არასაკადრის ყოფას; მაგრამ ყოფა ყველაფერია, ის დღეა, ის ღამეა, საათია, წუთია, წამია. ერთი მხრიდან კი არ გიტევს, გარემოგიცავს, ან გეზოვება სული და მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძვები, ან სწავლთან ცოტას ცა ნიადაგ მოწყვეტილი მის ბინძურ ტალღებში ბანაობ „ღალად".

მოიპარა, გამოსძალა ეკმემა, ინფინერმა, მასწავლებელმა, ლექტორმა, მეცნიერმა, მწერალმა, გლეხმა, მუშამ... ყველანაკ და ყველაფერმა.

ერთხანს გვეგონა კიდეც, ამით ჩვენი თავმოყვარეობა არ ილახებოდა, რადგან წინანდებურად ვცემდით პასუხს მტერსა და მოყვარეს.

ძნელად შევამჩნიეთ, რომ ჩვენს თავმოყვარეობას გამოცლილი ჰქონდა ძარღვი, რომ ყველა მისი მკვეთავი ძეერფანი თვისება თალლითობისა და ყალთაბანდობის გზებზე შემდგართ გუშინ და გუშინწინ გაგვიჭა.

ახლა უნდა ვაღიაროთ, რომ თავმოყვარეობის ადგილას პატივმოყვარეობამ მოიკალათა.

თავმოყვარე კაცი. თავისუფალ. ზნეჰრულ საამშობლოს ჰირდება. მოჩვენებითობის საბაკრობი თავმოყვარე კაცი არ უნდა ეძიო, თუ სადმეა დარჩენილი. შრეებში იქნება უსათუოდ დაფლული.

ქვეუანა პატივმოყვარე ინდივიდებით ბიგნოო. თავმოყვარეობა ხ პატივმოყვარეობა ინსტიგრაციათ არის, როგორც კი ერთი მხარე ჩაიძირება, მეორე ამოყარავდება.

პატივმოყვარეები სულ თავის თავზე ფიქრობენ. საკუთარ დიდებაზე. კეთილმოწყობაზე. — უმაღლესი ბინა, უმაღლესი მანქანა, უმაღლესი ავეჯი. უმაღლესი რემონტი, საზონგადოებისაგან დღენიადაგი პატივი. არაფერს არ დაიკლებენ. პატარაც რომ დაიკლონ, ქვეუანას ამუეთქენენ.

ადამიანთა ურთიერთობა პატივმოყვარეობის რელსებზე გაიმართა. ვინც მეტად პატივმოყვარეა, ანგარიშსაც მეტად უწევენ! თუ პატივმოყვარე არ არის კაცი, შეხადლია, ეფრც შეამჩნიონ. ვინც ქვეუნისთვის იბრძვის, იმას კი არ გაიკეს, ვინც პატივმოყვარეა, იმას გაკეს ლელო ჩვენს ცხოვრებაში. ბრძოლა თავმოყვარეთა ხვედრია. სადღა იყო ბრძოლა ჩვენს ყოფაში. იყო ჩაქინდრული თავები და თავმოყვარეობის გვამები. გაჩნდა თანამდებობრივი თავმოყვარეობა, მეცნიერული პატივმოყვარეობა, მწერლური პატივმოყვარეობა, მეშჩანური პატივმოყვარეობა.

გამოიხატა ეს პატივმოყვარეობა ცხოვრების წესში, სტილში, საკარიველოს ხაზღრებს გარეთაც პატივმოყვარეებად წარეხდენთ უკეე. გამომწვევი პოზა დავიკირეთ, წესსა და რიგს არ დავეშორჩილეთ, არ ვიკადეთ საუკუნის სტილისადმი მორჩილება. იქაც პატივი რომ მოვიიხოვეთ, ცოტა სასაცილო გამოვჩნდეთ.

საკეკუნო ინტერესების სინკალულე, ეროვნული მიზნების უკონლობა, — აი, თავმოყვარეობის გაკრობის მთავარი მიზეზი, მოჩვენებითი ცხოვრების საერთო სტილთან ერთად. როდესაც საკეკუნო ინტერესები და ეროვნული მიზანი ძმლავრობს, ცხოვრების სტილიც იცვლება, მაღლდება ადამიანი, მაღლდება საქმე და შენგანაც ითხოვს, იყო სულ სხვაგვარი. იმ ქვეყნის შვილს, რომელსაც საკეკუნო ინტერესები და ეროვნული მიზანი არ მსჭვალავს, თავმოყვარეობა არ სჭირდება. სამაგიეროდ თავიხეფლება ეძლევა პირადულს, ზოგადისაგან გათიშულ კერძო ინტერესებს.

ჩნდება დიდი საფრთხე პიროვნული პატივმოყვარეობა ეროვნულ პატივმოყვარეობად მოგვეევლინოს. ამდენი კერძო, შესაძლოა, სახალხო მოვლენად განივთდეს. მაშინ უკვე გვიან იქნება! ეროვნული პატივმოყვარეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიულ პატივმოყვარეობათა უბრალო ჯამი რომ იყოს, ეს აქამდეც მოხდებოდა, მაგრამ მიძინებული ხასკვენო ინტერესები ისე ღრმად და ძძლვარე, ქვედნებების წყალობით არ ანებებს ამ ფრიცხვ ერთიერთს ერთ მასად შეიკრას და ერის სახელ წარმოსდგეს. უთვალავი, მაგრამ დადგენულია ისინი, ცალ-ცალკეა, შეუწებებელი, ერთმანეთისათვის შეიფენებელი. ცალ-ცალკე ეულელათის ჩვენი პატივმოყვარეობა.

დადგა დღის წესრიგში, დაკიბრწნოთ თავმოყვარეობა, იგი დაკარგული გვკონდა, იგი სადღაც ჩავიარეთ, ჩავაბშეთ, ჩავკალით. ახლა, პატივმოყვარეობის გვამებად ქცეულებს ვეკერის ინ ამზრთან შეგუებ, რომ თავმოყვარეობა დაკკარგეთ თითქმის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ დაგვიჯერებია, რომ ჩვენგან პრესტიჟიული ცხოვრების მოწყობა, მდიდრული ხუფრით მაგანს გასტუმრება, გაბაგიებელი ეკრძენი „თავმოწონება" თავმოყვარეობის შემადგენელი ნაწილი კი არ იყო, სულ პატივმოყვარეობის სულისკვეთებით გაღდათ ნაკარნახეკი. ამ საფრთხისაც ვერ ვგრძნობთ, რომ შესაძლოა, მთელს მსოფლიოში ეროვნულ პატივმოყვარეობად აღიქვამ ჩვენი საკეიფელი, ჩვენი მოძრაობა, ჩვენი დამოკიდებულება — უცხოელთან ჩვენი შეხვედრის ფორმები სასტუმროში, რესტორანში, თვალმიფარებულ თუ ხაზოგადოებრივ ადგილებში. უფრო დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ გვინდა ეს პატივმოყვარეობა ქართულ თავმოყვარეობად გასალდეს.

თბილისი და თბილისელობა

საქართველოს დაღუპული და დაკარიელებული სოფლები თბილისში უნდა ვეძიოთ.

რაც შეეხება მეგობრობას, ცოტაც და, ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს ქვეყანა მეგობრობის გრძნობას ისევე გამოეთხოვება, როგორც დონკიხოტი გამოეთხოვა რაინდობას. ცოტაც და მეგობრობის გაუქმებული არხების დასაბენბად ისევ მოგვიწევს ხეტიალი, როგორც დონკიხოტ ლამანჩელს მოუწია. არ გვიშველის არაფერი, თუკი კაცობრიული, ეროვნული და ადამიანური იდეალები არ ავალორძინეთ.

არავინ იფიქროს, ადამიანთა ურთიერთობის რთულ სისტემაში ნაცნობ-მეგობრობის გამორიცხვისაკენ მოვუწიდებდე ქვეყანას. როგორი მოწესრიგებულიც არ უნდა იყოს სამართლიანობა და საქმიანი კონტაქტები ქვეყანაში, პირად კონტაქტს მაინც განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. იგი ალლოს ფიზიკალური დამოკიდებულების ყინულს, ადამიანურს ხდის გარემოცვას, აიოლებს საქმის წარმატებით გასრულებას. პირად კონტაქტს ფენომენად აღიარებენ ნორმალურ ქვეყნებში. ამ მოვლენის ფსიქოლოგიურ ენერგიას უდიდეს ანგარიშს უწევენ და სადაც კი გაერევა იგი, საქმის საკეთილოდ დამოლოვებას წინასწარმეტყველებენ. პირად კონტაქტებს სახელმწიფოთა ბედი გადაუწყვეტია ზნრაფ ისეთ ცივ სფეროშიც კი, როგორიც გახლავთ დიპლომატია და პოლიტიკა.

ე. ი. პირადი კონტაქტის უარყოფა არ შეიძლება, არც არავინ უარყოფს მას. ეგ კი არა, თვით საათვალი ანუბიდ ქვეკანაშიც ადამიანთა საზოგადოება გაკეთულ ანტარაქტიდად გადაიქცეოდა. საქმიან კონტაქტებს პირადი კონტაქტები რომ არ შერეოდა, მაგრამ ყველაფერზე გადის ღვთაებრივი ზღვარი. ამ ზღვარს არავინ არ უნდა გადაადიოს.

პირადი კონტაქტები წესიერ ქვეყანაში არ არღვევს ტაქტს, არ ვვეჩხირება თვალში, ის მკაცრად აღზრდილი ჭინტლმენია — ხაზგაუსმელად, შეუმჩნეველად, სხვის გაუღიზიანებლად ირჩევა. ის ემატება საქმიან ურთიერთობას, მაეროვნებასა და სიმსუბუქეს ანიჭებს, სითბოს ახხოვებს.

რატომ ხერხდება ეს წესიერ ქვეყნებში? რატომ ვერ ხერხდება ჩვენთან?

საქმე გამართული წესიერ ქვეყანაში საათვალთ, სამართლიანობა ილწვის მთელი დატვირთვით. ყოფითი ჰარმონია დამკვიდრებული. მიდის ადამიანი დაწესებულებაში, პასუხი უნდა მიიღოს. აძლევენ ზუსტ პასუხს, ამომწურავს, დროული, ულიმიან, ამხნევებენ, თუკი გამხნევება ჭირდება, ვინც პასუხი უნდა გასცეს, ის შეუწუხებელია, — ის ადამიანია! მას პრობლემა არ აქვს. სადაც მივიდა და სადაც რა დაჭირდა, დროულად იშოვა, ფულით გაწვდა, არ აქვს პრობლემა და არაფერზე კი არის დაბოღმილი. გაღიმებას რა უნდა, როდესაც ადამიანს ეღიმება, მაგრამ შიგნით უნდა ეღიმებოდეს. ე. ი. პირადი ცხოვრება უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული. ე. ი. მას ადამიანური ეთიოლდღეობა და ბედნიერება არ უნდა აკლდეს. არც აკლიათ. ასეთ დროს იგი, ცხადია, გულით მიემსახურება საქმეს. ბატონდება საქმიანი ურთიერთობა, რადგან იმ საქმიან ურთიერთობას კეთილმოწყობილი ცხოვრების პატრონი მართავს. ეზალისება საქმე, ის საქმე უზარუნველყოფს. საქმე მისი საურდენია, იგია მისი ცხოვრების განმსაზღვრელი. ამიტომ მთელ გულს ხდების საქმეში. ურთიერთობაც ასეთ საქმეზეა საათვალთ გამართული, საქმეზეა დაყრდნობილი. არ ინვნიენ ადამიანები ერთმანეთს, ეს არ უშლის ხელს, გაუკეთებელი კეთდება, პირობა შესრულდება, განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ ადგილ და ხშირად განსაზღვრულ წუთსაც. ყოველივე ამას, ამ საქმიან ურთიერთობას ემატება პირადი კონტაქტები. ან საქმე წარმოშობს თავად იმ პირად კონტაქტებს, ან სრულიად შემთხვევითი ნაცნობობა ატოტება კონტაქტებად. კიდევ უფრო თბება ჰაერი, განწყობილება, რხილდება ადამიანთა შორის დამოკიდებულება.

რატომ ვერ ხერხდება იგივე ჩვენთან? საქმე არ არის გამართული! საქმის მექანიზმი დაშლილია. მიდის ადამიანი რომელიმე დაწესებულებაში ან პირად ან სახელმწიფო საქმეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მიიღებს წესიერ პასუხს, რადგან იმ პუნქტში ან საერთოდ ნებისმიერ პუნქტში ბუდეა მოუწესრიგებელი ყოფაცხოვრებით შეჭიროვებული ადამიანი, ადამიანი, რომელსაც უამრავი პირადი პრობლემა აწუხებს. არა აქვს ბინა, მაგალა, არ აქვია წესიერად. ვერ იშოვა ბორცი, ყველი. შაქარი, ვერ დაიკენა შვილი გზაზე... უამრავი, უამრავი! ყველაფერი პრობლემად გადაქცევია. რანაირად გინდა ასეთ კაცს მოსთხოვო წესიერი მუშაობა, ვარდი ოფლიათ გამონაკლისისა — ვის ადამიანებება იმოდენა შინაგანი კულტურა და ზრდილობა, ტაქტი და ზომა, უკან ჩაბრუნოს ულლი მობეჭნილი ბოლმა, გადაიყაროს სახიდან ღრუბელი, მოელი გაფაცებით მიეცეს სახელმწიფო საქმეს და, რაც ეკალება, პირნათლად აღასრულოს. როგორ გეტყვის ასეთი კაცი ტაბლი სიტუვას, როგორ დაიოლებს პასუხს სითბოს, რა ძალა ეეოფა, რა ენერგია, ერთი ორკეტ თუ შეიძლო, მოჩვენებითი იქნება ის ზრდილობა და ის ტაქტი, ის ღიმილი და ის სითბო. მეორე წუთს ისევ წამოეშლება შინაგანი ღრუბლები, აღღირინდება სახე. მიაწოს მეკუნეტ. თუკი მის მიერ გაცემულ ცნობას რაიმე ღირებულება გააჩნია, მაშინ მოლად კარგად მეკოლეთ, მინისტრის მოხაცდელად გადადგეკეკეთ ინ პატარა ჩინოვნიკს ფეხმტკბილი მაგიდაც. იმდენჯერ მიგიუვანთ, რამდენიც დაკირდება ფულის გამოძალვას. არიან ეკეშმარიტად პატიოსნებიც, ახეთენიც მეგზეგედნია, ერთი ეკეიმ ანალიზში ფულს არ ღებულობდა, ეს მის საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნდა. ცხოვრებისეულ პრინციპად კეკეულ მორალს თავგამოდენი იცავდა. ვინც მის პრინციპს არ იცნობდა და უცერემონიოდ სთავაზობდა ფულს, გარეთ ერეკეგბოდა: მაგრამ ეოიდა! ხახეს კარგავდა, პატიოსნების ეკრეს არ ღალატობდა! მაგრამ იმასაც დაკეკიროდი, რომ წუნარად, ღიმილით, ზრდილობიანად ვერ აკეთებდა ყოველფეს. ის დაშლილი იყო შინაგანად, რადგან მისი პატიოსნება ანომალიად აღიქმებოდა, ეკონომიკური სიდუხჭირე კი, რომელიც ბოლმად ადგა ულლზე, ხაზოკალებას არ აძლევდა, ყოფილიყო თავაზიანი ფულზე უარის თქმის დრსხაკ. აი, გაკაპასებამდე რომ იყო მისული, ის ამბელად შინაგან შიშშილს, რომელიც პატიოსნების ტკეეეობაში იტანჯებოდა. ეს მისი შინაგანი შიშშილი კიოდა!

საქმის მეკანიზმი რაკი მოშლილია და რაკი საქმე მაინც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გველოდება, რაკი ცხოვრება გვინდა, საქმიანი ურთიერთობისა და საქმიანი კონტაქტების ადგილზე ძმაკაცობა ჩავსვით — გვინდა ერთმანეთი ვაცხოროთ. აი, ჩვენი დევიზი. ახე გვაიძულა ყოფამ. პირადი კონტაქტები გამოირიცხა — იგი საქმიანი კონტაქტების ფუნქშეა ჩნდება. საქმიანი კონტაქტები ჩვენთან გამორიცხა და პირადი კონტაქტები რა ძალიან ფართოდ ბადდებოდა.

პირად კონტაქტებსა და ძმაკაცობას შორის უზარმაზარი განსხვავებაა. ჩვენს ძმაკაცობაში საქმე საერთოდ არ ურევია და პირად კონტაქტებამდე როგორ ავმაღლდებოდით. ხელმა ხელი უნდა დაბანოს და ორივემ ერთად პირი. ამიტომ ძმაკაცობის პირადი კონტაქტების კატეგორიამდე აყვანის და ამაღლების ნურავინ შეეცადოს.

განვასხვავოთ ერთმანეთისაგან საგნები.

გაბაბანდა ძმაკაცობის პრინციპით დალაგებული „ქვეყანა". ძმაკაცობითი ირიბეეენ უმაღლესი ხაბჯოს დეპუტატებსაც კი. ყველამ იცის, როგორ ხდება ეს, ეს ე. ნ. ჩაწუობა, ვინ ვის დაურეკავს, ვის ხად წამოაყენებენ კანდიდატად, შეუქმნიან ფონს, რათა გარეგნულად ყველაფერი ობიექტურად და კანონიერად გამოიყურებოდეს. წინათ შედარებით ღირსეულთ მაინც შეარჩევდნენ, რათა კანდიდატს რაღაც წონა მაინც ჰქონოდა, მერე სულ აიშვა უზნეობამ. იმაზეეე

ელიმება ღმერთს, სითუკენ მიიქცა ადამიანის სული, რა ფიქრებით არის დაკრობილი, რა შინაარსის საგნებით არის ფიქრი გარემოსილი.

დაირღვა ერის თვისობრივი შემადგენლობა, რადგან კაცს კაცის საქმე არ აბარია. ღირსეული პიროვნების შესაფერი ადგილზე მოხვედრა აკოფუებთ, ფეხიდან ნიადაგს აცლიან, რომ ეს თითო-ოროლა ადგილიც ძმაკაცებმა დიპ-ლომრონ. დაირღვა შემადგენლობა, ერის შემადგენლობა დაირღვა. რადგან უგუნურად გადაადგილდა ფენები, მძაკაცობის ფენამ ჭერმეტლად დაბურა საკვეთენო ძალების სილრმეში ფესვებ ჩაგრული ბალბანი, დაბაშო იგი.

ჩვენ ჩვენი ძმაკაცები გვგონია ნიჭიერი, უნარიანი, ღირსეული. ჩვენს ცხოვრებას არსით ვერ აუტანია ღირსეული და რომელ საკვეთენო საქმეზე, ლაპარაკი ან ძმაკაცობის ბილეკებით ერთმანეთთან მირბენინებული ეროვნული ინტერესები რა სასწაულით იქცევა ესტაფეტად. ფინიშამდე კიდევ რომ მივაღწიოთ. ფინიშამდე კი უსათუოდ მივირბენთ, თუ ასე ვიქროლეთ, მაგრამ ვაი ინ მირბენას!

სად შეაფარა თავი დღეს ნამდვილმა საქართველომ?

თანამედროვე ცხოვრების დამბინჯებულ სფეროებში, ჩვენი ხასიათის თვისებათა გადაგვარებულ ქსოვილში ჩაიძირა ჯეშმარიტი საქართველო. საძებარი გაგვიხდა იგი. სად შეაფარა თავი დღეს ნამდვილმა საქართველომ? რას ჭვევა ნამდვილი? რა არის არანამდვილი? რა გინდა გამოაცხადო არაღვიძლად, არაორგანულად, რა მოიკვეთო, ან როგორ გინდა მოიკვეთო არასაკადრისი. გაფოფრილია მახინჯი ფორმები, მახინჯი შინაარსები ჩვენი არსებობისა. როგორ გინდა გამოაცალკევო ერთმანეთისაგან ნაღდი და ყალბი. დაიხმართა გორაკალივით საქართველოს ყოფა, შეეწება მახინჯი მშვენიერს, აირია ქვეყანა, აიდგება, აითქვიფა ერთმანეთში ყ�ელი და ყველფერი. დრო დაეწყობს? თავისით მოხდება სახეკეთი ძვრები?

სადა ხარ, შენ, მართლაც უფალივით ერთადერთო სამშობლოვ, სად გეძებოს თვალმა და გულმა. მკვდარი რომ იყო, შენს შვილებს არ გასტანჯავდა ამდენი ფიქრი, ჭზებისა ძიება, მწარე ცრემლი და ცხელი სისხლი. შენთან ერთად იქნებოდნენ დახოცილები და მარადიული სიშვიდის უძირო ოკეანეში ჩაძირულნი. ჩვენი სული კი აწრიალებულია, როგორც ქარიშხალი, ძარღვები დაიკმა, მოუთმენლობით, ფორიაქით, გულს ახკდებიან ქართველები, მაჯებს იგლეჯენ ბაფფრებით, ვიღაცისა თუ რაღაცაზე მიიწევენ. საქართველო აყალეულ ზღვას დაეჭვაგა. ე. ი. შენ ცოცხალი ხარ, ოღონდ სადა ხარ შენ. ნაღდი ქვეყანა, ნაღდი ქართული სამყარო, რა აგეფარა, ნაწილ რამდენი შრე აგეფარა, რომ ასე გაგირეკა შენი დანაგვა, შენთან მოაზღოვნა. დაადაფა გულისხეთქვას პაოეტიკური ფრთები, დაელეწა ფანტაზიის ტოტები შენსაკენ ფრენისას. შენ თითქოს გაუჩინარდი. ისტორიის დამკანცველ გზაზე ბუნდები გვიკანკალებდა, ბრძები გვიცახცახებდა, მაგრამ მაინც მოგვქონდა პეშვით საკართველოს უკვდავების ზეარის წყალი, ცისფერი, კამკამა, გამჭვირვალე, სუფთა; როდის ჩაგიჩაფეთ სასოწარკეთილებმა, როდის დაგვამხო დალლილობამ გავარვარებულ ხილაზე და როდის გაგვიხსნა პეშვის ძირი, როდის გაგეწრიტა პეშვიდან საკართველოს უკვდავების ცისფერი წყარო, რა სილრმეზე ჩაიხრეტა იგი, შეეფიდნენ იმ სილრმეში ჩასვლას, რომ სადღაც ერთ ადგილზე ჩაგუბებულ წყეთებს მივაგნოთ?

რისთვისაა არ შეუფარებიათ საკართველო მწერლებს, მაგრამ საკართველოს პერმანენტული ბრძოლები ციკლურ პირთან ყველაზე სრულად გამოხატა სიმღერამ „მუმლი მუხასა". არის ამ სიმღერაში ღრმად დამარხული, იქნებ სულაც მისტიკური და სიმბოლური აზრი. თვითვადარჩენის თვისება აკოთხება მასში. წაქცეული მუხა მუმლთან ერთად წყალში რომ ჩაწვება, წყალს დაადგებს და ის მოდიდებული წყალი წარეცხავს მუხის ჯირად მოვლენილ მუმლს, არის ამ პროცესში მარადიული თვითვაწახლების ხილი ბული. ფენომენსიბრ აღორძინების დედაზრია მახში მოქცეული. მაგრამ „მუმლი მუხასა" იმედის სიმბოლოა, იმედის ანაბარა დარჩენილი ხალხი და ქვეყანა ხვალ ამ იმედსაც გამოეთხოვება. მოკმედებაა საჭირო, ის პროცესია საჭირო, — წყლის დაგუბება და ნიადგრის ქარიშხლების მიშვება მუმლზე, რომ გადარეცხოს მუხის ქსოვილში ჩამჯდარი ჭირი, სილა და მტვერი, რათა გალეწოს უბედურებანი.

მოგვაყარა და მოგვაყარა ეკოსქან სილა და მტვერი, სულ თანამედროვე ცხოვრებას უწოდებდა ყველფერს, რაც ტანს მოგვაყარა, რაც ჩაგვაცვა, რაც დაგვახურა, როგორც გაგვაკარა ქუჩაში, როგორ ქცევასაც შეგვაჭვი, რა წესითაც დაგვსვა სუფრასთან, რაგვარადაც გვასვა და გვაჭამა, რაც გვალაპარაკა. მოდიოდა და მოდიოდა „ახალი ცხოვრება", ყველფერს ზემოდან ასკუმდებოდა, ეკან ახვევინებდა ძველს. თავს ანგარიშს ვერ ვაძლევდით, მის ნებას დავყვებით, ჩაგვითრია, გარემოგვიცვა და მთელი ზედაპირი დაიპყრა. ეროვნული არსებობის მდინარეს ათასი ტოტით შეეგება, გაუკოუტდა. ათას ტოტადვე დაიბრიცა!

ნამდვილი საკართველო ამ ხნის განმავლობაში თვითსნასა და გადარჩენისათვის იბრ-

ძოდა. ცხრა ასრული დღეებთან დაკავშირებით ერთი ქალიშვილის სურათი გამოქვეყნდა პრესაში. დკას განცდილი უბედურებისაგან სახეგაკერამებული, უნებურად ეიღმოღერებული ქართველი ახალი, მაჭანის გვერდით, ხელში დროშით, მტაცე გამომტაცველნით, ლამაზი, არისტოკრატული, გოტტხელი; დგას შეუცვლელი გენი, ზუადოყოფი, რომ 19 წლის ახაშში დაკვირვებს და ოთარაანთ ქვრივივით ერთგული დარჩეს პირველი და უკანასკნელი სიკვარულისა. სწორედ ასეთი იქნებოდა ამაყი ოთარაანთ ქვრივი ახალგაზრდობაში. იმ ქალიშვილში მოქცეული იყო ქართველი ხალხის ლამაზი სული.

ხად გაკრნენ მეამბოხე რუსთაველის პროსპექტის ახალგაზრდებში ქარაფშუტა ბიჭები და გოგოები, ნარკომანები, ნახევრადნარკომანები, მთვრალები, ყავაზე მომარჩილელი უსაქმეტენი. ეს ასული, რომლისთვისაც ანანეების ალს შეუფაკლავს ულამაზესი სახე, ეული არავის ეგონოს. ზღვა სდგას რუსთაველის პროსპექტზე მისდგავარების, სპეციალურად ქალაქებსა და სოფლებში დაფანტულან ისინი, მარიან ღვთისმშობლის გუმანმა გაუნათათ გონება. ეს ერთიც რომ იყოს, არავინ იფიქროს ცოტაა! შეხედეთ მის თვალწარმტაც მრიხანე შვენიერებას და უმალ იგრძნობთ სიკვეთნ ძალას. ის ერთიც ქმარა ქვეყნის მარადიული სიფიზლის გადასარჩენად. სიბეღნიერად, არ არის მარტო. ეს „უაზროდ, უსაქმოდ" მოხეტიალე ბიჭები რა ღრმანი ყოფილან, რა ლოგიკა აქვთ, რა აზროვნება, რომ გვეგონა ქვეყნის გასაკირისა არაფერი გიგეგმიათო, სადამდე აპაჯან აზროვნება. თავიანთ თავს ჩვენს თვალწინ ბადებენ ახალ ერთიერთად. ამ უპოლიტიკო ქვეყანაში თითქოს უჩინარი მსოფლიო მერიდიანებით ისოუტავენ მსოფლიო პოლიტიკის დინებებს, აკავშირებენ ქართველ მიწასთან და ეკედენ საკუთარ სტრატეგიასა და ტაქტიკას. ცდებიან ზოგჯერ? კი არ ცდებიან, იძერწებიან, — ჩვენს თვალწინ იბადებიან პოლიტიკოსებად. ეკონომისტებად. ლიდერებად. ფერგადალეულთა თაობის ხერიოზულობამ დაადინა ყველანი. ფერგადალეულთა ცეცხლოვანებამ ამმეტყველა ტრიბუნასთან ყველანი. ცეცხლს აფრქვევენ ბაგეთაგან, შეუვალობის, ულალატობის, სიმტკიცის ბაგალითებს დაგვანახვებენ.

ერთნენ მოძრაობის ხასიათსა და შინაარსზე ხმა დრო მოგვიწევს საუბარი. აქ ქართველი ახალგაზრდობის არსში თავშეფარებულ და ოავრნენ ნამდვილი საკართველოს სულზე ვამახვილებ მეთხუთველის ყურადღებას. რამდენი თაობა წავიდა მათზე წინ ახალრეზიდან, ისინიც ახეთები იყვნენ, ალბათ ახეთები იყვნენ. ჩვენ დალიუსული გვეგონა. მხარაკეცული მათი სულები! დრო და ასაბუთებენ ზედათ წილად, თორემ ეხენიც ხომ ადერ ჩვენს თვალწინ გაცოცხლდნენ, უცეტ ჭამოდგნენ საქართველოს დაწყლულებული ზედაპირიდან. გუშინ არ იყო ქაცვას, მოძრაობას. რომ ვუწენენდით? უსაქმოთას, ნარკომანობას და ფუჭსავალობას რომ ვაბრალებთ? დღეს მხედრები არიან, გაცისკროვნებულები განსაცდელთან ვეფაკეცარი შეხვედრის წადილით. დაადარებენ საქართველოს პოლიტიკურ ვნებას; მარკვენთნ, შეეიბული ღვინით სავსე ჭიქა რომ ამახინჯებდა აკამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის დროში უპერიათ მტაცედ.

ნამდვილი საქართველო!

ეს ახალგაზრდები ოჯახებიდან მოვიდნენ, ქართულმა ოჯახმა შეინარჩუნა ტაძრის შეუვალობა! რა არ შეგზავნა ის ოჯახში ჩვენმა მახინჯმა სინამდვილემ: ფუჭსავალობის ელჩები, თვალსაკუთარები, ფუფუნების თვალთმაკცობა, მაცდუნებელი საგნები; რამდენი გადაბმარა, რამდენი გაათახსარა, რამდენი ტაძრის ჭერი დადაბერა, მაგრამ მაინც რამდენი ქართული ოჯახი მდგარა მტაცეცედ, შეუნარჩუნებია ავტონომია. — ქართული სტუმარ-მასპინძლობა, ქართული სუფრა, ქართული მოყვრობა. ეს მისოფის იყო ტრადიცია, იყო მეობა და არ გადიოდა თავისი თავიდან. როდესაც რიგი ახალგაზრდებისა, „თანამედროვეს ცხოვრების" ბანგზე დაიწუეებდა ჭიკჭიკს, შეეპარებოდა გადაგვარება, იტანჯებოდა ქართული ოჯახის ფუძის ანგელოზი. სახლში არ უნდა შეეშვა გათახსირებული მეობა — არც ვაეი, არც ქალი. იყო ბრძოლა ოჯახსა და ახალ სინამდვილეს შორის. სამარეში ჩადიოდნენ „ჭიუტი" ბუზოტები შეუფუებელად.

მიდიოდა დედა ქალი, დედა ოჯახისა. მას სოფლელსა და ჩამორჩენილს ეძახდნენ, რადგან არ ეცვა ჩექმები და ამოლებული არ ჰქონდა თვალები, ბარავდა, თოხნიდა, ზრდიდა საკონელს, წერილფეხას, მსხვილფეხას, ფრინველს. მორჩილი და მომთმენი! რიტუალის დაურეკვეველად, საყვედურის უოქმელად აცხობდა პურს, ბჭალს, ხვდებოდა სტუმარს, სწვდა დიასახლისობას. ფეხზე იდგა. სტუმარს, თუკი უცხო იყო, უკვირდა, ჩამორჩენილობად გვითვლიდა, ემანსიპირებულ ჯუნგლებს გვიწოდებდა, რადგან თავისი ქალი იმ უცხოს სუფრაზე კი არა, კისერზე ჰყავდა წამოსაკაპები. ვერ გიოგო გადამეიელმა დიასახლისის ფეხზე დგომის რიტუალი. ის კი, მარადიული დედა საქართველოსი, ამ ფეხზე ტრიალში თავისი დანაშნულების გაცხადებას ხედავდა, ერთი წამითაც არ უგრძვნია შეურაცხყოფა. დაღლას კი გრძნობდა ყოველთვის. ქალის პატივისცემა იმ რიტუალშია დანოვმული, იქ შლის და კეცავს ფრთებს მისი მშვენიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრაზე იმთავითვე ჩამოსაკუპებული დიასახლისი სუფრის წვერია უკვე და არა დედამიძი. ოჯახის შარავანდედი დიასახლისის სახეზე გადადის და არა სუფრის წვერზე. დავსვამთ ჩვენ თავის დროზე სუფრასთან ჩვენს დედებს, ცოლებსა და დებს, ის იდუმალება არ გვინდა დავკარგოთ, რაც ივარაუდება დიასახლისის ფუსფუსსა და რიტუალში.

რამდენი დეტალია ცოცხალი. თქვენ ეზოში შეხვედით. დედა ქალი გამოგეგებათ, მასპინძელი დედაქალი. მისი „მობრძანდით", „დედაშვილობას". „სკანი გოლოფიერო", და „თქვენი ჭირიმე", უბრალო რამ არავის ეგონოს. განძიან! განძი მარტოოდენ ოქრო და ბრილიანტი არ არის, აი, ის შემოგებებია განძი, ის სტილი, ქართული სტილია და იმიტომ. მერე ყოველივე ამას მოყვება ოჯახის სამყაროს გამობრწყინება თქვენს წინაშე. დაუფასებელი სალარო — გაუსწავლელი სალარო. ყოველი მისი წესი მოუხელთებელია, ხელშეუხებელი, ინსტიქტებთან ერთად ჩაბუდებული ჩვენში. ოჯახის უფროსი თავის სიმალლეზეა. იგი თავისი ოჯახის წესსა და რიგს გთავაზობთ. ნიუანსებს ისეთი მნიშვნელობა აქვს! — ოჯახი მეორე ოჯახს არ მგავს გგონია. არადა სტუმარ-მასპინძლობის წესი ერთ ძირზეა ამოსული.

არაერთი ოჯახი გაიარეს, გაფუქსავატდა. „ავაზაკი" დაიდეს ბეჭ ბინა. თანამედროვე მსოფლიო ცხოვრებად მოეჩვენათ ოჯახის უფროსებს გარეგნულებით ცხოვრება. ფფუფუნეს, ფფუქსავატეს. ასეთ ოჯახებს შვილები აუჭანყნეს. გიეკენენ, არ მიიღეს ახალი წესი, არ ასაკიც მშობლებს არაკაცური ყოფა. უბერს ქართულ გენს მამაპაპურ წესთან ახლოლტაური გამოთხოვება. თუ შვილები დალატობენ ტრადიციას, მშობლები იცავენ, თუ მშობლებს ეწყალ მხარი, შვილები უბრუნდებიან სწორ გზას.

სტუმარს ქართულად გვინდა დავხვდეთ, ზოგჯერ ამ სურვილს ვერ ეუპოვით ხოლმე ლამაზ ფორმას. ჩამორჩენილებად და ველურებად გვნათლოვენ ხოლმე. არადა, ქართულად გვინდა დავხვდეთ. ოღონდ ვერ გაგეორკვეთა ზოგჯერ ქართული დახვედრა რასა ჰქვია, და მაშინ გვეშლება, მაგრამ ქართული დახვედრა რომ გვინდა, ეს სურვილი თუ სულისკვეთებაა დასაფასებელი.

გაუჯიუტდა ახალ ყოფას ქართული სინამდვილე. თვითონ ის ახალი ყოფა აღმოჩნდა სიმახინჯე და ამიტომ გაუჯიუტდა. თორემ ივლიდა ქართული სინამდვილე ჩაობაუზრელად, აითვისებდა ახალს. შეაჯერებდა საკუთართან და არაფერიც არ დაირღვეოდა. ეს ახალი ყოფა კი, კარგად ვიცით, რაც არის. რა უყო მან შესანიშნავ ქართულ თვისებებს. მას ებრძვის ნამდვილი საქართველო. ქართველი კაცი გადაგვარებული რომ მოგეჩვენებათ ამ დროს სიმახინჯის ფორმებთან მებრძოლი ნამდვილი ქართველის შინაარსს ვპპრეტთ უხერხულ მდგომარეობაში. ეს ჯიდლის ალქმაა. ჯიდლის დროს იქერს ზზრიად ჩვენი სულიერი და ფიზიკური სტრუქტურა უხერხულ პოზას! ერთმანეთში იხლართება კუნთები და კიდურები. მორკინალთა სხეულის ფორმების გამოცალკევება ჭირს.

ასეთ დროს ქართველი კაცის ჭეშმარიტად რაინდული ბუნება მაინც ამერხებს ღირსეულ ურთიერთობას, ეიეკაცურ შეხვედრას, კეთილშობილურ ღიმილს, არისტოკრატიულ მიზგრამოგრას. მისი შინაგანი ზმაც გამოაღწევს ხოლმე ზედაპირზე და ზიმლავს მსმენელს.

ამას წინათ ანსამბლი „რუსთავი" გერმანიის ქალაქებში მოგზაურობდა. თავისი სიმღერებით მოაჯადოვა ბევრის მხილველი და ბევრის მცოდნე. ეიოდან ბოლანდიანი გერმანელი მაღალგემოვნებიანი გერმანელი მსმენელი. ეიოდან ბოლანდიანი გადაინაცვლა „რუსთავმა", ბოლანდიიდან მობრუნებულმა ავტობუსით გადმოიარა დასავლეთ გერმანიის აწ უკვე ნაცნობი რამდენიმე ქალაქი. ღამის სამ საათზე ავტობუსს, რომლითაც ანსამბლი უკან ბრუნდებოდა, ტარასზე ხალხი გადაეღო. თუმაე დაუზუსტებიათ გერმანელებს, რა დროს ბრუნდებოდა მათი საყვარელი ანსამბლი უკან და დაუდარაჯდნენ. ტრანსპარანტებით შეეგებნენ, გადმოსვეს ავტობუსიდან, ეზეს გასაპირას გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟეს, ისტუმრეს ამ ამბის შემსწრე ყველა მგზავრი და დილამდე ამღერეს „რუსთავი", რათა დამტკბარიყვნენ ღვთაებრივი ჰანგებით. ლეგენდას ბგავს? სინამდვილეა, ეგერ, ახლახანს მოხდა, დეტალურად აღგიწერა რადიოგადაცემაში შესანიშნავმა ქართველმა ვეუკაცმა, უაღრესად ნათელმა პიროვნებამ, ანსამბლის ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა ეს ეპიზოდი. მაგრამ ეს არ გახლავთ ეპიზოდი, ეს მოვლენაა. ქართული სამყაროს ახალი მოვლენა, რადგან გერმანელმა ერმა ქართველი ერის უმშვენიერესი სული დაიპატრა ღვთაებრივ სიმღერებში. ეს არ გახლავთ მარტოოდენ დიდი ხელოვნებით აღფრთოვანება. ვირტუოზობა ერთი მხარეა. ქართული სამყაროს ხმა მოისმინეს გერმანელმა კაცმა. იმ ხმას მშვენიერი არსების ყელი უნდა სივრცეში გასაუვანად. მთელი ერი კეთილშობილური, რაინდული, კაცთმოყვარე, სამართლიანი, შემართული, მებრძოლი უნდა იყოს. სისხლი მხოლოდ სიკეთისაკენ მიმართული, სული მაღალი, ოცნება ლამაზი, ეროვნული ორგანიზმი ჯანსაღი უკრეფდნით მოკსოვილი, რომ „წინწყარო", „ჩაკრული", „ლილეო", „ლაშქრული" იმღეროს, შეუღახვილად გამოატაროს ხმა.

ლაფა და ტალახში ბადაგდებულ მარგალიტს ბგავს საკრთველო. ჩეკმით დაიწვა გადამთი-

ელი, რომ ფსკერამდე დაიტანონ, და იქ დამარხონ, მაგრამ ეამიეთან უხილავი ხელი ფსკერიდან ეზიდება, ფრთხილად აცლის ჭუჭყს და მზის სხივებზე ელვარეს მარგალიტს.

ქართულ მხატვრულ სიტყვაში მოიცია სული ნამდვილმა საქართველომ, მხატვრული სიტყვა მისი ციხე-სიმაგრეა. ჩამოუნგრიეს გოდოლები, კედლები, კონგურები, ამოტეხეს ფიგურები, მაგრამ მისი ერთი უმთავრესი და უმაღლესი კოშკი ცისკენ აწვდილი ყელით კოცონს ანთებს მიუწვდომელს — გალაკტიონის ჯადოსნური კვერთხით ეკრნეს სივრცეს და ელვა გამალებით ანათებს ირგვლივეთს. უკეთესი თვალს არ უნახავს, ყურს არ მოუსმენია. საიდან მოდის ეს ხმა. რა შრეებს გამოავლის, რა ძვირფასი მასალისაა ის შრეები, რომ ასეთ ციურ ხმებს აფრქვევს. იქ, იქ ეგულებათ ქართული სამყარო, საიდანაც ეშვებიან ის მხატვრული სიტყვები, იქ გვეგულება ჩვენც. გასაიდუმლოებულია ოღონდ, უნდა დაუმალო ჩვენი ცხოვრების რიტმს და ჭუჭყიან ტალღებს, თორემ „ჩაკრულოც" ჩაკრება და „წინწყაროც", „მთაწმინდის მთვარეც" და „განთიადიც".

მთავარია, რომ ის გადარჩენილია. ის — ქართული სამყარო, ის ნამდვილი საქართველო, თორემ ეს ქართული თეატრი, ეს ქართული კინო, ეს ქართული მუსიკა, ეს ქართული მხატვრობა, ეს ქართული ქანდაკება, ეს ქართული ცეკვა, ეს გადაგვარებულ ფორმებს შორის ელასტიურად მოძრავი, ელასტიურად სათაკენ�აც მოძრავი მშვენიერი სული საქართველოსა. ასე საგრძნობი როგორ იქნებოდა? წელუქნებით ისე დაგვიფარეს ზედაპირი, მტრები ბრაზდებიან, ან ზედაპირს ნონა გაფრინდაშვილის და მაია ჩიბურდანიძის ელვარე ნიბიერება რომ ამოხეთქავს და მწვრვალებს აიტანს ცაზე, ბრაზდებიან! — როგორ ვაბერებენ ამას! ქართული პოეტური სიტყვა შეაკრთობს ხშირად თავისი სილრმითა და უნივერსალურობით მტერს, შეაძრწუნებს ოპონენტის გემოვნებას. ქართული ენესტი, განსხვავებული გულისამძევი ქცევებისაგან, მოხიბლავს ხშირად უცხოელს მტრის თვალწინ.

გალოთდა მტრის ერი, მის გვერდით სვამს ქართველი კაცი, რჩება დარბაისლად; მართლა რესტორნის ხულიგნებად ხომ ვერ გამოაცხადებ მთელ ქართველ ხალხს.

ხალხი ის სიდარბაისლეა, წონასწორობას რომ ინარჩუნებს იმ ლოთობის ოკეანეში, მათ თვალწინ, არ ეცემა, მაგიდაზე არ იძინებს, მაგიდის ქვეშ არ იშოტება, ღირსეულად უპირავს თავი.

ჭირის დღეს ტირილი შეუძლია? გაგრძნობიენებს, ადამიანი რომ დაიღუპა, თავდაჭერილად გლოვობს, დარბაისლურ, მოკლე სიტყვებს ამბობს ქელეხზე, აფასებს სიცოცხლეს, აფასებს სიკვდილს. მატერიალურ და იდეალურ სფეროებს რეალური სრულქმნილებით აახლოებს ერთმანეთთან.

დასაძენნია საქართველო! დასაძენნია ყველაფერში! ჩამოსაძერწია თავიდან, — ყოველი კანონის დაცვით და ყოველი გამოცდილების გამოყენებით. ჩვენ არ გვეკრიდება ახლად თავის შობა, ჩვენ ტალახიდან ამოხვლა გვმართებს, ფუნჯი, საკრეთელი — ფაკიზი იარაღი უნდა მოვიმარჯვოთ, და ქართულ სამყაროს თავისი კონტურები დავუბრუნოთ, ფორმა და შინაარსი დავიწმინდოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს „დღის ცვრით პირდაბანილ ქვეყანასავით" ამოვაცუროთ ღრუბლების წუდიადიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სულხანიშვილი

მოგონებები შეფიცულთა რაზმზე

ერთ ადრიან დილას ამბავი მოგვივიდა, ტარასი ჩვენი ბინის მახლობლად მდებარე სოფელში იმყოფება, ხალხს აწიოკებს და რამოდენიმე კაციც დაატუსაღო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეს ამბავი გავიგეთ და გადავწყვიტეთ: რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ხელში უნდა ჩავიგდოთო. სულ ყველას უნდოდა წასვლა მის შესახვედრად და ამიტომაც სულ ყველა ერთხმად გაიძახოდა: მე წავალ! მე წავალ, ბელადო!"-ო, მაგრამ ქაქუცამ ამ ამოცანის განსახორციელებლად შემდეგი შვიდეული დანიშნა: მე, გაბო ოზიაშვილი, სერგო მაისურაძე, რაფიელ ერისთავი, ერთი ახლადმოსული შაშვიაშვილი, რადგანაც ძალიან უნდოდა ჩვენთან წამოსვლა, და ორიც სხვა, თუმცაღა აღარ მახსოვს, სახელდობრ ვინ.

ეს შვიდი კაცი დაუყოვნებლივ წავედით და შევკარით ის გზა, რომელზედაც ტარასის უნდა გამოეცლო თავისი რაზმითურთ. ქაქუცამ დანარჩენი რაზმელებით ჩვენს ზევით, ერთ მაღლობზე დაიკავა ადგილი კარგა მოშორებით, რომ შესაძლო ყოფილიყო ჩამოშველება, თუ ვინიცობაა გაგვიჭირდებოდა. გზა დაბლობზე მიდიოდა, ერთი პატარა ფერდობის ძირას. ჩვენ შესაფერისი ადგილები დავიკავეთ. მე ცოტა მაღლობზე ავედი, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა სასოფლო შარაგზა. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ საჭირო იყო გვცოდნოდა, როდის გამოვიდოდნენ ისინი სოფლიდან. ეს ჟამიც დადგა. მაშინვე ვანიშნე თუ არა შეფიცულებს, მეც დავეშვი და მყის გავმაგრდი გზისპირას, წინდაწინ არჩეულ ადგილას. აი, გამოჩნდა ჩვენი მოღალატე, ჩხეტიანიც, რომელსაც უკვე ძაბრულა ქუდი ეხურა. „აბა, სად წახვალ, მოღალატევ!" შესძახა ყველამ. ამ ძახილთან ერთად გავარდა თოფებიც და ტარასიც გადმოვარდა ცხენიდან! დარწმუნებული ვარ, რომ მას მხოლოდ ექვსი ტყვია მოხვდა, თუმცა ჩვენ შვიდნი ვიყავით, და რად არ მოხვდა მეშვიდეც, ამას მერე გაიგებს მკითხველი, გაშმაგებულმა შეფიცულებმა ეს არ აკმარეს და კიდევ დაახალეს მას რამდენიმე ტყვია. ასე რომ, მისი ტვინი ოთხ-ხუთ მეტრზე იყო თოკივით გაძაბული, ტარასისთან ერთად კიდევ ორ ჩეკისტს გავატანეთ წერილი საიქიოს; ერთი დაიჭრა და დანარჩენებს, რომლებიც ჩვეულებისამებრ გაბრობნენ, კუდში მე მივდევდი სროლით. გვერდით მომყვებოდა შაშვიაშვილი, რომელიც სულ იმას ცდილობდა, რომ რამენაირად ზურგში მომცქეოდა. ამისათვის, მანამ მე მივრბოდი, ვითომდა მორბისო, ისიც ტყუილად აბრახუნებდა ფეხებს მოსაჩვენებლად და მით ცდილობდა ჩამორჩენას, იმის ასეთ ბრაგა-ბრუგზე ეჭვი შემეპარა და გაჯავრებულმა შევძახე: „რას მომდევ უკან! აგე, იქით ესროლე"-მეთქი. აი, რატომ დაბადა ჩემში ეჭვი მისმა საქციელმა და ამის მეოხებით გადარჩა კიდეც რამდენიმე ჩეკისტი. ცოდვა გამ-

გაჯავრებული. დასაწყისი იხ. ცისკარი № 10,11 (1989). 1, 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელავნებული სხობდა და გულახდილად ვიტყვი: მე ხასიათად მჭონდა, რომ რაზმში ახალმოსულ კაცს, თუნდაც დიდი ხნის ნაცნობს, ვერ ვენდობოდი მთლიანად, სანამ საქმეში არ გამოვცდიდით. სწორედ ამ წინდახედულმა სიფრთხილემ დამიზღვია სიცოცხლე იმ დღეს.

ტარასის გაქცეული რაზმიდან ჩვენ ხელთ შეგვრჩა მათი ცხენები და რამდენიმე თოფი. კუდამოძუებული მილიციონერებისა თუ პარტიულების მიფუნტულ-მოფანტული იარაღი და ცხენები რომ მოვაგროვეთ, დადგა საკითხი იმის თაობაზე, თუ რა უნდა მოგვეხერხებინა ამ ოცდახუთი ცხენისათვის, რადგან ჩვენ ისინი არ გვჭირდებოდნენ. საფრთხილო იყო მათი ვინმესათვის მიცემა, ვინაიდან ჩეკა თუ გაიგებდა, აუცილებლად დახვრეტდნენ...

იმ დღისით ისევ ჩვენ ბინაზე დავბრუნდით. დაღამებისას სოფელში უნდა წასულიყო რამდენიმე კაცი სანოვაგის ამოსატანად. ამ ახალმოსულებმა სხოლვეს ქაქუცას, ჩვენ შესვენებულნი ვართ და ჩვენ წავალთ სანოვაგის ამოსატანადო. ქაქუცაც დაყაბულდა. ამჯერად მიდიოდნენ: ვასო კანდელაკი, შაშვიაშვილი და ჯაკუპანიძე. იმათ ვინმე ჩვენგანი უნდა გაჰყოლოდა, რომელიც სოფელ მატანსაც იცნობდა და ისიც იცოდა, თუ ვისთან უნდა მისულიყვნენ სანოვაგის წამოსაღებად. მათ მაშინვე მე მომმართეს, შენ გამოგვყევიო, მაგრამ ამ ლაპარაკს ქაქუცამ ყური მოკქრა და დაუძახა: „მაგას მაგისათვის არა სცალიან. ეგ სხვაგან არის წასასვლელი“.-ო. რაღა გაეწყობოდა და ახლა კი ხვეწნა დამიწყეს, მაუზერი გვათხოვო. მე ამაზედაც უარი შევუქცევე. მერე მათ სერგო მაისურაძეს მიმართეს თხოვნით, მაგრამ იმანაც უარი უთხრაე. ბოლოს ამ სამ კაცს ერთი მატანელი გავაყოლეთ — დაახლოებით თვრამეტი თუ ოცი წლის მშვენიერი, წარმოსადეგი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც დროულად გამოვაქციეთ ციხიდან, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში უნდა გადაეგზავნათ. ეს თქმა უნდა, დასახვრეტად. მაგრამ კაცს თურმე მაინც არ აცდება თავის შუბლის შავი წერა...

და, აი, წავიდა ეს ოთხი კაცი მატანში. გამოიტანეს სანოვაგე და, სოფელს რომ კარგა შორს გამოცდნენ, ახალრაზმელებს იმ ახალგაზრდისთვის უთქვიათ: „ეხლა ხომ სამშვიდობოს ვართ, შეეცალეთო“-ო. ისიც დაყაბულებულა, წამოწოლილა მინდორზე და წაუძინია. დანარჩენებსაც მოუმძინარებიათ თავი. ხოლო, მერე ჩაძინებული ბიჭისთვის ტყვია დაუკრიათ, ის სანოვაგე წაუღიათ. იქიდან პირდაპირ თელავის ჩეკაში წასულან და მათთვის უცნობებიათ ჩვენი ამბავი, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ისინი სწორედ ჩეკას შეუპარებია ვანჩიკა ყარანგოზაშვილისათვის.

ამასობაში, სანამ ჩვენ ველოდით, რომ დილით ადრე სანოვაგე მოგვივაო, დიდ ხნის ლოდინის შემდეგ სანოვაგის მაგივრად კაცი მოგვიყიდა, რომელმაც ეს გულსაკლავი ამბავი შეგვატყობინა. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა ვანჩიკა ყარანგოზაშვილი, რადგან მან მოიყვანა ის სამი კაცი, მაგრამ ჩვენთვის ხომ ცხადი იყო, რაც მოხდა. და აქ მას არაგვითარი ბრალი არ მიუძღოდა. ამ მუხანათების შეპარება ასე მომხდარა: როდესაც თბილისში ჩეკას გაუგია, რომ ვანჩიკა ქაქუცასთან აპირებდა წასვლას, არ დაუტუსაღებიათ და ის სამი კაცი მიუჩენებიათ მისთვის ამ დავალებით: მოეკლათ ქაქუცა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, რომელიმე ჩვენთაგანი, განსაკუთრებით კი ის, ვინც ქაქუცას შემდეგ ნომრად მიაჩნდა ჩეკას მოსაშორებლად. ამიტომ იყო რომ, როგორც ზევითა მაქვს ნათქვამი, ტარასის რაზმთან შებრძოლებისას შაშვიაშვილი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ზურგში მომმკეოდა. მას სწორედ ზურგში უნდოდა ჩემთვის ტყვიის მორტყმა და შერჩებოდა კიდევაც ხახვის ფუნჭეჩივით. რადგან სროლისას ძნელია იმის გარჩევა, თუ ვინ ვის ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრის. მით უმეტეს, იმ მომენტში ხომ სრულიად მარტონი ვიყავით ჩვენ ორნი! ამ შემთხვევაში ჩემი ეჭვი გამარტლდა. ჩემმა შეტევამ იგი დაარწმუნა, რომ არც აგრე ადვილი იქნებოდა მათი შავ-ბნელი ზრახვების სისრულეში მოყვანა. ამის გამო, ალბათ, შაშვიაშვილმა იფიქრა: ეს ამ სროლის ამბავს ქალქუცას და შეფიცულებს მოახსენებს, ამისათვის ყველას ეჭვის თვალით დაგვიწყებენ ყურებასაო, და, რასაკვირველია, მან თავის ვარაუდი თანამზრახველებსაც გააცნო. ამიტომ გადაწყვიტეს, დასწრება სჯობს დაგვიანებასაო, და სულ მთლად ჩაილურის წყალი რომ არ დაელია იმათ მზაკვრულ გეგმას, ის საწყალი მატანელი ბიჭი აქციეს სანაცვლო განტევების კაცად, რადგანაც ჩვენ შორის ის იყო სრულიად გამოუცდელი.

ჩვენ, როგორც წესი, ტარასის რაზმთან ბრძოლის ამბავი კი ვუთმბეთ ქალქუცას, მაგრამ მე მას მთლიანად არ მოვუყვები შაშვიაშვილის საეჭვო საქციელის შესახებ. ძნელია ამგვარი ბრალდება წაუყენო ადამიანს, თუ ნამდვილი საბუთი არა გაქვს, მაგრამ ჩვენისთანა საქმიანობაში, როცა წამიერად ბეწვზე ჰკიდია თანამებრძოლთა სიცოცხლე, გაუმართლებელია ნებისმიერი არაშორსგამჭვრეტელობა. ამისათვის ვამტყუნებ ჩემს თავს: მე ქალქუცასთვისაც უნდა გამენდო ჩემი ეჭვი შაშვიაშვილის მიმართ და ამხანაგებისთვისაც. მაშინ, ეგებ გადარჩენილიყო ის ახალგაზრდა მატანელი. მე ზუსტად აღარ მახსოვს, იყალთოდან იყო თუ თაღლაურიდან შაშვიაშვილი, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ძალიან კარგად მცნობდა ის მე და მე კი — მას.

დრო, შეჭცევა სჯობია, დრო — გაჭცევა

შეფიცულთა რაზმში ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სამი ჯაშუში შემოგვეპარა ერთად, და ისიც უაღრესად ნდობით აღჭურვილ პირთან, რადგან ვანიჩა ყარანგოზაშვილში ორაკ საკუთარ თავში არავის ეპარებოდა ეჭვი. სამივე მზაკვარმა წამში დაინახა და იყნოსა, რომ ჩვენს ბინაზე ქაქუცას, გინდ ვინმე სხვის მოკვლა თითქმის შეუძლებელი იყო, ვინაიდან მკვლელი ცოცხალი ვერ წავიდოდა, ამისათვის აჩქარდნენ და იფიქრეს, სჯობია თავს დროზე ვუშველოთო. ეს ამბავი 1923 წლის აპრილში მოხდა. იმ ხანებში კავკასიონის მთის ქედები თითქმის უკვე გახსნილია, ზვავებიც ჩამოწოლილია, ისე რომ ჩეჩნეთში გადასვლა შეიძლება, მაგრამ მეორე მხრივ მაინც სახიფათოა, რადგან ზოგიერთ ალაგას ზვავს აგვიანდება ჩამოწოლა. ჩვენ ორი კაცი დაგვეღუპა ამნაირად. ისინი შეგვიანებულმა ზვავმა ჩაიტანა და მათი გვამების ნატამალსაც კი ვეღარ მივაგენით. მე სწორედ იმ ხანებში ვემზადებოდი ჩეჩნეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელად.

ჩეჩნეთში გადასასვლელი გზა ჩვენი მთის თუშების სოფლებზე გადის. საერთოდ საქართველოს, თუნდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიულების სოფელში უცხო კაცისათვის საფრთხილოა სიარული, მას თან უნდა ახლდეს ადგილობრივი მკვიდრი. კომუნისტებმა, როგორც ყველგან, ჩვენს თუშებშიაც გამონახეს მოღალატე და ნაგავი ქართველები, დაწყებული გაზეთზულიდან შემოდგომამდე მთის თუშებში მუდმივი ყარაული იდგა, რომ არავინ გადასულიყო ჩეჩნეთში. ამ გზებზე გადაადგილება საშში არ არის მხოლოდ მაშინ, თუკი თან გახლავს ადგილობრივი თუში, ნამეტნავად კი გავლენიანი პიროვნება. ასევეა მთის ჩეჩნეთშიც, თორემ დაიღუპები. ამიტომ, ჩეჩნეთიდან ორი ჩეჩენი იყო გადმოსული ჩემს წასაყვანად. ერთი მთაგანი გახლდათ ჩემი მომავალი მასპინძლის, ათაბეი უმაევის ძმა. ალვანიდან ამოვიდა ჩაღმა თუში როსტომი, რომელიც მე უნდა გამყოლოდა ჩეჩნეთში, რადგან მან კარგად იცოდა ჩეჩნური ენა და, გარდა ამისა, თავის ვაჟკაცობით იყო ცნობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არა მარტო თუშებში, არამედ ჩეჩნებშიაც. როსტომი გახლდათ ორმოცდაბუთ თუ ორმოცდათ წელს მიღწეული მამაკაცი. იგი იყო საშუალო ტანის, მხარ-ბეჭიანი, მკაცრი ვაჟკაცური გამომეტყველების, უაღრესად პატრიოტი ქართველი. იმ დროისათვის მას უკვე რამდენიმე ჩეჩენი ჰყოლია გამოსალმებული ამ წუთისოფლისათვის და, რაღა თქმა უნდა, რომ მას მოსისხლე მტრებიც ჰყავდა მოკიდებული ჩეჩნეთში. ამის გამო, მეტად სახიფათო იყო მისი იქ წავლა, მაგრამ ამ გაბედულებით აღსავსე პატრიოტმა ეარის მაგიერ ასე უთხრა ქაქუცას: „თუ სამშობლოსთვის საჭიროა ჩემი პატარა შველა, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ“-ო. ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყო ვანიჩკა ყარანგოზაშვილი, მაგრამ გამგზავრების წინადღეებში ის ავად გახდა ძველი ჭრილობის გამო და ამიტომ გადაწყვიტა ქაქუცამ რომ მე მარტო წავსულიყავი ჩეჩნეთში.

გამგზავრებამდე ქაქუცა რამდენიმე დღე მამზადებდა იმისათვის, თუ რა უნდა გამეკეთებინა ჩეჩნეთში. ამის თაობაზე მან მოკლე წერილი მისწერა ათაბეი უმაევს. ათაბეი გახლდათ მთის ჩეჩნებში განთქმული შეიხის შვილი, თითონაც გავლენიანი პიროვნება. ქაქუცა მას სწერდა, ჩემ მეორე თანაშემწეს გიგზავნიო, და სთხოვდა შემწეობა აღმოეჩინა ჩემთვის გავლენიან პირებთან შესახვედრად არა მარტო მთისა და ბარის ჩეჩნებში, არამედ, თუ შესაძლებლობა იქნებოდა, მათ მახლობელ ეროვნებებს შორისაც, ვინაიდან იმჟამად ჩვენ კავშირის დამყარება გვაინტერესებდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნებებთან, ხოლო ამ მიზნის მიღწევა კი მხოლოდ ჩეჩნების საშუალებით იყო მოსახერხებელი.

იმ საღამოს შეფიცულებმა მწვადები შეგვიწვეს, პატარა გასაცლელი სუფრა გაგვიშალეს, გზა დაგვილოცეს, ცხენები შეგვეკაზმეს და ერთმანეთთან დამშვიდობების ჟამიც დადგა. ამ დროს ვიანჩკა ყარანგოზაშვილი წამოდგა, წელიდან შემოიხსნა მშვენიერი ეარის ზარნიშით შემკული თეთრტარიანი ხანჯალი და ამ სიტყვებით გამომიწოდა: „შენი ფეშქაში იყოს“-ო. იმ წამს გამახსენდა ზოთთას

მეფეთა შიგან სიუხვე,
ვით ედემს ალვა, რგული!

მაგრამ ისიც გამიგონია, ჩუქებას ჩუქება უყვარსო! და არც მე დავრჩენილვარ ვალში: ასე შემოირტყა ვანიჩკამ ჩემი ხანჯალი, ხოლო მე კი — მისი, და მუდამ თან ვატარებდი საუკეთესო მეგობრის სახსოვარს. იგი მე მეორე მსოფლიო ომის დროს მომპარეს, რამაც დიდად დამწყვიტა გული.

მცირე „ამალით“ როდი მივემგზავრებოდით ჩეჩნეთში: მე თან უნდა წამეყვანა ჯაშუში ჩხეტიანისთვის წარმომეფული ოცდახუთი ცხენი, რადგანაც სახიფათო იყო მათი დატოვება საქართველოში. მე ჩემთვის ავირჩიე ერთი მშვენიერი ქურანი, რომელიც თავის დროზე ტარასის წაურთმევია მატანის მღვდელისათვის და თან მიუტყეპია. აი, სწორედ ამ ცხენზე იჯდა ჩხეტიანი ჩვენი ბოლო შეხვედრისას და მისგან გადმოვაგდეთ კისრის ტეხით, როგორც შეჰფერის მოღალატეს. გული არც როსტომს და ჩვენს გამძღოლად მოსულ ორ ჩეჩენს დავწყვიტე: იმათაც ამოვარჩევინე თითო ცხენი; დანარჩენები წინ გავირეკეთ და გავუდექით გზას.

●

პირველ ღამეს სახიფათო ადგილები გავიარეთ, ხოლო რაკი პანკისის ხეობას გავცდით და მთას მივატანეთ, უკვე შეიძლებოდა დღისით მგზავრობა, ვინაიდან მთელ ჩვენ სავალ გზაზე, მანამ მთის თუშების სოფლებს მივაღწევდით, დასახლებათა ჰაჯანებაც არ იყო, მაგრამ ტყუილად როდი უთქვამთ: ფონი გასავალს დალოცეო! მართალია, ღამით კი გავიარეთ ყველაზე საფრთხილო ადგილები, მაგრამ მთლად სამშვიდობოს გასვლა მაინც ვერ მოვასწარით. ერთ ხეობაში, წულისპირას,

როსტომმა მირჩია: „მოდი, აქ შევისვენოთ. ცხენებიც მოვაძოვოთ და დაღამებისას გავიაროთ უკანასკნელი სიშიში ადგილი“-ო. მე მომეწონა მისი აზრი და დავბანაკდით. იქვე გავიგრილეთ ხელ-პირი ცივი, ანკარა წყლით და ხავერდივით მწვანე ჯეჯილზე წამოვწექით. ჩეჩნებმა უმალ ძილს მისცეს თავი. არ გვეძინა მხოლოდ მე და როსტომს. ჩვენ ჩვენს გეგმებზე საუბარში ვფიზიზლობდით, რომ ამ დროს მაღლიდან ორი თუში წამოგვადგა თავს, ალბათ პარტიულები თუ იყვნენ. ისინი ყარაულები აღმოჩნდნენ. დაგვიძახეს თუ არა: „ვინა ხართ?“-ო, მათ იქვე დაიკავეს სასროლო პოზიციაც. მე გვერდზე მედო ჩემი კარაბინი, მაგრამ ვიფიქრე: რომ ავიღო და წამოვდგე, იმ წამსვე მესვრიან-თქო, და ამიტომ არც გაგნძრეულვარ, ამასობაში როსტომმა ქვევიდან შეაგება პასუხი მათ ძახილს: „ვინც არის, ის“-ათ, მაგრამ ისინი ვერ გაერკვნენ. ამისათვის ვურჩიე როსტომს: „ადი მათთან, გნახონ ვინ ხარ და თანაც უთხარივე, რომ ჩვენ ვაჭრები ვართ და ჩეჩნეთში მივდივართ საკლავი საქონლის სასყიდლად“-მეთქი. როსტომს ჩემი რჩევა ჭკუაში დაუჯდა, აიღო თოფი და ასძახა: „მოვდივართ და მნახავთ, ვინაა ვარ“-ო. მას გვარიანი აღმართი ჰქონდა ასავლელი. როსტომი რომ მათთან მივიდა, ყარაულებმა თავი მიანებეს სასროლ პოზიციას, წამოდგნენ და ხელი ჩამოართვეს მას. მე დაბლიდან ქურდულად ვუყურებდი: მაინტერესებდა, როგორ შეხვდებოდნენ. რახან დავინახე, რომ წამოდგნენ და ხელი ჩამოართვეს ცოტაოდენ დავწყნარდი. ამგვარად, იმ ღამეს როსტომი მოგვევლინა მფარველ ანგელოზად, რადგან ის რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ყარაულებს სულ ადვილად ჩავეხოცეთ მათი ხელსაყრელი პოზიციის გამო: ისინი ხომ მაღლიდან დაგვყურებდნენ და, თუკი სროლა მოხდებოდა, ჩვენ მათ ვერანაირად ვერ მივუყენებდით ტყვიას, ვინაიდან ყარაულები იწვნენ, ხოლო ჩვენ კი ფერდობზე ვიმყოფებოდით მათ ფეხქვეშ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე წინდაწინ ვიცოდი, რახან ყარაულმა თუშებმა როსტომი ნახეს, შემდეგ ისინი ვეღარაფერს გაბედავდნენ. ამგვარად, ჩვენ იქ დავაღამეთ ის დღე. შებინდებისას კიდევ გვქონდა გასავლელი მოკლე გზა, სადაც სიფრთხილე გვმართებდა, რადგან ბის გაყოლებით რამდენიმე მეკომურის გარდა სამი თუ ოთხი საცხვარეც იყო. აი, იმ ადგილსაც მივატანეთ, ჩვენ წყნარად და ფრთხილად მივდიოდით, მაგრამ ძაღლებმა მაინც გვიყნოსეს და ატყდა ერთი განგაში, რასაც თან მოჰყვა სროლაც. მაშინ როსტომმა მითხრა: „აბა, რაც შეიძლება მარდად ვიაროთ, თორემ შესაძლოა შეგვიერან პირიქეთი გადასავალი გზა, რომელიც მარტო ერთია იმ სერზე“-ო. განმარტებისთვის უნდა მოგახსენოთ, თუ თუშები მოიწადინებდნენ გზის შეკვრას, მათთვის ეს გაცილებით უფრო ადვილი იყო, რადგან იმათ სერზე უნდა ეეღლთ, ხოლო ჩვენ კი დიდი, შეყუდებული აღმართი და გრძელი გზა გვედო წინ. თუნდ ამასაც დავანებოთ თავი, ყველაზე მეტად სახიფათო ის იყო, რომ ფარეხებიდან აგვიტეხეს სროლა. ამ განსაკუთრებული ხიფათის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ გაჭირვების ჟამს მთელი მეცხვარეები და მაცხოვრებლები ერთმანეთს ეშველებიან. ამდენად, როცა ცხვრის ბინებიდან დაგვიწყეს სროლა, სხვა თუშებს ეგონებოდათ, ვითომ ჩეჩნები დაეცნენო საცხვარეებს ცხვრების მოსატაცებლად. ამის გამო, მეშველი თუშები მაშინვე წავიდოდნენ იმ გზის შესაკრავდა. ეს კარგად იცოდა როსტომმა და ამისათვის გვაჩქარებდა. საკითხი ის იყო, ჩვენ ავასწრებდით იქ, თუ ისინი, რადგანაც, როგორც როსტომმა სთქვა, ვინც პირველი მივა იმ ერთადერთ გადასავალთან, ის იქნება მოგებულიო.

გარიჟრაჟდა, რომ ჩვენ იმ გადასავალს მივაღწიეთ. მივდიოდით ფრთხილად და თან დურბინდით ვათვალიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდით იმ სერობას, საიდანაც მდევარი უნდა გამოჩენილიყო. ძეხოროცელი არა ჩანდა ირგვლივ, მაგრამ მაინც საშიში იყო მდგომარეობა, რადგან ვფიქრობდით: ვაითუ ისინი უფრო ადრე ამოვიდნენ, ჩამსხდარნი არიან ტინებში, უკვე დაკავებული აქვთ საიმედო ადგილები და ამიტომაც ვერ ვხედავთო! ამ მოსაზრებით შევაჩერეთ იქ ჩვენი ჩეჩნები და ცხენები, ხოლო მე და როსტომი ლამის არი ჭენებით მივვარდით იმ გადასავლის დასაკავებლად. ჩვენს იღბლად, ერთი თოფიც კი არ გავარდნილა; როგორც როსტომმა ამიხსნა შემდეგ, ჩვენ ამოვასწარითო. ამრიგად, მდევარმა თვალიც ვერ მოგვკრა და ასე მშვიდობიანად გადავიარეთ კავკასიონის ქედი. ახლა ჩვენ ვეღარც მდევარი დაგვაკლებდა რამეს და ვეღარც ჩეკა!

სხვათა შორის, უადგილო როდი იქნება ამ საინტერესო და ცნობილი ფაქტის გახსენება ერთხელ კიდე: მუდამ არსებობდა მტრობა ჩვენს მთიელებს, თუშებს, ფშაველებს, ხევსურებსა და ჩეჩნებს შორის. ჩეჩნები გადმდიოდნენ, იტაცებდნენ ცხვრის ფარებს, ცხენებს, საქონელს, ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენებიც გადადიოდნენ ჯავრის ამოსაყრელად. ამისთანა ბრძოლებს ეწირებოდა ხალხი როგორც ჩვენი მთიელების, ასევე ჩეჩნების მხრიდან. აი, ამის ნიადაგზე გრძელდებოდა მოსისხლეობა იმათ შორის თაობიდან თაობამდე...

ამჟამად, 1923 წლის აპრილში, მე პირველად როდი მივდიოდი ჩეჩნეთში. როგორც ზევით მაქვს აღწერილი, მე იქ ხევსურების ამბოხების დროსაც ვიყავი გაგზავნილი, სწორედ იმ მისიის შემდეგ მოხდა, რომ მათ შორის ბოლო მოეღო დაცემებსა და ტაცობას. მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენ შევძელით მთიელებისა და ჩეჩნების დაკავშირება. მათ შორის მშვიდობის ჩამოგდება! ეს ფაქტი თვალსაჩინო საბუთია იმისა, რომ მთლად ამაოდ არ ჩაუვლია შეფიცულთა რაზმის თავგანწირულ ბრძოლებს, სამწუხაროდ, აქვე უნდა დავძინო, რომ კომუნისტებმა მთის თუშებშიც გამონახეს კომკავშირლები და ამდაგვარი ყარაულები, რომლებიც მოუოდნელად წამოგვადგნენ თავზე. მათ ესენი იმისათვის ჰყავდათ დატოვებული, რომ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის ადგილი არა ჰქონოდა რაიმე კავშირსა და მიმოსვლას. ამრიგად, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ რომ როსტომი არ გვხლებოდა, ან ცოცხლები უნდა ჩავბარებულიყავით, ან დაგვხოცავდნენ. დაბლა მე კიდევ მეკნება ლაპარაკი ამის შესახებ.

●

პირაქეთს და პირიქეთს გზა ჰქვია, თორემ მარტოოდენ ბილიკია. სადაც მხოლოდ ერთი ცხენი გაივლის. არც გადასახვევია სადმე, რომ კაცს გზა აერიოს. ამრიგად, ახლადგათენებული იყო, რომ ჩვენ უკვე ჩეჩნეთის მიწაწყალზე მივდიოდით. მზეს ის-ის იყო ამოჭყო თავი უზარმაზარი მთის ქენჩეხოებიდან. ლამაზი და სასიამოვნო ღილა გვიღიმოდა. დალოცვილი მთის საღი ჰაერი მალამოსავით ესმოდა ადამიანის ფილტვებს.

ამალას მე მივუძღვოდი წინ. ჩემგან კარგა მოშორებით როსტომი მოჯირითობდა. მის ფეხდაფეხ მოედინებოდა ცხენების ჯოგი, რომელთაც ჩეჩნები მოჰყვებოდნენ ზურგში. ერთ მოხვეულში რომ მივედი, ბილიკიდან რაღაც წამოხტა და შეხტა ყინებზე. მე მაშინვე სასროლად დავემზადე. ის ხან ტინებს მიეფარებოდა, ხან კი გამოჩნდებოდა, კარგა მანძილზე რომ ავიდა, გადმოდგა და მაღლიდან დამიწყო ყურება. მე ხელსაყრელი დრო მოვიხელთე და უმალ ვესროლე. ნანადირევ იქვე გადმოვარდა და ბილიკამდე ჩამოგორდა. ეს გარეული ცხვარი აღმოჩნდა. მე მეგონა, ის ჩემს ნასროლს ემსხვერპლა-თქო, ხოლო როსტომს ეგონა, რომ მან მოჰკლა. მიუხედავად იმისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ როსტომი ჩემგან კი გვარიან მანძილზე იყო, მაინც შეუნიშნავს, რომ მე სასროლად მოვემზადე და იმასაც შეუმართავს იარაღი. როდესაც ნადირი შეჩერდა, მას თურმე ჩემთან ერთად გაუსვრია. გასინჯვისას ნანადირევს ორი ნატყვიარი აღმოაჩნდა. საცოდავი ჯერ კიდევ მაღლა, მაღლა ტოდა. რომ ჩეჩნები მოცავდნენ და მათ გამოკრეს ყელი, რადგან საერთოდ მუსულმანები არ ჭამენ ქრისტიანის მიერ დაკლული საქონლისა, თუ ქრისტიანის ხელით მოკლული ნადირის ხორცს აი, ამიტომ მოცავდნენ სასწრაფოდ, რომ თავიანთი ხელით გამოეკრთა ყელი ჩვენგან მონადირებული ცხვრისათვის.

ჩვენ სამხრობის ყამს მივედით ათაბეის სახლში. მაშინვე შემოგვეგება დიდად გახარებული მასპინძელი: „მარშუალ! მარშუალ!“ გაიძახოდა მთელი ოჯახი, მაგრამ როსტომი რომ დანახა ჩემს გვერდით, ათაბეი ცოტა შეკრთა, მიუხედავად ამისა, მან ორივეს ჩამოგვართვა ხელი. აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი როდესღაც შეხვედროდნენ ერთმანეთს. თვალის დახამხამებაში იქ გამოჩნდნენ მეზობლებიც. მათ ცხენები ჩამოგვართვეს, უნაგირები მოხადეს და მყის შეუდგნენ იმათ მოვლას. იარაღი ათაბეიმ ჩამოგვართვა. თოფები კი მივეცით, მაგრამ მე ჩემი მაუზერი არ შემოვიხსენი, საერთოდ, ასეთია მთიელების ადათი; იმათ ოჯახში რომ მიხვალ, ისინი არიან სტუმრის დამცველები და ამისათვის მას მაშინვე ჩამოართმევენ ხოლმე იარაღს.

ამასობაში ელვისებური სისწრაფით მოედო იქაურობას ჩვენი სტუმრობის ამბავი. წამში შეიყარა მთელი სოფელი. თურმე მახლობელ სოფლებსაც კი გაეგოთ, რომ ქაქუცას კაცი მოვიდა ცხენის ჯოგითაო. მე საკმაოდ კარგა ვიყავი ჩაცმული: მუქ შვინდისფერ ახალუსსა და ფყლისფერ ჩოხაში გამოწყობილის წელზე ოქროს ზარნიშიანი ქამარ-ხანჯალი მერტყა, ხოლო ფეხთ წუღა-მესტები მემოსა. დიდი თუ პატარა სულ ყველა მე მიცინოდა. თავით-ფეხამდე მათვალიერებდა და თან ერთმანეთს ელაპარკებოდნენ. ქაქუცას სახელის მეტი მე სხვა არაფერი მესმოდა: „ქაქუც. ქაქუც“, ასე გამოთქვამენ მის სახელს მთელ ჩეჩნეთში, რომელსაც ხშირად იმეორებდნენ ჩემს ირგვლივ მყოფნი.

მშვენიერი კარ-მიდამო ჰქონდა ათაბეის. საკმარისად დიდ ეზოში ოთხ თუ ხუთ ოთახიანი, ქვიტკირის სახლი იყო წამოდგმული, რომელსაც წინიდან უზარმაზარი, განიერი აივანი ჩაუყვებოდა. იმჟამად ჩვენი მასპინძელი ორმოცი-ორმოცდახუთი წლის მამაკაცი თუ იქნებოდა. მას ორი ძმა ჰყავდა, რომელთაგან ერთი, ცხრამეტი თუ ოცი წლის ჭაბუკი, მე გამომყვა, მეორე დაახლოებით თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა იყო. ვინაიდან მაჰმადის სარწმუნოება ყველას აძლევს მრავალცოლიანობის უფლებას, არც ათაბეი გახლდათ გამონაკლისი ამ მხრივ და იმასაც უტრიალებდა ორი ცოლი ოჯახში. უმცროსი ცხრამეტი თუ ოცი წლის მოხდენილი, ლამაზი ქალი იყო.

ერთმანეთის გაცნობის შემდეგ სახლში შეგვიწვიეს. მე იქ გადავეცი მასპინძელს ქაქუცას გამოტანებული წერილი, ათაბეი თუმცა ცოტას ლაპარაკობდა ქართულად, მაგრამ კითხვა არ იცოდა. ამიტომ როსტომმა წაუკითხა და გადაუთარგმნა იგი. სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ ჩემს მასპინძელს უხაროდა და სიამოვნებით უსმენდა მას.

ათაბეის წამით არ ავიწყდებოდა ჩვენზ ზრუნვა და ყველანაირად ცდილობდა, რომ თავი მყუდროდ გვეგრძნო მის ჯერ ქვეშ. ამიტომ გვთხოვა მან ჩვენ: „დიდი მეზავრობის შემდეგ დაღლილნი ხართ; ქამარ-ხანჯალი შემოიხსენით, რომ კარგად მოისვენოთ“-ო. ამასობაში წყალი სავსე ტაშტით მოცვივდა მისი ორივე ცოლი. მათ ხელ-პირი დაგვაბანინეს და მერე ჩვენი ფეხსაცმელების გახდას შეუდგნენ. ეს მე ვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყილე და გავძალიანდი: როგორ შეიძლება, რომ ქალმა ფეხთ გამხადოს და დამბანოს-თქო! ხოლო ქალებს უკვირდათ ჩემი თაკილობის გრძნობა და იცინოდნენ. ჩემგან განსხვავებით, როსტომი იღებდა სრულიად გულმშვიდად მშვენიერთა სქესის წარმომადგენელთა ამგვარ სამსახურს, რადგან ის ნავალი გაჰლდათ ჩეჩნეთში და ჩინებულად იცნობდა მათ ადათ-წესებს. ამისათვის მითხრა მან: „ამათი წესია ასეთი და, თუ არ დაანებე დაბანვა, ეწყინებაო“-ო. თვით როსტომს ხელათ გაჰხადეს ფეხსაცმელები და დაჰბანეს ფეხები. მეტი რაღა ჩარა მქონდა, და მეც დავნებდი, მე ათაბეის უმცროსმა ცოლმა გამხადა ფეხთ და დამბანა. ის რომ ამას აკეთებდა, იცინოდა, მე სირცხვილით ვიწვოდი და ვწითლდებოდი.

ამის შემდეგ სუფრაც გაგვიშალეს, მარილწყალში მოხარშული ბატკნის ხორცი ნივრიანი საწებლით მოგვართვეს. მართლა რომ გემრიელი იყო მის წვენში მოხარშული სიმინდის ცომის პატარა გუნდები და მადიანადაც შევექეცით. ჩეჩნები, ნამეტნავად მთის თემიდან, არაყს ან ღვინოს არა სვამენ; ხოლო ბარში ან ქალაქებში, ზოგნი მაინც ყლურწავენ, თუმცა ქურდულად, რომ სხვებმა არ დაინახონ.

მასლაათში გართულნი თითქმის შუაღამემდე ვისხედით მე, ათაბეი და როსტომი. ისინი მეკითხებოდნენ ჩვენს ცხოვრებაზე, იმ დღეების პოლიტიკურ განწყობილებასა და მრავალ საკითხზე. შესანიშნავი თარჯიმანი და თან წყნარი, აზრიანი მოლაპარაკე გამოდგა როსტომი. ლაპარაკით რომ გული ვიჯერეთ, დასაძინებლად წამოვდექით. ერთ ოთახში ჩვენთვის უკვე გაემზადებინათ საწოლები და აი, მე იმ ორი წლის განმავლობაში პირველად ვიგრძენი ლოგინის სითბო!

როგორც ზევით მოგახსენეთ, ათაბეი შეკრთა როსტომის დანახვაზე. ახლა, დაწოლის წინ, მან რაღაცა ლაპარაკი დაუწყო პირადად როსტომს. მე თუმცა არაფერი მესმოდა, მაგრამ გუმანით მივხვდი რის შესახებ ელაპარაკებოდა მას ათაბეი. როცა მათ ლაპარაკი დაამთავრეს, მე მოვითხოვე, რომ ჩემთვისაც გაეზიარებინათ საუბრის შინაარსი. რა იყო იმაში დასამალი და როსტომმა გადმომცა ათაბეის თხოვნა მისადმი: „როსტომ, ხომ იცი, შენ აქ მტრები გყვანან. ძალიან, გთხოვ, რომ უჩემოდ, ან უჩემმმაოდ ჩემ მიდამოს არ გასცდე“-ო. ამ თხოვნაში არაფერს ვხედავდი უჩვეულოს, ვინაიდან მთიელთა სტუმარ-მასპინძლობის საკითხებში ჩახედული კაცი ადვილად მივხდება, რომ, თუ ერთი მხრივ როსტომისათვის ფიქრობდა ათაბეი, მეორე მხრივ თავისი თავიც ენაღვლებოდა. რადგან მთიელების ადათის თანახმად, ვინმემ რომ სტუმარი მოუკლას მასპინძელს, იმან სისხლი უნდა აიღოს, თორემ ის კაცად აღარ ჩაითვლება. კარში აღარ გამოესვლება და ცოცხლად არის დამარხული!

●

მეხივით გავარდა ხმა მთელ ჩეჩნეთში: ქაქუცას გამოგზავნილი კაცები ჩამოვიდნენო, და მეორე დღესვე დაიწყეს მოსვლა წარჩინებულმა თავკაცებმა მახლობელი სოფლებიდან. ყველა დიდი პატივით გვეპყრობოდა, განსაკუთრებით მე, რადგან ათაბეისგან იცოდნენ, რომ პირადად მე ვიყავ ქაქუცას კაცი, როსტომი კი — ჩემი თარჯიმანი. ამიტომ სულ ყველა მე მათვალიერებდა და მზომავდა, როგორც მერე როსტომი მიამბობდა, თურმე ძალიან მოეწონდი ჩეჩნებს: „რა ვეკაცია! რა ულვაშები აქვს!“-ო. საერთოდ, მთიელებში დიდად მოსაწონია კარგ ულვაშიანი მამაკაცი, და როგორც ზევით მოგახსენეთ, ჯერ კიდევ ჩეჩნეთში გადასვლამდე ვატარებდი გრძელ წვერებსა და ულვაშებს, აგრეთვე ქაქუცაც, რომ ადვილად არ ვეცნეთ, ვინაიდან ბევრი ნაცნობობა გვყავდა, ნამეტნავად კახეთში, და ეს მართლაც გვშველოდა ძალიან, რადგან ხომ გაგიგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიათ: სადაც მოყვარეა, იქვეა მტერიცაო. მე ჩაჩნეთში წასვლის წინ მოვიპარსე წვერები, მაგრამ ულვაშები კი მართლა ჩინებულად მჭონდა მოგლილი და, ჩემი წოლოვანებისდაგვარად, საკმარისად გრძელებიც. ამ საკითხთან დაკავშირებით, სიტყვამ მოიტანა, და მოგიყვებით: ერთხელ, ჩვენი გასვლიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, დედ-მამის სანახავად მივედი ჩემს სახლში. კარებზე ფრთხილად დავაკაკუნე, ფრთხილად, რადგანაც ვიცოდი, რომ ჩვენს სახლებს ხშირად ყარაულობდნენ კომუნისტები. კარი დედაჩემმა გამიღო. რა დამინახა, კინაღამ წაიქცა, უკან გადახტა და მომძახა: „ვინა ხარ? რა გინდა?"-ო. მანამ მე არ დაველაპარაკე, ვერ მიცნო. ჩემი ხმა რომ გაიგონა, მომგარდა, გადამეხვია და ტირილი დაიწყო.

ერთ კვირაზე მეტ ხანს გასტანა მახლობელი სოფლებიდან დელეგაციების დენამ. რომლებიც შეიარაღებულები მოდიოდნენ. ბრწყინვალედ მოვამზადე ათაბეი სულ მოკლე დროში. იგი თითონაც საუკეთესო ორატორი გამოდგა და, ასე რომ, მე მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაშიღა მაძლევდნენ კითხვებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოგვეწყო ყველაფერი ოცდაოთხი წლისათვის, ესე იგი, ამბოხებისათვის. გარდა ამისა, ჩვენი თავადური მიზანი ის იყო, რომ ბოლო მოჰქონდათ მტრობას ქართველებსა და ჩეჩნებს შორის, რადგან ჩვენი საერთო მტერი იყო რუსეთი. საამაყოა, და, ამდენად, გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩვენ სავსებით მივაღწიეთ ამ დიდ მიზანს. მოყოლებული ხევსურეთის ამბოხებიდან, რომელზედაც მე ზევით მჭონდა საუბარი, არავითარ დაცემებსა და ტაციაობას აღარ ჰქონია ადგილი მას შემდეგ ამ მეზობელ, სარმწუნოებით განსხვავებულ ხალხებს შორის და დღითი დღე ეს გარემოება უფრო ფართო ხასიათს იღებს.

იმ დელეგაციებიდან, რომლებიც ჩემთან მოედინებოდნენ მთელი კვირის განმავლობაში, ზოგიერთი მთელ [illegible] სავალოდან მოდიოდა. რა თქმა უნდა, მათ გამასპინძლება სჭირდებოდა. ქალთამი წყალს დალევს და მაღლა ღმერთს ახედავსო! მარტოლა ათაბეის ხომ არ შეეძლო ამდენი ხალხის გაძღოლა, და მე მას ასე მოვურიგდი: მე ვიყიდი საკლავსა და სიმინდის ფქვილს, შენი ძმები და ნათესავები მხოლოდ მომზადებაში დამეხმარონ-თქო. მთის ჩეჩნების გამასპინძლება ძნელი არაა, ოღონდ ხორცი იყოს, რადგან სასმელს ისინი პირს არ აკარებენ. თუმცაღა ვთქვი, მე ვიყიდითქო სანოვაგეს, მაგრამ ჯიბეში ერთი შაურიც კი არ მჭონდა. სამაგიეროდ მყავდა ჩეკისტებისაგან წართმეული ოცდახუთი ცხენი. თითო ცხენს რვა-ათ ცხვარზე ვცვლიდი, ხოლო ცხვრებს — სიმინდის ფქვილზე, და აი, ასე მუდამ რიგიანად ვმასპინძლობდი ჩემთან მოსულ დელეგაციებს. ამდენად მიმსვლელ-მომსვლელს მართლა რომ დიდი თავი უნდოდა, მაგრამ მე ხელს არაფერზე მაკარებინებდნენ. საერთოდ, ვთქვი და კიდეც უნდა გავიმეორო, რომ უაღრესად დიდ პატივს მცემდნენ და უფრო მეტად კი იმისათვის, რომ ჩინებულად ვიცოდი მთიელების წესრიგი და ქცევები. ჩემი მასპინძლების სტუმართმოყვარულ გულითადობას ის აორკეცებდა, რომ იმ ხანებში ამინდიც კარგი შემესწრო: მშვენიერი, მზიანი, მაგრამ კაკვასსონის ქედის გრილი, საღი ჰაერი გულმკერდს უმაგრებდა კაცს. მხოლოდ ხანგამოშვებით წამოვიდოდა ხოლმე შავი ღრუბელი, რომელსაც თან მოჰყვებოდა ისეთი შხაპუნა წვიმა, თითქოსდა ცა უნდა ჩამოინგრესო, მაგრამ ხელათვე გადაივლიდა ა, მაცოცხლებელი ნამით ხელ-ჰირდაბანილ უზარმაზარი მთების ქენჩხებს ისევ საუცხოოდ შეალამაზებდნენ დალოცვილის მზის სხვები.

ერთ ამისთანა მშვენიერ დღეს ათაბეის ნათესავის ბინაზე ვიყავით ოცი-ოდე კაცი და ვსაუბრობდით. ჩვენ დიდ ხანს დავეტრიალებდა თავს უზარმაზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ძერა. თითქმის ყველამ მიაქცია მას ყურადღება. აღარ მოგვშორდა და საკმაოდ დაბლაც დაფრინავდა, კარგა ხანს გაგრძელდა ამ მტაცებლის თავგასული ნავარდი. ბოლოს ველარ მოვითმინე და გადავწყვიტე ზღვარი დამედო მისი. თავხედობისათვის, სასროლად რომ დავეშადე, ყველამ მე დამიწყო ცქერა. უცებ გავარდა ჩემი თოფი, ძერა ერთი კი შეტრიალდა, თუმცა კვლავ განაგრძობდა ლივლივს. მე საშინლად მეწყინა, რაზე შევირცხვინე-მეთქი თავი, მაგრამ ამის გაფიქრებაც კი ვერ მოვასწარი, რომ ძერამ ფრენა შეწყვიტა და ქვასავით დაეშვა ძირს. იგი ჩვენგან კარგა მოშორებით ჩამოვარდა. ამ სურათის მხილველმა ჩეჩნებმა განცვიფრებისაგან პირი დააღეს და მეც შვებით ამოვთქვი სული. მიზანში ასეთმა ზუსტად სროლამ უფრო მეტად ასწია ჩემი პრესტიჟი. მაშინვე გაიქცნენ ბიჭები, იპოვეს ძერა და მოათრიეს. ამან საერთო აღტაცება გამოიწვია იქ დამსწრე საზოგადოებაში, ყველა შემომხაროდა, ხოლო მე ჯერაც არ ვიყავი დაწყნარებული, ვინაიდან მეგონა, რომ ავაცდინე და საკუთარ თავს ვგმობდი, რად ვესროლე-თქო. საბედნიეროდ, წარმატებით დამთავრდა ეს ჩემი სითამამე. ამაზე იტყვიან: ტერტერამ ბალახებში უღელი გადაადგო და კურდღელი მოჰკლაო! სწორედ ასე იყო ჩემი საქმეც.

●

ჩემს საქმიანობაში გვარიან დახმარებას მიწევდა როსტომი. რითაც კი შეიძლებოდა, იგი ცდილობდა, რომ უფრო მაღლა აეწია ჩვენი რაზმის სახელი. ერთხელ მან მითხრა: „ჩვენი სოფლიდან აქ არის გამოქცეული შამილ იქაიძე. მას კომუნისტი შემოაკვდა და იქ აღარ ედგომებოდა. ძალიან კარგი ბიჭია, აქ დაიღუპება, იქნებ თქვენს რაზმში მიიღოთ ჩემი ნდობით“-ათ. მე საკმარისად კარგად ვიცნობდი როგორც ჩაღმა თუშებს. ასევე წოვა თუშებსაც, ესენი არიან ბაბალეთელ მარიტი, პატრიოტი ქართველები: პატიოსანი, ნიჭიერი და ნამდვილი ვაჟკაცი ხალხი. მთის თუშების გარდა, ეს ორი დიდი სოფელი — წოვა და ჩაღმა თუშები — მოთავსებული არიან ალაზნის მარცხენა მხარეს, ბახტრიონის ციხის ქვეშით.

მე მომეწონა როსტომის აზრი და მაშინვე ვუთხარი: „მისწერე პატარა წერილი; შეატყობინე, რომ ჩვენ აქ ვართ. მინდა შევხვდე და პასუხს მერე გეტყვი“-მეთქი. ასეც მოვიქეცით. შამილის ამბებელად გადუდგებლივ გავგზავნეთ ორი კაცი სხვადასხვა მხარეს, ვინაიდან დანამდვილებით არ ვიცოდით, თუ სად იმყოფებოდა იგი. ორი თუ სამი დღის შემდეგ გაგზავნილი კაცები შამილთან ერთად დაბრუნდნენ, შამილს ძალიან გაუხარდა თავის მეზობელი როსტომის ნახვა. იმავე დროს გამიცნო მეც. შამილმა გულით გაიხარა, როცა როსტომმა მას თავისი მიზანი გააცნო. მე ის თვალის ერთი შეავლებისთანავე მომეწონა. ეს იყო ალბათ ოცდაექვსი თუ ოცდარვა წლის საშუალო ტანის, ლამაზი შესახედავი ბიჭი: დინჯი, ზრდილობიანი, სერიოზული გამომეტყველების სახით. მე მას ავუხსენი ჩვენი მთავრი ამოცანა: ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლების მიზნით! აღვუწერე, რომ რაზმი ზშირად იმყოფებოდა დიდ გაჭირვებაში. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო ჩეკას ჩვენი ოჯახები დაერბია კიდეც და თან დავძინე: „მაგრამ ჩვენ მაინც არ უნად ვუღალატოთ ჩვენს მიზანს. თუ ამას ყველაფერს იზიარებ და ყველაფერს შეურიგდები, მაშინ შეფიცულთა რაზმი და ჩვენი ბელადი სიამოვნებით მიგიღებს“-მეთქი. შამილმა მითხრა: „ჩემი ოცნება მუდამ სამშობლო იყო და ეხლა, ხელმეორედ რომ შემოგვეყენენ რუსები, მე ამას ვერასგზით ვერ შევურიგდები და მუდამ მზადა ვარ მაგათ წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენთან ვიქნები ჭირშიც და ლხინშიც. ვერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარი გაჭირვება მე ვერ შემაშინებს"-ო. რაზეც მე ვუპასუხე: „ჰოდა, რადგან შენი სულისკვეთებაც ასეთივე ყოფილა. დღეის შემდეგ შენ შეფიცულთა რაზმის წევრად ითვლები. მე ამ მოკლე ხანში შენ და ათაბეის ძმას ბელადთან გაგაგზავნივე საიდუმლო წერილით და იმავე დროს რაზმსაც გაიცნობ"-თქო. მოყოლებული იმ დღიდან შამილი იყო ჩემი ფოსტა. ჩემი ჩეჩნეთში ყოფნისას მე იგი ორჯერ გავგზავნე ქაქუცასთან. ამ შიკრიკობისას შამილს განუყრელად თან ახლდა ათაბეის ძმა. ეს ენერგიით სავსე ორი ახალგაზრდა ელვასავით გაჩნდებოდნენ ქაქუცასთან და ასეთნაირადვე, თვალის დახამხამებაში ბრუნდებოდნენ მისი საიდუმლო უსტარით.

შამილთან ამ ჩემი საუბრის დროს როსტომი ყურს გვიდებდა. იგი ძალიან კმაყოფილ დარჩა, რომ ასე ადვილად ვენდე მის რჩეულს, იმდენადაც კი, რომ თითონ ქაქუცასთან დავპირე მისი გაგზავნა საიდუმლო წერილით. როსტომმა ჩინებულად იცოდა, რომ ჩემი შამილისადმი ამგვარი ნდობა უშუალოდ მისი შუამდგომლობით იყო განპირობებული და ის ამით ამაყობდა.

პირველად ჩვენი შეხვედრიდან ორი სამი კვირის შემდეგ გავგზავნე შამილი საიდუმლო წერილით ქაქუცასთან. ამ წერილში მე ჩემს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდი შეფიცულთა რაზმის ბელადს იმის თაობაზე, თუ რა სულისკვეთება სუფევდა მთის ჩეჩნებში, რომლებმაც ძალიან კარგად მიმიღეს, ვწერდი აგრეთვე, რომ დიდი სახელი აქვს ჩვენს რაზმს; ჩემთან ყოველ დღე მოდიან დელეგაციები; დიდ დახმარებას მიწევს ათაბეი და მართლაც დიდი გაელენა ჰქონია მთის ჩეჩნებში; დღითი დღე ფართოვდება ჩვენი საქმიანობა; ურუსმართანში ვაპირებ მგზავრობას ალი მიტაევთან დასაკავშირებლად, თუკი რამე გაუთვალისწინებელმა მოვლენამ არ შემიშალა-მეთქი ხელი. გარად ამისა, ვწერდი ახალი შეფიცულის შესახებაც, რომელიც როსტომის მეზობელია და მისი რჩევით, ადვილ პირადად მე მომეწონა და, მგონი, შენც მოგეწონება; თუმცა ჩხეტიანში მოვტყუვდით. მაგრმა ამ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ. რომ შამილი რიგიანი შეფიცული იქნება-მეთქი.

მანამდე შამილი საქართველოდან დაბრუნდებოდა, ათაბეიმ კაცი გაგზავნა ურუსმართანში, ალი მიტაევთან. და დაბარა: აქ იმყოფება ქაქუცას კაცი. რომელსაც თქვენთან უნდა შეხვედრა და მოლაპარაკებაო. გაგზავნილი კაცი მალე დაბრუნდა და კარგი ამბავიც მოიტანა. როგორც აღმოჩნდა, ალი მიტაევსაც დიდი სურვილი ჰქონია ჩემთან შეხვედრისა. ამ ცნობის მიღებისას მე და ათაბეი მეორე დღესვე გავემზადვრეთ ბარის ჩეჩნებისაკენ. როსტომი ათაბეის სახლში დავტოვეთ, რადგან ბარის ჩეჩნებში მოიპოვებიან როგორც რუსული, ასევე ქართული ენის მცოდნენი. მე ათაბეი გზადაგზა თან წარჩინებულ პირებს მაცნობდა და თან დიდ პროპაგანდას ეწეოდა მათში, ამასობაში მე მას ძალიან ფრთხილად დაეყავდი, ვინაიდან რუსებმა ბარის ჩეჩნებშიც გამონახეს თავიანთი აგენტები. სადაც საეკვო სოფლები ეგულებოდა, ათაბეის იქ მე ღამით მივყავდი, ხოლო საერთოდ, უმეტესწილად დღისით ვმგზავრობდით. ამგვარი დაძაბული საქმიანობის შემდეგ აი, მივუახლოვდით ურუსმართანის უზარმაზარ სოფელსაც, ჩვენ ღამით მივდიოდით და, ასე მეგონა, თითქოს აღარ თავდებოდა მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობა. ბოლოს, მივატანეთ ალი მიტაევის სახლს. ეს იყო პარასკევი დღე. მის განათებულ ეზოში თითქმის ასორმოც კაცს შეეყარა თავი, რომელნიც ლოცვის კილოზე მღეროდნენ ალი მიტაევის მამის საფლავზე. განსვენებული შეიხი ყოფილა და ის ხალხს თურმე ძალიან ჰყვარებია. იგი თავის სახლის ეზოშივე იყო დასაფლავებული. საზოგადოდ, ჩეჩნებისთვის პარასკევი უქმე დღედ ითვლება და, როგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორც წესი, ხალხი ყოველ პარასკევს იყრიდა თავს მის საფლავთან, რომ ასეთი მღერა-გალობით ეცათ პატივი მისი ხსოვნისათვის. მე შორიდანვე დავინახე გაჩრილდნებული ეზო და შიგვე მყოფი შეკრებილობა. ამის გამო შემიყვანეს ძალიან ფრთხილად, რომ მოსამსახურის მეტს არავის ვენახე.

მე ევრომპულად მოწყობილ, მშვენიერ ოთახში შემიძღვნენ. ფეხდაფეხ შემომყვა მასპინძელიც. გავეცანით ერთმანეთს. ალი იყო შუა ტანის, ოდნავ პირნაყვავილარი, კარგი შესახედი მამაკაცი. ის ჩინებულად ლაპარაკობდა რუსულად და მკითხა: „როგორ მოგეწონათ ჩვენი ქვეყანა? უწონიაც თუ ყოფილხართ ჩეჩნეთში?“-ო. მე ვუპასუხე, რომ 1922 წლის აგვისტოში ვიყავი მთის ჩეჩნეთში მოკლე ხნით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პირველად ვიმყოფებოდი ბარის ჩეჩნეთში, საქართველოში მცხოვრები ქისტების საშუალებით საკმაოდ ვიცნობდი მათი ქვეყნის ცხოვრების ადათ-წესებს და თვით ბატონი ალი მიტაევის პიროვნებასაც.

ალი მიტაევმა ძალიან კარგა მოგვიღო. მას ჯერ ათობები ელაპარაკა ბეერს თავიანთ ენაზე, დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი. ამ საუბრის შემდეგ ალი უფრო გულთბილად და დაინტერესებული მელაპარაკებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ვახშმის სუფრა გაგვიშალეს. მშვენივრად ვივახშმეთ და უმალვე შეუდექით საქმეს, ეინაიდან დილამდე უნდა დაგვემთავრებინა მთავარი მოლაპარაკება, რაც ჩემი მგზავრობის ძირითად ამოცანას შეადგენდა. აი, რა სიტყვებით მიემართე ბატონ მიტაევს: „ბატონო ალი, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორ სარგებლობდა რუსეთი კავკასიელებს შორის უთანხმებითა და მტრობით. ის არა მარტო ხელს უწყობდა, არამედ ცდილობდა უფრო მეტად გამწვავებულიყო მათ შორის შუღლი. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ცხოვრებაში ყველას მსდის შეცდომები. აი, დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ ჩვენი წინაპრებისაგან ჩვენს შეცდომებს, რომლებიც ძვირად დაგვიჯდა. ჩვენი, მთელი კავკასიელების, შეცდომა ის იყო, რომ როდესაც საქართველო ებრძოდა რუსებს, ჩრდილოეთი არაფერს არ ფიქრობდა, და, როდესაც მთელი კავკასიელების საამაყო შვილი, შამილი, ებრძოდა რუსებს, საუბედუროდ, პატარა ნაწილი ქართველებისა მიემხრო რუსებს. ეს კი მაშინ, როდესაც მთელ კავკასიელ ერებს, როგოცკ ერთს ისე უნდა ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ბატონო ალი, გაიხსენეთ, რა განწყობილება იყო წარსულში დაღესტანსა და საქართველოს შორის: როდესაც საქართველო ეომებოდა ვისმე, დაღესტანი ზურგში გვირტყამდა; ტყვედ მიჰყავდათ ქალები, კაცები, ბავშვები. ეს იყო მთავარი მიზეზი და რუსების პროპაგანდა, რომ ნაწილი ქართველებისა შამილის წინააღმდეგ წავიდა არ იფიქროთ ერთი წუთით, რომ მე ამ გარემოებას ვამართლებ. პირიქით, ვწუხვარ, ჩვენმა წინაპრებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ რუსეთია ჩვენი საერთო მტერი და მათი შეცდომები დღეს ჩვენ გვიხდება ბარგად და საზიდად. ბატონო ალი, ჩვენ, კავკასიელ ერები, ძალიან ვგავართ ერთმანეთს რაინდობით, ზნე-ჩვეულებით, ტრადიციით და მრავალი სხვით. მხოლოდ რელიგიაშია განსხვავება: სამხრეთი — ქრისტიანულია, ჩრდილოეთი — მუსულმანური, მაგრამ ამან რატომ უნდა დაუშალოს ჩვენს მეგობრობასა და ჩვენი ქვეყნების ინტერესებს?! ჩვენ, ქართველებს, გვაკავშირებს ქართველი მუსულმანები, რაც სრულიად არ უშლის ჩვენს ძმობას, ბატონო ალი, დღეს მე მოვედი თქვენთან, გამოგზავნილი ვარ ჩემი ბელადისგან, რომელიც აგრძელებს ჩვენი წინაპრების და შამილის დაწყებულ საქმეს. მე მინდა გთხოვოთ პირადად თქვენ, როგორც გაგლენიან პირს ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ გადასცეთ თქვენს ხალხს ჩვენი, ქართველების სურვილი და მისწრაფება; ბოლო მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღოს ჩვენს შორის მტრობას და ყოველივე იმ საქციელს, რომელიც არ შეჰფერის ჩვენ რაინდობას, და რომელიც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნების თავისუფლებას". ამ სიტყვებით დავამთავრე ჩემი სათქმელი.

ალი დიდი ყურადღებით უსმენდა ჩემს ლაპარაკს. ცხოველი ყურადღებით შემომყურებდა ათაბეიც. მას უნდოდა ყველაფერი გაეგო, მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი არ ესმოდა. ლაპარაკი რომ დავამთავრე, ალი მიტაევმა მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: „რაც თქვენ დღეს მითხარით, მე მგონია, თითქოდა ეს ყველაფერი მე გითხარით, იმდენად ამოჰკრიფეთ ჩემი გულთნადები"-ო.

ამის შემდეგ ალიმ და ათაბეიმ დაიწყეს ერთმანეთთან ლაპარაკი თავიანთ ენაზე. რა თქმა უნდა, ჩემი ნალაპარაკევი ალიმ ათაბეის გადასცა. როცა საუბარი დაამთავრეს, ათაბეი წამოხტა და გულში ჩამიკრა. ორივეს ძალიან მოეწონა ჩემი გულახდილი ლაპარაკი. მერე ალიმ მითხრა: „მე ვხედავ და დიდად ვიფასებ თქვენს გულწრფელ და პატრიოტული გრძნობით აღსავსე გულისთქმას"-ა-ო.

თითქმის გათენებამდე გასტანა ჩვენმა საუბარმა. ალი ძალიან დაინტერესდა ჩვენი რაზმის მოქმედებით, იმას გაგონილი ჰქონდა ჩვენი რაზმის მოქმედების თაობაზედაც და განცვიფრებული იყო ჩვენი პატარა რაზმის მოღაწეობით.

●

ალი მიტაევმა თავის თავზე აიღო კავშირის გაბმა მეზობელ ეროვნებებთან. მისთვის ეს ბევრად უფრო ადვილი იყო, რადგან მას ყველგან ჰყავდა ნაცნობობა, რომელთა შორისაც იგი დიდი გავლენით სარგებლობდა. ალის რომ თავის ხალხში დიდი გავლენა ჰქონდა, ეს რუსებსაც ბრწყინვალედ მოეხსენებოდათ. აი, ამისთვის ცდილობდნენ ისინი მისი პრესტიჟის დაცვას. ამის დასტურად ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან, რომელიც არა მარტო თვით ალიმ, ათაბეიმაც მიამბო. მაგრამ მანამ ამ მაგალითზე გეტყოდეთ რამეს, განმარტებისათვის უნდა აღვნიშნო, რომ იმ ხანებში ბარის ჩეჩნებში კი გვარიანად იყვნენ შეჭრილი რუსები, თუმცა დიდ სიმაგრეს და სიმკაცრეს ვერ იჩენდენ მათ მიმართ, ამის გამო ისინი ხშირად იბარებდნენ ალის: ესაუბრებოდნენ, კითხავდნენ არაერთ საკითხზე, იგებდნენ მის აზრს და ცდილობდნენ როგორმე მიემხრთნ იგი, ბოლოს, რაკი დაინახეს, რომ არც აგრე ადვილი შეიქმნა იმისი მოდრეკა, მათ ამისთანა ხერხს მიმართეს: გროზნოში ერთი ამგვარი შეხვედრისას, რომელსაც მრავალი ხალხი ესწრებოდა, ამ საზოგადოების დასანახად ფულით სავსე ხურჯინი გადაჰკიდეს მის ცხენს, რასაკვირველია, კომუნისტებმა განგებ გააკეთეს ეს, რომ ხალხი დაერწმუნებინათ: ფულის გულისთვის ალი ყველაფერს იკადრებსო!

მოლაპარაკების დასასრულს გარეთ რომ გამოსულა და ამნაირად დამძიმებული ცხენისათვის შეუხედავს, ალი დაინტერესებულა: მე ხომ არა მჭონდა და ახლა რაღაცით დატვირთული ხურჯინი საიდანღა ჰკიდია ამ ჩემს ცხენსაო! მას იქვე გაუსინჯია ის და, რა უნახავს ფულით გატენული აბგები, უმალ მიმხვდარა, თუ სად ჩაუმარხეს მას რუსებმა ძაღლის თავი! წამითაც არ დაბნეულა ალი ავისგამზრახთა ამგვარ თაღლითობაზე და მაშინვე ამ სიტყვებით მიუმართავს ხალხისათვის: „აი, ეს ხურჯინი ჩემს უნებლიეთ გადუკიდიათ ჩემს ცხენზე. ფულით სავსეა. მოდით, ეს ფული თქვენია"-ო. და ამის წარმოთქმისთანავე დაუწყია ფულის დარიგება ხალხისთვის, მანამ ხურჯინის თვლები პირწმინდად არ გამოცლილა. ალის ამგვარ საქციელს თურმე თავიანთი თვალით უყურებდნენ რუსები, კარგა წარმოიდგენს მკითხველი, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მაგზე ალი მიტაევის საქციელი და რა თვა-

ლიო დაუწყებდნენ მას ყურებას ამის შემდეგ ამისთანა გაბედული სიღის გაწნისათვის!

●

ამრიგად, ჩვენი მისიის წარმატებით დიდად კმაყოფილი დავბრუნდით მე და ათაბეი ამ უკანასკნელის სახლში. გზადაგზა მე იმას იმ სოფლებში მივაყვადი, სადაც ჯერ კიდევ არ ვიყავით ნამყოფნი. ერთი სოფლის გარეთ მთის ძირს მივატანეთ. იქ პატარა, მაგრამ ძალიან ჩქარი მდინარე ჩამოდიოდა. ანაზდეულად, ცხენოსანი რუსის ჯარი შეენიშნეთ, კარგა შორს, თავზე ძაბრულა ჰკიდებით. ისინი პირდაპირ ჩვენსკენ მოემართებოდნენ. დაახლოებით ორმოცდაათი კაცი იქნებოდა. მე მხოლოდ ეს გავიფიქრე იმ წამს: შეიძლება, ესენი ჩვენს გასათანგად მოდიან-თქო. ეინაიდან უკვე გავარდნილი იყო ხმა, რომ ჩეჩნეთში ჩოლოყაშვილის კაცები არიანო გადმოსული. ჩვენ შეეჩერდით. ეინაიდან ეს ისეთი მოუხერხებელი ადგილი ჩანდა. რომ არც გაქცევა ივარგებდა და არც წასვლა. მე მაშინვე მოვათვალიერე იქაობა. ჩემს მახლობლად ერთი ვეებერთელა, კაცის სიმაღლე ქვა დაელანდე და ათაბეის ეუთხარი: „მე მათ არ დავნებდები, ხოლო შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი“-მეთქი. რაზეც მან მყის მიპასუხა: „მე შენ როგორ დაგანებებ თავსა“-ო. ამასობაში, ჩვენგან ორას-სამას მეტრზე, რუსებიც შეჩერდნენ. მე გადავწყვიტე: თუკი ჩემზე წამოიწევენ, უმალ ამ ქვას ამოვეფარები; მაუზერის სამოცი ტყვია მაქვს; მანამდისაც ტყვიები მეყოფა, ახლო ვერავინ მოვა და, როცა ტყვია გამომელევა, ჯანი გავარდეს, რაც მოსახდენია — მოხდეს-თქო. ჩვენ არც ის გამოგვპარვია მხედველობიდან, რომ კომენისტებს ორი ჩეჩენი ახლდათ თან. შენიშნა თუ არა ეს, ათაბეი მათკენ წადგა წინ და შორიდან თავიანთ ენაზე გამოელაპარაკა იმათ, მან უთხრა: „ჩვენ მაგათ არ დავნებდებით. ეგენ თქვენ მოახერხოთ, ოღონდ მათ ჩვენი დაჭერა არ მოიწადინონ“-ო. ჩვენს იღბლად, ორივე ჩეჩენი ათაბეის ნაცნობი გამოდგა და იმ წამსვე ამგვარი პასუხი შეაგებეს: „თუ ასეთი რამ მოხდება, ჩვენც თქვენსკენ გადმოვალთ“-ო. ამ საუბრისას, სანამ მე მოხერხებულად ვიდექი იმ ქვასთან, მაუზერიც ამოვიღე ბუდიდან და ისე, რომ მათ არ შეემჩნიათ, უნაგირის ბალიშსა და ლაჯს შუა ამოვიდე. მე თვალნათლივ ვხედავდი, რომ ჩვენს კვალს ადევნებულნი გულმოდგინედ მითვალთვალებდნენ. მაგრამ არც მე ვიყავ ტყეში, თუ ისინი იყვნენ ხერხში, და მით უფრო არ ვაშორებდი თვალს, რომ უცაბ იარაღისთვის არ შეეკვლო ხელი, რადგან თოფები ზუთგზე ჰქონდათ გადაკიდებული სათითოდ ყველა მათგანს. ჩემი ჩვეულებისამებრ წყნარი ცხენი ახლა რაღაც ნერვიულობდა; ალბათ, ჩემი დაძაბული ნერვების ბრალი თუ იყო, რაც ამ საოცრად მგრძნობიარე პირუტყვზედაც გადადიოდა მაგნატისებურად. ასე გაგრძელდა თხუთმეტ თუ ოც წუთს. ალბათ, ადვილად წარმოიდგენს მკითხველი ჩემს მდგომარეობას: ორასიოდე ნაბიჯის მანძილზე დგანან ჩეკისტები და მიყურებენ; იციან ვინც ვარ, მაგრამ ვერც ჩემი დაჭერა გაუბედიათ და ვერც სროლა! რაც შემეხება პირადად მე, რასაკვირველია, თითის განძრევაც არ შემიძლია, სანამდე მათი მხრიდან არ შევნიშნავ რაიმე საეჭვო მოქმედებას!

აი, ამგვარ დაძაბულ ვითარებაში განვლო მთელმა ის ხანმა, როცა კაცს თითო წამი თითო საუკუნედ ეჩვენება. ბოლს ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, რის მიზეზსაც აქვე მოგახსენებთ: მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა ბრწყინვალედ უწყოდნენ ჩემი ვინაობა, მაინც ვერაფერი გაბედეს, რადგან მათ ძალიან კარგად მოეხსენებოდათ: თუნდაც ერთი თოფი გავარდნილიყო, იმავე წამს გამოესეოდნენ იქვე ახლო-მახლო მცხოვრები ჩეჩნები, ყველა მათ დაუწყებდა სროლას და, არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონია, რომ ვინმე მათგანი გადარჩენილიყო ცოცხალი ამბის მოხრობლად. ეტყობა, ამიტომ იფიქრეს: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო! ასე და ამგვარად, მათ თავიანთ შინაგან გულისხმას დაუჯერეს, შეაბრუნეს ცხენები და, როგორც მოვიდნენ, ისევე წავიდნენ პირში ჩალაგამოვლებულები! ჩვენც, რა კი მათ ვერაფერი გაგვიბედეს, თავი მივანებეთ, ვინაიდან იმყამად რუსებთან შებრძოლება არ შეადგენდა ჩვენს მიზანს. ასეთი იყო ბედის უეცარი წყალობა, რომ მე და ათაბეიმაც მშვიდად გავაგრძელეთ ჩვენი გზა!

საღამოჟამს ჩვენ ათაბეის მეგობრის ოჯახში მივედით ერთ სოფელში. მასპინძლები მთიულური სტუმართმოყვარეობით დაგვხვდნენ. თითქმის ოცდაათმა კაცმა მოიყარა თავი სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში. მათ თურმე გაგონილი ჰქონდათ ჩემი ჩენჩეთში ყოფნის ამბავი და ახლა პირადად უნდოდათ ქაქუცას კაცის ნახვა. რაკი გულისწადილი აუხდათ, ყველა სიხარულით მიცინოდა, თავით ფეხამდე მზომავდა, ხელს მართვევდა, და „მარშუალ“-ს მეუბნებოდა. „მარშუალ“ მისალმებაა ჩენნურ ენაზე, ჩვენი მთიულების ენით რომ ვთქვათ. „მოგვიხველ მშვიდობით“-აო.

იმ საღამოს ათაბეიმ გაცილებით მეტი ორატორობის ნიჭი გამოიჩინა, ვიდრე ოდესმე. ის ხალხს ჩენნურად ელაპარაკებოდა, მე კი არაფერი მესმოდა ქაქუცას სახელის მეტი, რომელსაც ხშირად იხსენიებდა. შეკრებილთა შორის ორიოდე ჩენენი აღმოჩნდა, რომელნიც რუსულად ლაპარაკობდნენ. ისინი კითხვას კითხვაზე მაყრიდნენ და, იმდენად ინტერესებდათ ყველაფრის გაგება, რომ ღაარც მომშორდნენ. ათაბეიმ შეკრებილთ უამბო, რომ მე ალი მიტაევთან ჭმენდა მოლაპარაკება და ამან უფრო მეტად დაინტერესა ჩენენები. თითქმის ღამის თეთრმეტ საათამდე გასტანა ამგვარმა გაცხოველებულმა საუბარმა. მერე ვიღა გაგვიშვებდა! ასე რომ ის ღამე იმავე ოჯახში გავათიეთ და მეორე დილით, მზის ამოსვლისთანავე გავუდექით ჩვენს გზას.

ჩვენ რომ ამ უკანასკნელ სოფელს კარგა მანძილზე გავცდით, გზა უკვე ვაკე ადგილზე მიდიოდა. გზის ორივე მხარეს სიმინდის ნათესები მიუყვებოდა, რომლის ნორჩი ღერებიც ორი-სამი მტკაველის სიმაღლეზე ამოწეულიყო. უცებ, საკმაოდ მოშორებით მოვკარი თვალი, რომ კურდღელი მორბოდა პირდაპირ ჩემი მიმართულებით. მე მყის გავაჩერე ცხენი. როდესაც კურდღელმა შემაჰჩნია, მაშინვე ჩემს მარცხნივ გადახტა სიმინდის ნათესებში და იმავე მიმართულებით გაიქცა. მე უმალ ჩამოვხტი ცხენიდან, ხელი დავავლე კარაბინს, რომელიც ჩემი უნაგირის ტახტაზე მქონდა ჩამოკიდებული, და დავიწყე მიზანში ამოღება. მიუხედავად იმისა, რომ ათაბეი მიძახდა: „ნუ ესვრი, ტყუილად ნუ გაიფუჭებ ტყვიას“-აო, მე მაინც არ დავიშალე ჩემი. აი, გავარდა ჩემი თოფიც და კურდღელიც მაღლა შეხტა! ახლა კი ათაბეი ჩამოქვეითდა ცხენიდან ფიცხლად. ჰაიჰარდ მიიჭრა სასიკვდილო ფართხალით შეპყრობილ მაღლა მხტუნავ კურდღელთან და ხანჯლით გამოსჭრა ყელი. ზევითაც მაქვს ნათქვამი, რომ, როგორც წესი, მუსულმანები არც ქრისტიანის ხელით დაკლული საკლავის ხროკს გეახლებიან, და არცთუ მისი ტყვიით მოკლული ნადირისას. მე ვიდექი, სიცილით ვუყურებდი ათაბეის სიხარულს და თან იქვე დავატანე: „აბა, ხომ დაინახე, რომ ტყვია ტყუილად არ გავაფუჭე“-მეთქი.

მართლაც რომ ჭეშმარიტი ბრძანებაა: თოფი — მეთოფეს და მეთოფე — სოფელსაო! უნად გენახათ ათაბეის სიხარული და სიამაყე, რაც წყვდიად ღამეში დაკვესებულ ელვასავით როდი გაქრა. სადაც კი ჩენენები შემოგვხვდებოდნენ, გაიჩერებდა და ამ კურდღლის მოკვლის ამბავს უამბობდა; რომელ სოფელშიც მივიდოდით, ყველგან უნდა მოყოლილიყო ამ ყურაქვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტას შესახებ, თავის უნაგირის ტახტაზე რომ ჰქონდა ჩამოკიდებული. ეს იყო არამომშერნე, სულდიდი ადამიანის ალალი და ამამაღლებელი გრძნობა, რაც ესოდენ ინვიათი ხილი გახდა დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში და ისევ მთის ლაღი ბუნების შვილებს თუღა შემორჩენიათ იგი. ასე თავშექცევით ვუთხოვდებოდით ათაბეის სახლს და ახლა კი ცოტაოდენ ავჩქარდით, ვინაიდან სასწრაფოდ, ამყამად უკვე მეორედ უნდა გამეგზავნა შამილი, რომელიც ათაბეის ბინაზე მელოდებოდა.

●

მე შინ მისვლისთანავე მიეწერე ქაქუცას საკმაოდ გრძელი წერილი, რომელშიაც დაწვრილებით ეწერდი ალი მიტაევთან, და აგრეთვე ყველა სოფლის წარჩინებულ კაცებთან მოლაპარაკების თაობაზე. შამილი ვეღარ ისვენებდა ფიცი ბედაურივით და მზად იყო ჩიტივით გასაფრენად. ეს დღეც დაუდგა. ჩვენი დაბრუნების მესამე დილას, ცამ ის-ის იყო გადაიყარა ღამის ბინდ-ბუნდი, რომ ჩემი ფოსტაც დაიძრა, მესამე დღეს ის უკვე მიაღწევდა ქაქუცასთან. როგორც ზევითაც მაქვს ნათქვამი, ასეთი მგზავრობა მუდამ საზითაფო იყო, რადგან გზა მთის თუშების სოფლებზე გადის. სავალელოდ, იმ დროისათვის კომუნისტებმა მთის თუშებშიც გაიჩინეს პარტიულები, რომელნიც განუწყვეტლივ ყარაულობდნენ ამ გზას და, ამდენად მკითხველისთვის ადვილი გასაგებია ჩემი შიშიც: მე სული კბილებით მეჭირა, რომ ჩემს ფოსტას არაფერი ზიანი არ მიდგომოდა. ჩემი ღელვის მთავარი მიზეზი გაღლდათ ის, რომ ეს ორი ახალგაზრდა — შამილს ნამ ათაბეის ძმაც თან დაჰყვებოდა — არ მოეკლათ და ამნაირად ჩემი წერილი რუსებს ხელში არ ჩავარდნოდათ. რადგანაც ეს დიდ ზიანს მიაყენებდა ჩვენს საქმეს. ერთადერთ იმედის სხივად ისღა დამრჩენოდა, რომ შამილმა თავისი ხუთი თანამეგზავრი და ყველა სახიფათო ადგილი, და, როგორც კარგი დაგეშილი მელა, არც აგრე ადვილად გაებმებოდა მახეში.

ათიოდე დღეში შინ მშვიდობით დაბრუნდნენ შამილი და ათაბეის ძმა. ახლა ორივენი ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი, შეფიცულებს თურმე კიდევ წაერთმიათ ხუთი თუ ექვსი ცხენი მილიციონერებისთვის და მათგან ორი შიკრიკებისათვის მიუციათ. ხოლო დანარჩენები კი გაუშვიათ. ჩემმა ფეხმარდმა შიკრიკმა ძალიან მოკლე ბარათი ჩამომიტანა ქაქუცასგან, რომელშიაც იგი მწერდა, თუ დახლოებით როდის წამოვიდოდა, ოღონდ კი ფეხით. გარდა ამისა, შამილმა პირადადაც ბევრი რამ გადმომცა რაზმის შესახებ.

ჩვენ ცოტა-ბევრად ვიცოდით, თუ როდის შეიძლებოდა დავხვედროდით საზღვარზე ქაქუცას და მეტნაკლებად ამ დროისთვის წავედით მე, როსტომი, ათაბეი და კიდევ სამი ჩეჩენი. ჩვენ ერთი ღამის გათევა მოგვიხდა საზღვართან, სადაც კაი გვარიანად ვიკანკალეთ, განსაკუთრებით მე, მიუხედავად იმისა, რომ ნაბადში ვიყავი გამოხვეული. ეს არც იყო გასაკვირი, ვინაიდან ის საზღვარი ყველაზე მაღალ მთასთან მდებარეობდა.

ქაქუცა გათენებისას მოვიდა საზღვართან რამდენიმე კაცით. მე ვიცოდი, რომ რვანი უნდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ ხუთი რომ დავითვალე, იმ წამსვე მეტად არასასიამოვნო გრძნობამ გამკრა გულში. ჩემს კითხვაზე, დანარჩენები სადღა არიან-თქო, ქაქუცამ შეწუხებულად მიპასუხა: „ვანიჩკა ყარანგოზაშვილი გახდა ცუდად. ამის გამო მასთან დავტოვე სერგო მაისურაძე და ლუა კვალიაშვილი, რომ შეასვენონ და ნელ-ნელა წამოიყვანონ“-ო. გარდა იმისა, რომ ვანიჩკას მაღალი მთის ჰაერი ვერ აუტანია, მას ძველი ჭრილობაც ჰქონდა თავში და, როგორც ჩანს, იმანაც იმოქმედა, სწორედ რომ ამაზეა ზედგამოჭრილი: ჭირი ჭირზე შემეყაროო! აბა, ქაქუცას სად ჰქონდა ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინის დრო, და იგი ოთხი კაცით გადმოვიდა საზღვარზე, ხოლო იმ სამთაგან ორს ალბათ იქ ეწერა სიკვდილი...

ცხადია, იკითხავთ, თუ რა მოხდა თუშების სოფელთან ქაქუცას გადმასვლის მეორე დღეს. ეს სამი კაცი ღამით სადღაც მიმალულა, რომ ვანიჩკა შეესვენებინათ, და მეორე დღეს ნელ-ნელა წამოსულან. შეუმჩნეველათ თუ არა უცხოები, კომუნისტებს უმალ შეუკრავთ გზა და იარაღის დაყრა უბრძანებიათ მათთვის. რასაკვირველია, შეფიცულები ბრძანებას არ დამორჩილებიან და ორივე მხარეს აუმოქმედებია იარაღი. ეს შებრძოლება ნაღდ წაგებას ნიშნავდა და აი, რატომ: კომუნისტები დაწოლილნი დასცქეროდნენ ჩვენებს მაღლა საყარაულოდან. და, თავისთავად ცხადია, რომ მათთვის ადვილი იყო სროლა დაბლა სამიზნისთვის. ამდენად აშკარაა, რომ შეფიცულები იყვნენ მეტად მძიმე მდგომარეობაში, რადგან დაბლიდან, თუ ფეხზე მდგომი არ არის კაცი, ძნელად თუ მიუყენებს ტყვიას. აი, ამ მდგოარეობას ემსხვერპლენ ვანიჩკა ყარანგოზაშვილი და ლუა კვალიაშვილი. ეტყობა, განგების ნებამ იხსნა ნაღდი აღსასრულისაგან სერგო მაისურაძე, რომ იმ სამთაგან მხოლოდ მას მოუსწრია ერთ მოხერხებულ ალაგას ჩახტომა ტინებში, სადაც მას ვერავინ მიუდგებოდა ზურგიდან. ასეც მოხდა. მას თურმე ვერასგზით მისწვდომიან მთელი დღის განმავლობაში და, ბოლს, დაღამებისას, როგორც იქნა გასულა სამშვიდობოს და კვლავ რაზმში დაბრუნებულა.

ჩრჩნეთში ერთი დღის შემდეგ მოაღწია ჩვენამდე ამ გულშემზარავმა ამბავმა, რამაც საშინლად შეგვაწუხა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უცხო კაცისთვის მეტად სახიფათოა მგზავრობა მთის ხალხში და მთიელების სოფლებზე გავლით, განსაკუთრებით საზღვრის ახლო მდებარე სოფლებში. განსაცდელისაგან თავის დაზღვევის მიზნით თან უნდა გახლდეს ადგილობრივი მკვიდრი. ამგვარად. ჩვენს შეფიცულებს შეცდომა მოუვიდათ, რომ მათ თან არ იახლეს ვინმე თუში. მე რომ როსტომი არ მხლებოდა თან, დარწმუნებული ვარ, მეც ისეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, როგორშიც მოხვდნენ ვანიჩკა ყარანგოზაშვილი, ლუა კვალიაშვილი და სერგო მაისურაძე!

ამ სამწუხარო შემთხვევამ ყალბი სიხარულის საბაბმი მისცა კომუნისტებს. მათ იცოდნენ, რომ მე რამდენჯერმე გადავედი ჩრჩნეთში. ამისათვის, რაღაცნაირად მე ვეგონვეე მოკლული ყარანგოზაშვილი და ჩემი რაიონის რევკომში ასეთი გნცხადება გამოაკრეს: „სულხანიშვილი მთის თუშეთში იქნა მოკლული“-ო. ეს მეორედ დაყარეს ხმა ჩემი მოკვლის შესახებ. პირველად, ალბათ გახსოვთ, ხევსურეთის ამბოხებისას, არ ვიცი, შეცდნენ, თუ განგებ ჩაიდინეს ეს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ უფრო განგებ.

გაგრძელება იქნება

ნიკოლოს ბერდიაევი

თანამედროვე მსოფლიოს სულიერი მდგომარეობა

თანამედროვე ადამიანში ყველაფერი განიცდის კრიზისს, არა მარტო სოციალურ და ეკონომიკურ, არამედ კულტურულ, სულიერ კრიზისს. ყველაფერი პრობლემად იქცა. ეს უფრო მძაფრად გერმანიაში იგრძნობა და ამაზე ბევრიც იწერება, როგორ ხვდებიან კრისტიანები სამყაროს აგონიას და როგორ უნდა ხვდებოდნენ? არის თუ არა ეს კრიზისი ორ-კრისტიანთა, ურწმუნოთა, კრისტეს რჯულის უარმყოფელთა კრიზისი? თუ ეს კრისტიანობის კრიზისიცაა და კრისტიანებიც ინაწილებენ სამყაროს ხვედრს? მან არ ძალუძთ თავი ისე მოგვაჩვენოს, თითქოს კრისტიანობაში, კრისტიანულ სამყაროში ყველაფერი რიგზეა და რაც ირგვლივ ხდება, მან არ ეხება. კრისტიანულ სამყაროს, კრისტიანულ მოძრაობას აწევს უდიდესი პასუხისმგებლობა, სამყარო განკითხვის კარზეა და ეს ისტორიული კრისტიანობის განკითხვაცაა. თანამედროვე სამყაროს სნეულებანი დაკავშირებულია არა მარტო კრისტიანობისგან განდგომასთან, რწმენის გაცივებასთან, არამედ კრისტიანობის ძველისძველ ადამიანურ სნეებთან. კრისტიანობა უნივერსალურია თავისი მნიშვნელობით და მის ორბიტაში ყველაფერია მოქცეული, მისთვის არ შეიძლება რაიმე მთლიანად გარეგნული იყოს. კრისტიანებმაც უნდა შეიცნონ თანამედროვე სამყაროს სულიერი მდგომარეობა, განსაზღვრონ რას ნიშნავს სამყაროს კრიზისი კრისტიანობაში. კრისტიანული უნივერსალობის შიგნით, სამყაროს მიეიდა თხეკად მდგომარეობამდე, მაგრამ უკვე აღარა მყარი სხეულები, იგი განიცდის რეკოლუციურ ეპოქას როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად. იგი განიცდის სულიერ ანარქიას, ადამიანი ცხოვრობს შიშს (Angst).[1] როგორც არსებული, ცხოვრობს მუდმივ საფრთხეში, უფსკრულის თავზეა დაკიდებული. თანამედროვე ეპოქაში ადამიანმა დაკარგა ის რწმენაც, რომლითაც იგი გასულ საუკუნეში ცდილობდა ქრისტიანული რწმენის შეცვლას. მას უკვე აღარა სჯერა პროგრესის, ბუმანიზმის, მეცნიერების, დემოკრატიის. მან შეიცნო კაპიტალისტური წყობილების უსამართლობა და დაინახა სრულყოფილი სოციალური წყობის უტოპიურობა. თანამედროვე საფრანგეთი შთანთქმულია კულტურის სეფუსისით, თანამედროვე გერმანიაში ქრიზისმა გაიფუფასოა ყველა ღირებულება. მთელი ევროპა შეძრწუნებულია იმ გაუგებარი მოვლენებით, რაც საბჭოთა რუსეთში ხდება. რუსეთი მოიცვა ახალმა რწმენამ, ახალმა, ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილმა რელიგიამ. თანამედროვე ევროპისათვის ნიშნდობლივი გახდა პესიმისტური ფილოსოფიის ისეთი ახალი ფორმების აღმოცენება, რომელთან შედარებით შოპენჰაუერის პესიმიზმი უკოდველ ქრავად მოგეჩვენებათ. ახეთია ჰაიდეგერის ფილოსოფია, რომლისთვისაც ყოფა თავისი არსით დაღმასვლაა, სამყაროს უნუგეშოდ ცოდვილია, არც ღმერთია სადე და აჩქვეკუნაური ყოფის არსი შხოლოდ ზარუნვაა, თანამედროვე ევროპის შუაგულის სულთა მპყრობელად გვევლინება, მელანქოლიური, პირქუში კრისგეგარდტი, მისი სწავლება შიშის შესახებ ძალიან პოპულარული გახდა, დღეს იგი ადამიანის და ყოფის მდგომარეობის გამომხატველი. მეტნაკლებად საინტერესო და მნიშვნელოვან მიმდინარეობად თეოლოგიური და რელიგიური აზრისა გვევლინება ბართოანელმა, რომელიც გაფლენთილია ადამიანის ცოდვილობისის მძაფრი, უკიდურესი განცდით. აქ სამყარო და ქრისტიანობა გაგებულია უკიდურესად ესხატოლოგიურად. ეს მოძრაობა ლიბერალურ-ბუმანისტური და რომანტიკული პროტესტანტიზმის წინააღმდეგ მიმართული რელიგიური რეაქცია გახლავთ. ასეთივე რეაქცია ლიბერალიზმისა, რომანტიზმისა და მოდერნიზმის წინააღმდეგ შეინიშნება კათოლიკეზმში, რომელიც მოდერნისტული საფრთხისაგან ხსნას ლამობს თომა

[1] ტექსტ ბაბი

[2] „ეროვნული", № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკვინელის მოძღვრებით. თომიზმი არის არა მარტო კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ფილოსოფია, იგი გახდა კულტურული მიმდინარეობაც და მოედვა კათოლიკეს ახალგაზრდობას. მაგრამ ბართიანელობაც და თომიზმიც დამცირებია ადამიანისა, სწორაფვა ავტორიტარიზმისა და ტრადიციის ალდგენისაკენ არის ანარქიის მეორე მხარე და სამყაროს ჯოხი. დასავლურ ქრისტიანობაში შესუსტდა ადამიანის რწმენა, რწმენა მისი შემოქმედებითი ძალისა და ამ სამყაროში მისი ადგილისა, სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობებში ჩაგდებდა ძალადობისა და ავტორიტეტის პრინციპები. კოფუნიზმის, ფაშიზმის, ნაციონალ-სოციალიზმის სახით ახალ გამარჯვებას ზეიმობს ეკონომიკური და რასობრივი მატერიალიზმი. თითქოს ადამიანი დაიღალა თავისთავისაგან, ადამიანისაგან, განერიდა ადამიანს და ზეადამიანურზე ცდილობს დაყრდნობას, თუნდაც ეს ზეადამიანური სოციალური კოლექტივი იყოს. ბევრი ძველი კერპი დაეშხა ჩვენს დროში, მაგრამ აქმნება ახალი კერპები. ადამიანი ისევ მოწყობილი, რომ მან ან ღმერთის რწმენით უნდა იცხოვრის, ან იდეალებისა და კერპებისა. არსებითად ადამიანს არ შეუძლია იყოს ბოლომდის ათეისტი. თუ ღმერთს და რწმენას უარყოფს — კერპთაყვანისმცემელი ხდება. კერპთაყვანისცემას ვხედავთ ჩვენ უველა სფეროში — მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სახელმწიფოებრივ, ეროვნულ, სოციალურ ყოფაში. ახე მაგალითად, კოფუნიზმი არის სოციალური კერპთაყვანისმცემლობის უკიდურესი ფორმა.

თანამედროვე ევროპელს შეუსუსტდა ყოველგვარი რწმენა. იგი უფრო თავისუფალია ოპტიმისტური ილუზიებისაგან, ვიდრე XIX საუკუნის ადამიანი, იგი დგას გაშიშვლებული, დაუსრულებელი მკაცრი რეალობის პირისპირ. თანამედროვე ადამიანი ერთგვარად ოპტიმისტი და რწმენით აღსავსეა: მას ჰყავს კერპი, რომელსაც ყველაფერი მსხვერპლად უნდა შესწიროს. აკ ჩვენ მივდიეართ თანამედროვე სამყაროს ულღერეი ბოლომარეობის უმთავრეს მოვენტთან; ფლეკნდელ ადამიანს სჯერა ტექნიკის ძლიერებისა. ზოგჯერ გგონია, რომ მანკანება ერთადერთი, რისიც ჯერ კიდევ სჯერა. მისი ოპტიმიზმისათვის, ამ დამოკიდებულებაში, ერთი შეხედვით, არის ძალიან სერიოზული საფუძველი. ტექნიკის თავბრუდამხვევი წარმატებები ჩვენს ეპოქაში არის ნამდვილი სასწაული. ადამიანი შეიძრწუნებული და გასრესილია ტექნიკის ყოვლის-შემძლეობით, ტექნიკაა, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება შეატრიალა. თვითონ ადამიანმა შექმნა იგი, მისი გენიის ნაყოფია, მისი გონებისა, მისი გამოგონებლობისა, იგია პირმშო ადამიანური სულისა. ადამიანმა შექმნა გამონთავისუფლება ბუნების ფარულ ენერგიებისა, მათი სათავეთო მიზნებისთვის გამოყენება. ადამიანმა შეიტანა თეოლეოლოგიური პრინციპები მექანიკურ-ფიზიკურ-ქიმიურ ძალთა მოქმედებაში. მაგრამ ადამიანმა ვეღარ შეიძლო თავისი საქმის შედეგების ფლობა. ტექნიკა ადამიანზე ძლიერი აღმოჩნდა, მან დაიმორჩილა იგი. ტექნიკა არის თანამედროვე ადამიანის ოპტიმისტური რწმენის ერთადერთი სფერო, მისი ყველაზე დიდი გადაკეცვა. მაგრამ მას მოაქვს ადამიანისათვის უამრავი უბედურება და სასოწარკვეთა, იგი შთანთქავს ადამიანს, ასუსტებს მის სულიერებას, ეშურება განადგურებით. ჩვენი დროის კრიზისი მნიშვნელოვნად ტექნიკათაა წარმოშობილი, ადამიანს არ შეუძლია მისი გამეკავება. და ეს კრიზისი უმთავრესად სულიერი კრიზისი გახლავთ. ჩვენი თემისთვის მთავარია იმის აღნიშვნა, რომ ქრისტიანის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ტექნიკისა და მანკანის წინაშე, ცხოვრებაში მისი ადგილის გასარკვევად. ქრისტიანულმა ცნობიერებამ ალარ იცის როგორ მოეკეცეს იმ უზარმაზარ მსოფლიო მოლეენას, რაც ადამიანის ცხოვრებაში ტექნიკისა და მანკანების დანერგვას მოჰყვა. ბუნებრივი გარემო, რომელშიც ადამიანი მიჩვეული იყო ცხოვრებას, უკვე ალარ ეჩვენება მუდმივ მოწესრიგებულად. ადამიანი ცხოვრობს ახალ სამყაროში, სრულიად არა ისეთში, როგორშიც ქრისტიანული მოძღვრება ალმოცენდა, რომელშიც ცხოვრობდნენ წმინდა მამები, ეკლესიის წინამძღვარნი, წმინდანები, რომელთაც უკავშირდება ქრისტიანული სიმბოლიკა. ქრისტიანობა წარმოიდგინათ მიწასთან, ცხოვრების პატრიარქალურ ყოფასთან კავშირში. ტექნიკამ კი მოწყვიტა ადამიანი მიწიდან, სამოლოოდ დაანგარა პატრიარქალური წესრიგი. ქრისტიანს შეუძლია ცხოვრება და მოქმედება იმ სამყაროში, სადაც ყველაზეური განუწყვეტელი იცვლება, რომელშიც უკვე არაფერია მყარი. ქრისტიანი ეეეჩვეა ცხოვრებას ორი რიგმით — რელიგიური და ცხოვრებისეული რიგმით. ცხოვრებისეული რიგმისას იგი მონაწილეობს რელიგიურობას განრიდებულ ტექნიზაციის პროცესში, ხოლო რელიგიური რიგმისას, თავისი ცხოვრების რამდენიმე დღეს თუ საათს იგი ამქვეყნიურიდან ღმერთთან მიემართება. მაგრამ გაურკვეველი რჩება რას წარმოადგენს რელიგიურად ეს ახლად წარმოქმნილი სამყარო? დიდხანს ტექნიკა მიანნდათ მეტნაკლებად ნეიტრალურ, რელიგიურად განურჩეველ, სულიერების სფეროდან განუვნებელ რდა უცოდველ სფეროდ, მაგრამ ის დრო წავიდა. თუმცა ეს მრავალს არც შეუმჩნეეია. ტექნიკა ალარაა ნეიტრალური. ტექნიკის საკითხი იქცა სულიერ საკითხად. ადამიანის ბედისწერის საკითხად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთთან დამოკიდებულების საკითხად. ტექნიკას აქვს უზომოდ ღრმა მნიშვნელობა, ვიდრე ჩვეულებრივ ჭვრნიალი, მასა აქვს კოსმოლოგიური მნიშვნელობა, იგი ჭვრნის სრულიად ახალ სინამდვილეს. შეიდლება ფიქრი, რომ ტექნიკით წარმოქმნილი სინამდვილე, ესაა ძველი ფიზიკური სამყაროს სინამდვილე, სინამდვილე, რომელიც შეისწავლება შეკვანით, ფიზიკით, ქიმიით, ესაა სინამდვილე, რომელიც ჯერ არ ყოფილა კაცობრობის ისტორიაში და რომ იგი მხოლოდ სრულყოფილმა ადამიანის მაძიებელმა გონმა აღმოაჩინა. ადამიანმა შეძლო შეექმნა ახალი სამყარო. მაგრამ მეკანიკა არაა. მანქანაში მოქცეულია ადამიანის გონება, მასში მოკმედებს თელეოლოგიური პრინციპი. ტექნიკა ქმნის იმ ენერგიათ გაჯერებულ ატმოსფეროს, რომელიც ბუნების სიღრმეში იყო აკამდის დფარული. ადამიანი აღარაა დარწმუნებული, რომ მას შეეძლება ამ ახალ ატმოსფეროში ისუნთქოს. წარსულში კი იგი მიჩვეული იყო სხვა მაერით სუნთქვას. ჯერაც ცხადი არაა, რას მოიტანს ადამიანის ორგანიზმისათვის ის ელექტრული ატმოსფერო, რომელიც თვითონ შექმნა, ტექნიკა ადამიანის ხელში იქცა საშინელ ძალად, რომელმაც შეიძლება გაანადგუროს კაცობრობა.

ძველი ბერძენი, ადამიანს რომ ჰქონდა ხელი, მხოლოდ სათამაშო იყო და შეიძლებოდა ნეიტრალურად ჩაგვეთვალა, მაგრამ, როცა ადამიანის ხელთ არის ასეთი საშინელი ძალა, ახლა კაცობრობის ბედი დამოკიდებულია ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე. უკვე ახლანდელი გამანადგურებელი საბრძოლო ტექნიკა, თითქმის კოსმიური კატასტროფით რომ იმუქრება, სულიერების პრობლემას მთელი სიმწვავით აუენებს. ტექნიკა არის არა მარტო ადამიანის ბუნებაზე მბრძანებლობა, არამედ ადამიანის ადამიანზე მბრძანებლობაც. ადამიანის სიცოცხლეზე მბრძანებლობა, ტექნიკა შეიძლება ჩავაყენოთ ღმერთის სამსახურში, მაგრამ შეიძლება იგი ეშმაკის მსახურადაც იქცეს! სწორედ ამიტომ არაა ტექნიკა ნეიტრალური, სწორედ ჩვენს მატერიალისტურ დროში იძენს უველაფერი სულიერ მნიშვნელობას, უველაფერი წარმოსდგება სულიერების ნიშნით. სულის მიერ წარმოქმნილი ტექნიკა, ამატერიალიზებს ცხოვრებას, მაგრამ მასვე შეუძლია მატერიალურ-ორგანულ ცხოვრებასთან შეუზღილი სულის განთავისუფლება, მას შეუძლია შემწეედ ექმნეს სულიერებას.

ტექნიკა ნიშნავს მთელი არსებული კაცობრობის გადასვლას ორგანიზმიდან ორგანიზაციისაკენ. ადამიანი უკვე აღარ ცხოვრობს ორგანულ კარემში. იგი მიჩვეული იყო ბუნებრივ კაკნრის მიწასთან. მცენარეულ და ცხოველთა სამყაროსთან. წარსულში ადამიანის კულტურები ბუნებით იყო გარშემორტყმული, უველაზედან ბალები, ველიები, ცხოველები, ადამიანი შორწყმული იყო ბუნების რიტმს. მიწის გრძნობა წარმიშობდა ტელეოლრისტულ მისტიკას (ამის შესახებ შესანიშნავი აზრები აქვს ბახოფენს). ადამიანი მიწიდან გამოიყავდა მიწას უბრუნდებოდა. ამასთანავე დაკავშირებული ღრმა რელიგიური სიმბოლიკა. უზომაზაარი მნიშვნელობა ჰქონდა მცენარეულის კულტებს. ადამიანისა და ხაზოგადოების ორგანული ცხოვრება წარმოიდგინეთ მცენარეულთა ცხოვრების დარად. ორგანული იყო ოჯახის, კორპორაციების, სახელმწიფოების, ეკლესიის ცხოვრება, საზოგადოება ჰგავდა ორგანიზმს. XIX საუკუნის დასაწყისის რომანტიკოსები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ორგანიზმსა და ორგანულობას. მათგან მოდის უველაფერი ორგანულის იდეალიზაცია და მეკანიკურის სიძულვილი. ორგანიზმი იბადება. იგი არ იქმნება ადამიანისაგან, იგი არის ბუნებრივი დაბადება, კოსმიური ცხოვრება, მასში მთელი ნაწილებისაგან არაა შეკრებული, მთელი წინ უსწრებს ნაწილებს და განსაზღვრავს მათ სიცოცხლეს. ტექნიკა წუვდებ ადამიანს მიწისაგან, გადაყავს მსოფლიო სივრცეში, აძლევს დედამიწის პლანეტარულობის გრძნობას. ტექნიკა რადიკალურად ცვლის ადამიანის დამოკიდებულებას სივრცესთან და დროსთან. იგი მტრობს ყოველგვარ ორგანულ გამოვლინებას. ტექნიკური ცივილიზაციის ხანაში ადამიანი აღარ ცხოვრობს ცხოველთა და მცენარეულ სამყაროსთან, იგი ეშვებოდეა ახალ გაცივებულ-მეტალისტურ გარემოში, რომელშიც აღარაა ცხოველთა სითბო, აღარაა მხურვალე სისხლი — ტექნიკის ძალმოსილებას მოსდევს სულიერების შესუსტება ადამიანურ ცხოვრებაში; ქრება მეუფლრება, ლირიკა, ნაღველი; უველაფერი რაც სულთან იყო დაკავშირებული. ტექნიკა კლავს ცხოვრებაში უველაფერ ორგანულს და მთელი ადამიანური არსებობის მეკანიკურ ორგანიზებულობას ლამობს. ორგანიზმის ორგანიზაციიდან გადასვლის აუცილებელია არის ერთერთი საფუძველი თანამედროვე სამყაროს კრიზისისა. ადვილი არაა ორგანულიდან მოწყვეტა. მანქანა მკაცრი გულგრილობით წუვდებ ორგანულ გარემოს შეზზდილ სულს. ეს უველაზე მეტად საჩინო ზდება საფუთა სულიერი ელემენტების ადამიანურ ცხოვრებაში შესუსტებით, მთლიანი ადამიანური გრძნობების დანაწეკრებით. ჩვენ შევდევართ სულისა და ტექნიკის ურთიერთობის მკაცრ ეპოქაში. ორგანულ ცხოვრებასთან დაკავშირებული სული ძალიან მეოფე, მსხვრევადი ადმონნდა, იგი იერარქიზება ყოველი მკაცრი ფორკმისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან, რომელსაც მანქანა აუენებს, იგი სიხარულისგან იცლება, და ზოგჯერ ჩქარნა, რომ უკვე ალსარსულიც მოუახლოვდა. ჩვენ აღვიქვამთ ამას, როგორც ტექნიკაციის, მექანიზაციის, მატერიალიზაციის საბედისწერო პროცესს, მაგრამ სულს შეუძლია ამ პროცესს წინ აღუდგეს, შეუძლია მისი მმართველი გახდეს, შეუძლია ახალ ეპოქაში გამარჯვებული გამოვიდეს, სწორედ ესაა მთავარი პრობლემა. ორგანიზაცია, რომლისკენაც გადადის სამყაო. ორგანიზაცია ადამიანთა უზარმაზარი მასებისა, ორგანიზაცია ცხოვრების ტექნიკისა, მეურნეობისა, ორგანიზაცია მეცნიერული მოღვაწეობისა, და ა. შ. ძალიან მძიმეა ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის, პიროვნების ინტიმიური გრძნობებისათვის; იგი წარმოშობს შინაგან რელიგიურ კრიზისს. ორგანიზაციის ელემენტები არსებობდნენ ადამიანური ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, რაკიდა ტექნიკის ელემენტებიც ახევე ძველია, მაგრამ ტექნიკური ორგანიზაციის პრინციპი არასოდეს არ ყოფილა გაბატონებული ყოველსმომცველი, ყოველთვის რჩებოდა ადგილი ორგანულისა და ბუნებრივისათვის, ორგანიზაცია დაკავშირებული ტექნიკასთან — ესაა რაციონალიზაცია ცხოვრებისა. მაგრამ ადამიანური ცხოვრება არ შეიძლება იყოს ბოლომდე, მთლიანად რაციონალიზირებული. ყოველთვის რჩება ირაციონალური ელემენტი, ყოველთვის რჩება საიდუმლო. რაციონალიზმის უნივერსალური პრინციპი სამყაროსა ღებულობს. რაციონალიზაცია, რომელიც უმაღლეს სულიერ საწყისს არ ეკუთვნებარება, წარმოშობს ირაციონალურ შედეგებს. ახ მაგალითად, ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ, რომ რაციონალიზაცია წარმოშობს ისეთ ირაციონალურ მოვლენას, როგორიცაა უმუშევრობა. საბჭოთა რუსეთში ცხოვრების **რაციონალიზაცია ღებულობს ისეთ ფორ**მებს, რომ იგი გვაგონებს კოლეკტიურ უაზრობას! უნივერსალური რაციონალიზაცია, ტექნიკური ორგანიზაცია, უარმყოფელი ცხოვრების იდუმალი საუფლებისა, წარმოშობს ძველი ცხოვრების აზრის გაუფასურებას, ნაღველს, თვითმკვლელობასაც მიდრეკილებას. ადამიანი გართულია თავისივე შექმნილი ტექნიკით, მაგრამ თვითონ არ შეუძლია მანქანად იქცეს. ადამიანი ცხოვრების ორგანიზატორია, მაგრამ თვითონ შინაგანად არ შეუძლია გახდეს ორგანიზაციის საგანი, თვით მასში ყოველთვის რჩება ორგანულის რაღაც ელემენტები, ირაციონალური, საიდუმლოებით მოცული, მთელი ადამიანური სულიერებისა რაციონალიზაციამ, ტექნიკაციამ, მანქანიზაციამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს საწინააღმდეგო რეაქცია. ეს რეაქცია არსებობდა XIX საუკუნეშიც. რომანტიკოსები ყოველთვის პროტესტს გამოთქვამდნენ ტექნიკის მბრძანებლობის გამო, რომელიც ზოგჯერ ორგანული მთლიანობის. ისინი მოუწოდებდნენ ბუნებისაკენ, ადამიანის სტიქიური საფუძვლებისაკენ. ტექნიკის მძიმენი მოწინააღმდეგე იყო რიოსანი იგი ეერ იტანდა თვით რკინიგზასაც კი და ეკიპაჟით მოგზაურობდა რკინიგზის გაბერვივ. ტექნიკის წინააღმდეგ რომანტიკოსთა რეაქცია გასაგებია და თითქმის აუცილებელი, მაგრამ იგი უძლურია, იგი ვერ გადაწყვეტს პრობლემას, ანდა გადაწყვეტს ნაწილობრივ, ზედაპირულად. ადარანდელ ორგანულ ყოფასთან, პატრიარქალურ დამოკიდებულებებთან, სოფლის მეურნეობის ძველ ფორმებთან და ხელობებთან, ბუნებასთან, მიწასთან, მეცნარეულ და ცხოველთა სამყაროსთან დღეს უკვე შეუძლებელია ცხოვრება. ეს დაბრუნება არცაა სასურველი, იგი უკავშირდება ადამიანთა და ცხოველთა ეკსპლოატაციას. ამაშია მდგომარეობის ტრაგიზმი, ერთი ბრა რჩება მხოლოდ, რომ სულმა შემოქმედებითად განსაზღვროს ტექნიკასთან და ახალ ეპოქასთან თავისი დამოკიდებულება, — დაეუფლოს ტექნიკას თავისი მიზნების შესაბამისად. ქრისტიანობამ შემოქმედებითად უნდა განსაზღვროს ახალ სინამდვილესთან ურთიერთობები. იგი არ შეიძლება იყოს ძალზე ოპტიმისტური. მაგრამ ვერაფერ წაუვა მკაცრ სინამდვილესაც. ეს იწვევს სულიერების დაძაბულობას, შინაგანი სულიერი ცხოვრების გაძლიერებას. ქრისტიანობაში სულიერი სენტიმენტალიზმი უკვე შეუძლებელი ხდება, სულიერი ემოციონალიზმი ვერ გაუძლებს მკაცრ სინამდვილეს. უშიშარი შეიძლება იყოს მხოლოდ გამოწრთობილი, მკაცრი სული. სული შეიძლება იყოს ორგანიზატორი, მას შეუძლია დაეუფლოს ტექნიკას თავისი სულიერი მიზნებისათვის, მაგრამ ტექნიკა წინააღმდეგობას გაუწევს და სულის ორგანიზატორული ძალის მეშვეობით, ძნელად გარდაიქმნება ტექნიკური პროცესი. ამაშია სულის ტრაგედია.

პროცესის მეორე მხარე, რამაც წარმოშვა თანამედროვე კულტურის კრიზისი, ესაა ამ კულტურაში შესვლა ადამიანია უზარმაზარი მასებისა, ესაა ძალიან ფართო მასშტაბებით მიმდინარე დემოკრატიზაცია. კულტურაში არის არისტოკრატიული საწყისი და საწყისი დემოკრატიული. არისტოკრატიული საწყისის გარეშე, ხარისხის შერჩევის გარეშე სიმალლე და სრულყოფილება არასოდეს არ იქნებოდა მიღწეული, მაგრამ ამასთანავე კულტურა ვრცელდება სიბრტყეზეც, მას ეზიარებიან სულ ახალ-ახალი სოციალური ფენები. გარდაუვალია და სამართლიანი ეს პროცესი. ჩვენი დროის კულტურაში დაკარგულია ყოველგვარი ორგანული მთლიანობა, ყოველგვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იერარქიულობა, რომელშიც უმაღლესი საფეხური გრანზის თავის გაუწევეტ კავშირს უმდაბლეს საფეხურთან, ჩვენი ეპოქის კულტურული ელიტის შემეცნებაში გაკარ ზეპირადულის, დიადი მოელისადმი მსახურების მიზანი. მსახურების იდეა საერთოდ შეხუტდა რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული. მისთვის მიუღებელია გბმატონებული ლიბერალური და ინდივიდუალისტური იდეები. ცხოვრება, როგორც მსახურება ზეპირადული მიზნებისა, არის რელიგიური გაგება. ამგვარი გაგება არაა დამახასიათებელი კულტურის თანამედროვე მოდგაწეოთათვის, საოცარია, რომ ზეპირადული მიზნების მსახურების იდეა დამახინჯებული ფორმით კვლავ აღმოცენდა რუსულ კომუნიზმში. მაგრამ თვით ზეპირადული მიზანი ადამიანდა ულმერთო და გაუუფლმარტებელი. თანამედროვე ევროპის კულტურულ ფენას არა აქვს ფართო და ღრმა სოციალური ბაზისი, იგი მოწყვეტილია მასებს, რომელნიც პრეტენზიას აცხადებენ მეტი და მეტი ხვედრითი წილის მიღებაზე სოციალურ ცხოვრებაში, ისტორიის ქმნადობაში. თავისი თვალთახედვით ჰუმანისტური, კულტურული ფენა უძლურია მისცეს მასებს იდეები, ფასეულობანი, რომელნიც რაიმეს შთაგონებდნენ. ჰუმანისტური კულტურა მეიფეა და ან ძალუძს წინ აღუდგეს დიდ მასობრივ პროცესებს, რომელნიც მას ამსხვრევენ. ჰუმანისტური კულტურა იძულებულია მიეუხვიოს და გაბმარტოვდეს. მასები ადვილად იოვისებენ ვუფლარულ მატერიალიზმს და ზეფაპირულ ტექნიკურ ცივილიზაციას, მაგრამ ვერ იოვისებენ უმაღლეს სულიერ კულტურას. ისინი ადვილად გადადიან რელიგიური თვალთახედვიდან ათეიზმისაკენ. ამას ხელს უწყობენ ქრისტიანობის გბმატონებულ კლასთან შემაკავშირებელი, უსამართლო სოციალური წყობის დამცველი ძმიე ასოციაციები. მასებზე ბატონობენ იდეა-მითები, რელიგიური რწმენები თუ სოციალ-რეკოლუციური დოკრინები. განზე რჩება კულტურულ-ჰუმანისტური იდეები. არისტოკრატიული და დემოკრატიული ხაწეისის კონფლიქტი, ბარისხი, სიმაღლე და სიბრტყე, ამოოსნსნელია ფრელიგიო ჰუმანისტური კულტურის ნიადაგზე. ამ კონფლიქტში არისტოკრატიული კულტურული ფენა არცთუ იშვიათად გრძნობს თავს შიმაკვდავად, განწირულად. ტექნიზაციის, მექანიზაციის და მასობრივი დემოკრატიზაციის პროცესს მივყავართ კულტურის გადაგვარებისაკენ, ტექნიკური ცივილიზაციისაკენ, რომელიც მატერიალისტური სულითაგან შთაგონებული. ადამიანების სულისაგან დაცლა, ადამიანების მაჭკანად გარდაქმნა, ხოლო ადამიანური შრომისა კი საგნებად — ეი გადაგვარება ინდუსტრიალური კაპიტალისტური — ამ მოვლენის წინაშე დგას დაბნეული ქრისტიანობა. კაპიტალისტური წყობის უსამართლობა თავის სამართლიან დამსჯელს პოულობს კომუნიზმში. კოლექტივიზაციის პროცესი, რომელშიც კრება ადამიანის პიროვნება, ჯერ კიდევ კაპიტალიზმმა დაიწყო. მეგერიალისტური კომუნიზმი მხოლოდ ამ საქმის დასრულებას ცდილობს. ეს აუნებს მთელი სიმძაფრით ქრისტიანული შემეცნების წინაშე სოციალურ პრობლემას. პრობლემას უფრო სამართლიანი, უფრო ადამიანური სოციალური წყობისა, პრობლემას, რომ სოციალური მოძრაობანი და მშრომელთა მასები უფრო მაღალი სულიერებით განიმსჭვალონ და გაკრისტიანდნენ. კულტურის პრობლემა ახლა სოციალური პრობლემაა და ამის გარეშე გადაუწყვეტელი დარჩება. არისტოკრატიული და დემოკრატიული კულტურების შეკავება ამოიხსნება მხოლოდ ქრისტიანობის ნიადაგზე. რადგან ქრისტიანობა არისტოკრატიულია და დემოკრატიულიც. იგი ამტკიცებს ღვთის შვილთა კეთილშობილებას და გვეძახის მაღალ, სრულყოფილებისაკენ. უმაღლესი თვისებებისაკენ, და ამასთან ყველასადმი მიმართული, ყოველი ადამიანის სულს უბამს. იგი მოითხოვს სიცოცხლის გაგებას როგორც მსახურებას. როგორც ზეპირადული მიზნის მსახურებას. კულტურის ბედი დამოკიდებულია მშრომელი მასის სულიერ მდგომარეობაზე. ამაზე, რითი იქნებიან შთაგონებულნი, ქრისტიანული რწმენითა თუ ათეისტური მატერიალიზმით, კიდევ იმაზე. დიექვემდებარება თუ არა ტექნიკა სულიერ მიზნებს თუ სამოლოოდ გახდება ცხოვრების ბატონი. ყველაზე დამლუსველია, როცა ქრისტიანი უსარისპირდება მშრომელი მასების მოძრაობას, როცა უსარისპირდება ტექნიკის მონაპავრებს იმის ნაცვლად, რომ გაასულიეროს და გაკეთილშობილოს ქეეუნად მიმდინარე პროცესები, დაუშინჩილოს ისინი უმაღლეს იდეებს.

ტექნიკის წინსვლის სიძლიერესთან და კულტურის მასობრივ დემოკრატიზაციასთან დაკავშირებულია ქრიზისის მთავარი პრობლემა. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ქრისტიანული შემეცნებისათვის; ესაა პიროვნებისა და ხაზოგადოების პრობლემა. პიროვნება, მიმსწრაფი ემანსიპაციისაკენ, სულ უფრო და უფრო ისარისება კოლექტივიზირებული ხაზოგადოებისაგან. ეს არის შემდეგი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და „ემანსიპირებული“ ტექნიზაციისა. უკვე ინდივიდუალურ-კაპიტალისტურმა წყობამ, რომელმაც თავის თავი დაადაფინა ინდივიდუალობაზე და ატომიზმზე, მიგვიყვანა პიროვნების დათრგუნვამდე. უსარყოფნამდე და ანონიმურობამდე. კოლექტიური. მასობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების სტილამდე. კაპიტალიზმის წინააღმდეგ ამხედრებული მატერიალისტური კომუნიზმი საბოლოოდ ანადგურებს პიროვნებას. თქვეფს სოციალური კოლექტივში, გამორიცხავს პირადულ შემეცნებას, პიროვნულ სინდისს, პიროვნულ განსჯას. ადამიანში ღვთის ხატად მოცემული პიროვნება ნაწევრდება, იშლება ელემენტებად. კარგავს თავის მოლიანობას. ეს შეიძლება დავინახოთ თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მაგალითად პრუსტის რომანებში. თანამედროვე კულტურაში მიმდინარე პროცესები პიროვნებას დაღუპვით ემუქრება. პიროვნებისა და საზოგადოების ტრაგიკული კონფლიქტი არ გადაიჭრება რელიგიის საფუძვლების გარეშე. რწმენადაკარგული, არაკრისტიანული კვეყანა ანცალკევებს პიროვნებას, წყვეტს საზოგადოებისაგან, ნოსკავს თავის თავში, საიდანაც ზეპირადული მიზნებისაკენ გამოსავალი აღარ რჩება, ანდა საბოლოოდ იმორჩილებს და თქვეფს საზოგადოებაში. პრინციპში მხოლოდ ქრისტიანობას შეუძლია გადაწყვეტოს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ბატკნეული პრობლემა. ქრისტიანობა, პიველ რიგში, პიროვნებას უფრთხილდება, ზრუნავს ინდივიდის ადამიანურ სულზე და მის მარადიულ ბედზე, იგი არ უშვებს პიროვნებისადმი ისეთ დამოკიდებულებას, როცა პიროვნება იქცევა საზოგადოებისადმი საშუალებად, და როცა იკარგება მისი პირადული ღირსებები. ქრისტიანობა პიროვნების სულიერ ცხოვრებას უშუალოდ აკავშირებს ღმერთთან და ჰკ ვდის პიროვნებაზე საზოგადოების ბატონობის ზღვარი. მაგრამ ქრისტიანობა პიროვნებას მოუზომს ურთიერთობისაკენ, ზეპირადული მიზნებისაკენ, მეორე ადამიანთან ურთიერთობისაკენ, თუ გნებავთ, თვით კომუნიზმისაკენაც. მაგრამ არა ათეისტური და მატერიალური კომუნიზმისაკენ. მხოლოდ ქრისტიანობას შეუძლია დაიცვას პიროვნება დაღუპვის საფრთხისაგან, მხოლოდ ქრისტიანობის ნიადაგზეა შესაძლებელი პიროვნების დაკავშირება მეორე პიროვნებასთან, საზოგადოებასთან, სადაც იგი არ იქნება დამციერებული და ცხოვრებაში სრულიად გამოავლენს თავის პიროვნულ შესაძლებლობებს. ქრისტიანობა წყვეტს პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტს, საშინელ კრიზისს, მესამე საწუხისთან, ზეპირადულ, და ზეესზოგადოებრივი, ღმერთკაცური, ქრისტეანანსნეულებით. პიროვნებისა და საზოგადოების რელიგიური პრობლემა გვპირდება ჩვენი ეპოქის სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ქრისტიანული პერსონალისტური სოციალიზმის მეშვეობით, რომელიც მიიდეს სოციალიზმის მთელ სიმპოლოგს და უარყოფს მთელ მის სიცრუეს. ცრუ მსოფლმხედველობას, რომელიც ადამიანსაც უარყოფს და ღმერთსაც. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაჩრეს პიროვნება და ღირებული კულტურა, სულის უმაღლესი კულტურა. ჩვენ ვნა "გვაქვს დიდი ოპტიმიზმის საფუძველი, ყველაფერი ძალზე შორს წავედა, ძალზე იმძლავრა მერმიდან და სიძულვილმა, ცოდვამ, ბოროტებამ და სიცრუემ დიდ გამარჯვებას მიაღწიეს, მაგრამ შემოქმედებითი ამოცანები სულისა, ალირულება მოვალეობისა არ უნდა იყოს იმ რეფფექსებზე დამოკიდებული, ბოროტების ძალის გამოვლინებაში რომ ვხედავთ და სინათლის ალირულებას რომ ეწინააღმდეგებანან. ჩვენ გვგონა, რომ მარტენი ანა ვარო, რომ სამაყარობი მოკმედებენენ არა მარტო ბუნებრივი ადამიანური ძალები, კეთილი თუ ბოროტი, არამედ ზნეობრივიც, ზეადამიანურიც. კეთილ-ზობილი ძალები, რომელნიც ეხმარებიან ჩვენ, ვინც სამყაროში ქრისტეს საქმეს ემსახურება მათთანაა ღმერთი, როცა ჩვენ ვამბობთ ''ქრისტეანობა'', ჩვენ ვლაპარაკობთ არა *ბრტყელ* ადამიანზე და მის რწმენაზე, არამედ ღმერთზეც, ქრისტეზეც.

თანამედროვე ცივილიზაციის ტექნიკური და ეკონომიური პროცესი ადამიანს, პიროვნებას აქცევს თავის იარაღად, თხოულობს მისგან მუდმივ აკტივობას, ყოველი წუთითა და წამით ცხოვრებაში ჩართვას. თანამედროვე ცივილიზაცია გამორიცხავს, შეუძლებელს ხდის ეკრტკის და ცხოვრებისგან მოლიანად "განდეგნით ეშუქრება, ეს ნიშნავს, რომ ადამიანმა შეწუვეტოს ლოცვა, გაწყვეტოს ღმერთთან ყოველგვარი კავშირი; რომ მან ვეღარ იხილოს მშვენიერება და ვეღარ შეიცნოს ჭეშმარიტება. პიროვნება განისაზღვრება არა მარტო დროსთან, არამედ მარადიულობასთან დამოკიდებულებაში. თანამედროვე ცივილიზაციის აკტუალიზმი ეს არის მარადიულობის გამორიცხვა, ეს არის დროსგან ადამიანის შთანთქმა; არც ერთი წამი ცხოვრებისა აღარაა ფასეული, არა აქვს კავშირი მარადიულობასთან და ღმერთთან, ყოველი წამი არის ხსრაფვა მომდევნისაკენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეცვალოს ერთი მეორეს. ამგვარი განსაკუთრებული აკტუალიზმი ცალის დროსთან დამოკიდებულებას — ხდება დროის დაჩქარება, გიეთი დეენ. პიროვნებას არ ძალუძს დროის ამ მდინარეში წამით შეუოვნება, ძალუძს გონს მოხვლა, თავისი ცხოვრების აზრზე დაფიქრება, რადგან აზრი მხოლოდ მარადიულობასთან მიმართებაში ნათდება, დროის დინება თავისთავად უაზრობაა. უდავოა, ადამიანი აკტუალობისათვის, შრომისათვის, შემოქმედებისათვისაა მოწოდებული, არ შეიძლება, რომ იგი მხოლოდ მჭვრეტელი იყოს, სამყარო მხოლოდ ადამიანის საუკუნებლად არ შექმნილა. ადამიანმა უნდა გარდაქმნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოაწყოს იგი. განაგრძოს ღვთის დაწყებული საქმე. მაგრამ ადამიანი პიროვნებად. ღვთის ხატად და მსგავსად მხოლოდ მაშინ რჩება, მხოლოდ მაშინ არ იკარგება ცხოვრებისეული და საზოგადოებრივი პროცესების უსაზო მონაწილეად. თუ იგი ორი საფაროს, მარადფიერისა და დროებითის გადაჭეკეთი წერტილი. თუ დროის დინებას კი არ მიჰყვება მხოლოდ, ჭეშტის მარადიულობას, თუ შინაგანად განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ღმერთთან. ეს არის მთავარი საკითხი თანამედროვე ცივილიზაციისა, პიროვნების ბედის, ადამიანის ბედის საკითხი. ადამიანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ობიექტი. იგი სუბიექტია. მას აქვს თავის თავში არსებობის უფლება. უპირველნო. აქტუალური პროცესების იარაღად ქცეული ადამიანი — ადამიანი აღარაა. ასე შეიძლება იაზროვნოს სოციალურმა კოლექტივმა და არა ადამიანმა. პიროვნებაში ყოველთვის არის რაღაც დამოუკიდებელი დროის დინებისა და საზოგადოებრივი პროცესებისაგან. ჭეშტის ბაკრობა ნიშნავს კულტურის უზარმაზარი ნაწილის გაქრობას, იმ ნაწილისა, რომელსაც უკავშირდება კულტურის მეზვერეალება, — მისტიკა, მეტაფიზიკა, ესთეტიკა. სუფთა სამეშო, აქტუალური ცივილიზაცია მეცნიერებასა და ხელოვნებას გადაავლეს საჭარმოო ტექნიკური პროცესის მოსახმარად. ამას ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კომუნისტური კულტურის ჩანაფიქრში. ეს არის კულტურის ღრმა კრიზისი. ადამიანის მომავალი, კულტურის მომავალი იმაზეა დამოკიდებული მოინდომებს თუ არა თუნდაც ეზიერად განთავისუფლეს. ბონს მოეგოს, გაიაზროს თავისი ცხოვრება, ცისკენ მიაპყროს მზერა. ცხადია, იდეა შრომისა და მშრომელი საზოგადოებისა არის დიადი და მთლიანად ქრისტიანული იდეა.

შრომითი პროცესებისაგან განთავისუფლებული არისტოკრატიული, პრივილეგიერებული კულტურული ფენის მეკრეტელობა, ზნიერად გადადიოდა ცრუ მეკრეტელობაში და ამგვარი ფორმით, საეკვოა, რომ მას მომავალი ჰქონდეს. მაგრამ ყოველ ადამიანს აქვს ეკრეტის, თვითნაკრმავების, ლოცვის, ღვთივგასთან ნიახლოვეს. მშვენიერების ხიდვის, ხამეარის შეცნობის ბედნიერი წამები. ეკრეტა და მოყმედება ერთად უნდა იყოს შენივთიერული მოღიან პიროვნებაში, მხოლოდ მათი შეკავშრება ადგილს პიროვნებას, აქტიურობაში მოლიანად დაბარეული პიროვნები დროის პროცესში იფიტება, თანდათან ეზრიტეა ხელიერი ენერგიის ნაკადი. ამასთანავე, აქტიურობა ჩვეულებრივ გაგებულია ხოლმე არა ქრისტიანულად, არა როგორც მოყვასის მსახურება, არამედ მსახურება ეკრპენია. რელიგიური ცხოვრების ლიტურგიული წრე თავისებური შეხამებაა ეკრეტისა და ეკრპენიის. ეს ორი ელემენტი ერთმანეთს ებმიან. რომლის დროსაც პიროვნებას ეძლევა წყარო სიმტკიცისა და ენერგიისა. ჩვენ მოვეცნწარით პიროვნების გარდაქმნის სახელისწერო პროცესს, როცა კოლექტივი ადამიანისაგან მოითხოვს აქტიურობის დაუსრულებელ ზრდას. ადამიანი შემოქმედი არსებაა, ანუ სახეა შემოქმედისა. მაგრამ აქტიურობა, რომელსაც ადამიანისაგან მოითხოვს თანამედროვე ცივილიზაცია, არსებითად უარყოფაა ადამიანის შემოქმედებითი ბუნებისა. რადგან ესაა უარყოფა თვით ადამიანისა. შემოქმედება ითვალისწინებს ჭეშტისა და მოქმედების შეხამებას. სული არსებითად აქტიურია და ჭეშტაბიც არის დინამიზმის ელემენტები. ჩვენ მივდივართ ბოლო პრობლემასთან, რომელიც დაკავშირებულია თანამედროვე სამყაროს სულიერ მდგომარეობასთან — ადამიანის პრობლემასთან, როგორც რელიგიურ პრობლემასთან. სამყაროში ხდება ადამიანის კრიზისი. არა მხოლოდ კრიზისი ადამიანში, არამედ თვით ადამიანის კრიზისი: ადამიანის შემდგომი არსებობა პრობლემატური ხდება.

ადამიანის კრიზისი ღრმად ქრისტიანულად უნდა გავიგოთ. მხოლოდ ქრისტიანობის შეგნითია შესაძლებელი მოვლენის გაგება. თანამედროვე ცივილიზაციაში წამოიჭრა ადამიანის მივიწუებული ქრისტიანული იდეა, ქრისტიანობის საფუძველში ძევს ღმერთკაცური, თეანთდრიული მითი (სტაკეკი მითს ეს ეზმარრობ არა როგორც რეალობის სპარიისპირის, პირიქით, მითი უფრო შეეხებამება რეალობას, ვიდრე ცნება) — მითი ღმერთზე და მითი ადამიანზე, ღვთის სახედ ზიმილზე, ღვთის შვილის განკაცებაზე. ადამიანის ღირსება მასთან იყო დაკავშირებული, მისი ცოდვითი ბუნება ძნელად ითვისებდა ქრისტიანული მოძღვრების ამ უმშვენიერეს არსს. ადამიანზე ქრისტიანული სწავლებაც არ იყო საკმარისად გახსნილი, ამიტომ გარდუვალი გახდა ქრისტიანობის ნიადაგზე ჰუმანიზმის დამკვიდრება, მაგრამ შემდგომ წარმოიშვა თავისი შედეგებით სახელისწერო პროცესი. დაიწყო როგორც გონებრივი, ისევე ცხოვრებისეული ოდვეკა მოღიანმა ქრისტიანულმა მითმა. პირველად იქნა უარყოფილი მითი ღმერთის შეხამებ. მაგრამ რჩებოდა მეორე ნახევარი — მითი ადამიანის შეხამებ, ქრისტიანული იდეა ადამიანზე. ამას ჩვენ ვხედავთ, მაგალითად ფ. ფოიერბახთან, მან უარყო ღმერთი, მაგრამ დარჩა ადამიანი, როგორც ღვთის სახე. ფოიერბახს აღარ უცდია მისი უარყოფა, როგორც არ უცდიათ იმ ჰუმანისტებს, ვისთანაც დარჩენილია ადამიანის მარადფიერი ბუნება. მაგრამ ქრისტიანული თეანთდრიანული მითის ოდვეკა შემდგომ გაგრძელდა. დაიწყო ოდვეკა მეორე ნახევარმაც — მითმა ადამიან-

ზე. მოხდა განდგომა არა მარტო ღმერთის, არამედ ადამიანის იდეისგანაც. ადამიანს თავს დაუსხა მარკსი, თავს დაუსხა ნიცშე. მარქსისთვის უმაღლესი ღირებულება გახდა არა ადამიანი, არამედ სოციალური კოლექტივი, ადამიანი შეავიწროვა კლასმა და შეიქმნა ახალი მითი პროლეტარიატის მესიანიზმზე. მარქსი ერთ-ერთი დასახრულია ჰუმანიზმისა. ნიცშესთვის უმაღლეს ფასეულებად იქცა არა ადამიანი, არამედ ზეკაცი, უმაღლესი რასა. ადამიანი ძლეული იქნა. ნიცშე უკვე სხვა დასახრულია ჰუმანიზმისა. ამგვარად, ხდება უარეყოფა ადამიანის ღირებულებისა, უკანასკნელი ღირებულებისა, ხდება მისი ქრისტიანობიდან ჩამოცილება. ამას ჩვენ ვხედავთ ისეთ სოციალურ გამოვლინებებში, როგორიცაა რასიზმი, ფაშიზმი, კომუნიზმი. ხდება ერთის მხრივ გაფეტიშება ნაციონალისტურისა, მეორის მხრივ კი — ინტერნაციონალისტურისა. ჩვენ შევდივართ ცივილიზაციის ისეთ ეპოქაში, რომელიც უარს ამბობს ადამიანის ღირებულებაზე. ღმერთის უმაღლეს ღირებულებაზე კი ადრევე თქვეს უარი. ამაში არსი თანამედროვე კრიზისისა.

პროცესები ტექნიზაციისა, პროცესები საზოგადოებისაგან პიროვნების შთანთქმისა, პროცესები კოლექტივიზაციისა ამ კრიზისს უკავშირდება. ქრისტიანობის ისტორიაში წარმოქმნილი ყველა ერესი, ყველა გადახრა ჭეშმარიტების გზიდან მუდამ აყენებდა მნიშვნელოვან თემებს და მათი გადაჭრა მხოლოდ თვით ქრისტიანობის შიგნითვე უნდა მომხდარიყო, მაგრამ თანამედროვე ცივილიზაციისგან წარმოშობილი ერესები, სულ სხვა ბასიათისაა, ვიდრე ქრისტიანობის პირველი საუკუნეების დროინდელი ეს არ არის თეოლოგიური ერესები, ესაა ერესები თვითონ ცხოვრებისა, ეს ერესები მოწმობენ იმას, რომ არის გადაუდებელი საკითხები, რომლებიც მხოლოდ ქრისტიანობის შიგნით გადაწყდება. ტექნიკის, სოციალური ცხოვრების სამართლიანი ორგანიზაციისა და კოლექტივიზაციის დამოკიდებულებანი პიროვნების მარადიულ ადამიანურ ღირებულებებთან — ის პრობლემებია, რომელნიც არ გადაჭრეს ქრისტიანული ეპეშმარიტების გარეშე. ჭეშმარიტად ადამიანის შემოქმედებითი აქტივობა კურთხეული არაა. ჭეშმარიტ მიმდინარე კრიზისები ქრისტიანობისათვის ადადუმერილ საკითხთა შესწავლებაა და ამიტომ იგი მხოლოდ გაწყვეტვა კი არ არის ულმერთო ჭეშმარიტებისა, იგი თვით ქრისტიანობის განკითხვაცაა. ჩვენი დღეების მთავარი პრობლემა ღმერთი კი არ გახლავთ, როგორც მრავალნი ფიქრობენ, როგორც ფიქრობენ რელიგიური აღორძინებისაკენ მიმწოდებელი ქრისტიანები — უმთავრესი პრობლემა ჩვენი დროისა — ადამიანის პრობლემაა, ღმერთის მარადიული, ყველა დროის პრობლემაა. ის ყოველთვის პირველსაწყისია, მაგრამ ჩვენი დროის პრობლემა ესაა პრობლემა ადამიანში პიროვნების გადარჩენის, ადამიანის მოწოდებისა და დანიშნულების, საზოგადოებისა და კულტურის მთავარი საკითხების გადაწყვეტის პრობლემა ქრისტიანული მოძღვრების საშუალებით. ადამიანებმა უარყვეს ღმერთი, მაგრამ ამით ღვთაების ღირსებებში კი არ შეტანეს ექვი, ადამიანის ღირსება დაიყენეს ეჭვქვეშ. ადამიანს არ შეუძლია გაძლება ღმერთის გარეშე. ღმერთი არის ის უმაღლესი იდეა-რეალობა, რომლის მიმდევთაც ადამიანია შექმნილი. მეორე მხრივ კი თვით ადამიანია ღმერთის უმაღლესი იდეა. მხოლოდ ქრისტიანობა ხსნის ადამიანისა და ღმერთის დამოკიდებულების პრობლემას. მხოლოდ ქრისტეში გადარჩება ადამიანის ხატება, მხოლოდ ქრისტიანული სულით იქმნება ის საზოგადოება და კულტურა, რომელშიც ადამიანი არ ნადგურდება, მაგრამ ჭეშმარიტება ცხოვრებაში უნდა იქნეს განხორციელებული.

თარგმნა **თეიმურ გეკიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდურაპშან ავტორხანოვი

სტალინის სიკვდილის საიდუმლო

მიუხედავად ამისა, როგორც XIX ყრილობის ანგარიშებიდან ვგებულობთ, იგი საზეიმოდ გახსნა მოლოტოვმა და საზეიმოდ დახურა ვორაშილოვმა. პარტიული ტრადიციის თანახმად, ამ საპატიო მოვალეობას ადრე ლენინი ასრულებდა. მაგრამ, რადგან სტალინმა უარი თქვა ამ ჩვეულების გაგრძელებაზე, შემოიღეს ახალი წესი: ყრილობას ხსნიდა და ხურავდა ძველი პოლიტბიუროს წევრთაგან უფროსი პოპულარული ორი სხვადასხვა პირი.

ისმის კითხვა, როგორ შეეძლო სტალინს ასეთი პატივი მიეგო მათთვის, ვინც ყრილობის დასასრულს ჯაზშებად უნდა გამოეცხადებინა? ასეთი სასჯელი თვით სტალინის იმპერიაშიც კი არ ხდებოდა. ცხადია, რომ ისინი სტალინს არ წამოუყენებია, ისინი წამოაყენა პოლიტბიურომ ზემოთ აღნიშნული „ისტორიული კომპრომისის“ შედეგად. ახევე ცხადია ისიც, რომ სტალინის ანგარიშსწორებისაგან ისინი მალენკოვ-ბერიას პარტიულ-პოლიციურმა აპარატმა იხსნა.

მას, ვიხაკე ჰგონია, რომ სტალინს უყველაზერი ხელეწიფებოდა და მისი მტრების ახორციელებლად საკმარისი იყო მისი „ნეკა თითის განძრევა“, ავიწყდება, რომ სტალინის ძალაუფლება ეფუძნებოდა ძალაუფლების მანქანის უშუალო ხელმძღვანელობა ახსოლუტურ მორჩილებას. ახლა ისინი უარს ამბობდნენ მორჩილებაზე. მათ გარეშე რა შეეძლო მხოლოდ სტალინს? გამოსულიყო წითელ მოედანზე და ხალხისთვის ამბობისაენ მოეწოდებინა?

სანამ XIX ყრილობის მუშაობისა და მისი ცკ-ის პლენუმის შედეგებს გავაანალიზებდეთ, კიდევ ერთხელ უნდა შევაჯეროთ თვალი ახლო წარსულს.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პარტიის ხელმძღვანელობისა და ხალხმეწყობის პოლიტიკური განვითარება მხოლოდ ხელეწიფენა ინტრიგებით განისაზღვრებოდა ან სტალინის პარანოიის შედეგად გამოგვეცხადებინა ერთი შეხედვით უაზრო, ხასტიკი ტერორი. ყველა სტალინელი ინტრიგანიც და სტალინიც ძალაუფლების გარდა კრემლის გარკვეული, შიდა და გარე პოლიტიკური კურსისთვის იბრძოდა. სტალინს არავინ მოუკლავს მკვლელობის საეკარულის გამო. იგი არ იყო სადისტი და, მითუმეტეს, არ იყო პარანოიით დაავადებული.

მისი მოქმედების ასეთი შეფასებები გამომდინარეობენ არასწორი „ანთროპოლოგიური“ წანამძღვრებით: სტალინს სწავლობენ, როგორც ადამიანს ყველა ადამიანური ატრიბუტებით და ამიტომაც ყველა მისი არადამიანურში მოქმედება სულიერ ავადმყოფობამდე დაპყავთ. მიუხედავად ამისა, სტალინის ყველა საქციელი, მოქმედება, დანაშაული მიზანდასახული, ლოგიკური და მკაცრად პრინციპული იყო. მასში ვერ იპოვით სულით ავადმყოფი ადამიანის ზიგზაგებს: გონების დაბნელება, შემდეგ განათება, წამიერი აღფრთოვანება, მეორე წუთს მელancholია, დღეს ბოროტმოქმედება და ხვალ მონანიება, როგორც ემორთებოდა, მაგალითად, სინამდვილეში ავადმყოფ ივანე მრისხანეს. სტალინი იყო პოლიტიკოსი, რომელიც მიზნის მისაღწევად დანაშაულებრივ მეთოდებს იყენებდა. უფრო მტლიც, იგი პოლიტიკური მეცნიერებისა და კრიმინალური ხელოვნების უნიკალურ მიბრიდს წარმოადგენდა, რითაც უსწრებდა ყველა სხვა პოლიტიკოსს. სტალინი თავის ბოროტმოქმედებაში პრინციპულად უცვლელი იყო — 18 წლისამ ენდდარეიაში დაამუნჯა თბილისის ხასულიერო სემინარიის მარქსისტული წრე (ამ ფაქტის გამო თავს ითვლიდა მიბრთლებად, რომ ამ გზით მან წრის წევრები რევოლუციონერებად აქცია); 28 წლისა იგი მეთაურობდა ბაკუის შეიარაღებულ ძარცვას და ხალხის მკვლელობას; 38 წლისა პირადად ხელმძღვანელობდა „თერმეგარდიელ“ ტაეკეთა მასიურ დახვრეტებს; 48 წლისამ დაიწყო ომზადება ბლეჩობის განანადგურებლად. 58 წლის იყო, როცა მისი ბრძანებით 1937-38 წ.წ. ჩე-

---

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისტებმა მილიონობით ადამიანი გამოსახლეს სიცოცხლეს. იგი უკვე 70 წლის იყო, როცა თავისი უახლესი თანამებრძოლები, ცკ-ის ათასობით წევრი დახვრიტა და დარჩენილებს მისდგა.

"შეშლილის მოქმედებაა, როგორც ხრუშჩოვი ამბობს?

სულაც არა.

მიზანსწრაფული და მიზანდასახული მოქმედება წინასწარხედვის გენიალური ალღოთი. სტალინს რომ 1952 წლის პოლიტბიუროს მოსპობა დასცოლდა, იგი უეჭველად მეტ ხანს იცოცხლებდა და სულაც აღარ იარსებებდა ისტორიაში ანტიტალინური, პარტიის XX კონ ერენცია.

XIX კონ ერენციის წინ, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო პოლიტიკაში სტალინი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა პოლიტბიუროს წევრთაგან. საკმარისია სადავო საკითხების თუნდაც ზეადაირული ანალიზი, რათა უთანხმოების მთელი სიღრმე დავინახოთ.

მაგ ალ. სტალინს ყურადღების მიღმა დარჩა მსოფლიო პოლიტიკასა და დიპლომატიაში რადიკალური რევოლუცია, რომელიც თერმობირთვული იარაღის შექმნის შედეგად მოხდა. სტალინის ხანგრძლივი ტრუბადურები როგორღაც წერდნენ, რომ, როცა პოტსდამის კონფერენციაზე პრეზიდენტმა ტრუმენმა სტალინს ამცნო ეფიკალური სიახლე, ამერიკელების მიერ უმაგალითო იარაღის — ატომური ბომბის შექმნა, სტალინს საუბარი ამინდზე გადაუტანია. მაგრამ მდგომარეობის მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ბომბმა სტალინზე მარნალი არ მოახდინა საინაფო შთაბეჭდილება.

სტალინმა ბერია ხანგრძლივ ატომური კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა და დაავალა ან ხანგრძლივ ატომურ ბომბი, ან ამერიკისა და ინგლისისათვის მოეპარა ატომური საიდუმლოებანი, მაგრამ სტალინი არ დადგა მშვიდობიან პოლიტიკას, თუნდაც სანამ ხანგრძლივ ბომბი შეიქმნებოდა. პირიქით, იგი გამომწვევად იქცეოდა, ზშირად ხელოვნურად ქმნიდა მსგავს საერთაშორისო კრიზისებს ერთიმეორის მიყოლებით: ყველა მოკავშირეობრივ მოლაპარაკებათა დარღვევით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფორსირებული ბოლშევიზაცია, ირანული აზერბაიჯანის ანექსიის მცდელობა, თურქეთისათვის სარტყვების რაიონებში ხანგრძლივ ბაზების მოთხოვნა, ხანგრძლივ სომეხთა და ქართველთა მოძძოანის ორგანიზაცია თურქეთისგან სომხური და ქართული მიწების დასაბრუნებლად, ხანგრძლივ ომის მომზადება ხანგრძლივში, მოთხოვნა იტალიისათვის, რომ ლიბია გადაეცეს ხანგრძლივ ბერძნის, ბერძნების ბლოკადა, კორეის ომი — ყოველივე ამას სტალინი აკეთებდა ხანგრძლივ ატომურ ბომბის სერიოზული წარმოების დაწყებამდე

ადვილი წარმოსადგენია, რა ენაზე დაიწყებდა სტალინი საუბარს, როცა ბერიას ორგანიზაცია მოაწესრიგებდა ატომური ბომბის წარმოებას!

ძირითადი უთანხმოება სტალინსა და პოლიტბიუროს შორის წარმოიშვა სწორედ მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე. პოლიტბიუროო იდგა დასავლეთის პოზიციებზე: თერმობირთვული იარაღის ეპოკაში ომის შედეგი კაცობრიობის თვითმკვლელობა იქნება. ამიტომ პოლიტბიუროომ გადაუხედა ლენინის ძირითად დებულებას, რომელიც ამბობდა: იმპერიალიზმის ეპოკაში მსოფლიო ომები აბსოლუტურად გარდაუვალია ისევე. როგორც გარდაუვალია ამ ომების წიაღში მსოფლიო კომუნისტური რევოლუცია. პოლიტბიუროოში ფიქრობდნენ, რომ რამდენადაც ატომის ეპოკაში ომები შეიძლება იყოს მხოლოდ ატომური და, ამდენად ვერ მიგვიყვანენ რევოლუციამდე, ლენინის ამ სწავლებაზე და მასზე დაფუძნებულ კრემლის საერთაშორისო პოლიტიკაზე უარი უნდა ითქვას.

პოლიტბიუროს მოპაყავდა სხვა არგუმენტები: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიქმნილი მსოფლიო სოციალისტური სისტემა და მთელი მსოფლიოს ფართო მასების მოძრაობა მშვიდობისათვის შეძლებენ ახალი ომების თავიდან აცილებას. ხშირად ეს იყო სტალინსა და პოლიტბიუროს შორის წარმოქმნილი უთანხმობების მთავარი მიზეზი, რაც პარტიული დოკუმენტების ანალიზით მტკიცდება. ამასთან ღაკავშირებით მოგვიწევს შეეჩერდეთ სტალინის პოლემიკურ ნაშუშევარზე, „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრკ-ში".

სტალინის არც ერთი სხვა ნაშუშევრისთვის არ მიუმართავთ ასე ზშირად სოვეტოლოგებს, მაგრამ დასავლეთში მხოლოდ ეს ნაწარმოები დარჩა გაუგებარი. ეს ბუნებრივიც არის, დასავლეთის მკვლევარნი კითხულობდენ მხოლოდ ტექსტს, მაგრამ არ კითხულობდნენ და ვერ გაიგეს ქვეტექსტი, რადგან არ იცნობდნენ მიზეზებს, რომლებმაც ეს „ეკონომიური პრობლემები" წარმოშვა.

სტალინს ამ შემოხვევაში არ აინტერესებდა თეორია, მიზნად არ ისახავდა პოლიტეკონომიაში მარქსიზმის ახალი ინტერპრეტაციი კანონების აღმოჩენას. იგი სიტყვა კავშრის ხაგარეთ და საშინაო პოლიტიკის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ეკამათებოდა ცკ-ის სხვა წევრებს ხელმძღვანელებს. სტალინი რომ მათთან კამათობდა, ეს მხოლოდ ცკ-ის ხელმძღვანელებმა იცოდნენ და არ იცოდა არც ხალხმა, არც პარტიამ, მოუფესტს, არ იცოდნენ და არც შეეძლოთ ცოდნოდათ, დასავლეთის მკვლევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უცოდინარობას აღარ მივეცემდა ისიც, რომ სწორედ მათ, ვისაც სტალინი ამ ნაშრომით ეკამათებოდა, „ეკონომიური პრობლემები“ გამოაცხადეს მარქსიზმში სტალინის გენიალური „წვლილად.“ ეს გააკეთეს იმ მიზნით, რომ წვლილით ამ ნაშრომებიდან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნები.

ეოველივე ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გავიგეთ. „ეკონომიურ პრობლემებში“ სტალინის მოთხოვნებისა და სტალინის სიკვდილის შემდეგ ცკ-ის პრაქტიკული პოლიტიკის შედარება გვაძლევს გასაღებს, რომელთაც ადვილად იხსნება სადავო საკითხების სიიდუმლო.

ჯერ გავარჩიოთ პარტიული დოკუმენტების დადგენილებები. აი, რა ჩაწერა სტალინურმა პოლიტბიუროს XX ყრილობაზე:

„მთელს მსოფლიოში მიღებულია ადამიანი კითხულობს: გარდაუვალია თუ არა ახალი ომი, ნუთუ კაცობრიობას, რომელმაც ორი სისხლისმღვრელი ომი გადაიტანა, მესამეც ელის? არსებობს მარქსისტულ-ლენინური მტკიცება, რომ სანამ არსებობს იმპერიალიზმი, ომები გარდაუვალია... მაგრამ დღეს მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ომის ფატალური გარდაუვალობა არ არსებობს. დღეს არსებობენ ძლიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებსაც „გააჩნიათ საკმაოდ ფართოდ ახალი ომის დაწყება“ (ალტერიანი XX ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1956, ტ. I, გვ. 37-38).

აი, როგორ უარყოფდა ამას სტალინი:

„ამბობენ, თითქოს ლენინის თეზისი ომის შესახებ, რომ იმპერიალიზმი აუცილებლად წარმოშობს ომს, უნდა ჩაითვალოს დაძველებულად, რამდენადაც დღეს არსებობენ ძლიერი სახალხო ძალები, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის დასაცავად, გამოვიან ახალი მსოფლიო ომის წინააღმდეგ. ეს მცდარია... ომის გარდაუვალობა რომ ავიკიცოთ, უნდა მოიახოს იმპერიალიზმი“ (სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრკ-ში“, 1952 წ. გვ. 36).

ანონიმები, რომლებსაც სტალინი XIX ყრილობაზე ეკამათებოდა, სწორედ მისი პოლიტბიუროს წევრები იყვნენ (ეს მათ ერთხელ ოღონდ დაამტკიცეს პარტიის XX ყრილობაზე).

„მშვიდობიანი თანაარსებობა“ — ეს ლენინური სტრატეგიის კოფური განსაზღვრაა: დაკმაბილ კაპიტალიზმი, მაგრამ არა რუსეთის სამხედრო ძალით, რაც შეუძლებელია, არამედ, ავაფეთქოთ იგი შიგნიდან ოდეის და ხალხის ინფორმატიაციით და პერმანენტული რევოლუციური დიერსიით“. ამიტომაც „სკკპ-ის პროგრამაში“ (1961 წ.) წერია, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა „არის კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმა.“ უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის მემკვიდრეები, უღალატეს რა ლენინის სიტყვას, ერთგულნი დარჩნენ მისი სულისა, რასაც ვერ ვიტყვით თვით სტალინზე.

ლენინი წერდა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში ომი გარდაუვალია, რომ იმპერიალიზმი დამსაფი და მომაკვდავი კაპიტალიზმის ბოლო სტადიაა. ამას წერდა, მაგრამ რეალობის კარგად განვითარებულმა გრძნობამ საწინააღმდეგო თეზისიც ათქმევინა: კაპიტალიზმი იმპერიალიზმის ეპოქაში უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მანამდე.

სტალინი თვლიდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს მტკიცება არარელევანტია. იგი წერს:

„ვანა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კვლავაც ძალაში რჩება 1916 წლის შემოდგომაზე წარმოთქმული ლენინის თეზისი ომის შესახებ, რომ მიუხედავად კაპიტალიზმის ლპობისა, „კაპიტალიზმი იზრდება უწინდელზე განუსაზღვრელად უფრო სწრაფად“? მე ვფიქრობ, რომ ამის მტკიცება შეუძლებელია. მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებულმა, ახალმა პირობებმა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ თეზისს ძალა დაუკარგა“ (იქვე, გვ. 32).

გამოდიოდა, რომ დასავლეთის ეკონომიკა და ტექნიკა ვეღარ განვითარდებოდა, რომ კაპიტალიზმი უკვე საბოლოოდ დალპა. აქედან ლოგიკური დასკვნა: მოვიდა დრო, ბოლო მოელოს მსოფლიო კაპიტალიზმს! ბუნებრივია, პოლიტბიუროს რეალისტები ამას ძალიან სახიფათო ილუზიად თვლიდნენ.

იმავე ნაშრომში სტალინი პოლიტბიუროს ეკამათებოდა არა მარტო საგარეო-პოლიტიკურ, არამედ შიდაეკონომიურ საკითხებზეც. იგი წერს:

„კაპიტალისტური წარმოების მიზანი მოგებაა... სოციალისტური წარმოების მიზანი კი არის არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნები“ (იქვე, გვ. 77).

ადამიანზე სტალინის ასეთი ზრუნვის შედეგად საბჭოთა წარმოების 50%-ზე არარენტაბელური იყო. ხრუშჩოვი ამ მდგომარეობიდან გამოსცდა „ვოლუნტარიზმით“ ცდილობდა და დამარცხდა კიდეც. უფრო პრაგმატულმა კოსიგინმა და ბრეჟნევმა ცკ-ის სეკტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში პირდაპირ ჩაწერეს (1965 წ.):

„გაუმჯობესდეს გამოყენება ისეთ უმნიშვნელოვანეს საშუალებათა, როგორიც არის მოგება, ფასი, პრემია, კრედიტი“ (სკკპ რეზოლუციები. 1972, ტ. 8, გვ. 519).

პოლიტბიუროს წევრთა უმეტესობა ფიქრობდა, რომ სამანქანო-საცრაკტორო სადგურის მთელი ტექნიკა უდა გადაეცეს კოლმეურნეობებს, სტალინი კი წერდა:

ვინც „გვთავაზობს, რომ სამანქანო-საცრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტორო სადგური საყურეზეში მიეკიდოთ კოლმეურნეობებს, ცდილობს, უკან დააბრუნოს ისტორიის ბორბალი... ეს კომუნიზმთან კი არ დაგვაბრალებდა, არამედ, პირიქით, დაგვაწარებდა მას" („ეკონომიური პრობლემები", გვ. 91).

სტალინის შემდგომმა ხელმძღვანელობამ სამეცნიერო-საერაკტორო სადგურები კოლმეურნეობებს გადასცა.

სტალინი წერდა:

„რა ღონისძიებებია საჭირო იმისათვის, რათა საკოლმეურნეო საკუთრება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო სახალხო საკუთრებას, ავამაღლოთ საერთო სახალხო საკუთრების დონემდე? ზოგიერთი ამბობაენ ფიქრობს, რომ, უბრალოდ, საჭიროა საკოლმეურნეო საკუთრების ნაციონალიზაცია და მისი საერთო სახალხო საკუთრებად გამოცხადება... ეს წინადადება მცდარია და მიუღებელი" (იქვე, გვ. 87).

სტალინის ამ განცხადებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ და მისი სიკვდილიდან ექვსი თვის შემდეგ შედგა აკ.-ის სექტემბრის პლენუმი (1953 წ.), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კოლმეურნეობების ნაციონალიზაციას, ხოლო ბრეჟნევის ხელმძღვანელობამ ფორსირება გაუკეთა ნაციონალიზაციას და კოლმეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი მეურნეობებად გადააკეთა; ხშირად ისინი ითვლებიან „საერთო სახალხო" საკუთრებად. შენაჩრეულნი კოლმეურნეობებიც, აკ.-ის მარტის პლენუმის და, განსაკუთრებით, მაისის პლენუმის გამოუქვეყნებელი გადაწყვეტილების (1965 წ.) სახელმწიფო საკუთრებად იქცა.

სტალინი წერდა:

„სასაქონლო ბრუნვა შეუთავსებელია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერსპექტივასთან... საკოლმეურნეო წარმოების ნამეტი გადის ბაზარზე და ამ სახით ერთვება სასაქონლო ბრუნვაში... საჭიროა საკოლმეურნეო წარმოების ნამეტი გამოითქმის სასაქონლო ბრუნვის სისტემიდან და ჩაერთოს სახელმწიფო წარმოებისა და კოლმეურნეობებს შორის საპრდფუტო გაცვლის სისტემაში. ამაშია არსი" (იქვე, გვ. 92-93).

ბრეჟნევის ხელმძღვანელობამ და, განსაკუთრებით თანმიმდევრულად და ამიტომ უფრო ეფექტურად, ბრეჟნევის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა, რომ სწორედ „არსი" მდგომარეობს აბსოლუტურად საწინააღმდეგოში: ეს არის სასაქონლო ურთიერთობის და სხვა კაპიტალისტური კატეგორიების (მოგება, ფასი, რენტა, პრემია) განვითარება და გამოყენება, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

უფრო მეტიც. საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკა თანდათანობით ჩაერთო მსოფლიო სასაქონლო ბრუნვის ორბიტაში, საბჭოთა ეზოურნი დაიწყეს კაპიტალისტების მოწვევა, რათა მათ თავიანთი კრედიტებით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით ხელი შეეწყოთ „ეკონომიზმის" მშენებლობისათვის.

რამდენჯერაც უნდა გადადრიალდეს სტალინი საფლავში, საბჭოთა კავშირი ასეთი პოლტიკით მხოლოდ მოიგებს. ამ თვალსაზრისითაც სტალინის მოწაფეები უფრო მეტად არიან ლენინელები, ვიდრე თვით სტალინი. აკი ლენინი ამტკიცებდა:

„პიუუუაზის დამარცხება ცოტაა, იგი ჩვენ-თვის უნდა ვამუშაოთ... მეურნეობას უკეთ გავუძღვებით მაშინ, თუ კომუნისტება შეძლებენ ეს მეურნეობა სხვისი ხელებით ააშენონ" (ოკა (ბ) II ყრილობა. სტენოგრამფიული ანგარიში 1961 წ. გვ. 81).

კრემლის ახალი ხელმძღვანელობა ასეც იქცევა.

ჩვენ შეეჯერდით სტალინსა და პოლტბიუროს შორის წამოპრალ იმ სადავო საკითხებზე, რომლებიც ცხადად ჩანს პარტიულ დოკუმენტებში. იყო ისეთი უთანხმოებებიც, რომლებიც ძალიან ცრუდ აღწერდნენ ჩვენამდე.

სტალინის შედა კანონები ასეთი უთანხმოების მიზეზი იყო, მთავრობის ხელმძღვანელის მოთხოვნა არმიაში, პარტიაში, სახელმწიფო აპარატში ახალი „დიდი წმენდის" ჩატარების შესახებ. და ის, რომ საკართველოს მაგალითზე უნდა გაგრძელებულიყო ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის მასიური წმენდა „ბურუუაზიული ნაციონალისტებისაგან." საკართველოს შემდეგ უკრაინის რიგი დადგა (1952 წლის ივნისში უკრაინის აკ.-ის პლენუმზე მთავარი საკითხი იყო უკრაინის „ბურუუაზიული ნაციონალიზმი").

სტალინსა და პოლტბიუროს შორის მთავარი უთანხმოება გამოუწვევია საერთაშორისო პოლიტიკაში ახალ დოკერინას „შეგიდნობიანი თანაარსებობის" შესახებ ლენინის სტილში. სტალინის მოწაფეები და თანამებრძოლნი თელდნენ, რომ „მშვიდობიანი თანაარსებობა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, ლენინის თანახმად, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის „გენერალური ხაზია." სტალინი პასუხობდა, რომ „თანაარსებობის" ლოზუნგი ფეკმოტივად ამერიკელმა იდეოლოგმა გამოიგონეს სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ მეოსამე მსოფლიო ომის მოსამზადებლად.

სინამდვილეში, სტალინი ლენინთან სრულიად შეთანხმებულად ფიქრობდა, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის „გენერალური ხაზი", ეს არის მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის კური, ხოლო რაც შეეხება „თანაარსებობას", ლენინთან საერთოდ ვერ ისაუბრთ ამ სიტყვას.

ძალიან უარყოფით, შეიძლება ითქვას, საბჭოთა კავშირისთვის მავნებელური როლი ითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშა სტალინის მეორე პოზიციიან: მცდარი იყო მისი აზრი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ მომხდარა არავითარი ფაქტური განსავითარებელი კოლონიური ბალანსისა, შეიცვალა მხოლოდ კოლონიალიზმის ფორმა და ყველა ეს ნაწილები და სუკარნოები — დასავლეთის იმპერიის დაქირავებული სატრაპები არიან.

სტალინის თანამებრძოლნი თვლიდნენ, რომ ახალი პოზიცია საბჭოთა კავშირს ხელს უშლის განთავისუფლებული კოლონიების ზურგში მოექცეს. მიიზიდოს და მოაქციოს ისინი საბჭოთა ზემოქმედების ქვეშ და დაუპირისპიროს ისინი თავიანთ ყოფილ მეტროპოლიებს. ამაში სტალინის მოწაფეები სამართლიანად ხედავდნენ ეუსპანიის საბჭოთა ელჩისა პოლიტიკის უდიდეს მომავალს. ეს იყო სხვა კონტინენტებზე, მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეებზე გასული რეალური საშუალება.

სტალინის მოწაფეები ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელია და საჭიროა სსრკ-მ მატერიალურად მიიღოს მონაწილეობა ყოფილ კოლონიებში მართვის განსაკუთრებული ფორმებისა და ახალი ტიპის სოციალური ცხოვრების შესაქმნელად.

ახლა დავუბრუნდეთ XIX ყრილობას და გავარჩიოთ ზოგიერთი ფაქტი, რომლებსაც, მართალია, ოქმებიდან ვიცნობთ, მაგრამ ისინი საჭმის არსს ხსნიან.

ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ — ყრილობა გაუსწორა ერთ-ერთ „ჯაშუს" (მოლოტოვს) და დაუუბრავს მეორე „ჯაშუს" (ფორშილოვს).

მეორე სიურპრიზი: სტალინური ტრადიციის სასარისპირად ყრილობის პრეზიდიუმში არ აირჩიეს პოლიტბიუროს სამი წევრი: მიქოიანი (ნიხა ორი შვილი, ვენერლები ციხეში ისხდნენ), ანდრეევი (რომლის ებრაელი ცოლი დაპატიმრებული იყო) და კოსიგინი (რომელიც ებრაული იყო ედანოველების საქმეში).

და კიდევ ერთი სიურპრიზი: პოლიტბიუროს წევრთა სიაში ბერია, რომელიც „სამეგრელოს საქმეშიდან" შესაბე იყო მოლოტოვისა და მალენკოვის შემდეგ, ახლა მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. ამას გვაქცევს 6 ოქტომბრის ყრილობის დილის ოქმი. პარტიას რომ ეს გაუგებრად არ ჩაეთვალა, „ეროვნულ ... საღამოს სხდომაზე კვლავ იგივე თანმიმდევრობით ... ბერიამ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ულდუზის“ რედაქციას

ძვირფასო მეგობრებო!

ტრაგედია, რომელიც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში თავს დაატყდა ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს, მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება თაობათა ხსოვნაში.

აპრილისა და იანვრის ხოცვა-ყლეტამ თბილისსა და ბაკოში, წარმოაჩინა „გარდაქმნას“ ამოფარებული პირსისხლიანი იმპერიის ნამდვილი სახე, დაგვანახა, რომ ცენტრის აგრესიული ძალები ერთგულად აგრძელებენ ცარისტული რუსეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკას და ცდილობენ ხელუხლებლად შეინარჩუნონ „ხალხთა საპყრობილე“.

აპრილისა და იანვრის დღეებმა თუმცა უდიდესი მწუხარება მოგვიტანა, მაგრამ ამავე დროს, საბოლოოდ გამოაფხიზლა ჩვენი ხალხები და დაგვანახა, რომ ჩვენი ეროვნული ხსნისთვის არ არსებობს სხვა გზა, გარდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. ამ მიზნის მისაღწევად კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ხალხთა საბრძოლო სოლიდარობასა და ურთიერთ მხარდაჭერას.

უნდა გითხრათ, რომ ქართველი ხალხი გულწრფელად აღფრთოვანა აზერბაიჯანელი ხალხის თანადგომამ და თანაგრძნობამ 9 აპრილის წლისთავზე. იმ სამგლოვიარო დღეებში თბილისს ეწვია აზერბაიჯანელთა მრავალი დელეგაცია და ღირსეული პატივი მიაგო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. ტრაგედიის ადგილზე აზერბაიჯანელთა ერთ-ერთმა დელეგაციამ დადგა მემორიალური დაფა. ეს იყო ამაღელვებელი დღეები და ჩვენს ხალხებს შორის ჭეშმარიტი მეგობრობის გამოხატულება.

ჩვენი რედაქციისა და ავტორთა კოლექტივის სახელით გვინდა დიდი მადლობა მოვახსენოთ მთელ აზერბაიჯანელ ხალხს, თქვენს ავტორებსა და მკითხველებს გულწრფელი თანაგრძნობისა და თანადგომისათვის.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები, რომელთა მეგობრობას ხანგრძლივი ისტორიული ფესვები აქვს, კვლავაც ერთად იქნებიან ჭირში და ლხინში, ერთად იქნებიან თავისუფლებისათვის ბრძოლაში და გამარჯვების ზეიმშიც.

ჟურნალ „ცისკარის“ რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად: სოციალ-დემოკრატია!

მსოფლიო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ იდეებს. ჭადაგებდა რა სოციალიზმის მარქსულ კლასებად დაყოფას და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარდაუვალობას, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა უარყოფდა ეროვნული ინტერესების ყოველგვარ გამოვლინებას, მარქსისტებული კოსმოპოლიტიზმის იდეებით წარმართვადა სოციალიზმის გაუქნობიერებელ ფენებს და დემაგოგიურად აღვივებდა სამშობლოსა და ეროვნების ცნებებისადმი მტრულ დამოკიდებულებას. დღეს უკვე ფიქრობენ შეიძლება თქვას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების შეთქმულების მსხვერპლი გახდა ქართველი ერის ნამდვილი ბელადი და მოკრძალებული ილია ჭავჭავაძე, ხოლო გარეშეოტაბა წეალობით ხელისუფლების სათავეში მოკცეულმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემკვიდრე ქართველმა მენშევიკებმა ვერ შეძლეს თავისუფალი საქართველოს შენარჩუნება, ირჩენენ რა ყოველად გაუმართლებელ კომპრომისს და დათმობებს ახალ რუსული სოციალ-დემოკრატიის საფუძველზე აღმოცენებული ბოლშევიკური რუსეთისადმი. სამწეალოდ, სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ბედის ანაბარა მიატოვა ქართველი ხალხი და საზღვარგარეთ გაიქცა. ეს მოქმედება, პოლიტიკური თვალსაზრისით, არ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს თუ არა ეროვნული ღალატი. სხვა საკითხია, რომ ჩვენ დღეს გაგებით და შემწყნარებლურად ვეკიდებით დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მოღვაწეობას.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ყველა დროსა და ეთნოსებში მარქსიზმის ეროგიული მიმდევარი იყო და მის ორ ფრთას — ბოლშევიზმსა და მენშევიზმს — ანარსდეს ჭმენია ხელიოული უთანხმოება სოციალურ და ეროვნულ საკითხებში, უთანხმოებანი უმეტესად ზენიდა ზინა-პარტიული ხასიათისა იყო, ხოლო სადამდე მიიყვანა ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხები სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემკვიდრე ბოლშევიკურმა რეჟიმმა, დღეს ესეც ცხადია.

ფაქტია, რომ ჩვენს დღეებში, სწორაფად დაიწყეს აღმოცენება სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა მოელი კავშირის მასტაბით. ამ ტიპის პარტია ცოტა ხნის წინათ საქართველოშიც შეიქმნა და უმალვე დიასნანსი შეიტანა ეროვნულ მოძრაობაში. ჯერ იყო და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ოპოზიციური პარტიებისა და ორგანიზაციების 1990 წლის მარტის კონფერენციაზე წარბშეუხრელად ამტკიცებდა — თავისუფალ საქართველოში ხელისუფლების ერადგერთი კანონიერი მფლობელი ჩვენი პარტია უნდა იყოსო(!), ხოლო ა ამრილს „სახალხო განათლებაში" გამოქვეყნდა თბილისის ერთ-ერთი საწარმოს მუშაკთა ჯგუფის წერილი ზვიად გამსახურდიასადმი, საიდანაც ნათელი გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმდიდებულება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების შექმნის კამპანია, მათი იდეების დაუბრკოლებელი პროპაგანდა პარტიული პრესის საშუალებით, სამართლიან ეჭვს ბადებს საზოგადოებაში: ხომ არა გვაქვს საქმე კომუნისტური მოძრაობის პირველადი ხასიასკენ მიბრუნებასთან? სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გაშლა სწორედ ცენტრის იდეოლოგია ხელდახმით ხომ არ ხდება? ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ კომუნისტური პარტია, მისი დღევანდელი სახით, სამოელოოდ გაკოტრდა ხალხის თვალში, ამიტომაც, იმპერიული იდეების ნაფიცი მსახურნი ცდილობენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს ახალი პოლიტიკური ძალა დაუპირისპირონ, რომელიც ერთგულად გაგუვება მარქსისტული კოსმოპოლიტიზმისა და „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის" გზას.

დღეს, საბედნიეროდ, ყველა ადამიანს აქვს საშუალება თავისი შეხედულებისამებრ შეეფიდეს ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, მაგრამ პოლიტიკურ ასპარეზზე არიან ძალები, რომელთა სამსახურში ჩადგომა, რმოელად რომ ვთქვათ, ზნეობრივ მოკმედებად ვერ ჩაითვლება.

მიმოგზიერელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ო, წმინდაო გულუბრყვილობავ!"

ამბობენ, როცა იან ჰუსი დასაწყვავად ამყავდათ, თვალი მოპარა ვიღაც დედაბერმა როგორ მიუმარჯვა ეოცოსს ფიჩი. მაშინ დიდმა რეფორმატორმა თურმე წამოიძახა ისტორიული სიტყვები: „ო, წმინდაო გულუბრყვილობავ!", რითაც ერთგვარად შეემსუბუქა ცოდვა ინკვიზიციის მიერ გონებადაბნეულებულ დედაბერს.

ეს ამბავი გაგვახსენდა, როცა რედაქციაში ქალბატონი ლალი ვათიაშვილის წერილი მივიღეთ. მოუხდავად იმისა, რომ წერილის ავტორი ყოველად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს ჩვენი ზოგიერთი პუბლიკაციისადმი, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი შეხედულებების მკითხველისათვის გაცნობა, თუმცა ლ. ვათიაშვილთან კამათს არ ვაპირებთ და მისი აზრების კომენტარებაც მკითხველისათვის მიგვანდვია.

მაშ ასე, ნაწყვეტები ლ. ვათიაშვილის წერილიდან (ავტორის სტილი დაცულია):... „გაბრიელ ჯაბუშანურის პოემის წაკითხვისას გული ცუდად გამიხდა, თუ პოემის ავტორი ქართველია, ნეტავი ენა როგორ მოუბრუნდა ასეთი საზიზღარი ლექსის დასაწერად, ან თქვენ როგორ მიეცით თავს უფლება ამის დასაბეჭდად (ბგფლისხმენ გაბრიელ ჯაბუშანურის პოემა „ინვენქტივა-მონუმენტი", „ცისკარი" № 2. რედ). ...ნეტავი ისეთი დრო მოვიდოდეს, რომ ყველა, ვინც სტალინის ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს, თავისი ხელით იკლავდნენ თავს, სტალინი მსოფლიომ აღიარა და თქვენ მისი ლანძღვის უფლება არა გაქვთ... ყველა გორელის სალოცავი ხატია სტალინი, მე მეამაყება, რომ გორელი ვარ და ქართველობაც ხეირად სტალინის ქართველობით მეამაყება... სტალინისნაირი, მე მგონი, მეორე აღარ დაიბადება და თუ დაიბადება, ნეტავი მის მომხრე თაობას..."

აქვე, ქალბატონ ლალი ვათიაშვილის საყურადღებოდ დავძენთ, რომ გაბრიელ ჯაბუშანურმა თავისი პოემა სტალინის სიცოცხლეში დაწერა, რის შესახებაც პოემის ანოტაციაში არის ნათქვამი, ხოლო გაბრიელ ჯაბუშანურის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ჟურნალის ყდაზეა დაბეჭდილი.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
«ЦИСКАРИ»
Издательство ЦК КП Грузии

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, მარჯანიშვილის ქ. № 1. ტელეფონი 99-85-81

გადაეცა ასაწყობად 14.03.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.05.90 წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆, ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. ააარ. სგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 649. ეუ 07947. ტირაჟი 47 000.

საქართველოს კპ ცკის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ჯაფარიძე

დაიბადა 1968 წელს თბილისში. 1985 წელს დაამთავრა მესამოცე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამჟამად მეხუთე კურსის სტუდენტია. ცხოვრობს თბილისში. ცოლ-შვილიანია. იბეჭდება პირველად.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბერდიაევი (1874-1948 წწ).

რელიგიური ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. 1922 წლიდან ემიგრაციაში. ადამიანის არსებობის ხაზრისის კვლევა, სუბიექტის, პიროვნების თავისუფლების აუცილებლობის აღიარება და აქედან გამომდინარე კრიტიკა ყოველგვარი ფორმაციისა, როცა ზღუდავს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, რაც იწვევს მის გაუცხოებას გარესამყაროში; იქნება ეს ტექნიკური ცივილიზაცია თუ სოციალური რევოლუციები — ბერდიაევის ფილოსოფიური მოძღვრების ქვაკუთხედია.

დღემდის თქმ ჩვენთან მხოლოდ მისი მოძღვრების კრიტიკა შეიძლებოდა. ახლა უშუალოდ ამ მოძღვრების გაცნობის საშუალებაც გვეძლევა.

ავგუსტ სტრინდბერგი (1849-1912 წწ).

მსოფლიოში აღიარებული შვედი მწერალია. საყოველთაოდაა ცნობილი სტრინდბერგის ნოველები და რომანები, მაგრამ მწერალმა უფრო დრამატურგიით გაითქვა სახელი.

სტრინდბერგის პიესებმა მთელი მსოფლიოს თეატრები მოიარეს, გაცოცხლდნენ კინოეკრანებზე. განსაკუთრებით ეს ითქმის „ფრეკენ იულია", „ერიკ მე-14"-ე, „ნიკვდილის როკვა" და სხვა.

ქართულად სტრინდბერგის პიესა პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება"-ში 1984 წ. თარგმნა აკაკი ბრეგაძემ.

განზრახულია მისი პიესების ქართულ ენაზე გამოცემა.

6 29/66 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76288